

19

The KARTVELOLOGIST

JOURNAL OF GEORGIAN STUDIES

ქართველოლოგია



უკ (UDC)821.353.1+811.353.1+008(479.22)

ქ - 275

IN THIS ISSUE:

- 13th-century Unknown Syriac Hymn on Tiflis
- *The Man in the Panther Skin* – Shakespeare’s Literary Source
- Ioane Petritsi and His Philosophical-theological Project

სრულდება:

- XIII საუკუნის უცნობი სირიული ჰიმნი თბილისზე
- *ვეფხისტყაოსანი* – შექსპირის ლიტერატურული წყარო
- ქართული ჰიმნოგრაფია

ISSN 1512-1186

ქართველოლოგი
THE KARTVELOLOGIST

JOURNAL OF
GEORGIAN STUDIES

19 (4)

AUTUMN
2012

PUBLISHED BIANNUALLY BY THE CENTRE
FOR KARTVELIAN STUDIES
TBILISI STATE UNIVERSITY

In a broad sense Kartvelology embraces study of Georgian culture, history and all fields of the humanities: linguistics, literary criticism, art, archaeology, folklore, ethnography, source study.

"The Kartvelologist" is a bilingual (Georgian and English) academic journal, covering all spheres of Kartvelological scholarship. Along with introducing scholarly novelties in Georgian Studies, it aims at popularization of essays of Georgian researchers on the international level and diffusion of foreign Kartvelological scholarship in Georgian scholarly circles.

"The Kartvelologist" is issued both in printed and electronic form. In 1993-2009 it came out only in printed form (#1-15). The publisher is the "Centre for Kartvelian Studies" (TSU), financially supported by the "Fund for Kartvelian Studies". In 2011-2013 the journal is financed by the Shota Rustaveli National Science Foundation.

The Editorial Board: Foreign authors, together with their Georgian colleagues, are members of the Editorial Board of *The Kartvelologist*, taking an active part in shaping the scholarly style and form of the journal, authors of papers, occasionally reviewers of papers to be published, and popularizers in their home countries and scholarly centres of topics of Georgian Studies.

Editor-in-Chief: Elguja Khintibidze;
Editor of the English text: Arrian Tchanturia.

Bakhtadze Michael (History) – Georgia; Beynen Bert (Rustvelology) – Philadelphia, USA; Boeder Winfried (Linguistics) – Germany; Buachidze Gaston (Kartvelology) – France; Chikhladze Nino (History of Georgian Art) – Georgia; Chotiuary-Jünger Steffi (Georgian literature) – Germany; Doborjginidze Nino (Linguistics) – Georgia; Enoch Reuven (The Georgian language, Georgian-Hebrew cultural contacts) – Israel; Fähnrich Heinz (Georgian linguistics) – Germany; Kojima Yasuhiro (Kartvelian languages) – Japan; Kudava Buba (Study of Manuscripts) – Georgia; Licheli Vakhtang (Archaeology) – Georgia; Magarotto Luigi (Georgian literature) – Italy; Melikishvili Damana (The Georgian language) – Georgia; Nikoleishvili (Georgian literature) – Georgia; Nocun Przemyslaw (Archaeology) – Poland; Outtier Bernard (Medieval Studies) – France; Ratiani Irma (Literary criticism) – Georgia; Shurgaiia Gaga (Georgian literature) – Italy; Sikharulidze Ketevan (Folklore) – Georgia; Tuite Kevin (Ethnography and folklore) – Canada.

Each issue of the journal is prepared and published by the editorial staff: Khintibidze Elguja, Tchanturia Arrian, Melikidze Tamar, Javakhadze Irina, Guliashvili Sophio, Vardosanidze Tsira.

In some cases the Editorial Board, the staff and the reviewers do not share the stylistic peculiarities and the views expressed in the papers published.

CONTENTS

KARTVELOLOGICAL SOURCES WITH GEORGIAN TRANSLATION	
13th-century Unknown Syriac Hymn on Tiflis	5
STUDIES: SOURCE STUDIES	
Anton Pritula: The Hymn on Tiflis from the Wardā Collection.....	49
STUDIES: GEORGIAN-EUROPEAN PHILOLOGY	
Elguja Khintibidze: <i>The Man in the Panther Skin</i> – Shakespeare's Literary Source	108
STUDIES: GEORGIAN PHILOSOPHY	
Levan Gigineishvili: Ioane Petritsi and His Philosophical-theological Project	152
Damana Melikishvili: Language of Ioane Petritsi	184
STUDIES: HISTORIOGRAPHY	
Sophia Vashalomidze, Aleksandre Tvaradze: New Anthology: Caucasus during the Mongol Period Overview	207
STUDIES: GEORGIAN LITERATURE	
Linda Tsitsikhvili: Some Humanistic Motifs in the Lyrics of Vazha- Pshavela	228
Tamar Gegeshidze: "Stream of Consciousness" and Otar Chiladze's Novels	253
Laura Grigolashvili: The Georgian Translations of Andrew of Crete's <i>Great Canon</i> and Some Aspects of the Canon's Establishment as a Genre	285
Nestan Sulava: Georgian Hymnography	304
KARTVELOLOGISTS:	
Nino Aptsiauri: Heinz Fähnrich – "The Queen of the Forest; Myths and Folk-tales from Georgia"	350

სარჩევი

უცხოური წყაროები ძართული თარგმანებით:

XIII საუკუნის უცნობი სირიული ჰიმნი თბილისზე
(ქართულად, ინგლისურად, სირიულად) ----- 5

კვლევები: წყაროთმცოდნეობა

ანტონ პრიტულა, ჰიმნი თბილისის აღების შესახებ ვარდას
კრებულიდან ----- 29

კვლევები: ძართული-ქართული ფილოლოგია

თარგმანი ხინთიხიძე, ვეფხისტყაოსანი - შექსპირის
დაჯერებული წყარო ----- 71

კვლევები: ძართული უმთხრანობა

დავით გვირგვინიძე, იოანე პეტრიწი და მისი ფილოსოფიურ-
თარგმანული პროექტი ----- 137

დავით გვირგვინიძე, იოანე პეტრიწის ენა ----- 165

კვლევები: ძართული ისტორიოგრაფია

სოფია ვარშალომიძე, ალექსანდრე თვარაძე, ახალი კრებული:
„კავკასია მონღოლთა პერიოდში (XIII-XIV სს)“ (მოკლე
მიმოხილვა) ----- 199

კვლევები: ძართული ლიტერატურა

ლინდა ციციშვილი, ვაჟა-ფშაველას ლირიკის რამდენიმე
ზოგადსაკაცობრიო მოტივი ----- 217


თამარ გვგუშიძე, "ცნობიერების ნაკადი" და ოთარ ჭილაძის
რომანები ----- 237

ლაურა ყრიგოლაშვილი, ანდრია კრიტელის დიდი კანონის
ქართული თარგმანები და კანონის, როგორც ჯანრის ჩამოყალიბების
რამდენიმე ასპექტი ----- 265

ნესტან ხულაფა, ქართული ჰიმნოგრაფია ----- 325

ძართული უმთხრანობა:

ნინო აფციაური, ჰაინც ფენრიხი - „ტყის დედოფალი; მითები და
თქმულებები საქართველოდან“ ----- 342



XIII საუკუნის უცნობი სირიული ჰიმნი თბილისის შესახებ

ჟურნალის წინამდებარე ნომერში ქვეყნდება ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის აქამდე უცნობი XIII საუკუნის ჰიმნი სირიული ჰიმნოგრაფიული კოლექციიდან, რომელიც ეხება 1220-21 წლების თბილისის მრავალჯერადი აღებისა და აოხრების კატასტროფულ მოვლენებს. იგი შემონახულია მხოლოდ ერთი XVI საუკუნის ხელნაწერით (კემბრიჯის უნივერსიტეტი) და სამეცნიერო წრეებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სირიოლოგ ანტონ პრიტულას პუბლიკაციით და ინგლისური თარგმანით ("Caucasus during the Mongol Period", Wiesbaden 2012).

ჰიმნს ვაქვეყნებთ სირიული ორიგინალით, ა. პრიტულას ინგლისური თარგმანით და ჟურნალის ინიციატივით სირიულიდან შესრულებული ქართული თარგმანით (მთარგმნელი თამარ პატარიძე).

"ქართველოლოგის" ამავე ნომერში ქვეყნდება რედაქციის შეკვეთის საფუძველზე მომზადებული ა. პრიტულას სტატია "ჰიმნი თბილისის აღების შესახებ ვარდას კრებულიდან", რომელიც ავტორის თხოვნით მის მიერ მოწოდებული ფორმით იბეჭდება.

რედაქტორი

XIII century unknown Syriac hymn on Tbilisi

XIII century unknown Syriac hymn on Tbilisi is published in the current issue of the journal. The hymn concerns the disasters of conquering and ruining Tbilisi in 1220-21. It is met only in one manuscript of XVI century (the University of Cambridge) and became available for the scholarly circles with the publication of Assyriologist Anthon Pritula and its English translation ("Caucasus during the Mongol Period", Wiesbaden 2012).

The Syriac original, English translation by A. Pritula and Georgian translation by Tamar Pataridze is being published in the current issue.

The article "The Hymn about Conquering Tiflis from Warda collection" (A. Pritula) made by the order of editorial board is being published according to the author's provided format.

Editor

მოთხრობა თფილისის შესახებ, სხვა კვლავ
მისთაგანი¹

1 კატაკლიზმებით აღსავსე წელს, სამი გრძელი
წელიწადის დასასრულს,
როდესაც იმატა ყოველგვარმა უკანონობამ;
კადიები, კუტკალიები, შიმშილი და სიკვდილიანობა,
რავიანობა, ჯარის და ამზობი გაბატონდა მთელს
ტაბატარიაზე,
დასამარხადელი ხმა გაეგარდა და გავრცელდა
თფილის ქალაქზე,
ქობაქობის ჩასახვიდან არ ერი და ხალხი,
მთრე რომ ასე გაემარჯვა ზოროტებს,
რა მტარა ხეყარი თფილისისა, სადაც ურზი ხალხი
მეცოდა,
უგულისხმო და შუურაცხადი, და ვერვინ ვერაფერი
შეასმინა მათ.
არაბთა ოცდამესამე და ისმაილიტთა მეექვსასე წელს
შეემთხვა ეს საქართველოს² მკვიდრთ, მსაგვსად იმისა,
რაც შეემთხვა ამალეკის ხალხს³.
შემოვიდა ბარბაროსული ძალა და მასთან ერთად
ხალხი სპარსეთისა⁴,
თათრები⁵, მოგვები და ქურთები⁶, თურქებთან⁷

¹რაც ტრადიციული ფორმულაა და ნიშნავს: მომდევნო (ტექსტი) იმავე ავტორისა (რომელიც ამ ტექსტის წინ იყო დასახელებული).

²Litt: "გარგუსაია"

³Litt: "ამალყაია"

⁴Litt: "ფარსია"

⁵Litt: "თართარია"

⁶Litt: "ქრთაუია": პრობლემურია, ეს ტერმინი "ქართველს" გულისხმობს თუ "ქურთს". ვფიქრობ, "ქურთს" უნდა გულისხმობდეს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ "საქართველო/ქართველი"-სთვის გამოყენებულია ტერმინები "გარგუსაია" (იხ. სქოლიო N2) და "გორგაიები" (49,49);

⁷ Litt: "თურქაია"

[The Story on Tiflis]

1. In a year full of evils,
as a completion of the three long years,
when all the disturbances increased,
locust and cricket, and hunger, and death,
and devastation, and terror, and sedition
fol. 49r Ruled over all the lands,
there was an ominous rumour heard,
that came to Tiflis city:
Ever since Christianity began,
there was neither people nor folk,
against whom evils took their fill.
2. How bitter the story of Tiflis is,
for disobedient people entered it,
neither thought of nor expected,
and not listening to persuasion¹.
3. In the year twenty three by the Arabs
and six hundred by the Ishmaelites²
it happened with the Georgian people
as it had with the people of Amalek.³
4. The barbarians' force came,⁴
and the Persian people together with it,
and Tartars, and the Magians,⁵
and the Kartvelians with the Turks.⁶
5. They were more numerous than locusts,
and more terrible than wasps,

¹ I.e. this disobedient people.

² The Arabs and Ishmaelites are meant here as synonyms for the Muslims. In the Thesaurus such a meaning for *المشركين* is registered (Thesaurus 1879. T. 1. P. 172). Thus, the year mentioned in the text is 623 AH (by Hegira) / 1226 AD.

³ King David attacked them while they were banqueting, none of them escaped. All the belongings the Amalekites had taken from Israel were taken back (1 Sam 30: 11-21).

⁴ By the barbarians' force here, most likely, the Mongol invaders are meant.

⁵ By the Magians (*مغولان*) not only Zoroastrians could be meant, but sometimes the Persian people in general, even after their conversion to Islam. The supposed origin of this term here was suggested in the preface.

⁶ Persians and Turks and different nationalities formed the army of Jalal ad-Din, the Khorasmshah (Kirakos 1976. P. 146). Tatars are also mentioned in this list, but in fact their invasion to Georgia took place in 1220-1221 AD.

- ერთად.
- 5 კალიებზე მრავალრიცხოვანი იყვნენ და კრაზანებზე ურიცხვნი; ქვეწარმავლებზე უბოროტესნი და ეშმაკებზე დაუნდობელნი. ყოველი სანახი მოვლეს და ცეცხლს მისცეს, ყოველი ქალაქი, რომელშიც ფეხი დადგეს, სოდომის მსგავსად მოაოხრეს. მხეცთა მსგავსი ხალხი, ბოროტნი და მავნენი, მოედნენ ამ სარწმუნოებით აღსავსე ადგილებს. მოაწიეს განსაცდელი ქალაქზე და მკაცრად დასაჯეს თფილისის სამეფო, ცნობილი და სახელგანთქმული. მამაცი ვაჟკაცი შალვა¹, ამ ამბების გაგონებისთანავე სათავეში ჩაუდგა შვიდი ათას [კაცს], რომლებიც მერყინეს მათ შეუსვენებლად.
- 10 ჯარის ნაწილი გაუნადგურეს და ყოველ დღე უფრო და უფრო დევნიდნენ; მაგრამ ახალი ღამქარი გამოემართა მათ წინააღმდეგ და შეიპყრეს იგიც და მისი ამაღაც. ჯაჭვები დაადეს, მხეცთა და ცხოველთა მსგავსად. როცა იხილა სიმამაცით აღსავსე [კაცმა] მოგვების ბოროტება, უმალ აფრინა ხალხისთვის წერილი: "აღსდევით სწარაფად და გაერთიანდით, სანამ ურწმუნოებას გაუმარჯვია ჩვენზე. რადგან ეს ხალხი უკიდურესად ძალმოსილია და ზღვის წყლის მსგავსად შეკრული. შებოჭეთ ისინი, სანამ აღზევებულან და გაუნადგურებიათ ჩვენი ხალხი". წერილი ხელში ჩაუვარდათ [დამპყრობლებს] და მეყსეულად იხმეს სამართლიანი კაცი, და როგორც კი გამოკითხეს ამ წერილებზე, უშიშრად აღიარა:
- 15 "სამართლიანი არ იქნებოდა, ურწმუნოება სარწმუნოებაზე მაღლა დამეყენებინა",

¹Litt.: "შარვა"

- and worse than serpents,
and more ferocious than devils.
6. Any land they were crossing
they cast to the flames.
And any city they were entering
they used to leave like Sodom.
7. The people, resembling beasts,
evil and noxious,
entered those lands,
abundant in faith.
8. Indeed ¹ they exposed the city to trial,
giving sentence without any judicial process
to Kingly Tiflis,
The glorious and illustrious.
9. A brave man, Šarwā,²
having heard the news of them
led out about seven thousand,
and they fought with them unremittingly.
10. He destroyed a part³ of their army,
and all day long was pursuing them,
fol. 49v but the other part / arose against him,
and took him and his troop.
11. And they were put into chains,
like cattle or beasts.
As [the man] full of braveness saw
the evil of magianism,
12. He wrote messages hastily
to the people: 'Rise in haste,
and everyone get together,
before paganism has overcome!
13. For very strong this people are,
and they are gathered like sea water.

¹ ⚡ seems here to have a positive emphatic sense. Such a meaning has been recorded in many texts and in the hymns ascribed to Warda as well (see: Vilsker L.H. Ob utverditel'nom znachenii chastiysy *lā* v sirijskom jazyke, in: *Ksina*, 86 (1965), p. 25–50).

² Here probably prince Shalva Akhaltsykheli is meant. He took part in many battles, and was captured in the battle at Garni by Khorasmshah Jalal ad-Dīn in 1225 AD (Buniyatov 1986, p. 167).

³ Or "troop", if ⚡ was here originally with first ⚡ (a), not ⚡ (e); the vocalization here sometimes is dubious.

და როგორც კი [ეს] მოისმინეს, ყველამ ერთად სიკვდილით დასაჯა იგი.

დანარჩენები, დაახლოებით რიცხვით სამი ათასი, რომლებიც მთის წვერზე იდგნენ, მათ წინააღმდეგ შეიკრნენ და შეადგინეს დაჯგუფებები.

[მაგრამ] ქვემოდან აცოცდნენ მეომრები, მსგავსად შავი ღრუბლებისა და სქელი ქარბორბალისა, ყველანი დასცეს და მოსწყვიტეს მეყსეულად.

შემორტყნენ უშიშრად თფილისს, სადაც არც მეფე იყო და არც დედოფალი, შიგნიდან გაულეს [კარი] ურწმუნობმა და გარედან შევიდნენ მოგვები¹.

იმ დიდი დღის დასაწყისში თფილისში მოხდა მეტად საზარელი მოვლენები, შევიდა შიგნით ურიცხვი ზრბო და დაიღუპა ბევრი ხალხი.

20 ამ დროს რეკდნენ ეკლესიები ჰალელუიათი და საგალობლებით და გაისმოდა გამწარებულ თფილისში ხმა ტირილისა და გოდებისა.

განსაცდელებით სავსე დღე იყო, დღე წყვდიადისა და ნალველისა,

ნისლისა და ღრუბლებისა, როგორც ნეტარი ამოსი [წინასწარმეტყველი] ამბობდა²,

ამ დღეს გაათქვცდა კვნესა და თვალთაგან ცრემლთა დენა,

ამ დღეს ჩავარდნენ კეთილშობილი [ქალბატონები] ბილწ ურწმუნოთა ხელში.

ქალაქს ისე მოექცნენ, როგორც სილოამს³, ხოლო

seize them before they have arisen and exterminated our people!

14. The messages fell into their hands,¹ and they brought the just man straight away.

And as they asked him about the letters, he confessed with no fear:

15. 'It is not proper that I should hold paganism To be greater than (my) baptism!

And as they heard this, a slaughter was made by all of them at a gathering.²

16. The rest, about three thousand, who were standing at the top of the mountain, gathered against them in gatherings, and formed against them formations.

17. From below armies climbed up, like black clouds, and heavy whirlwinds.

They all fell down and died immediately.³

18. They encircled Tiflis with no fear, for there was neither king nor a queen in it. And the heathens came and unlocked from inside, and the Magians entered from outside.

19. At the beginning of the Great Day⁴ There was a great mockery in Tiflis, and a large crowd entered it, and it was the undoing of the great people.

20. At the time when the Churches sound Halleluiah and the songs, there sounded in poor Tiflis the voice of weeping and lamentations. fol. 50r 21. It was a day, full of oppression, a day of darkness and gloom, and that of mist and cloud, as blessed Amos said.⁵

¹ Litt.: "მოგვები"

² Am 1:14

³ Litt.: "როგორც შილოს", Jer 7:12, 26:9

¹ I. e. into the hands of the invaders.

² I. e. the hero was killed.

³ I. e. the Georgian troops

⁴ Probably Easter, as Tiflis was captured by Jalal ad-Din on the 8th of Rabi 1, 623 AH / 9th of March 1226 AD (Buniyatov 1986, p.170).

⁵ A paraphrase of Am 1:14.

სიონივით - დედაქალაქს,
მათი ხელმწიფე საულივით დაეცა¹, ხოლო მისი
შვილებიც მის მსგავსადვე მოისრნენ.

და ელის შვილებივით²[მოისრნენ] მათი მღვდლები
და კორახის³ შვილებივით - მღვდელთ-მსახურნი,
იერიხო⁴ მსგავსად დაეცა ყველაფერი, მათი
კოშკები და კედლები.

25 იონათანივით⁵ განადგურდნენ და აბნერივით⁶
მოისრნენ.

მეფეებს გვირგვინი მოხადეს, ხოლო მათ თავადებს -
სამაჯურები და დიადემები.

ნაჯახებით დაჩეხეს მათი ჯვრები, ნიჩბებით
ამოძირკვეს საკურთხეველებიდან.

მოაოხრეს სიწმინდენი და მიწას დაანარცხეს მათი
ძვირფასეულობა.

ძაღვები მიუშვეს ტაძრებში, ხოლო
საკურთხეველებში - სახედრები,

და ცხენები ჭიხვინებდნენ მათ სალოცავებში,
ბედაურები შედგნენ მათ ამბიონებზე.

ცეცხლს მისცეს მათი [წმინდა] ნაწერები და
გადაბუგეს წიგნები,

წამოაქციეს მონასტერთა და სახელოვან სავანეთა
ბოძები.

მათი მეთაურები სამსუნის⁷ მსგავსად დაეცნენ,
ხოლო უფრო მცირენი - ასაელის⁸ მსგავსად;

¹ 1 Sam 31

² 1 Sam 4: 17

³ Num 16 :32 კორახი

⁴ Litt: აირიხოს, Josh 6 :1 -8

⁵ 1 Sam 31: 2

⁶ 2 Sam 3 : 26

⁷ Litt: შიმშუნის, Judg 16 :28-30

⁸ 2 Sam 2 :18-23

22. The day when groans became strong,
and tears of eyes poured forth.

The day when the noble women fell
into the hands of the evil pagans.

23. They made their city alike Shiloh¹
and their capital alike Zion,
and their kings fell like Saul,

and their sons were killed like his sons,²

24. And their priests like the sons of Eli³

and their deacons he brought low like the sons of Korah.⁴

And like Jericho fell all
their towers and walls.⁵

25. They were ruined like Jonathan,⁶
and slain like Abner.⁷

Their kings' crowns were taken off,
as well as the bracelets and diadems of their nobles.

26. They destroyed their crosses with hatchets,
pulled out the altars with spades
ruined the sanctuaries with axes,
and cast their precious things to the ground.

27. They brought the dogs into their temples,
and the mules into their altars.

And the horses neighed in their chapels,
and the steeds rose onto their pulpits.

28. They burned their Scriptures in fire,
and their Books in flames.

and they overthrew the pillars of their cloisters,
and of their glorious convents.

29. Their chiefs fell like Samson,⁸
and their least like Asahel.¹

¹ Jer 7:12; 26:9.

² Saul, the king of Israel was killed at the battle of *Mount Gilboa* together with his sons (1 Sam 31).

³ Chief priest Eli's sons were killed at the battle with the Philistines (1 Sam 4:17).

⁴ Levite Korah and his sons were swallowed up by the earth together with their dwellings for their opposition to Moses (Num 16:32).

⁵ During the assault of Jericho by Israel its wall fell down (Josh 6:1-8).

⁶ Jonathan was one of Saul's sons killed at the Battle of Mount Gilboa (1 Sam 31:2).

⁷ Abner was a commander who supported David in his struggle against house of Saul. He was treacherously murdered by Joab (2 Sam 3:26).

⁸ Judg 16:28-30.

მათი ვაჟკაცები კი გოლიათის¹ მსგავსად და არავინ გამოჩნდა მათი დამმარხველი.

30 მთიბავთა მსგავსად გადათიბეს და მოთელეს მათი მოხუცები და როგორც ბალახი - მათი ახალგაზრდები, ხოლო შვილები კი - როგორც ხორბლის თაველები. ყურმენივით დაკრიფეს და კენკრასავით შეაგროვეს, ფეხით გადაუარეს და გათელეს: "აკა, აკა" [იმახდნენ] და ზედ გადადიოდნენ. ფრინველები ჭამდნენ მათ გვამებს და ცხოველები გამოძლენ მათი ხორცი, ხოლო მიწა კი - მათი სისხლით და ზეცას სწვდებოდა კვამლი. მათი ქალიშვილები შეურაცხვეს და ქალბატონები დაამცირეს: მათ შორის დიდებულები გააშიშვლეს და ბანოვანთ შემოსძარცვეს სამოსელი. საპირისფარეშოდან გამოყარეს გოგონები, ხოლო წყვილები თავიანთი საძინებლიდან, ოთახიდან - დიდგვაროვანი ქალბატონები და ყველანი მოსამსახურეებად აქციეს.

35 ტაძრებიდან ხელთ იგდეს ჯვრები და ბარძიმები [სხვა] სიწმინდეებთან ერთად, თავიანთ ქალაქებში გააგზავნეს, როგორც საბომბერები და საჩუქრები, ეპისკოპოსებს, როგორც ბოროტისმქმნელებს, ჯაჭვები დაადეს და მათი მეთაური დანიელივით² [აღმოჩნდა] ტყვეობაში. კათოლიკოსი გაკოჭეს და ეპისკოპოსნი სახრჩობელაზე ჩამოვიდეს.

¹ 1 Sam 17:48 -50

² Dan 1-12

And their brave men like Goliath,² and there is no one to bury them.

30. Like reapers they reaped them, and threw down their elders like shocks, and their youth like standing corn, and their children like ears of wheat. fol. 50v 31. And / they gathered them like grapes, and they collected them like berries, and like treaders of grapes they trod them down. "Hurrah, hurrah!", and they trampled them.

32. The birds ate their corpses, the animals sated themselves with their flesh. And the ground was saturated with their blood, and the smoke reached heaven.³

33. Their virgins were dishonored, and their respected [women] desecrated, and most important of them were left naked, and their great [women] were uncovered.

34. They led the girls out of the chambers and the brides from the nuptial beds and the noble women from the rooms and made of them maidservants

35. They took crosses from the Churches, and chalices together with the objects of worship they sent them to [their] cities as presents and gifts.

36. And the bishops were put into chains like villains. And the head of all episcopacy was like Daniel in captivity.⁴

37. The Catholicos was bound, and the bishop was muzzled, and the chief priest and the chorepiscopus they were dragging along, yoked like bulls.

¹ Asahel was Joab's young brother, who was very handsome. He was killed by Abner (2 Sam 2:18-23).

² 1 Sam 17:48-50.

³ Such a smoke appeared after the extermination of Sodom and Gomorrah (Gen 19:28).

⁴ It is described in the Book of Daniel (Dan 1-12).

მღვდელმთავარნი და ქორეპისკოპოსნი ათრიეს და უღელში ჩააბეს ხარებივით.

საკმევლებს მეტალის ფილები დაახურეს დაშუბები პალმის რტოებს [დაასეს]

მონებს გადასცეს მათი მოსასხამები და მათი ანაფორები - კახპებს.

მათ წინასწარმეტყველებს ცეცხლი შეუკეთეს და მოციქულები ცეცხლის ალში ჩააგდეს, და სამეფო სახარებაც წაბილწეს.

40 განდევნილებს სენაკებში და ბერებს მათ კელიებში ქურციკივით მიუხტნენ და ცოცხლად გაატყვევეს.

სიწმინდეში მყოფ ქალებს, ქორწინებაში რომ არ ყოფილან შესულნი,

წყლის მზიდავებად და მეძავებად ფარდულებში იყენებდნენ.

წაბილწეს ვინც ქალიშვილი იყო, შეიპყრეს ვინც თვალწარმტაცი იყო,

და გაფატრეს ფეხმძიმენი და არ იწყალებდნენ ჩვილების მეძუძურ დედებს.

ზოგს სამოსელი განძარცვეს და ტურებივით მიაგდეს,

ზოგის სანატრელი [არსებანი] მოწყვიტეს საშოში წიწილებივით.

ზოგი გადაბუგეს საკუთარ სახლებში თავიანთ შვილებთან ერთად.

ზოგმა იხილა თავიანთი შვილების წამება და ტანჯვით სულის აღმოხდომა.

45 ზოგმა მთას მიაშურა, მაგრამ იქიდან ჩამოყარეს, ზოგი გამოქვაბულებში ჩაიმალა და შიმშილითა და წყურვილით მოკვდა.

ზოგი ცხენებს მიაბეს და გააჭენეს, და ისინი მდიდარი [კაცივით]¹ მოსთქვამდნენ მაგრამ საშველი საშველი არ მიეცათ.

¹ Luke, 16 : 24-26

38. They made amulets¹ of their censers and spears of their hosannas,²

and they gave their stoles³ to the slaves, and their robes to the whores.⁴

39. And they threw their Prophets into the fire, and their Apostles into the flames.⁵

And the King's Gospel was scorned by them.

40. The hermits in their cells, and the monks in their chambers

like gazelles they came to them, and skinned them alive.

41. The saintly nuns, that had avoided matrimony -

They used them as cup-bearers, and as whores in brothels.

42. And they violated those who had been virgins, fol. 51r and captured those /who were beautiful.

And they tore apart those who were pregnant.

And they had no mercy on those who were suckling.

43. Some of them they stripped of their clothing, and left them like jackals.

And there are some, whose dear ones they slaughtered like chickens in their wombs.

44. And some they burned inside their houses together with their babies.

And some of them watched the torments of their children, and their souls left them through the sufferings.

45. And some of them climbed up a mountain and threw themselves down from there.

And some of them hid in the caves, and died of hunger and thirst.

46. And some were bound to horses, which they drove together with them.

¹ Or plates.

² I. e. palm-branches.

³ Stoles of different shapes are worn by deacons of both Georgian and East Syrian ("Nestorian") Churches.

⁴ One of the meanings of *ῥῆμα* is a vestment of clergymen.

⁵ I. e. the Scriptures of the Prophets and Apostles.

ვინ არის შემძლე გვიამბოს მათ შესახებ, იმაზე, თუ როგორ ან რამდენი შეავიწროვეს?

ამ ადამიანთა ან მათი ოჯახების რიცხვზე?

ორმოცდამეოთხე ფსალმუნი შემცველი ორმოცდათოთხმეტი მუხლისა,

და კიდევ სხვა, სამოცდათმეთოთხმეტე, რომელშიც ორმოცდაშვიდი მუხლია,

მესამე კი ნომრით ოთხმოცდამეცხრამეტეა,

და მასში ოცდაცხრა მუხლია,

და რაც მაკაბელებზე¹ ითქვა, შესაფერისია გორგაიებზე (ქართველებზე).

50 ღმერთო ჩვენო, ღმერთო ჩვენო, რატომ უგულვებლყავი ასე შენი ხალხი?

და მიატოვე ისინი ცხერის ფარასავით, არც მწყემსი რომ უვის და არც წინამძღოლი?

განა შენს სახელს არ ესავდნენ და შენს დღესასწაულს არ ზეიმობდნენ?

შენს საიდუმლოებს არ აღასრულებდნენ და განუწყვეტლივ არ განგადიდებდნენ?

რატომ აღმოჩნდა მუმლი მათ სახლებში და ბუები მათ საძინებელში?

გოდება მათ ეზოებში და ტურები მათ საცხოვრისში?

საიდან მოხვდნენ ეშმაკები მათ ტაძრებში და სიბინძურე მათ წმიდათა წმიდაში?

როგორ დაიმარხნენ მათი კეთილშობილნი და როგორ გაითელა ქუჩებში ფეხით მათი სხეული?

მათი მშვენიერი და თვალადი შვილები რატომ ჩაუგდე ხელში მათ მოძულეებს?

და მათი მშვენიერი ქალიშვილები რატომ ჩააგდე მათი მტრების ხელში?

¹ Litt: "მაყაბიებზე"

And they were clamoring, like the Rich Man¹ but they were not given a drop.

47. Who is able to tell about them, how and how many attacked them?

And about the number of their persons, also about the number of their families?

48. Psalm forty four, in which there are fifty four phrases,²

and another one is seventy four, in which there are forty seven phrases.³

49. The third one is number ninety nine, in which there are twenty nine phrases,

these were said of the Maccabees, and are very suitable for the Georgians.⁴

50. Our Lord! Our Lord! For what reason did You neglect Your people so?

And have forsaken it like a flock of sheep that has neither a shepherd nor a leader?

51. Were they not confessing Your name, and celebrating Your Feasts?

And were they not exulting Your Mysteries, and glorifying You all the time?

52. Why are there moles in their houses, fol. 51v And hedgehogs inside their chambers?

And lamentation in their yards, And jackals in their rooms?

53. Why are there devils in their Churches, and the filthy in their Holy of Holies.

Why are their nobles buried, and their bodies being trampled in the streets?

¹ Lk 16:24-6.

² Psalm 44 (according Peshitta numbering) contains 26 verses. But following the punctuation it is divided into 54 sentences, which corresponds to one of the meanings of *ܠܗܘܐ ܗܘܐ* (sentence, phrase). This psalm tells about the defeats of Israel and its disgrace.

³ Psalm 74 containing 47 sentences also relates about the defeats and destruction of Israel. It is particularly close to the descriptions of the devastation and burning of the sanctuaries, placed in strophes 26-28 of the hymn being published (compare to Ps 74: 4-7).

⁴ This Psalm, according to tradition, was written by David on the defeat of the Midianites from Moses (Num 31:1-12). In Peshitta this is also noted in the title of this Psalm. But in some apocryphal titles it could be connected with Maccabees.

55

და თუ თავიანთი ცოდვებით განგარისხეს და თავიანთი საქმიანობით გაგაწილეს, მათი ბაგენი უფლად ხომ გიხმობდნენ და მათ გულებს შენ არ დავიწყნიხარ. უზენაესმა ისმინა ეს სიტყვები და იქმნა, როგორც ჩემი გამკითხველი: დადუმდი და დაწყნარდი, საბრალობელო, ვის განიკითხავ? განა არ წაგიკითხავს სახარება სავსე ცხოველი სიტყვით, როგორ გადასცდი ჯეროვანს და ლაპარაკობ დაბრკოლებულთა მსგავსად? არ მოგისმენია მაცხოვრებელ ბაგეთაგან ეს გამონათვამი მოყვასთათვის განკუთვნილი: მართალთა ძენი მარადის იდევენებიან ძეთაგან წარწყმედილობისა, სახლიდან განგაძევენ და ქუჩებში გვგემენ, მსხვერპლად ჩავთვლიან შეუპუბელები მკვლელები.

60

დედამიწის სხეულიც რომ მოაკვდინონ, სულის მოკვლას ვერ შესძლებენ. თქვენი სხეულები ჩემგან აღდგებიან და მარადიულად იხარებენ სასუფეველში. იმ შემთხვევაშიც კი, მე რომ დამემოწაფოთ, უფალზე სათნო ვერ იქნებით. რაც მე მიქნეს, მასვე გიზამენ თქვენ. განიხარეთ ჩემი ხვედრის გაზიარებით. სიხარული არ გმართებთ ბოროტებით აღსავსე ქვეყანაზე, არამედ ტანჯვანი და ტკივილები, ხოლო საუკუნო სიცოცხლე კი - იმ ქვეყანად. უფალი ჩვენი მოწყალეთა გვირგვინია და მკვლელთა მტანჯველი. წყალობა ჰყავ მთავარ ცოდვილზე, ამ სიტყვების მწერალზე.

54. Their graceful and handsome sons,
why did You hand them over into their haters' hands?
And also their beautiful daughters,
why did You leave them to their foes' hands?
55. And if they angered You with their sins,
and irritated You with their deeds,
they called You with their mouth,
and their hearts did not forget You.
56. The Righteous One heard those words,
and He was like an accuser for me:
'Fall silent and calm down, o sinner!
Whom have you judged?
57. Have you not read the book of the Gospel,
that is full of lively words?
Why have you strayed from what is proper,
and spoken like those who are misled?
58. Have you not heard the vivifying mouth
say this to His friends:
'The sons of the right hand are pursued
all the time by the sons of perdition.
59. From the houses they will drive you away
and in the streets they will beat you,
and they will consider you as sacrifices,
your impudent killers.
60. But if they kill the body on earth,
they are not able to kill the soul.
Your bodies will be resurrected by me,
and will rejoice in my Kingdom for ever.
61. If you are my disciples,
you are not better than your Lord.
So, what they did to me, they will do to you.
Be glad that you are my companions!'¹
62. You did not promise mirth
fol. 52r in the world full of evil,
but rather sufferings and sorrows.
And incorruptible life is in the next world.²
63. Our Lord, crown of the slaughtered,
and bringing torment to the killers,

¹ Paraphrase of Mt 10:24; 24:9; Mk 13:9; Lk 21:12; Jn 15: 18-21; 16:2.
² Paraphrase of Jn 16:33.

შეუნდე სისუსტენი და წარწყმედილობა, შეუნდე და
მიუტევე შეცოდებანი და გადმოადინე შენი მაღლი
მის მსგავსებზე.

დიდება შენდა ყოველთა ბაგიდან და საიდუმლო
მყოფობა მარად და მარად.

have mercy upon the head of the sinners

the composer of these words!

64. And pity his weakness, and his perdition,

and forgive and remit his debts,

and pour Your grace on those like him!

And glory to You from all mouths,

the Concealed Being, for ever!

[fol. 48v]

[1] * * * * *

* * * * *

* * * * *

* * * * *

* * * * *

[fol. 49r]

* * * * *

* * * * *

* * * * *

* * * * *

* * * * *

[2] * * * * *

* * * * *

[3] * * * * *

* * * * *

[4] * * * * *

* * * * *

[5] * * * * *

* * * * *

[6] * * * * *

* * * * *

[7] * * * * *

* * * * *

[8] * * * * *

* * * * *

[9] * * * * *

* * * * *

[10] * * * * *

[fol. 49v]

[11] * * * * *

* * * * *

[12] * * * * *

* * * * *

[13] * * * * *

* * * * *

¹ marg. * * * * *

- [51] له څرخې موه څه تپي . ډلگي تپي موه ختختي
 ډلگي تپي موه ختختي . لهې غږه بدل ځي *
 [fol. 51v; 52] لڅک سټلڼک څڼمڼه . / همځيک څڼه مېله نېښه
 مېله نېښه څڼه تپي . مټوڼي څڼه مڼه *
 [53] لڅک ځي ختختي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 لڅک مڼيکي مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 [54] همځيک مټوڼي څڼه مڼه . لڅک مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . لڅک مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 [55] مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 [56] له لڅک څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 [57] له مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 لڅک مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 [58] له مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 [59] مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 [60] مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 [61] مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 [fol. 52r; 62] له مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 [63] مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 [64] مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *
 مټوڼي څڼه مڼه مټوڼي . مټوڼي څڼه مڼه مټوڼي *

ჰიმნი თბილისის აღების შესახებ ვარდას კრებულიდან

ანტონ პრიტულა

*ერმიტაჟის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილება,
ახლოაღმოსავლეთისა და ბიზანტიური სექციის ხელმძღვანელი.
ვილოლოგიის დოქტორი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი.*

რეზიუმე: განსახილველი ჰიმნი მოიპოვება მხოლოდ ერთი ეგზემპლარის სახით ვარდას - Wardā'ōnitā-ს კოლექციაში - ყველაზე დიდ აღმოსავლეთ სირიულ ჰიმნოლოგიურ კოლექციაში, რომელიც შეიცავს ორასზე მეტ ჰიმნს, რომელიც დღემდე გამოიყენება აღმოსავლეთის საეკლესიო პრაქტიკაში (ე.წ. ნესტორიანულში). ჰიმნი გვხვდება კოლექციის მხოლოდ ერთ ხელნაწერში, სახელდობრ Add. 1983-ში, რომელიც დათარიღებულია ჩვენი წ.აღ-ით 1550 წლით, fol. 181r, კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისზე ჰიმნის კომპოზიცია ტიპურია „კატასტროფული“ ჰიმნებისათვის, რომელიც მიეწერება გივარგის ვარდას (XIII ს.). მისი ძირითადი ნაწილი შედგება უცხოელი დამპყრობლების მიერ ქალაქში გამოწვეული ნგრევისა და საშინელების ძალიან დეტალური და შოკისმომგვრელი ნატურალისტური აღწერებისაგან. საშინელი ნგრევა და ხოცვა-ჟლეტა ავტორის ეჭვს იწვევს ღმერთის სამართლიანობაში, რასაც იგი გამოხატავს მისთვის (ღმერთისთვის) უპასუხოდ დარჩენილი კითხვების დასამაში (სტროფები 50-55). დასასრულ, მართალი ღმერთი კიცხავს ავტორს და უხსნის მას ღვთაებრივ ნებას, ე.ი. ადამიანებს ამოწმებს, სანამ ისინი გადავლენ მუდმივი სიცოცხლის სამყაროში (სტროფები 56-61). ასეთ სტრუქტურას ვხვდებით აგრეთვე რამდენიმე სხვა ჰიმნში, რომლებსაც ვარდას მიაწერენ. საბოლოო დამგომობისა და მამხილებლის როლი სხვადასხვა ჰიმნში შეიძლება შეასრულოს სხვადასხვა რაიმემ, როგორცაა ღმერთის სამართლიანობა, ავტორის გონება ან ვინმე სხვა. ამგვარად, ამ ეპოქის ჰიმნი შეიძლება ჩაითვალოს აპოლოგეტურად.

ჰიმნის ისტორიული კონტექსტი განსაკუთრებით საინტერესოა. იგი აღწერს 1220-1221 წლების მოვლენებს, ეს არის

პერიოდი, როდესაც რამდენიმე დამპყრობელმა ხელყო ქართველი ხალხი. ეს ამბები აღიწერა არაბულ, სპარსულ, სომხურ და ქართულ წყაროებში. ამიტომაც გვაქვს საკმარისი ინფორმაცია, რომელთანაც ჰიმნის შედარება შეიძლება.

საკვანძო სიტყვები: *სირიული ჰიმნოგრაფია, ვარდას კოლექცია (Warda collection), ჰიმნი თბილისზე.*

1. ვარდა, სირიის რენესანსის პერიოდის ჰიმნების კრებული.
ვარდას კრებულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღმოსავლეთის (ე. წ. ნესტორიანული) ეკლესიის ლიტურგიკაში. ჰიმნების სახელწოდებები გვამღევეს იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ვარდა გივარგის ვარდასი, რომელსაც ჰიმნების უმრავლესობის ავტორობა მიეწერება, კრებულის შედგენაში მონაწილეობდა XII-XVI საუკუნეებში მოღვაწე არაერთი მწერალი. ამასთან, კრებული განკუთვნილია რელიგიური დღესასწაულების დროს ღამის განმავლობაში შესასრულებელი და მთელი ლიტურგიული წლის განმავლობაში კვირაობით ღვთისმსახურების აღსრულებისათვის. ამ ორი თავისებურების გამო ვარდას კრებული აღმოსავლეთ სირიული ლიტურგიული პოეზიის უმთავრეს ძეგლად მიიჩნევა. მისი მრავალრიცხოვანი ასლები გვხვდება მთელს მსოფლიოში დაცულ სხვადასხვა კრებულებში. ვარდას კრებულში შემავალი სტროფული ჰიმნები 'oniā (მრ. რიცხვში 'onyātā) ჯერაც წარმოადგენს აღმოსავლეთ სირიის ეკლესიის ლიტურგიის განუყოფელ ნაწილს. მთლიანობაში კრებულში სულ ას ოცი ჰიმნია შესული. მათი უმრავლესობის შექმნა მიეწერება გივარგის ვარდას, რომლის სახელსაც ატარებს კრებული. ჰიმნების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა კრებულში განვასხვაოთ შემდეგი ტიპის ჰიმნები: ეგზეგეტიკური, ჰაგიოგრაფიული; არაკანონიკური სიუჟეტები; ჰიმნები, რომლებშიც აღწერილია სხვადასხვა ისტორიული მოვლენები თუ განსაცდელნი; ასევე ჰიმნები, რომლებშიც აღწერილია ადამიანური სინანული და სხვ. ჩვენამდე მოღწეულია ვარდას კრებულის რამდენიმე

ათეული ხელნაწერი, რომელთაგან ზოგი სრულ რედაქციას წარმოადგენს და ზოგი - არასრულს.¹

ჰიმნოგრაფის ცხოვრების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა, ტრადიციის თანახმად მიიჩნევა, რომ იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII საუკუნის პირველ ნახევარში, ვინაიდან იმ ჰიმნებში, რომელთა ავტორად ვარდა მიიჩნევა, 1220-1230-იანი წლების ტრაგიკული მოვლენებია აღწერილი. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერაც არაა ზუსტად დადგენილი ჰიმნების ავტორობის საკითხი. შესაბამისად არაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი მოგვიანებით შეეტანათ კრებულში.

კრებულში შემავალი ჰიმნების უმრავლესობა გართიმულია და განეკუთვნება სირიული პოეზიის განვითარების იმ ფაზას, როდესაც უკვე ადგილი ჰქონდა სირიული და მაჰმადიანური (კერძოდ, არაბულ და სპარსულ) პოეზიის ურთიერთგავლენას. პერიოდს, როდესაც სირიული ლიტერატურა ფაქტობრივად ხელმეორედ იშვა, ბოლო ხანებში *სირიულ რენესანსს* უწოდებენ. ეს ტერმინი, რომელიც პირველად ანტონ ბისმარკმა გამოიყენა, თავიდან მხოლოდ XII-XIII საუკუნეებს მოიცავდა.² გარდა ამისა, ტერმინი ძირითადად დასავლურ სირიული ლიტერატურის აღსანიშნად გამოიყენებოდა.³ მოგვიანებით კი ცნების მნიშვნელობა გაფართოვდა და მოიცვა როგორც აღმოსავლეთ სირიელი ავტორები, ასევე ქრონოლოგიურად უფრო ხანგრძლივი პერიოდი. ჰერმან ტელეს პერიოდიზაციის მიხედვით, სირიული რენესანსი იწყება ელია ნისიბელის (975-1046) და მთვრდება გამოჩენილი აღმოსავლეთ სირიული ენციკლოპედისტის აბდისო ბარ ბრიკას (გარდაიცვალა 1318 წელს) შემოქმედებით.⁴ ტელეს მიერ დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას იყენებენ თავიანთ გამოცემებში ასევე ახალი

¹ ხელნაწერთა დეტალური კლასიფიკაციისათვის, ასევე მათი შინაარსის ანალიზისათვის იხ. Pritula 2013/1. ყოველივე ეს ასევე განხილული იქნება კრიტიკულ გამოცემაშიც, რომელიც უახლოეს მომავალში გამოიცემა: Pritula 2013/2 (ინგლისურენოვანი ვერსია); Притула 2013 (რუსულენოვანი ვერსია).

² Baumstark 1922. გვ. 285, 286.

³ Kawerau 1955, 1960; Leroy 1971.

⁴ Teule 2002. P. 176; Teule 2010. გვ. 5.

თაობის მკვლევარებიც.¹ ხსენებული პერიოდის ქრისტიანულ სირიული კულტურაში წარმოდგენილი ჟანრების ყველაზე გამოწვლილვითი ანალიზი წარმოდგენილია ტელეს რედაქტორობით ბოლო ხანებში გამოცემულ მონოგრაფიაში “The Syriac Renaissance” (“სირიული რენესანსი”).² წიგნში ასევე შესულია სტატიები ამ პერიოდის პოეზიის შესახებ.³

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობისდა მიუხედავად, შესაძლოა გამოვყოთ ამ პერიოდის მთავარი მახასიათებლები: ენციკლოპედიური, ეკლექტიკური ხასიათი; არაბული ლიტერატურის გავლენა ფორმის თვალსაზრისით. ჰერმან ტელეს აზრით, არაბული ენა ბევრად უფრო დიდ როლს ასრულებდა აღმოსავლურ სირიულ ლიტერატურაში, ვიდრე დასავლურ სირიულში.⁴ მკვლევარი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ ახალი წელთაღიგებვის 1258 წლამდე აღმოსავლეთის ეკლესიის კათალიკოსის რეზიდენცია ხალიფატის დედაქალაქ ბაღდადში მდებარეობდა. ტელე იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ არაბული გავლენა დასავლურ სირიულ ტრადიციაზე უფრო შესამჩნევი იყო აღმოსავლურ ეპარქიებში, ვიდრე დასავლურში (სირიაში). ამიტომაცაა, რომ აღმოსავლეთ სირიელი ავტორები უფრო ხშირად წერდნენ არაბულ ენაზე.⁵

მიუხედავად სამხედრო თავდასხმებისა, უპირველეს ყოვლისა კი მონღოლთა შემოსევებისა, XIII და ადრეულ XIV საუკუნეებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ისეთი შესანიშნავი პოეტები, როგორებიც არიან იოჰანან ბარ ზობი, იოჰანან მოსულელი, ჰამიმ ბარ ქარდაჰე, გაბრიელ მოსულელი, აბდისო ბარ ბრიკა. ამ პერიოდში, სავარაუდოდ არაბული პოეზიის გავლენით, გაფართოვდა სირიული პოეზიის გამოყენების არეალი. არაერთმა პოეტმა დაიწყო საღმრთო სჯულის განმარტებების, თეოლოგიური ტრაქტატების თუ გრამატიკის წერა ლექსის ფორმით.

ხსენებული პერიოდის ჰიმნოგრაფთა შორის ყველაზე ცნობილი არიან გივარგის ვარდა და ჰამის ბარ ქარდაჰე. ამ

¹ იხ. მაგ: Kessel 2010. გვ. 271; Толстолуженко 2009.გვ. 357-358.

² Syriac Renaissance 2010.

³ Reinink 2010; Tamcke 2010; Teule 2010; Taylor 2010; Younansardaroud 2010. 37,49,51,50

⁴ Teule 2010. გვ. 9-11.

⁵ იქვე. გვ. 6-8, 10.

ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საეკლესიო ავტორთა მიერ დაწერილ ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებებს. ვარდას კრებული ამ ჟანრის შესასწავლად უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. პატრიარქ იაკობალაჰა II-ს მიერ შედგენილი ჰიმნების კრებულის წყალობით, ჩვენამდე მოაღწია ისეთი ცნობილი საეკლესიო ავტორების შემოქმედებამ, როგორებიც არიან შლემონ ბასრელი, ჰაკიმ ბეთ ქაშშელი, მარი ბარ მშიჰაიე, საბრისო ბარ პაულოს მოსულელი.

2. ვარდას კრებისეული ჰიმნების გამოქვეყნება.

კრებულში შეტანილი ჰიმნების გამოქვეყნება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. ორი ჰიმნი შესულია გაბრიელ კარდაჰის მიერ შედგენილ სირიული პოეზიის კრებულში:¹ ღვთისმშობელი მარიამისადმი მიძღვნილი ჰიმნი² სრულად, ხოლო მეორე ჰიმნი კი – ნაწყვეტის სახით. ჟაკ ეუჟინ მანას ანთოლოგიაში ასევე შეტანილია ორი ჰიმნი, რომელთა ავტორობაც გივარგის ვარდას მიეწერება.³ ესენია: ღვთისმშობელი მარიამისადმი მიძღვნილი ჰიმნი, შობისადმი მიძღვნილი ჰიმნი, ასევე ჰიმნი ადამიანის, როგორც მიკროკოსმოსის შესახებ. უკანასკნელი მათგანი გამოაქვეყნა ფილიპ გინუქსმა და თან ფრანგული თარგმანი დაურთო.⁴

ვარდას ჰიმნის ინგლისურენოვანი თარგმანი შესულია ჯონ ბედჯერის ცნობილ წიგნშიც. ესაა ჰიმნი ღვთისმშობელი ქალწულისადმი.⁵ შობისადმი მიძღვნილი ჰიმნის გერმანულენოვანი თარგმანი, სხვა ავტორთა ჰიმნებთან ერთად, ბერნარდ ვანდენჰოფმა გამოაქვეყნა თავის წიგნში “Book of Childhood”.⁶ ისააკ ფოლკმენის წიგნში, რომელშიც შესულია წმინდა გიორგის შესახებ სირიული ჰიმნები, ვარდას კოლექციიდან ორი ჰიმნია წარმოდგენილი.⁷

¹ Cardahi 1875. გვ. 51-53.

² აქედან მოყოლებული, ფრჩხილებში მოცემული იქნება ჰიმნის ნომერები ჩვენ მიერ შედგენილი ცხრილის მიხედვით (იხ. ქვემოთ, 1.6). იმ შემთხვევაში, თუ ჰიმნი გამოქვეყნებულია მოცემულ გამოცემაში, ნომერი მუქი შრიფტით იქნება დაბეჭდილი.

³ Manna 1901. ტ. 2, გვ. 295-322.

⁴ Gignoux 1999. გვ. 95-189.

⁵ Badger 1852. გვ. 51-57.

⁶ Vandenhoff 1908. გვ. 395-405.

⁷ Folkmann 1896. გვ. 34-50.

აღდარ დოიჩის დისერტაცია შეიცავს ვარდას კრებულიდან სამ ჰიმნს მათი გერმანულენოვანი თარგმანებითურთ.¹ პირველ მათგანში აღწერილია სოფელ კარლმელას (კარმლიშის) აღება მონგოლთა მიერ 1235 წელს²; დანარჩენი ორი კი ეძღვნება იონა წინასწარმეტყველს³ და განკუთვნილია დიდმარხვის წინა სამი დღის განმავლობაში ნინევიელთა ღვთისმსახურებისათვის. ჰიმნების უმნიშვნელოვანეს გამოცემად ჯერაც რჩება ჰეინრიხ ჰილგენფელდის გამოცემა, რომელშიც შესულია ცხრა ჰიმნის ორიგინალური სირიულ ტექსტი და მათ თარგმანები⁴. წიგნში შესულ ჰიმნთაგან ოთხი ასახავს შიმშილობასა და სხვა სახის განსაცდელს⁵. მათ შორის ერთ-ერთში, რომელიც მანამდე აღდარ დოიჩმა გამოსცა⁶, სოფელ კარმელას (კარმლიშის) დაპყრობაა აღწერილი. გარდა ამისა, წიგნში შესულია შემდეგი ჰიმნები: ჰიმნი, რომელშიც განკიცხულია მაჰმადიანობაზე მოქცეული დიაკონი⁷, იოანე ნათლისმცემლისადმი მიძღვნილი ჰიმნები⁸, ტაჰმაზგერდ წამებულისადმი⁹ და იაკობ ბეთ-ლაპატელისადმი მიძღვნილი ჰიმნები¹⁰. ხსენებული გამოცემა მკაცრად გააკრიტიკა თავის რეცენზიაში ანტონ ბისმარკმა¹¹, ვინაიდან ჰილგენფელდის გამოცემაში შესული იყო მთელი კრებულის 0,1 პროცენტზე ნაკლები და, ამასთან, გამოცემა მხოლოდ და მხოლოდ ბერლინისა და ვატიკანის ხელნაწერებს ეფუძნებოდა.

მესამედ ჰიმნი სოფელ კარმლიშის აღების შესახებ გამოაქვეყნა იტალიელმა სირიოლოგმა პიერ ჯორჯო ბორბონემ იტალიურ თარგმანსა და ისტორიულ ნარკვევთან ერთად.¹²

¹ Deutsch 1895.

² იქვე გვ. 15-22.

³ იქვე გვ. 22-29.

⁴ Hilgenfeld 1904.

⁵ იქვე გვ. 23-49.

⁶ Deutsch 1895. გვ. 15-22.

⁷ Hilgenfeld 1904. გვ. 60-65.

⁸ იქვე გვ. 65-74.

⁹ იქვე გვ. 74-80.

¹⁰ იქვე გვ. 80-86.

¹¹ Baumstark 1904.

¹² Borbone 2010.

პირადად მე გამოვაქვეყნე ვარდას კოლექციაში შემავალი რამდენიმე ჰიმნი. საკუთრივ, ექვსი მათგანის ორიგინალური ტექსტი გამოვეცი რუსულენოვან თარგმანებთან ერთად.¹ მათ შორისაა ორი იონასადმი მიძღვნილი ჰიმნი, რომლებიც მანამდე ალდარ დოიჩმა გამოაქვეყნა,² ორი ჰიმნი შიმშილობისა და სხვა განსაცდელთა შესახებ, რომლებიც ჰეინრიჰ ჰილგენფელდმა გამოსცა,³ ასევე ორი ჰიმნი, რომლებიც პირველად ჩემს მონოგრაფიაში გამოქვეყნდა: ჰიმნები ჯვარცმისა⁴ და ნოეს⁵ შესახებ. ცალკე გამოვეცი დიდმარხვის წინა ოთხშაბათს წასაკითხი ჰიმნი⁶ და ასევე ჰიმნები, რომლებიც დიდმარხვის წინა სამი დღის განმავლობაში აღსასრულებელი ღვთისმსახურებისას იკითხება, კერძოდ ჰიმნები სამარესთან,⁷ და ადამიანთა საზოგადოებრივი უთანასწორობის შესახებ.⁸ გარდა ამისა, გამოვეცი ოთხი ჰიმნის ორიგინალური ტექსტი ინგლისურენოვან თარგმანებთან ერთად. ესენია ქრისტესშობისადმი მიძღვნილი ჰიმნი, რომელიც ემყარება აპოკრიფულ წიგნს “Book of the Childhood”,⁹ რომელიც მანამდე ბერნარდ ვანდენჰოფმა გამოსცა,¹⁰ დიდმარხვის წინა სამ დღეს შესასრულებელი ჰიმნი სახელწოდებით “მის შესახებ”,¹¹ ჰიმნი თბილისის ალების შესახებ, რომელიც პირველად მე ვთარგმნე¹² (ჟურნალის ამ ნომერში წარმოდგენილია ქართულენოვან თარგმანთან ერთად), და დიდმარხვის წინა ოთხშაბათს შესასრულებელი ჰიმნი, რომელიც მანამდე რუსულენოვან თარგმანთან ერთად მქონდა გამოქვეყნებული.¹³

ვარდას მიაწერენ იმ ჰიმნების ავტორობასაც, რომლებიც აღმოსავლეთის ეკლესიის ლიტურგიკულ ბეჭდურ

¹Притула 2009/2. გვ. 152-253.

² იქვე. გვ. 166-192.

³ იქვე. გვ. 193-224.

⁴ იქვე. გვ. 225-237.

⁵ იქვე. გვ. 138-153.

⁶ Притула 2006. გვ. 147-159.

⁷ Притула 2007. გვ. 93-102.

⁸ Притула 2009/1. გვ. 167-178.

⁹ Pritula 2005. გვ. 145-176; იხ. ასევე: Притула 2010.

¹⁰ Vandenhoff 1908.

¹¹ Pritula 2004. გვ. 229-243.

¹² Pritula 2012/1.

¹³ Pritula 2012/2.

გამოცემებშია წარმოდგენილი, უპირველეს ყოვლისა კი წიგნ Hūdā¹-ში და ამავე წიგნის გამომცემლობა ურმიას მიერ მეცხრამეტე საუკუნეში დაბეჭდილ ვერსიაში, რომელიც ნინევიელთა მიერ დიდმარხვის წინა სამი დღის განმავლობაში აღსასრულლებელი ღვთისმსახურებისაგან შედგება.²

3. ვარდას ჰიმნების კრებულის შესწავლა.

ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა მონოგრაფია, რომელიც გივარგის ვარდას ნაშრომებს შეისწავლის. ჰეინრიხ ჰილგენფელდის გამოცემის შესავალი სტატია ჯერაც რჩება ერთადერთ ნაშრომად, რომელშიც ვარდას ჰიმნების პოეტური თვისებურებანია ნაკვლევია.³ ხსენებულ ნაშრომში მკვლევარი აღწერს ჰიმნოგრაფის ბიოგრაფიას,⁴ მისი ჰიმნების მეტრს და აანალიზებს გამოცემაში გამოქვეყნებულ ნაშრომებს.⁵

ზოგიერთი იმ ჰიმნის შინაარსი, რომელთა ავტორობაც გივარგის ვარდას მიეწერება, ნახსენებია დევიდ ბანდის სტატიაში. ჰიმნების შინაარსიდან გამომდინარე მკვლევარს გამოაქვს დასკვნები ვარდას ფილოსოფიური შეხედულებების შესახებ.⁶ ამასთან, ბანდი, ჰიმნების ტექსტური თუ ლიტერატურულ-კრიტიკული შეფასების გარეშე, ამტკიცებს, რომ კრებულში შეტანილი ყოველი ჰიმნის ავტორი ვარდაა. არ ითვალისწინებს იმასაც, რომ, მაგ. ყველაზე პოპულარული “მსოფლმხედველობრივი” ჰიმნი - კარმლიშის აღების შესახებ ვარდას კრებულის არც ერთ ვერსიაში არაა წარმოდგენილი, გარდა ბერლინში დაცულ და ახალი წელთაღრიცხვის 1715 წლით დათარიღებულ ხელნაწერში Ms. orient. fol. 619.

გივარგის ვარდას ნაშრომებს შეეხება მარტინ ტამკეს ზოგიერთი სტატია.⁷ ორ მათგანში ნახსენებია აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქების შესახებ ჰიმნები: ამ სტატიათაგან პირველში ავტორი წარმოგვიდგენს ვარდას ნაშრომების ამ

¹ Khudra 1960

² Rogation of Ninevites 1896.

³ Hilgenfeld 1904. S. 1-22.

⁴ იქვე. გვ. 1-4.

⁵ იქვე. გვ. 14-21.

⁶ იხ.მაგ. Bundy 1993.გვ. 7-20.

⁷ Tamcke 2004; Tamcke 2005; Tamcke 2006; Tamcke 2008/1, Tamcke 2008/2, Tamcke 2010.

დრომდე ყველაზე დეტალურ ბიბლიოგრაფიას. ამასთან, ანალიზებს იმას, თუ რამდენადაა ჰიმნებში რეალური ისტორიული მოვლენები ასახული¹. მეორე სტატიაში კი ტამკე აღწერს, თუ როგორაა ამავე ჰიმნში წარმოდგენილი ისლამურ ეპოქასთან და ზოგადად ისლამთან თანაარსებობა.² იმოწმებს რა თეოდორ ნელდეკეს, ტემკე ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ვარდას მიერ ჰიმნების ავტორობას და განიხილავს იმის შესაძლებლობას, რომ შესაძლოა ისინი კრებულში მოგვიანებით შეეტანათ.³

4. 'Ōnitās და ისტორიული მოვლენები: ჰიმნი თბილისის შესახებ

4.1 ჰიმნის ზოგადი სტრუქტურა და კრებულში მისი ადგილი. იმ ჰიმნთა შორის, რომელთა ავტორობაც ვარდას მიეწერება, ზოგიერთი ისტორიულ მოვლენებს აღწერს. მათგან ორი ყველაზე ცნობილი ჰიმნიდან ერთ-ერთი მუსულმანთა მიერ ახ. წ. 1187 წელს⁴ იერუსალიმის აღებას ეხება, მეორე კი - სოფელ კარმლიშის აღებას ახ.წ. 1235 წელს.⁵ ორივე ტექსტი გვხვდება მხოლოდ ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ხელნაწერში *Ms. orient. fol. 619*, რომელიც ვარდას კრებულის შემოკლებულ გადამუშავებას წარმოადგენს. ხსენებული ჰიმნები რამდენჯერმე გამოქვეყნდა, ბოლო წლებში კი ყურადღებით იქნა შესწავლილი. კარმლიშის შესახებ 'ōnitā ისტორიკოსებმა შეადარეს ბარ ებროიოსეულ⁶ სირიის ისტორიაში წარმოდგენილ მონაცემებს.

ჰიმნი თბილისის ალების შესახებ, რომელის თარგმანსაც ვაქვეყნებთ, მიეკუთვნება ე.წ. “კატასტროფების” შესახებ ჰიმნებს, ანუ ისეთ ჰიმნებს რომლებშიც აღწერილია ისეთი განსაცდელნი, როგორებიცაა შიმშილობა, გაჭირვების თუ ეპიდემიის წლები, უცხო ტომთა შემოსევები. ამგვარი

¹ Tamcke 2004. გვ. 203-229.

² Tamcke 2006. გვ. 139-152.

³ იქვე, გვ. 139, 140, 142.

⁴ Noeldecke 1873; Mengozzi 1910.

⁵ Deutsch 1895. გვ. 15-22; Hilgenfeld 1904. გვ. 60-65; Borbone 2010.

⁶ იხ: Hilgenfeld 1904. გვ. 14, 15; Borbone 2010. გვ. 205. Bar 'Ebrōyō-ს მატანის რედაქციისათვის იხ. Bedjan 1890. P. 469.

ტექსტები, გარდა თბილისის აღების შესახებ ჰიმნისა, შესწავლილი აქვს მარტინ ტემკეს.¹ ვარდას კრებულში ამ ტიპის ჰიმნები წარმოდგენილია ნინევიელთა მიერ მარხვის წინა სამი დღის განმავლობაში აღსასრულებელი ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილ განყოფილებაში.²

განსახილველი ჰიმნი შეტანილია მხოლოდ ერთადერთ, კემბრიჯში დაცულ და ჩვენი წელთაღრიცხვით 1550 წლით დათარიღებულ ხელნაწერში Add.1983, რომელიც ასევე ვარდას კრებულის შემოკლებულ გადამუშავებას წარმოადგენს. ხელნაწერში არაა შესული “კატასტროფული მოვლენების” ამსახველი ყველა ჰიმნი, რომლებიც სხვა ხელნაწერებში დასტურდება. გარდა ჰიმნისა, რომელსაც ამჟამად ვაქვეყნებთ, ოქსფორდში დაცულ ხელნაწერში “კატასტროფული მოვლენების” ჯგუფიდან კიდევ ერთი ჰიმნია შესული, რომელსაც უძღვის წარწერა *ჰარაბაჰაჰიკ*. შესაბამისად, ეს ერთადერთი ჰიმნია “კატასტროფული მოვლენებისადმი” მიძღვნილ ჰიმნთაგან, რომელიც ხსენებულ ხელნაწერსა და სხვა ხელნაწერებს აქვთ საერთო³. საინტერესოა ამ ჰიმნის ადგილიც კრებულშიც: იგი წარმოდგენილია ოთხი მახარებლის მოსახსენიებელ ნაწილში (fol. 41r), და არა ნინევიელთა შესახებ ნაწილში. გამომდინარე იქიდან, რომ “კატასტროფულ მოვლენათა” ამსახველი ჰიმნების ჯგუფი ყველაზე ძველ ხელნაწერში არ გვხვდება, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ისინი კრებულში მოგვიანებით შეიტანეს. ნებისმიერ შემთხვევაში, კრებულის ტექსტობრივი ხასიათიდან გამომდინარე, ხელაღებით არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჰიმნების ავტორი უთუოდ გივარგის ვარდაა.

4.2 ჰიმნის ისტორიული კონტექსტი

განსაკუთრებით საინტერესოა ჰიმნის ისტორიული კონტექსტი. მასში აღწერილია ახ. წ. 1220-1226 წლებში განვითარებული მოვლენები. ეს ის პერიოდია, როცა ქართველ ხალხს სხვადასხვა ჯურის დამპყრობლები ესხმოდნენ თავს. ხსენებული

¹ Tamcke 2006. გვ. 139-140.

² Add. 1982, fols.102r-109v; Vat. Syr. 567, fols.88r-98v. In Add.1983 ამ ჯგუფის მხოლოდ ერთი ჰიმნია შესული (fols. 41r-43v).

³ სხვა ვერსიებში: Add. 1282, fols.108r-109v; Vat. Syr. 567, fols.96v-98v.

მოვლენები აღწერილია არაბულ, სპარსულ, სომხურ და ქართულ წყაროებში. შესაბამისად, საკმარისი ინფორმაცია არსებობს, რომელთანაც ჰიმნის შინაარსის შედარება შეიძლება.

17. Kawerau 1955, 1960 - Kawerau P. Die jakobitische Kirche im Zeitalter der syrischen Renaissance: Idee und Wirklichkeit / Berliner byzantinische Arbeiten, 3. Berlin, 1955; 2nd ed., Berlin, 1960.

18. Khudra 1960 - כהנא דמנן מוכחזי מונוסוסי מוהבבא מו קל מלך דכריסטיא .1960, חכמא דמנן .1960.
19. Krüger 1933 - Krüger P. Die Regenbitten Aphrems des Syrsers. In: OC, 33 (1933). S. 13-61.
20. Leroy 1971 - Leroy J. La Renaissance de l'église syriaque aux XII-XIII siècles. In: Cahiers de civilisation médiévale, 14 (1971).P. 131-148, 239-255.
21. Mengozzi 2008 – Mengozzi A. Suraye wa-Phrangaye. Late East-Syriac Poetry on Historical Events in Classical Syriac and Sureth”. JAAS, 22.1 (2008). P. 3-14.
22. Mengozzi 2009 - Mengozzi A. Scrittura e oralità, diasistemi ed archetipi. Riflessioni su edizione e studio di testi aramaici moderni. In: F. Ferrari e M. Bampi (a c. di). Storicità del testo, storicità dell'edizione. Labirinti, 122. Trento, 2009. P. 59-79.
23. Mengozzi 2010 – Mengozzi A. A Syriac Hymn on the Crusades from a Warda Collection. In: EVO, XXXII (2010). P. 187-204.
24. Noeldecke 1873 - Noeldecke T. Zwei syrische Lieder auf die Einnahme Jerusalems durch Saladin. In: ZDMG, 27, 1873. S. 489-510.
25. Pritula 2004 - Pritula A. An Autobiographic Hymn by Givargis Warda. In: Studien zur Orientalischen Kirchengeschichte. Herausgegeben von Martin Tamcke. Syriaca II. Münster, 2004. P. 229-243.
26. Pritula 2005 - Pritula A. A Hymn by Givargis Warda on the Childhood of Christ. In: M. Tamcke (Hsg.). Syriaca III, Münster, 2005. P. 145-176.
27. Pritula 2012/1 - Pritula A. A Hymn on Tiflis from Warda Collection: A Transformation of the Muslim Conquerors into Pagans. In: Jürgen Tubach, Sophia Vashalomidze, Manfred Zimmer. Caucasus in the Mongol Period – Der Kaukasus in der Mongolenzeit. Wiesbaden, 2012. P. 217-237.
28. Pritula 2012/2 - Pritula A. The Last Hymn of the Praying (Rogation) of the Ninevites. In: M. Tamcke (Hsg.). Orientalische Christen und Europa. Kulturbegegnung zwischen Interferenz, Partizipation und Antizipation. In: Göttinger Orientforschungen. I. Reihe: Syriaca. Band 41. Wiesbaden, 2012. P. 173-186.
29. Pritula 2012/3 – Pritula A. Die Hymnensammlung Wardā und die Homilien.
30. Narsais: Wege der Syrischen Dichtung im 13. Jahrhundert. In: M. Tamcke (Hsg.). Orientalische Christen und Europa. Kulturbegegnung zwischen Interferenz, Partizipation und Antizipation. In: Göttinger

- Orientforschungen. I. Reihe: Syriaca. Band 41. Wiesbaden, 2012. P. 159-171.
31. Pritula 2013/1 - Pritula A. The Warda Hymnological Collection. In: *Scrinium*, 9. Gorgias Press, 2013. P. 309-365.
32. Pritula 2013/2 - Pritula A. The Wardā: East Syriac Hymnological Collection (12th-13th centuries). Study, text edition (forthcoming).
33. Reinink 2007 - Reinink. G.J. Man as a Microcosm: A Syriac Didactic Poem and its Prose Background. In: *Calliope's Classroom. Studies in Didactic Poetry from Antiquity to the Renaissance*. Paris-Leuven, 2007. P. 123-149.
34. Reinink 2010 – Reinink G. J. George Warda and Michael Badoqa. In: Herman Teule, Carmen Fotescu Tauwinkl (ed.) *The Syriac Renaissance*. ECS, 9. Leuven-Paris-Walpole, 2010. P. 66-73.
35. Rogation of Ninevites 1896 - ܠܚܘܨܬܐ ܕܩܝܘܢܝܬܐ ܕܩܘܪܝܬܐ ܕܩܘܪܝܬܐ ܕܩܘܪܝܬܐ ܕܩܘܪܝܬܐ
Urmi, 1896.
36. Syriac Renaissance 2010 – Herman Teule, Carmen Fotescu Tauwinkl (eds.). *The Syriac Renaissance*. In: Herman Teule, Carmen Fotescu Tauwinkl (eds.) *The Syriac Renaissance*. Leuven-Paris-Walpole, 2010.
37. Tamcke 1992 – Tamcke M. Der Gebrauch der Bibel bei den nestorianischen Mongolen. In: *Bibelauslegung und Gruppenidentität. Vorträge der vierten Finnisch-deutschen Theologentagung (Makarios-Symposium) im Kloster Neo-Valamo, Finnland, 28.-30.8.1991*. Hsg. von Hans-Olof Kvist. Abo, 1992. S. 136-149.
38. Tamcke 1997 – Tamcke M. Coexistence and Discussion between Nestorian Christians and Shamanistic Mongolians – A Model with Future? In: *The Harp*, 1,2 (March) 1997. P. 25-36.
39. Tamcke 2004 - Tamcke M. Bemerkungen zu Giwargis Wardas 'Onita über die Katholikoi des Ostens. In: Idem (Hsg.) *Studien zur Orientalischen Kirchengeschichte*. Syriaca II. Münster, 2004. P. 203-229.
40. Tamcke 2005 - Tamcke M. Remarks concerning Giwargis Warda's 'Onitha about the Katholikoi of the East. In: *Harp*, 18 (2005). P. 115-124.
41. Tamcke 2006 – Tamcke M. Die islamische Zeit in Giwargis Wardas 'Onita über die Katholikoi des Ostens. In: E. Grypeou et al. (eds.). *The Encounter of Eastern Christianity with Early Islam*. Leiden, 2006. P. 139-152.
42. Tamcke 2007 – Tamcke M. Vom Dialog, interrelogiös, zwei syrische Lieder zur Konversion. In: Idem (ed.). *Christians and Muslims in Dialogue in the Islamic Orient of the Middle Ages: Christlich-muslimische Gespräche im Mittelalter*. Beirut Texte und Studien herausgegeben vom Orient-Institut Beirut. Beirut, 2007. S. 9-19.

43. Tamcke 2008/1- Tamcke M. Heuschrecken, Dürre und Mongolen. Gott und die Katastrophen in der syrischen Literatur', in Vorsehung, Schicksal und göttliche Macht, ed. R. G. Kratz and H. Spieckermann. Goettingen, 2008. P. 241-63.
44. Tamcke 2008/2 - Tamcke M. How Giwargis Warda retells biblical texts: Some remarks. In: A. Laato - J. Van Ruiten (eds.). Rewritten Bible Reconsidered. Winona Lake, 2008. P. 249-269.
45. Tamcke 2010 – Tamcke M. Leben aus den Ursprüngen. Zur Funktion des Lesens und schriftlicher Überlieferung bei Giwargis Warda. In: Herman Teule, Carmen Fotescu Tauwinkl (eds).The Syriac Renaissance. Leuven-Paris-Walpole, 2010. P. 53-65.
46. Taylor 2010 – Taylor D. 'Your Sweet Saliva is the Living Wine': Drink, Desire and Devotion in the Syriac Wine songs of Khāmīs bar Qardāhē. In: Herman Teule, Carmen Fotescu Tauwinkl (eds).The Syriac Renaissance. ECS, 9. Leuven-Paris-Walpole, 2010. P. 31-53.
47. Teule 2010 – Teule H. The Syriac Renaissance. In: The Syriac Renaissance. ECS 9. Herman Teule, Carmen Fotescu Tauwinkl (eds.). Leuven-Paris-Walpole, 2010. P. 1-31.
48. Thesaurus 1879 - Thesaurus Syriacus auxit digessit exposuit edidit R.Payne Smith. London, 1879.
49. Tvaradze 2007 – Tvaradze A. „Hundertjährige Chronik“ – Georgien in der Mongolenzeit. In: OC, 91 (2007). S. 87-123.
50. Vandenhoff 1908 - Vandenhoff B. Vier Geistliche Gedichte in Syrischer und neusyrischer Sprache aus den Berliner Handschriften Sachau 188 und 223 übersetzt und mit Einleitung versehen. In: OC, Hefte 1-2 (1908). Rom-Leipzig. P. 395-452.
51. Vellian 1971 – Vellian J. East Syrian Evening Services. Kottoyam, 1971.
52. Younansardaroud 2010 – Younansardaroud H. 'Abdišo' Bar Brikā's († 1318) Book of Paradise: A Literary Renaissance? In: Herman Teule, Carmen Fotescu Tauwinkl (ed.). The Syriac Renaissance. ECS, 9. Leuven-Paris-Walpole, 2010. P. 195-205.
53. Wörterbuch 2000 - Deutsch-Aramäisch, Aramäisch-Deutsh von Sabo Hanna Aziz Balut. Heilbronn, 2000.
54. Wright 1901 - Wright W., Cook S.A. A, Catalogue of the Syriac Manuscripts Preserved in the Library of the University of Cambridge, Cambridge 1901.
55. Ан-Насави 1973 - Ан-Насави Шихаб ад-Дин Мухаммад. Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны. Баку, 1973.
56. Баратов 1871 - Баратов С. История Грузии. С-Пб., 1871. Ч. 4-5.

59. Вильскер 1965 - Вильскер Л.Х. Об утвердительном значении частицы *lā* в сирийском языке //КСИНА, № 86 (1965). С. 25-50.
60. История Грузии 1962 - История Грузии. Тбилиси, 1962.
61. Кессель 2009 - Кессель Г. Фрагмент из несохранившейся «Книги увещаний» Авраама бар Дāшандāда в «Послании о превосходстве Воздержания» Или Нисивинского / Символ, 55 (2009). С. 271-296.
62. Кессель 2010 - Кессель Г. «Книжица крупиц» - антология восточносирийской письменности / Символ, 58 (2010). С. 327-357.
63. Кикнадзе 1980 - Кикнадзе Р.К. Очерки по источниковедению истории Грузии. Персадан Горгиджанидзе и Картлис Цховреба. Тбилиси, 1980. С. 65
64. Киракос 1976 - Киракос Гандзакеци. История Армении. Москва, 1976.
65. Мещерская 1998 - Мещерская Е.Н. Фрагменты сирийской рукописи из собрания Института востоковедения РАН / ППС, вып. 35 (98), 1998. С. 148-159.
66. Притула 2006 - Притула А.Д. Из истории восточно-сирийской литургической поэзии: заключительное песнопение моления ниневитян / ВГ, № 12. Москва, 2006. С. 147-159.
67. Притула 2007 - Притула А.Д. Песнопение Гиваргиса Варды о гробе / ВГ, № 14. Москва, 2007. С.93-102.
68. Притула 2009/1 - Притула А.Д. Гимн о неравенстве в человеческом обществе из восточно-сирийского сборника Варда /
69. Волшебная гора, № 15, 2009. С. 167-178.
70. Притула 2009/2 - Притула А.Д. Восточносирийские песнопения («ониты») и гомилии Нарсая: шесть гимнов из сборника «Варда»/ Символ, № 55 (2009). С. 152-253.
71. Притула 2010/1 - Притула А.Д. Восточно-сирийский гимн XIII в. о захвате Тифлиса / Византия в контексте мировой культуры. С.-Пб., 2010. С. 481-491.
72. Притула 2010/2 - Притула А.Д. Восточносирийский гимн о детстве Христа и прозаические (сиро- и арабоязычные) параллели / Символ, № 58 (2010). С. 229-267.
73. Притула 2012/1 - 𐤀𐤓𐤌𐤃𐤁𐤀𐤁𐤃 𐤒𐤀𐤂𐤁𐤃𐤀𐤁𐤃, восточносирийский поэт конца XIII в. / Символ, № 61 (2012). С. 303-317.
74. Притула 2012/2 - 𐤀𐤓𐤌𐤃𐤁𐤀𐤁𐤃 𐤒𐤀𐤂𐤁𐤃𐤀𐤁𐤃 (кон. XIII в.) и арбельский литературный круг / ХВ, № 6 (XII), 2012. С.-Пб.-М. (в печати).
75. Притула 2013 - Притула А. Д. Восточносирийский гимнографический сборник *Вардā (XII-XVI вв.)*. Исследование, публикация текстов (в печати).

76. Рашид ад-Дин 1952 - Рашид ад-Дин. Сборник летописей. Т. 1, часть 2. Москва, Ленинград, 1952.
77. Сабинин 1873 - Сабинин М. Полное жизнеописание святых Грузинской Церкви. С-Пб., 1873. Т. 3. С. 141.
78. Селезнев 2001 – Селезнев Н.Н. Ассирийская Церковь Востока. Исторический очерк. М., 2001.
79. Тизенгаузен 1884 - Тизенгаузен В. Сборника материалов, относящихся к Золотой Орде. Т. 1. Извлечения из сочинений арабских. С-Петербург, 1884. С. 15.
80. Толстолуженко 2009 – Толстолуженко М. «Книга сокровищ» Иакова бар Шаккб: богословская компиляция эпохи Сирийского Ренессанса / Символ, № 55 (2009). С. 357-374.

ვეფხისტყაოსანი – შექსპირის ლიტერატურული წყარო

ელგუჯა ხინთიბიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნ. „ქართველოლოგიის“ რედაქტორი

რეზიუმე: წინამდებარე გამოკვლევა არის პირველი პუბლიკაცია იმ კვლევა-ძიებისა, რომლის შედეგად გამოვლინდა ძალზე მნიშვნელოვანი სიახლე როგორც რუსთველოლოგიის დარგში, ასევე ინგლისურ ლიტერატურათმცოდნეობაში: რუსთველის *ვეფხისტყაოსანი* არის ლიტერატურული წყარო შექსპირის *პიესა ციმბელინის*.

ის გარემოება, რომ *ვეფხისტყაოსანი* სიუჟეტურ წყაროდ იყო გამოყენებული XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისურ დრამატურგიაში, კერძოდ ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესებში (*მეფე და არა მეფე; ფილასტერი*) ჩემს ადრინდელ გამოკვლევებში იყო გამოვლენილი. ამ საკითხის შემდგომმა კვლევამ მე მიმიყვანა ახალ დასკვნებამდე. საქმე ისაა, რომ ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო შენიშნული ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერის* სიუჟეტური, თემატური და იდეური მსგავსება შექსპირის *ციმბელინთან*. ამ პრობლემის თანამედროვე მკვლევართა დაკვირვებით, ეს მსგავსებანი საერთო ლიტერატურული წყაროდან უნდა მომდინარეობდეს. ჩემმა მიგნებამ, რომ *ფილასტერის* სიუჟეტური წყარო *ვეფხისტყაოსანია*, რაც ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობისათვის აქამდე უცნობი იყო, შექსპირის *ციმბელინის ვეფხისტყაოსანთან* დამოკიდებულების კვლევის საჭიროებაზე მიმანიშნა. აღმოჩნდა, რომ ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში *ციმბელინსა* და *ფილასტერს* შორის შენიშნული ყველა მსგავსების საერთო წყარო რუსთველისეული ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავია. უფრო მეტიც, შექსპირისა და ბომონტ–ფლეტჩერის ამ ორი პიესის მსგავსი პასაჟების ერთმანეთს შორის გამოვლენილი ნიუანსური განსხვავებები ისევ *ვეფხისტყაოსანთან* ამყარებს კავშირს. ჟურნალ

„ქართველოლოგის“ ამ ნომერში ქვეყნდება გამოკვლევის მხოლოდ პირველი ნაწილი.

საკვანძო სიტყვები: *რუსთველი, შექსპირი, ბომონტი და ფლეტჩერი, ვეფხისტყაოსანი, ციმბელინი, ფილასტერი.*

Pro domo mea

XII საუკუნის ქართველი პოეტი, თამარ მეფის მეხოტბე ჩახრუხაძე, თავის *თამარიანში* მესიანისტურ კონცეფციას ავითარებს: თამარი ქართველთა სამეფოს მხსნელია, მესიას, ქართველთა სამეფო – ქრისტიანობის, ქრისტიანობა კი კაცობრიობის მხსნელია, თამარი მესიასა. პოემის ერთ სტროფში იკითხება: „ვსთქუ შიშით მკრთალმან“. ეს სიტყვები მე ამგვარად მესმის: ავტორი გრძნობს თავის დიდ პასუხისმგებლობას საკუთარი ნათქვამის წინაშე. პირადად ჩემს პასუხისმგებლობას ის აძლიერებს, რომ მე, ქართველი მკვლევარი, მსოფლიოს ლიტერატურული აზროვნების მწვერვალის – შექსპირის მიერ ჩემი ერის ეროვნულ საუნჯეში ჩახედვის დღემდე სრულიად უცნობი ფაქტის გამოვლენას და მტკიცებას ვაპირებ – ხომ არ ჩამითვლიან ამას სამეცნიერო წრეები, უპირველეს ყოვლისა უცხოელი შექსპიროლოგები, პატრიოტულ მონდომებად, აღტკინებად და გადაჭარბებად. არადა ჩემი დიდი მასწავლებლის კორნელი კეკელიძის კვალდაკვალ, ყოველთვის ვცდილობდი სამეცნიერო საქმიანობაში ასეთი ბრალდებისგან დაზღვეული ვყოფილიყავი.

სხვა დიდი ქართველის, გიორგი მერჩულის, სიტყვებიც მახსენდება: „ბრძნად მეტყველება ვეცხლი არს წმინდად, ხოლო დუმილი ოქროდ რჩეული“. იქნებ არ ღირდეს „თავის ატკენა“, მით უმეტეს, რომ დუმილი ასე ძვირად ფასობს?! მე ვფიქრობ, რომ არა მაქვს უფლება „თავი არ ავიტკივო“ და „ვაი თუს“ შიშით დავდუმდე იმ სათქმელზე, რაც უკანასკნელი წლების ჩემს ფილოლოგიურ კვლევებში გამოიკვეთა და რაც მიმაჩნია, ძალზე მნიშვნელოვანია როგორც ქართული შემოქმედებითი გენიის უცნობი ფურცლების წასაკითხად, ასევე ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემის ინტერპრეტაციისათვის.

ისტორიისათვის

შექსპირის ეპოქის ევროპულ მწერლობაში საქართველო ან ქართველი პერსონაჟი, ისტორიული თუ გამონაგონი, ძალზე იშვიათად იხსენიება. სიტუაცია შექსპირის მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდიდან შეიცვლება. ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში არის თვალსაზრისი, რომ თვითონ შექსპირის ერთი პერსონაჟი – დედოფალი ტამორა ტრაგედიაში *ტიტუს ანდრონიკუსი* – საქართველოს დედოფლის – თამარ მეფის სახელის საფუძველზე უნდა იყოს სახელდებული [იხ. 21; 26, გვ. 194]. თუმცა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ეს ვარაუდი უარყოფითადაა შეფასებული [1].

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტთან მიმართებაში შექსპირის სახელი უხსენებია ინგლისის პარლამენტის წევრს ემერის ჰიუზის. 1966 წელს თბილისში რუსთველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში მას უთქვამს: „ვწუხვარ, რომ ქართული არ ვიცი, მაგრამ შექსპირის ენაზე ვილაპარაკებ; ეს კია, რომ თვით შექსპირი, ერთი თალსაზრისით, გაუნათლებელი იყო: რუსთველის არსებობა არ იცოდა; რომ სცოდნოდა, უეჭველად ისეხებდა ან მოიპარავდა *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტსო“ [3, გვ. 376].

ვარაუდი, რომ შექსპირი იცნობდა *ვეფხისტყაოსანს*, მოჰყვა ჩემს მიგნებას იმის თაობაზე, რომ *ვეფხისტყაოსანი* სიუჟეტური წყაროა შექსპირის ეპოქის ინგლისელი დრამატურგების ფრანსის ზომონტისა და ჯონ ფლეტჩერის ორი პიესისა – *მეფე და არა მეფე* და *ფილასტერი*. თუმცა ასეთი თამამი ფიქრები მხოლოდ იმ არგუმენტზე იყო დამყარებული, რომ, რადგანაც *ვეფხისტყაოსანს* იყენებენ შექსპირის უმცროსი თანამედროვენი, იგი ეცოდინებოდა შექსპირსაც, რომელსაც საზოგადოდ უზარმაზარი ცოდნა აქვს და უამრავ წყაროს იყენებსო [4].

საკითხის დასმის შესაძლებლობის ინტერპრეტირება

შექსპირი უამრავ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროს იყენებს და, როგორც მისი ნაწარმოებებიდან ჩანს,

კიდევ უფრო მეტს იცნობს. მაგრამ მის *ვეფხისტყაოსანთან* შესაძლებელი მიმართების შესახებ საკითხის დასაძგ მე მხოლოდ მას შემდეგ ჩავთვალე შესაძლებლად, რაც ზემოთ მოხსენიებულ ჩემს კვლევა-ძიებას ორი მნიშვნელოვანი ახალი დასკვნა მოჰყვა. სხვადასხვა ვარაუდი იმის თაობაზე, თუ რა გზით შეიძლება *ვეფხისტყაოსნის* ამბავს ევროპაში უფრო ადრე შეეღწია, ვიდრე ამას ჩვენამდე მოღწეული ცნობები მიუთითებენ, ჩემ მიერ ბომონტისა და ფლეტჩერის თხზულებებში ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ისტორიის სიუჟეტურ წყაროდ გამოყენების მტკიცებობისთანავე იყო გამოთქმული [10, გვ. 95-98; 11, გვ. 35-39; 29, გვ. 70-72]. მაგრამ ამ საკითხის პირველწყაროებზე დაყრდნობით კვლევამ მე მიმიყვანა უფრო კატეგორიულ დასკვნებამდე [30, გვ. 36; 13, გვ. 55-80; 14, გვ. 56-59; 15, გვ. 209-215]:

1. *ვეფხისტყაოსნის* ამბავი XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისში ჩასული უნდა იყოს ინგლისელ დიპლომატთა და მოგზაურთა დიდი ჯგუფის და სპარსეთში შაჰ-აბას პირველის სამეფო კარზე დაწინაურებულ წარმომოებით ქართველ დიდ მოხელეთა მჭიდრო ურთიერთობისა და თანამშრომლობის შედეგად.

კერძოდ: XVI საუკუნის უკანასკნელ წელს სპარსეთში დიპლომატიური მისიით ჩადის ინგლისელ მოგზაურთა 26 კაციანი ჯგუფი ცნობილი დიპლომატისა და მოგზაურის ანტონი შერლის მეთაურობით. იგი ექვსი თვე რჩება სპარსეთის სამეფო კარზე და ეწევა პროპაგანდას სპარსეთის ასამხედრებლად თურქეთის წინააღმდეგ. შემდგომში ანტონი შერლი შაჰ-აბასის მიერ ევროპაში მივლენილი იყო საკუთარი ელჩის რანგით და იგი წლების მანძილზე მოღვაწეობდა რუსეთში, ცენტრალურ ევროპაში, იტალიასა და ესპანეთში. შერლისა და მისი კომპანიონების მეშვეობით ინგლისში უხვად შედიოდა წერილები და სხვა სახის გზავნილები, რომელთა შორის უნდა ყოფილიყო კულტურული-ლიტერატურული ცნობები და მასალა აღმოსავლეთზე. შერლის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა შაჰ-აბასის წარმომოებით ქართველ დიდ მოხელეებთან. უპირველეს ყოვლისა კი შაჰის უმთავრეს მრჩეველთან და დიდ გენერალთან ალავერდი-ხან უნდილაძესთან [იხ. 40, გვ. 73]. მე ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ ამ პერიოდის ინგლისელი

დიპლომატები და მოგზაურები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რაც შეიძლება მეტი ლიტერატურული, ფოლკლორული, ისტორიული სახის ცნობები და მასალა ჩაეტანათ აღმოსავლეთიდან ინგლისში. მეორე მხრივ კი, ისტორიული ფაქტებით დასტურდება, რომ ალავერდი-ხანი და XVI-XVII საუკუნეების მიჯნის სპარსეთში უაღრესად დაწინაურებული მისი ოჯახი ქართული ეროვნული ინტერესებით აშკარად იყო გამსჭვალული. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ალავერდი-ხანი და მისი შვილი იმამყული-ხანი, სეფიანთა სამეფო კარის უპირველესი და უმდიდრესი მოხელეები, მწიგნობრობისა და კულტურის მეცენატებიც იყვნენ და თავადაც გამოირჩეოდნენ ინტელექტუალური და პოეტური მისწრაფებებით [13, გვ. 74-75].

2. კვლევის შემდგომ ეტაპზე ჩემ წინაშე კითხვა ამგვარად დაისვა: შეიძლება თუ არა ვიყოთ იმაში დარწმუნებული, რომ შერლის მიზნებში შედიოდა აღმოსავლეთში კულტურული, კერძოდ ლიტერატურული თუ ფოლკლორული მასალით დაინტერესება? და შემდგომ, ჰქონდათ თუ არა შერლის და მის მოგზაურებს კავშირი ინგლისის საზოგადოების იმ წრეებთან, რომელთაგანაც შეიძლება ამ კამპანიის ამბებს და მოპოვებულ ცნობებს მიეღწია ინგლისის სამეფო დასის დრამატურგთა ჯგუფთან? პასუხი ცალსახად დადებითი აღმოჩნდა!

შერლის ექსპედიციამ სპარსეთისაკენ გეზი აიღო სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ნავსადგურიდან – საუთჰამპტონიდან. საუთჰამპტონის გრაფი იყო ჰენრი რაისლი, რომელიც ანტონი შერლის ქვისლი იყო. ჰენრისა და ანტონის ცოლად ჰყავდათ დები, რომლებიც მეზობელი დიდი საგრაფოს ესექსის გრაფის რობერტ დევერუქსის ბიძაშვილები იყვნენ. სწორედ გრაფი დევერუქსი იყო ერთადერთი სპონსორი შერლის ექსპედიციისა. იმასაც ფიქრობენ, რომ თვით იდეა ამ ექსპედიციისა მისგან მოდიოდა. თავის მხრივ ესექსისა და საუთჰამპტონის გრაფებს უმჭიდროესი მეგობრობა აკავშირებდათ. ჰენრი საუთჰამპტონი რობერტ დევერუქსს თავის კერპად თვლიდა და ყველა სამხედრო კამპანიაში, თვით დედოფალ ელისაბედ I-ის წინააღმდეგ შთქმულებაში, მის გვერდით იდგა. ჩვენი კვლევა-ძიებისათვის უმთავრესი ის არის, რომ ისინი, ორივენი, თეატრის დიდი მოყვარულნი

იყვნენ, ხოლო ჰენრი საუთჰამპტონი შექსპირის სპონსორი და უახლოესი მეგობარი იყო [24]. უფრო მეტიც, ეს ურთიერთობა სამეფო თეატრალურ დასსა (უპირველეს ყოვლისა თვით შექსპირსა) და დასახელებულ გრაფებს შორის იმდენად მჭიდრო იყო, რომ როდესაც ესექსის გრაფმა (და მის გვერდით მდგომმა საუთჰამპტონის გრაფმა) დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო, სამეფო დასიც კი მიიმხრო.

უფრო დეტალურად: დედოფალი ელისაბედი ესექსის გრაფ რობერტ დევერუქსისადმი თავდაპირველად სიმპათიურად იყო განწყობილი და მას დაავალა ირლანდიაში დიდი სამხედრო კამპანიის წინამძღოლობა, რაც საშინელი მარცხით დამთავრდა. ამას კი ესექსის გრაფის სამეფო კართან დაპირისპირება მოჰყვა. ეს დაპირისპირება პოლიტიკურ შეთქმულებაში გადაიზარდა. შეთქმულების კულმინაციურ ეტაპზე სამეფო დასს შექსპირის პიესა “რიჩარდ II” დაადგმევინეს ისეთი გადაკეთებული ვერსიით, რომელიც დედოფლისა და სამეფო კარის წინააღმდეგ იყო მიმართული. შექსპირის განსაკუთრებულ სიმპათიაზე საუთჰამპტონის გრაფისადმი სხვა გარემოებაც მიუთითებს: ინგლისის სამეფო კარმა 1601 წელს სასტიკად ჩაახშო რობერტ დევერუქსის შეთქმულება. ორივე გრაფი დააპატიმრეს და ორივეს სიკვდილი მიუსაჯეს. გადარჩა ჰენრი რაისლი. მას დედოფლის კარისკაცთა ინიციატივით სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს. იგი ელისაბედ I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1603 წელს, გაათავისუფლა ახალგამეფებულმა ჯეიმს I-მა. ამ ამბავს ეხმიანება უილიამ შექსპირის ერთ-ერთი სონეტი (სონეტი 107), რომლის ისტორიული საფუძველი შექსპიროლოგთა მრავალგზისი დისკუსიის საგანია. ამკარად ჩანს, რომ შექსპირი მთელი თავისი არსით თანაუგრძნობს ჰენრი საუთჰამპტონს, რომელსაც ”თავის სიყვარულს” (“my true love”) უწოდებს, ხოლო დედოფალს ადარებს ”მომაკვდავ მთვარეს”, რომელიც ”დაბოლოს დაბნელდა” (“The mortal moon hath her eclipse endured”).¹

¹ იხ. უილიამ შექსპირის სონეტი 107 და მისი თანამედროვე ინგლისური თარგმანი (<http://nfs.sparknotes.com/sonnets/sonnet107.html>):

ამკარაა, რომ ანტონი შერლის სპონსორები, ინგლისის ცნობილი გრაფები, ახლო ურთიერთობაში იყვნენ სამეფო კარის თეატრალურ დასთან და პირადად შექსპირთან. ისიც ცნობილია, რომ შერლი ბოლომდე წერილებს წერდა ესექსის გრაფს. შექსპიროლოგები ამტკიცებენ, რომ შექსპირის ნაწერებში შეინიშნება ანტონი შერლის მოგზაურობის ფაქტების ანარეკლი და იმასაც ვარაუდობენ, რომ შექსპირი შერლის ექსპედიციის თაობაზე საქმის კურსში უნდა ყოფილიყო მისი დაწყების თუ დაგეგმვის ეტაპზეც [24, გვ. 64].

ზემოთ წარმოდგენილი შედეგები ჩატარებული საისტორიო ძიებისა ამგვარად შეიძლება შევაჯამოთ: XVI საუკუნის დამლევს ინგლისიდან სპარსეთის სამეფო კარს ეწვია მოგზაურ-დიპლომატთა დიდი ჯგუფი ცნობილი დიპლომატის სერ ანტონი შერლის მეთაურობით. ექსპედიცია გაგზავნილ იქნა და ფინანსდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის

<u>Original Text</u>	<u>Modern Text</u>
<p>Not mine own fears, nor the prophetic soul Of the wide world dreaming on things to come, Can yet the lease of my true love control, Supposed as forfeit to a confined doom. The mortal moon hath her eclipse endured And the sad augurs mock their own presage; Incertainties now crown themselves assured, And peace proclaims olives of endless age. Now with the drops of this most balmy time My love looks fresh, and death to me subsides, Since spite of him I'll live in this poor rhyme, While he insults o'er dull and speechless tribes. And thou in this shalt find thy monument, When tyrants' crests and tombs of brass are spent.</p>	<p>Neither my own fears nor the speculations of the rest of the world about the future can continue to keep me from possessing my beloved, who everybody thought was doomed to remain in prison. The moon, which was always mortal, has finally been eclipsed, and the gloomy fortune- tellers now laugh at their own predictions. Things that once seemed doubtful have become certainties, and peace has come to stay. Now, with the blessings of these times, my beloved looks fresh again and death itself submits to me, since in spite of death I'll live on in this poor poem while death only exults over the stupid and illiterate peoples that he's overcome. And you will find this poem to be your monument when tyrants reach the end of their reigns and tombs to brass fall into decay.</p>

საგრაფოებიდან. ანტონი შერლის ესექსისა და საუთჰამპტონის ორ გრაფთან რობერტ დევერუქსისა და ჰენრი რაისლისთან ახლო მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა. ორივე გრაფს ახლო ურთიერთობა და დიდი გავლენა ჰქონდათ სამეფო თეატრალურ დასზე. ჰენრი რაისლი, მიჩნეულია, რომ იყო უილიამ შექსპირის მეგობარი, მფარველი თუ სპონსორი. მეორე მხრივ, შერლის ყველაზე დიდი მხარდამჭერნი სპარსეთის სამეფო კარზე იყვნენ წარმოშობით ქართველი ვეზირები; კერძოდ ალავერდი-ხანი უნდილაძე, რომლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში ჩანს ეროვნულ-ქართული ორიენტაცია და კულტურული და ლიტერატურული ინტერესები. ცნობები შერლის ექსპედიციაზე და გზავნილები მისგან ინგლისში შემოდის 1600 წლიდანვე. 1608-10 წლებში კი ინგლისის სამეფო თეატრალური დასისთვის შეიქმნა და ლონდონის სცენებზე გამოჩნდა შექსპირის უმცროსი თანამედროვეების და თანამოკალმეების მიერ *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტის გადამუშავებით შექმნილი ორი სპექტაკლი - *ფილასტერი* და *მეფე და არამეფე*. ამიტომ ვვარაუდობ, რომ *ვეფხისტყაოსნის* ამბავი ინგლისის სამეფო დასის დრამატურგებთან და უშუალოდ შექსპირის წრესთან მიდის სპარსეთში დაწინაურებულ წარმოშობით ქართველ ვეზირთაგან, სერ ანტონი შერლის ექსპედიციის გზით. პრინციპული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ამ პერიოდის ინგლისელ დიპლომატთა, ვაჭართა და მოგზაურთა ექსპედიციები აღმოსავლეთში იქიდან მოპოვებული კულტურული ნადავლით (მათ შორის ლიტერატურულ-ფოლკლორულ-ისტორიული ამბების მოპოვებით) გვირგვინდებოდა. შერლის მეცენატთა ჯგუფი ამგვარი ინტერესით ამკარად იყო შთაგონებული.

ჩემ მიერ შემოთავაზებული ახალი ვარაუდის საყრდენი დებულება, რომელიც, ჩემი აზრით, ვარაუდის სფეროს აღარ განეკუთვნება, არის ის, რომ *ვეფხისტყაოსანი* ნამდვილად არის *ფილასტერისა* და *მეფე და არა მეფის* უმთავრესი სიუჟეტური წყარო. ამ დებულებას მე ვამტკიცებ ფილოლოგიური გზით - ლიტერატურული მიმართებების კვლევით (დაწვრილებით იხ. 11, გვ. 12-34, 66-76; 29, გვ. 51-61, 72-80):

1. ინგლისურ პიესებში ძირითადი სიუჟეტური ხაზი *ვეფხისტყაოსნის* უმთავრესი შეყვარებული წყვილის ნესტანისა და ტარიელის ამბის ქარგაზეა აგებული.

მეფე და არა მეფე: უშვილო მეფე-დედოფალი შვილად აიყვანს უახლოესი დიდებულის ახალშობილ ვაჟს. მოგვიანებით დედოფალს შეეძინება ქალიშვილი. მათ ერთხანს ერთად ზრდიან, შემდეგ დააშორებენ. როცა მრავალი წლის უნახავ უკვე გათხოვების ასაკს მიღწეულ პრინცესას ნახავს, უფლისწულად გაზრდილი (*მეფე და არა მეფეში* - უკვე გამეფებულ) ვაჟი უეცარი სიყვარულით დაიბნდება, გონება აერევა. ქალიც სიყვარულით პასუხობს. დასასრული ბედნიერია - სამეფო კარის ინტრიგის დამღვევის შემდეგ (ამ ინტრიგის ერთი ნაწილია სასიძოდ მოაზრებული მეზობელი ქვეყნის ახალგაზრდა მეფის პრობლემის მოხსნა), ქალ-ვაჟი შეუღლდება და სამეფო დინასტიის საკითხიც მოგვარდება.

ვილასტერი: ერთმა სამეფომ მეზობელი სამეფო შემოიერთა (*ვილასტერით* - დაიპყრო). გაერთიანებული სამეფოს მეფეს მემკვიდრედ მხოლოდ ქალიშვილი ჰყავს, მაგრამ შემოერთებულ სამეფოს მემკვიდრე ვაჟს ტახტზე პრეტენზია აქვს. მეფეს ქალიშვილის გამეფება უნდა და ზედსიძედ მოიწვევს მეზობელი სამეფოს უფლისწულს. პრობლემა გადაწყდება ამ ორი მემკვიდრის სიყვარულით. ქალი მოიწვევს თავისთან ვაჟს. სიყვარულს გაუმხელს. ვაჟსაც იგი თურმე ფარულად უყვარს. შეიმუშავებენ გეგმას, თუ როგორ ჩამოიშორონ მოწვეული საქმრო. სამეფო კარის ინტრიგის მოგვარების შემდეგ ბედნიერი დასასრული - ქორწილი.

როგორც ვხედავთ, ორივე ინგლისური პიესის სიუჟეტების სქემა ზუსტად მისდევს ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ისტორიას. ამ ისტორიის ამბები ზემოთ მოთხრობილ სიუჟეტებში ორადაა გადაყოფილი. ნესტანისა და ტარიელის ისტორიის ძირითადი დეტალები გადანაწილებულია, მაგრამ არის ორივე პიესაში საერთოც, რაც არსებითია *ვეფხისტყაოსნის* შეყვარებული წყვილის ამბავშიც: ტახტის მემკვიდრეობის ორი პრეტენდენტის (ქალის და ვაჟის) სიყვარულით ერთმანეთთან დაკავშირება; მეფე, ან დედოფალი (*ვეფხისტყაოსანში* ორივე) მსურველი და მოქმედი ერთადერთი ქალიშვილის გამეფებისა; დიდი წინააღმდეგობა შეყვარებულთა გზაზე; ბედნიერი დასასრული.

2. ინგლისური პიესების *ვეფხისტყაოსანთან* კავშირის დამადასტურებელი სხვა რიგის არგუმენტებია ამ პიესების ცალკეული სიუჟეტური პასაჟების პრინციპული მსგავსებანი *ვეფხისტყაოსანთან*. მაგალითად: დედოფლის დაფენმძიმება ვაჟის შვილად აყვანიდან ზუსტად ხუთი წლის შემდეგ და ამაზე იმგვარივე მითითება, როგორც რუსთველის პოემაშია; მეფის დაბნელების დაახლოებით ისეთივე აღწერა, როგორც ტარიელი დაიბნინდა; შეყვარებული მეფის მიერ სატრფოს გარდაცვლილად მიჩნევა და მისი მედიტაცია იმაზე, თვითონაც როგორ წავა იმ ქვეყნად და სხვა (*მეფე და არა მეფე*); პრინცის მიერ ტახტის მემკვიდრე ვაჟის თავისთან მიწვევა და სიყვარულის გამოცხადება; უფლისწულის მიწვევა მოახლე ქალის ხელით მიტანილი წერილით; მინიშნება იმის შესაძლებლობაზე, რომ მოახლე ქალი უფლისწულთან შეიძლება საყვარლად მივიდეს. შეყვარებულთა საუბარში ერთად გამეფების სურვილის იმთავითვე გამოკვეთა და სხვა (*ფილასტერი*).

სიუჟეტური პასაჟების მსგავსების მითითებულ მაგალითებს მინდა დავუმატო კიდევ ერთი საინტერესო პარალელი. *ფილასტერში* ერთი მთავარი მოქმედი პირი, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი შეყვარებული მემკვიდრეების – არეტუზასა და ფილასტერის შემდეგ, არის პაჟი ბელარიო, ვაჟად გადამცმული ქალწული ევფრაზია. ფილასტერზე უნუგემოდ შეყვარებული ევფრაზია მამისეული სახლიდან გარბის, ვაჟურად გადაიცვამს და ფილასტერის გარემოცვაში მოსახვედრად სურს მისი ყურადღება მიიპყროს. აი, როგორ აღწერს ფილასტერი ბელარიოს (ვაჟად გადამცმულ ევფრაზიას) პირველად ხილვას (*ფილასტერი*, I, II, 114–121): ერთხელ ირემზე ნადირობისას ვიხილე მე იგი, წყაროს პირას მჯდომარე და მტირალი (“Hunting the back, I found him sitting by a fountain’s side, ... and paid the nymph again as much in tears; ... His tender eyes upon ‘em, he would weep, ...”), [18, გვ. 26]. შეუძლებელია არ გაგვახსენდეს *ვეფხისტყაოსნიდან* ტარიელის პირველი გამოჩენის ეპიზოდი: ნადირობისას მეფე და მისი სარდალი ნახვენ წყაროს პირას მჯდომ მტირალ ჭაბუკს: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა.“ მინდა დავძინო, კომენტარის გარეშე: ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში დამკვიდრებული აზრით, ეს სურათი – ბელარიოს პირველად

ნახვა – თავისი მხატვრული ღირებულებით *ფილასტერის* ერთი საუკეთესო პასაჟია“ [42]¹.

3. ბომონტისა და ფლეტჩერის დასახელებულ პიესებს *ვეფხისტყაოსანთან* სხვა რიგის მიმართებებიც გააჩნია: პერსონაჟთა ხასიათების ხატვის სპეციფიკა, მიჯნურის გახელება და ტყეში გაჭრა და სხვა. ამჯერად მხოლოდ იმას მივაპყრობ ყურადღებას, რომ ინგლისელი ავტორები უშუალოდ მიუთითებენ საქართველოზე და მიანიშნებენ *ვეფხისტყაოსანზე*. *მეფე და არა მეფის* მოქმედება, ავტორთა მითითებით, საქართველოში (იბერიაში) ხდება და იბერიის სამეფოს პრინცესას, რომელსაც შეიყვარებს მისი ძმა (როგორც შემდეგ გაირკვევა, ნაშვილები), სახელად ჰქვია *პანთეა*. მისი პროტოტიპი *ვეფხისტყაოსანში* არის ნესტან-დარეჯანი, რომელსაც მასზე შეყვარებული ტარიელი ვეფხს ამსგავსებს და ამიტომაც ვეფხს თავისი სატრფოს სიმბოლოდ წარმოსახავს (ესაა *ვეფხისტყაოსნის* უმთავრესი სიმბოლური ღერძი). სახელი *პანთეა* ემსგავსება ინგლისურ სიტყვას panther - ვეფხი. (*ვეფხისტყაოსნის* ვეფხი არის ის ცხოველი, რომელსაც ჩვენ დღეს ვუწოდებთ პანტერას). მაშასადამე, ინგლისელმა ავტორებმა ნესტანის პროტოტიპზე შექმნილ პერსონაჟს სახელად დაარქვეს ის სახელი, რომელიც ნესტანზე, და მთლიანად *ვეფხისტყაოსანზე*, მიანიშნებს (დაწვრილებით იხ. 11, გვ. 26–31; 29, გვ. 58–61). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ინგლისელი ავტორები ამ პერსონაჟისათვის სახელის დარქმევასა მიმართავენ ე. წ. ზმურ მეტყველებას. ეს იმ ტიპის ზმაა, რომელიც სიტყვის დაწერილობასა და წაკითხვაში არსებულ მსგავსებაზეა აგებული (ჰომოგრაფულ–ჰომოფონური ზმა). სწორედ ამგვარი ტიპის ზმური მეტყველება იყო უაღრესად პოპულარული იმ პერიოდის და იმ წრის ინგლისურ ლიტერატურაში, რომლის წარმომადგენლები არიან ბომონტი და ფლეტჩერი. სწორედ ამგვარ ზმასიტყვაობას მიმართავდა, თანაც ძალიან ხშირად, შექსპირი [31, გვ. 310–320]. ასე, მაგალითად: პიესა *ციმბელინის* დასასრულს მისანი განმარტავს ერთ წინასწარმეტყველებას: molis aer (ლბილი ჰაერი)

¹ “The poetical merit of several passages in *Philaster* is well known, and especially the description of the first finding of Bellario” [42, VI, § 13]

მშობლიურ ენაზე წარმოითქმის როგორც *mulier* (ცოლი) და ლბილი ჰაერის მოხვევა ცოლის მოხვევას ნიშნავსო. (“The piece of tender air, thy virtuous daughter, which we call ‘mollis aer’, and ‘mollis aer’ we term it ‘mulier’; which ‘mulier’ I divine is this most constant wife”) (*Cymbeline*, V, V [39, გვ. 145–146]).

ნათქვამი კიდევ ერთხელ უნდა შევაჯამოთ. აშკარაა, რომ XVII საუკუნის პირველ ათწლეულში ინგლისის სამეფო კარის დრამატურგთა წრეში უკვე იცნობენ რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავს. უაღრესად სარწმუნო ვერსია ამ ამბის ინგლისელ დრამატურგთა საზოგადოებაში შეღწევისა არის გზა შაჰ-აბასის კარზე დაწინაურებული წარმოშობით ქართველი დიდი მოხელეებიდან, ანტონი შერლისა და მისი კომპანიონების მემკვიდრეობით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის (ძველი ანგლო-საქსონური სამეფოს, თუ სამთავროს) სახელგანთქმულ გრაფებთან – რობერტ დევერუქსისა და ჰენრი საუთჰამპტონთან. დღეისათვის ჩემ მიერ გამოვლენილი ფაქტების თანახმად, უფრო დასაშვებია ის ვარაუდია, რომ აღმოსავლეთიდან მოტანილი ეს ლიტერატურული წყარო დასახელებულ გრაფთა საზოგადოებიდან უშუალოდ შექსპირის ხელში აღმოჩენილიყო. ეს ვარაუდი მხოლოდ იმაზე კი არაა დაფუძნებული, რომ ესექსისა და საუთჰამპტონის გრაფები თეატრის დიდი მოყვარულები და შექსპირის დამფასებელნი იყვნენ, არც მხოლოდ იმაზე, რომ შექსპირს ახლო ურთიერთობა ჰქონდა საუთჰამპტონის გრაფთან და მას დიდი თანაგრძნობით განმსჭვალულ სონეტებს უძღვნიდა, არამედ იმაზეც, რომ შექსპირი იცნობდა ანტონი შერლის მოგზაურობის ფაქტებს, რომლებიც წერილების საშუალებით მიდიოდა ამ გრაფებთან [24, გვ. 82–83].¹ ისიც ცნობილია, რომ ეს წერილები ზოგჯერ ჩამოჰქონდათ ამ ექსპედიციის უშუალო მონაწილეებს. კერძოდ, მიუთითებენ, რომ შერლის კომპანიონმა უილიამ პერიმ შერლის გზავნილები უკვე 1600 წელს ჩამოიტანა ინგლისში და 1601 წელს წიგნადაც გამოსცა ამ მოგზაურობის

¹1600 წლის ადრე გაზაფხულზე შერლიმ წერილით აცნობა ესექსის გრაფს იმის თაობაზე, რომ შაჰ-აბასმა დაუნიშნა წლიურ პენსიად 30000 კრონი. შექსპირი „მეთორმეტე ღამეში“ ახსენებს შაჰის დანიშნულ პენსიას (II, 5, 80–81).

შთაბეჭდილებები [36].¹ მაშასადამე გზავნილები ანტონი შერლისგან მიდიოდა მის ახლობელ გრაფებთან, რომლებსაც შექსპირთანაც უშუალო კავშირი ჰქონდათ და ამ გზავნილების ფაქტებს ნამდვილად იცნობდა უილიამ შექსპირი.

ამავე დროს ვფიქრობ, რომ გასათვალისწინებელია ის თვალსაზრისი შექსპირის შემოქმედებით სტილზე, რომელიც ადასტურებს, რომ დიდი დრამატურგი და პოეტი ეყრდნობოდა უმდიდრეს ლიტერატურულ და საისტორიო მასალას. ეს კი როგორც ადრევე დასაბუთდა შექსპიროლოგიურ ძიებებში [43, გვ. 159–160], განპირობებული იმითაც იყო, რომ შექსპირის დიდი შემოქმედებითი ხელოვნება უპირველეს ყოვლისა ეყრდნობა მის მიერ ტრასფორმირებულ, ანუ გადამუშავებულ, გარდაქმნილ და ადაპტირებულ, გადმოტანილ სიუჟეტურ ეპიზოდებს თუ იდეურ ინოვაციებს, სიახლეებს.

ზემოთ ჩამოყალიბებული ვარაუდი იმ გზის თაობაზე, რომლითაც შეიძლება *ვეფხისტყაოსნის* ამბავს ბრიტანეთამდე შეეღწია და კერძოდ ინგლისის სამეფო კარის დრამატურგთა წრემდე მისულიყო, მე არ მიმაჩნია იმის საკმარის არგუმენტად, რომ შექსპირი იცნობდა ამ ამბავს. გასათვალისწინებელია, რომ შექსპირის თხზულებათა ჭეშმარიტი ავტორის ვინაობა ბურუსითაა მოცული. ჩემთვის, როგორც ამ საკითხის მკვლევარისთვის, ეს ვარაუდი უპირველეს ყოვლისა იმიტომაც ფასეული, რომ მან მე აღმიძრა ეჭვი, რომ ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ისტორია

¹ უილიამ პერის მიერ ინგლისში ჩატანილი კორესპონდენციების ადრესატებისაგან სამი მათგანია ცნობილი: სერ რობერტ სესილი, შტლანდიის მეფე ჯეიმს VI (შემდგომში ინგლისის მეფე ჯეიმს I) და ესექის გრაფი რობერტ დევერუქსი. რობერტ სესილი (იმ დროისათვის სახელმწიფო მდივანი) იყო ბიძაშვილი ცნობილი ფილოსოფოსის ფრანსის ბეკონისა (1561–1626). ეს უკანასკნელი, სახელმწიფო მდივანი, იურისტი, ფილოსოფოსი, მეცნიერი და მწერალი, იმდენად ცნობილი ინტელექტუალი იყო, რომ XIX საუკუნეში იმის თაობაზეც კი გამოითქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია იგი იყო ავტორი უილიამ შექსპირის სახელით ცნობილი ზოგიერთი პიესის, ან ყველა თხზულებისა [იხ. 23]. ისიც ცნობილია, რომ ფრანსის ბეკონთან დაახლოებული იყო იმდროინდელი ინგლისის განათლებული საზოგადოების მალზე ფართო წრე და მასთან იყრიდა თავს კონტინენტიდან ბრიტანეთში სხვადასხვა სახით შემოდინებული დიდი ცოდნა. ასე რომ, ანტონი შერლის გზავნილები სპარსეთის ექსპედიციისაგან არა მხოლოდ მისი უშუალო სპონსორებისა და მფარველებისათვის, არამედ ინგლისის ინტელექტუალთა ფართო წრისათვისაც იყო ცნობილი.

შესაძლებელია თვით შექსპირამდეც ყოფილიყო მისული. ამან კი შექსპირის არა ბიოგრაფიის, არამედ შემოქმედებით ფაქტებზე დაკვირვება მომთხოვს და ამის შედეგად გამოიკვეთა კონკრეტული გარემოება, რამაც ამ მიმართულებით კვლევის აუცილებლობა განაპირობა.

XIX საუკუნის ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში უკვე მკაფიოდ დაისვა საკითხი ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში ბომონტისა და ფლეტჩერის დრამატურგიის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ. გამოიკვეთა თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ახალ ლიტერატურულ სტილს, რომელიც ამ პერიოდის ინგლისურ ლიტერატურულ პროცესში გამოჩნდა, – ტრაგიკომედიას იწყებს, ან დაამკვიდრებს, ბომონტისა და ფლეტჩერის სამი პიესა – *ვილასტერი*, *მეფე* და *არა მეფე* და *ქალიშვილის ტრაგედია*. ამ სამ პიესას შორის *ვილასტერის* პრივილეგია თავისი თეატრალურ სცენაზე გამოჩენის დროით და განსაკუთრებული პოპულარობით აშკარა იყო.¹ 1885 წელს დაიბეჭდა გერმანელი ლიტერატურათმცოდნის ბ. ლეონჰარდტის გამოკვლევა, რომელშიც თხზულებათა იდეურ–თემატური და სიუჟეტური პასაჟების პარალელების ჩვენებით საბუთდებოდა, რომ *ვილასტერი* ეყრდნობა უილიამ შექსპირის *ჰამლეტსა* და *ციმბელინს* [33]. მითითება *ვილასტერის* მიმართებებზე შექსპირის *ჰამლეტთან* ინგლისური ლიტერატურული კრიტიკისათვის მოულოდნელი არ აღმოჩნდა, რამდენადაც ბომონტისა და ფლეტჩერის ადრინდელ ნაწარმოებებს აშკარად ეტყობოდათ შექსპირის დიდი დრამატურგიის გავლენა, მაგრამ *ვილასტერის* ლიტერატურულ წყაროდ *ციმბელინის* დასახელება პრობლემატური აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ *ციმბელინი* შექსპირის შემქმედების უკანასკნელი პერიოდის თხზულებათა შორისაა (*ციმბელინი*, *ზამთრის სიზმარი*, *ქარიშხალი*). მათში აშკარად ჩანს დიდი დრამატურგის შემოქმედებითი სტილის ცვლა – ტრაგიკომედიის ჟანრის მნიშვნელოვანი ელემენტები და უხეშად თუ ვიტყვით,

¹ *ვილასტერის* განსაკუთრებული პოპულარობა XVII საუკუნის ინგლისში მხოლოდ იმ ფაქტით კი არ დასტურდება, რომ იგი მთელი საუკუნის მანძილზე იყო სხვადასხვა თეატრალური დასის რეპერტუარში, არამედ იმითაც, რომ თვით საოჯახო სპექტაკლების ფავორიტულ პიესად ითვლებოდა [იხ. 44, გვ. 10–11].

ერთგვარი მიბაძვა ბომონტისა და ფლექტერის მიერ დამკვიდრებული ახალი სტილისადმი. ამდენად მოულოდნელი არ იყო ის სიახლე, რაც 1901 წელს მოიტანა ა. თორნდაიკის ფუნდამენტურმა მონოგრაფიამ: „ბომონტისა და ფლექტერის გავლენა შექსპირზე“ [43]. მონოგრაფიის ავტორს *ციმბელინსა* და *ვილასტერს* შორის გამოვლენილი მიმართებების ნამდვილობაში ეჭვი არ შეაქვს, მაგრამ დიამეტრალურად ცვლის მიმართების ხაზს: მისი აზრით, შექსპირის *ციმბელინი* ეყრდნობა ბომონტისა და ფლექტერის *ვილასტერს*. საბუთები: *ვილასტერი* უფრო ადრე გამოჩნდა თატრალურ სცენებზე, ვიდრე *ციმბელინი*. *ვილასტერი* იმთავითვე უადრესად პოპულარული გახდა და შექსპირი, რომლის შემოქმედებითი სტილი ადვილად ითვისებდა და გადაამუშავებდა ხოლმე ლიტერატურულ წყაროებს, განსაკუთრებით კი ახალს და მოდურს, მოსალოდნელია, რომ *ვილასტერით* ისარგებლებდა; ახალმა სტილმა (ტრაგიკომედია), რომლის დამკვიდრების დასაწყისის ეტაპზე ყველაზე დიდი პოპულარობა სწორედ *ვილასტერს* ჰქონდა, აშკარად მოახდინა გავლენა შექსპირზე. ამ კატეგორიულ დასკვნას მითითებულ მონოგრაფიაშივე ახლდა ერთგვარი ყოყმანი, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ზუსტად არ არის დადგენილი *ვილასტერისა* და *ციმბელინის* დაწერის თარიღები. სარწმუნო ვარაუდით *ვილასტერის* შექმნის დრო უსწრებდა შექსპირის პიესას, მაგრამ იყო კი ეს დრო საკმარისი იმისათვის, რომ *ვილასტერი* პოპულარობის გამო მიბაძვის ობიექტი გამხდარიყო?

შემდგომი დროის ლიტერატურული კრიტიკა *ვილასტერსა* და *ციმბელინს* შორის გამოვლენილი მიმართების ფაქტით ამ თხზულებათა შექმნის დათარიღებაზე მსჯელობისაგან თავს იკავებს, უპირატესად შემოქმედებითი სტილის მსგავსებაზე მსჯელობს, მაგრამ *ვილასტერსა* და *ციმბელინს* შორის იდეურ-თემატურ და გარკვეული ეპიზოდების სიუჟეტური მსგავსების არსებობას უეჭველად თვლის. საკმარისად მიმაჩნია დავიმოწმო ენდრიუ გურის, *ვილასტერის* კომენტირებული ტექსტის გამომცემლის (1969წ. და 2003 წ. გამოცემები), აზრი: ამ თხზულებათა შორის არის მხოლოდ სუსტი ვერბალური შეხმიანება და, რაც უფრო საკვირველია, გარდა იმისა, რომ ორივე მათგანი ამჟღავნებს

დამოკიდებულებას რომანულ ტრადიციასთან, შეინიშნება მცირე სტრუქტურული მსგავსებაც. ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ პიესათაგან თითოეული ისე შეიქმნა, რომ მეორეს არ იცნობდა და დავალიანებული იყო რომელიღაც პიესის კომპოზიციით. *ფილასტერი*, აგრძელებს მკვლევარი, განვითარდა იმავე ავტორების *კუპიდონის შურისძიებიდან*, ხოლო *ციმბელინს* წინ უსწრებს შექსპირისვე *პერიკლე*. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ ამ ორი პიესის მხოლოდ პარალელური შექმნის პროცესი. და მათი შექმნის თარიღის საკითხზე უფრო მნიშვნელოვანია მსგავსება დრამატული ჟანრის ფარგლებში [25, გვ. XXVIII].¹

ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის კიდევ ერთ დასკვნას მინდა მივაქციო ყურადღება. შენიშნულია, რომ *ციმბელინი* შექსპირის უადრესად თავისებური, ორიგინალური პიესაა, ყველაზე მეტად განსხვავებული მის სხვა თხზულებათაგან [27, გვ. 30]. ასევე თავისებურად და ბომონტისა და ფლეტჩერის სხვა ნაწარმოებთაგან განსხვავებულად მიიჩნევენ კრიტიკოსები *ფილასტერსა* და *მეფე და არა მეფეს* [37, გვ. 113,114,179; 46, გვ. 39,132,133]. აღმოჩნდა, რომ ისინი თავისი ფაბულით *ვეფხისტყაოსანზე* არიან დამოკიდებულნი. ესეც მიუთითებს, თუმცა არა უშუალოდ, მაგრამ მაინც, რომ საჭიროა *ციმბელინის* სიუჟეტის *ვეფხისტყაოსანთან* მიმართებით შესწავლა.

ამგვარად, ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერის* შექსპირის *ციმბელინთან* საკვირველი მსგავსების პრობლემა, რომლის კვლევა ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის, იმ დაკვნამდეა მისული, რომ ამ ორ პიესას შორის, რომლებიც ერთმანეთთან მიახლოვებულ დროს არიან შექმნილნი, უმთავრესი მსგავსება რომანული

¹ „The fact that they are merely verbal echoes and that they are so slight, coupled with the further rather surprising fact that apart from the mutual dependence of the two plays on the romance tradition there is little structural resemblance, suggests if anything that each play was written in ignorance of the other, at least till very late in the composition of the indebted play, whichever that was. *Philaster* developed naturally enough from *Cupid's Revenge*, in the same way that *Cymbeline* developed from *Pericles*, so there is no need to presume anything more than a parallel progression in the processes of composition of the two plays. There resemblance is more important to their dramatic genre than to their dating“ [25, გვ. 2 XXVIII].

ტრადიციის მიბაძვაშია, რაც მცირე, მაგრამ განსაცვიფრებელი სიუჟეტური პარალელებითაც ძლიერდება და მიუხედავად ამისა, ისინი ერთმანეთზე უშუალოდ არ არიან დამოკიდებულნი. ეს დასკვნა, რომელსაც ამჟამად ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ჩამოყალიბებულია მანამ, სანამ გაირკვეოდა, რომ *ფილასტერის* უმთავრესი სიუჟეტური და იდეური წყარო რუსთველისეული ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის რომანტიკული ისტორიაა. ამას უნდა დაერთოს ჩემ მიერ ზემოთ ინტერპრეტირებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ *ვეფხისტყაოსნის* ამბავი სწორედ იმ დროსაა მიტანილი ინლისში, რომელიც რამდენიმე წლით უსწრებს ამ ორი პიესის შექმნას და რომ რუსთველისეული ნარატივი ინგლისის იმ საზოგადოებასთან უნდა მისულიყო, რომელთანაც შექსპირს ჰქონდა კავშირი. ეს ახალგამოვლენილი ფაქტები და დასკვნები უფლებას მაძლევს, ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკას პრობლემური საკითხის გადაწყვეტის ამგვარი ვერსია შევთავაზო: სიუჟეტურ–კომპოზიციური და იდეურ–თემატური მსგავსება შექსპირის *ციმბელინსა* და ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერს* შორის განპირობებულია მათი საერთო ლიტერატურული წყაროთი; მიუხედავად იმისა, ისინი ერთმანეთზეც ახდენენ გავლენას, თუ არა. ხომ არ არის ეს საერთო წყარო რუსთველის *ვეფხისტყაოსნისეული* ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის რომანტიკული ამბავი?

ყველაფერი ეს კი მე, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიკოსს, არა მარტო ამ საკითხის დასმის უფლებას მაძლევს, არამედ მის ფილოლოგიურ კვლევას მავალდებულებს.

***ციმბელინის* სიუჟეტური წყაროები**

დასმული პრობლემის შესწავლა, უმჯობესია, დავიწყოთ იმ თხზულებებზე მსჯელობით, რომლებიც ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოვლენილია ამ ორი პიესის სიუჟეტურ წყაროებად. *ფილასტერის* შესახებ მხოლოდ მოკლედ ვიტყვი: სანამ მისი უმთავრესი სიუჟეტურ–თემატური წყარო (*ვეფხისტყაოსანი*) გამოვლინდებოდა, ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში მითითებული იყო, რომ ბომონტისა და ფლეტჩერის იმ დროისათვის ამ უაღრესად პოპულარულ პიესას აქვს მიმართებები ცალკეული სიუჟეტური

სიტუაციებით მონტემაიორის პასტორალური ნოველის *დიანას* ინგლისური თარგმანის ალონსო პერეზის გაგრძელებასთან, პერსონაჟთა ტიპაჟით – ფილიპ სიდნის *არკადიასთან*, ცალკეული ემოციური სიტუაციებით – შექსპირის ტრაგედიებთან. ამასთან ერთად შენიშნული იყო, რომ ყველაფერ ამის გარდა მის უკან უთუოდ არის სხვა მრავალი ლიტერატურული წყარო.¹ ამ წყაროთა, თუ მიმართებების მქონე თხზულებათა შორის კი, როგორც აღვნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა შექსპირის *ციმბელინი* სახელდება.

ციმბელინის მიმართებებს თუ რემინისცენციებს ხედავენ არც თუ ცოტა ნაწარმოებებთან (მათ შორის თვით შექსპირისავე ადრინდელ ტრაგედიებთან), მაგრამ სიუჟეტურ წყაროდ ორიოდეს ასახელებენ.

უპირველეს ყოვლისა ესაა ინგლისის ძველი საისტორიო ქრონიკები. კერძოდ, მიუთითებენ, რომ შექსპირი ეყრდნობა ჯოფრეი მონმუთის (XII ს.) ბრიტანეთის მეფეთა ისტორიას (Geoffrey Monmouth, *Historia Regnum Britanniae*). იგი ჩართული იყო რაფაელ ჰოლინშედის *ქრონიკებში* (Raphael Holinshed, *Chronicles*), რომელიც 1577 წელს გამოქვეყნდა. როგორც შენიშნულია, შექსპირი ჯოფრეის *ისტორიიდან* იღებს ბრიტანეთის მეფის ციმბელინის (*ისტორიაში* მისი სახელია Cunobeline//Cunobelinus//Kynobelinus//Kymbelinus) და მისი ორი ვაჟიშვილის – გვიდერიუსის (Guiderius) და არვირაგუსის (Arviragus) სახელებს და არა მათ შესახებ ჯოფრეის მიერ მოთხრობილ ამბავს. მართლაც, შექსპირის თხზულების მიხედვით ბრიტანეთის მეფის ციმბელინის კარზე გათამაშებულ ამბავს არა აქვს საერთო ჯოფრეის *ისტორიასთან*, გარდა იმისა, რომ მოქმედება მიმდინარეობს წინარომანული პერიოდის ბრიტანეთში და მეფე ციმბელინი კეთილადაა განწყობილი რომალებადმი და მათი მეგობარია, თუმცა ამავე დროს მოხარკე (*History of the Kings of Britain*, Book 4,11). მე ვფიქრობ, ამასთან ერთად *ციმბელინიში* გათამაშებული ომი რომაელებთან, მისი ბრიტანელთა გამარჯვებით დამთავრება, მაგრამ ბრიტანელთა მაინც დათანხმება რომაელებისადმი

¹ “There is, of course, a good deal more to the sources behind *Philaster* than this drawing together of a plot-situation from Perez, character-types from Sidney, and emotional situation from Shakespeare” (Andrew Gurr – 25, p. XXXV).

ხარკის გადახდაზე, ისევე ჯოფრეის *ისტორიას* ეხმიანება. მხოლოდ *ისტორიაში* მოთხრობილია ომზე, რომელსაც Kymbelinns-ის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟები აწარმოებენ და რომელიც ზავით მთავრდება (*History*, 4, 12-14). *ციმბელინში* გადმოცემულ გვიდერიუსისა და არვირაგუსის ამბავს კი დასახელებულ *ისტორიასთან* არაფერი არა აქვს საერთო. შექსპირის პიესის მიხედვით მეფე ციმბელინის ვაჟები შურისძიების მიზნით ბავშობიდანვე ჰყავს გატაცებული მეფის მიერ განდევნილ დიდებულს ბელარიუსს და ზრდის მათ მთებში, უკაცრიელ გამოქვაბულში. ისინი სამეფო კარზე პიესის მხოლოდ ფინალში დაბრუნდებიან, როდესაც სამშობლოს სიყვარულით რომაელთა წინააღმდეგ ომში ჩაბმულნი, გამარჯვებას მეფესთან იხეიმიებენ.

შემდეგი წყარო *ციმბელინისა*, ამჯერად უკვე სიუჟეტური წყარო, ჯოვანი ბოკაჩოს *დეკამერონის* მეორე დღის მეცხრე ამბავია: ორი ახალგაზრდა ვაჭრის სანაძლეო; ერთის მიერ მეორის მოტყუებით სანაძლეოს მოგება, თითქოს შეაცდინა მისი პატიოსანი ცოლი; განრისხებული ქმრის მიერ ცოლის მოსაკლავად მსახურის გაგზავნა; მსახურთან შეთანხმებით ვაჟურად გადაცემული ცოლის გაპარვა; სიმართლის გამორკვევა და დამნაშავეს დასჯა. ეს ამბავი მართლაც *ციმბელინის* ნარატივის ერთი სიუჟეტური ღერძია: მეფე ციმბელინს მემკვიდრედ პირველ ცოლთან შემეჩენილი ერთადერთი ასეული იმოჯენი დარჩენია. მეფესა და დედოფალს სურთ იგი ცოლად შერთონ დედოფლის ვაჟს პირველი ქმრისგან – კლოტენს. იმოჯენს უყვარს სასახლის კარზე აღზრდილი ღარიბი, მაგრამ ღირსეული დიდებული პოსტუმუს ლეონატუსი. ქალ-ვაჟი მალულად დაქორწინდებიან. განრისხებული მეფე პოსტუმუსს ქვეყნიდან გააძევებს. გამევეებული იტალიაში მასპინძელთა წრეში სიტყვას ჩამოაგდებს თავისი ცოლის ერთგულებაზე. იტალიელი იაკიმო მასთან სანაძლეოს დადებს, რომ მის ერთგულ ცოლს შეაცდენს. იგი ფარულად დარჩება იმოჯენის საწოლ ოთახში და მძინარე ქალის სხეულის რამდენიმე ნიშანს დაიმახსოვრებს, ქმრის ნაჩუქარ სამაჯურს მოჰპარავს და იტალიაში დაბრუნებული ნაძლევს მოიგებს. ცოლზე იმედგაცრუებული და განრისხებული პოსტუმუსი თავის ერთგულ მსახურს პიზანიოს მეუღლის მოკვლას დაავალებს. პიზანიო ვაჟურად გადაცემულ ქალს გააპარებს, ხოლო პატრონს

დაარწმუნებს, რომ დავალება შეასრულა. ვაჟურად გადაცმული იმოჯენი მოახლედ, პაჟად, დაუდგება რომაელთა მხედართმთავარს კაიუს ლუციუსს. რომაელთა ლაშქრის დამარცხების შემდეგ მეფის წინაშე ტყვედ მიყვანილთა შორის პაჟად გადაცმული იმოჯენი ცილისმწამებელ იაკიმოს გამოამჟღავნებს.

ციმბელინის კიდევ ერთ სიუჟეტურ წყაროდ ზოგიერთი შექსპიროლოგის მიერ დასახელებულია ევროპელ ხალხთა შორის სხვადასხვა ვარიანტით ცნობილი ზღაპარი *ვიფქიაზე*, რომლის ორიგინალური ვერსია პირველად XIX საუკუნის დასაწყისში იყო ძმები გრიმების მიერ ჩაწერილი (Schneewittchen) და რომელსაც დღევანდელი მსოფლიო იცნობს 1937 წელს დისნეის ფილმის გადამუშავებული ვერსიის სათაურით: *ვიფქია და შვიდი ჯუჯა (Snow White and the Seven Dwarfs)*. დედინაცვლის მიერ შეძლებული ლამაზი პრინცესა; მისი გაპარვა სასახლიდან და გამოქვაბულში ჯუჯებთან დასახლება; მისი მოულოდნელი სიკვდილი და უცნაური გაცოცხლება – ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ყოფილიყო შექსპირის ერთ–ერთი წყარო; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ზღაპარს დიდი დრამატურგი რომელიმე, დღეისათვის უცნობი, ვერსიით იცნობდა [34; 32, გვ. 123–124]. მართლაც, პიესის მიხედვით, ციმბელინის მეორე ცოლს იმისათვის, რომ თავისი ვაჟი (პირველი მეუღლიდან) კლოტენი ტახტის მემკვიდრე გახადოს, სურს მას იმოჯენი შერთოს ცოლად, ან ეს უკანასკნელი საერთოდ ჩამოიშოროს. ამ მიზნით მას უებარ წამლად გაუგზავნის საწამლავს. სასახლიდან გაუჩინარებული, ვაჟად გადაცმული იმოჯენი უელსის მთებში გამოქვაბულში თავშეფარებულ მეფის შვილებთან და მათ აღმზრდელ (და ამავე დროს სასახლიდან გამტაცებელ) ბელარიუსთან აღმოჩნდება. დაღლილი და ავადმყოფობის პირს მყოფი ქალი მოსამჯობინებლად დედოფლის გამოგზავნილ წამალს დალევს. სასახლის ექიმის მიერ დედოფლის თვალის ასახვევად საწამლავად შემზადებული წამალი ჯადოსნური იყო: იმოჯენი გარდაცვლილს დაამსგავსა ღრმა ძილით, შემდეგ კი გამოაფხიზლა. ამის შემდეგ შეხვდა იგი რომაელთა მხედართმთავარს.

ვიფქიას ზღაპართან მიმსგავსებულ ამ პასაჟში სხვა პარალელებიც შეინიშნება. კერძოდ, აშკარაა რემინისცენცია

რომეო და ჯულიეტას ამბიდან ჯულიეტას ჯადოსნურ წამალთან, დამინებასა და გაღვიძებასთან. არც ესაა მოულოდენლი, რამდენადაც მკვლევარები მიანიშნებენ *ციმბელინის* შექსპირის სხვა ნაწარმოებებთანაც მიმართებებზეც („მეფე ლირი“, „ოტელო“, „როგორც გენებოთ“).

ვაჟად გადაცმული იმოჯენის პაჟად გახდომა და სახელის შეცვლა (გადაცმული იმოჯენი სახელად ფიდელს დაირქმევს, რაც ლათინურად ერთგულს ნიშნავს) ისევ და ისევ ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერს* გაგვახსენებს (ბომონტისა და ფლეტჩერის პიესაშიც უფლისწულ ფილასტერზე შეყვარებული ქალიშვილი ევფრასია ვაჟურად გადაიცმევს) და ჩვენს საძიებელ პრობლემასთან – *ფილასტერისა* და *ციმბელინის* ურთიერთმიმართებასთან დაგვაბრუნებს. სწორედ ეს მიმართებებია არსებითი ჩვენი პრობლემის შემდგომი კვლევისათვის.

ციმბელინი და ფილასტერი. ვეფხისტყაოსანი

ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში დიდი ხანია უეჭველ თეზადაა მიჩნეული, რომ *ციმბელინის* ძირითად სიუჟეტურ ხაზში (იმოჯენის ცილისწამება) ბევრი ისეთი სიტუაციაა ჩართული, რომელთა პარალელები აშკარად სხვა წყაროებშია საძიებელი. ამ პარალელურ სიტუაციათა აბსოლუტური უმრავლესობა *ფილასტერზე* მოდის.¹ დღეისათვის არაა უარყოფილი ამ პარალელთა არსებობა, საკამათო მხოლოდ მათი მიმართულების და არსებობის სწორი ახსნაა. რამდენადაც, ჩემი აზრით, ისინი უმრავლეს შემთხვევებში საერთო ლიტერატურული წყაროდან მოდიან და ეს წყარო რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ისტორიაა, საკითხის შესწავლა ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოვლენილი *ციმბელინისა* და *ფილასტერს* შორის არსებული მიმართებების შესწავლით უნდა დავიწყოთ.

უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ახლახან ნახსენებ პარალელზე. *ციმბელინი*: ვაჟურად გადაცმული იმოჯენი თავისი ქვეყნიდან მიდის (გაიპარება) და პაჟად დაუდგება

¹ “To this Iachimo–Imogen story, however, Shakespeare added a dozen or so situations which are almost exact counterparts of situations in *Philaster*”[43, p. 154].

რომელთა მხედართმთავარს. *ფილასტერი*: ვაჟურად გადაცემული ეფერასია პაჟად დაუდგება ფილასტერს, რომელიც მას უყვარს. არ უნდა ჩავთვალოთ, რომ *ციმბელინი* ამ ეპიზოდში *ფილასტერი*თაა დავალებული. ვაჟურად გადაცემა *ციმბელინი*ში აშკარად ამ ეპიზოდის ძირითადი სიუჟეტური წყაროდან, *დეკამერონის* მითითებული ამბიდან მოდის: მეუღლის მიერ სასიკვდილოდ გამეტებული იმოჯენი მის მოსაკლავად მოგზავნილ მსახურს მოეთათბირება. მეფის ასული ვაჟურად ჩაიცვამს, სახელს გამოიცვლის და ქვეყნიდან გასასვლელად გზას გაუდგება. *დეკამერონშიც* (II, 9) მეუღლის მიერ სასიკვდილოდ გამეტებული მინევრა მის მოსაკლავად მოგზავნილ მსახურს სთხოვს, რომ მოკლულად გამოაცხადოს, მისი ტანსაცმელი ბატონს (მინევრას ქმარს) მიართვას. თვითონ კი ვაჟურად გადაიცვამს, სახელს გამოიცვლის, ქვეყნიდან წავა, მოსამსახურედ დაუდგება ჯერ ერთ აზნაურს, შემდეგ სულთანს. თუ ვაჟურად გადაცემისა და პაჟად (მოსამსახურედ) დადგომის ეპიზოდების მსგავსებას *ფილასტერსა* და *ციმბელინი*ში ერთმანეთთან კავშირი აქვს, *ფილასტერში* *ციმბელინის* გავლენა უნდა ვივარაუდოთ. ამჯერად ჩვენ ამ ეპიზოდების *ვეფხისტყაოსანთან* მიმართება გვანტერესებს. როგორც ვხედავთ, ვაჟურად გადაცემის პასაჟს *ციმბელინი*ში თავისი წყარო (*დეკამერონი*) აქვს; თუმცა *ვეფხისტყაოსნისათვის* უცხო არ არის ვაჟურად გადაცემის მოტივი: ფატმანი თავის სატრფოს განშორებულ მეფის ასულს, ნესტანს, ზღვათა ხელმწიფის სამეფოდან ვაჟურად გადაცემულად გააპარებს.

უმჯობესად მიმაჩნია, ამთავითვე ყურადღება შევაჩეროთ იმ უმთავრეს მიმართებებზე *ფილასტერსა* და *ციმბელინს* შორის, რაც ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში არსებითადაა მიჩნეული. ეს, უპირველეს ყოვლისა, სიუჟეტური მსგავსებაა. შექსპირის ბომონტსა და ფლეტჩერზე დამოკიდებულების საკითხზე უმთავრესი მონოგრაფიის (“The Influence of Beaumont and Fletcher on Shakespeare”) ავტორი აშლეი ჰ. თორნდაიკი გამორიცხავს რა იმ სპეციფიკურს, რაც თითოეულ სიუჟეტს – *ფილასტერსა* (მსუბუქი ყოფაქცევის პერსონაჟის მეგრას ამბავი) და *ციმბელინს* (ბრიტანეთის საისტორიო ნარატივი და პოსტუმუსის იტალიური თავგადასავალი) ახასიათებთ, კატეგორიულად განაცხადებს:

„მთლიანობაში კი, მიუხედავად ამისა, სიუჟეტები განსაცვიფრებლად მსგავსიაო“ (43, გვ. 152).¹

ინგლისური ტრაგიკომედიის ჟანრის მკვლევარი დევიდ ჰერსტიც მიუთითებს ამ ორი თხზულების სიუჟეტურ მსგავსებაზე: ცრუ ეჭვი მეფის ასულის პატიოსნებაში, ვაჟის ტანსაცმელში გადაცმული ერთგული შეყვარებული, ქვეყნიდან გადახვეწა, ტანჯვა, ყველაფრის მოგვარება და ბედნიერად დასრულება, დაპირისპირება სამეფო კარსა, სადაც ურთიერთობები ინტრიგით არის დაძაბული, და იმ გარემოს შორის, სადაც მიდის პერსონაჟი ბუნებასთან სიახლოვისათვის [27, გვ. 30]².

ეს დასკვნა პრინციპულად, თუმცა არა ასე კონკრეტულად, ძალაში რჩება XX საუკუნის ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაშიც. როგორც ზემოთ დავიმოწმეთ, ენდრიუ გური, *ფილასტერის* ტექსტის გამომცემელი და მეცნიერ-კომენტატორი, რომელიც არ მიიჩნევს ამ ორ თხზულებას ერთმანეთზე დამოკიდებულად, მაინც თვლის, რომ მათ შორის არის მცირე, მაგრამ საკვირველი სტრუქტურული მსგავსება [25, გვ. XXVIII].

პოზიცია, რომლის განხილვას მე შევეცდები, ამგვარია: რამდენადაც *ფილასტერის* სიუჟეტი *ვეფხისტყაოსნის* მიხედვითაა კონსტრუირებული, ამ პიესის სიუჟეტის მსგავსება *ციმბელინის* სიუჟეტთან მაფიქრებინებს, რომ *ციმბელინის* სიუჟეტის ის პასაჟები, რომლებიც *ფილასტერთან* ამყარებს მიმართებას, საერთო წყაროსთან – *ვეფხისტყაოსანთან* მიმართების კვალსაც უნდა ატარებდეს. ამ ვარაუდის დადასტურებას ვხედავ მე იმ პასაჟებში, რომლებზედაცაა მითითებული ამ ორი სიუჟეტის მსგავსების

¹ “The historical narrative and the Italian expedition of Posthumus have no parallels in *Philaster*, and most of the Megra affair and the rising of the mob in *Philaster* have no parallels in *Cymbeline*. In the main, however, the plots are strikingly similar.”

² დ. ჰერსტიც: “Certainly the two plays have several features in common. Both have a plot centring on false suspicions of infidelity; both present a faithful mistress disguised as a boy; both are concerned with exile, suffering and a final reconciliation in which all doubts are laid to rest; both contrast the court, where intrigue destroys relationships, with the country which brings the characters closer to nature and a true understanding of each other.”

დემონსტრირებისას. უფრო მეტიც, *ციმბელინის ფილასტერთან* საერთო სიუჟეტური პასაჟებით არა მხოლოდ ის ჩანს, რომ ამ საერთოთი ისინი *ვეფხისტყაოსანთან* ამყარებენ მიმართებას, არამედ ისიც, რომ თვით ამ პასაჟებში *ციმბელინის* ნიუანსური გადახრები *ფილასტერიდან* სიახლოვეს *ვეფხისტყაოსანის* სიუჟეტთან ამჟღავნებს. განვიხილოთ უფრო კონკრეტულად:

1. უმთავრეს სიუჟეტურ მსგავსებას *ფილასტერსა* და *ციმბელინს* შორის ხედავენ ძირითადი ამბის ანუ ფაბულის აგებულებაში, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ფაბულის დაგეგმვაში. ეს ღერძი საერთოა ორივე პიესისათვის: მეფეს მემკვიდრედ ჰყავს მხოლოდ ასული. მეფეს (ან მეფეს და დედოფალს) მისთვის შერჩეული და სამეფო კარზე მოყვანილი ჰყავს საქმრო. მემკვიდრე ასულს იგი არ უყვარს და მეფეს ეურჩება. მას უყვარს სამეფო კარზე ცნობილი და ყველა ნიშნით ღირსეული ვაჟი. ქალი არჩევანს აკეთებს სამეფო კარის სურვილის წინააღმდეგ [33; 43, გვ. 153]. კომენტარს დავიწყებ იმის კონსტატირებით, რომ ზუსტად იგივეა *ვეფხისტყაოსანში* ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბის ძირითადი ღერძი. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ პიესების ფაბულის ამ ძირითადი ღერძის ხორცშესხმა, ანუ სიუჟეტური განსახოვნება, ბუნებრივია, რომ ამ ორ პიესაში ნიუანსური სხვაობებით განვითარდება. მინდა პრინციპული ყურადღება მივაქციო იმას, რომ ერთმანეთისგან ამგვარი სიუჟეტური დაშორების ნიუანსებით როგორც *ფილასტერი*, ასევე *ციმბელინი* მაინც *ვეფხისტყაოსანის* სიუჟეტთან ამყარებენ მიმართებას, ამ შემთხვევებში აშკარად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

ფილასტერში მეფის მემკვიდრე ქალიშვილი არეტუზა შეიყვარებს უფლისწულ ფილასტერს, რომელსაც ტახტზე პრეტენზია აქვს, რამდენადაც ის არის შემოერთებული (დაპყრობილი) სამეფოს გარდაცვლილი მეფის ძე. *ციმბელინში* კი მეფის მემკვიდრე ქალიშვილი იმოჯენი შეიყვარებს სამეფო კარზე მასთან ერთად აღზრდილ, თავისი პიროვნული ღირსებებით სამაგალითო პოსტუმუსს. სიუჟეტის განვითარებაში განსხვავებაა. ფილასტერისეული განვითარება აშკარად *ვეფხისტყაოსანს* მისდევს: ტარიელი, რომელსაც ინდოეთის მეფის ერთადერთი ქალიშვილი ნესტანი შეიყვარებს, გაერთიანებულ ინდოეთთან შეერთებული სამეფოს მემკვიდრეა. საქმე ისაა, რომ *ციმბელინის* სიუჟეტური

განვითარებაც *ვეფხისტყაოსანს* მისდევს: პოსტუმუსი ბავშვობიდანვე შვილივითაა გაზრდილი ბრიტანეთის მეფის ციმბელინის მიერ, როგორც *ვეფხისტყაოსნის* ტარიელი ინდოეთის მეფის ფარსადანის მიერ. ფარსადანმა დაბადებიდანვე იშვილა ტარიელი, ხოლო ქალიშვილის – ნესტანის შემძენის შემდეგ ორივეს ერთად ზრდიდა. შექსპირის პიესის სიუჟეტით, პოსტუმუსის მამა, სიცილიუსი, რომელიც ბრიტანეთის მეფეების ერთგული მსახური იყო, პოსტუმუსის დაბადებამდე გარდაიცვალა, დედა კი ამ უკანასკნელის მშობიარობას გადაჰყვა. ახალშობილის მფარველობა იმთავითვე მეფემ იკისრა, თავად ზრდიდა¹; თავის ერთადერთ ქალიშვილთან, იმოჯენტან ერთად ზრდიდა (მოქმ. I, სურათი 1)². პიესის ფინალში სასახლეში დაბრუნებული ციმბელინის ვაჟი არვირაგუსი მას ძმასაც კი უწოდებს (V, 5)³. აშკარაა, რომ *ციმბელინის* სიუჟეტის ეს *ფილასტერისგან* განსხვავებული სპეციფიკა *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტს ემსგავსება.

ფილასტერისა და *ციმბელინის* ამ საერთო ფაბულური სტრუქტურის საწყისს ეტაპზე სხვა სიუჟეტური განსხვავებაც შეინიშნება: *ფილასტერის* მიხედვით ამბავი სამეფო კარზე, ერთი მხრივ, მეფის მიერ მოწვეული სასიძოს და, მეორე მხრივ, შეყვარებული წყვილის ამბების ფონზე ვითარდება. ქალი და ვაჟი ერთად გეგმავენ, როგორ იმოქმედონ (I, 2). სიუჟეტი ვითარდება სასიძოს კომპრომენტირების ოდა ჩამოშორების მიმართულებით. ამგვარი სიუჟეტური სტრუქტურა პარალელს *ვეფხისტყაოსანში* პოულობს: გადაწყდება სასიძოს მოწვევა, იგი ჩამოვა. ნესტანი და ტარიელი გეგმავენ როგორ მოიშორონ სასიძო. სიუჟეტი ვითარდება გეგმის სისრულეში მოყვანის გზით. *ციმბელინში* სიუჟეტის განვითარების სტრუქტურული ხაზი ამ ეტაპზე *ფილასტერს* არ მიჰყვება: შეყვარებულები

¹ "The King he takes the babe
To his protection, calls him Posthumus Leonatus
Breeds him and makes him of his bed-chamber,
Puts to him all the learnings that his time
Could make him the receiver of ..." [39, p. 14].

² "Imogen. Sir
you bred him as my playfellow" [39, p.18].

³ "Argivarus. You help us, sir,
As you did mean indeed to be our brother;
Joy'd are we that you are" [39, p. 145].

თავიანთ გადაწყვეტილებას სისრულეში მეფის თანხმობის გარეშე მოიყვანენ – შეუღლდებიან. განხეთქილება მეფესა და პოსტუმუსს შორის ამის შედეგად ხდება. რასაც პოსტუმუსის ქვეყნიდან გადახვეწა მოჰყვება (I, 1) და შემდგომი მოქმედებაც სასახლის და თვით ბრიტანეთის გარეთ ხდება. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის, რომ სიუჟეტის განვითარების ეს სტრუქტურული მონახაზიც *ფხისტყაოსნისეულია*. ნესტანისა და ტარიელის ამბავიც ამგვარად ვითარდება: კონფლიქტი მეფესა და ტარიელს შორის მას შემდეგ ხდება, რაც შეყვარებულები მეფის თანხმობის გარეშე ერთმანეთს სიყვარულს შეჰფიცებენ და თავიანთ გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანენ – სასიძოს ჩამოიშორებენ (მოკლავენ); რასაც მოჰყვება ტარიელის ქვეყნიდან გადახვეწა და მოქმედების შემდგომი განვითარება სამეფო კარის და თვით ქვეყნის გარეთ.

2. ძალზე მნიშვნელოვან სტრუქტურულ პარალელს *ფილასტერსა* და *ციმბელინს* შორის ორივე პიესაში ბუნების იდილიისაკენ სწრაფვაში და იდილიური სცენების სიმრავლეში ხედავენ. შენიშნულია, რომ ამ ორ პიესაში იდილიურ სცენებს ერთმანეთთან შემთხვევითზე მეტი მსგავსება აქვთ; მიუხედავად იმისა, რომ სათანადო პასაჟები ერთმანეთს არც თუ მჭიდროდ შეესატყვისებიან [43, გვ. 154]¹. მართლაც ამ შემთხვევაში მითითებული პარალელები სიტუაციურად ერთმანეთს არ ჰგვანან, მაგრამ გაიდეალება ბუნებაში ცხოვრებისა და ტყეში ხილული სცენებისა აშკარად შეინიშნება როგორც *ციმბელინში*, ასევე *ფილასტერში*. საკუთრივ *ფილასტერიდან* მითითებულია (43, გვ. 154) მთავარი პერსონაჟის ოცნება ტყეში იდილიურ ცხოვრებაზე, თავისი ხელით გამოთხრილ გამოქვაბულზე, იქ აგიზგიზებულ ცეცხლზე, თხების სიმჭიდროვეში ჩადგმულ საწოლზე და სამეფო ტახტისა და გვირგვინის დავიწყებაზე (IV, 3). მკვლევარი ა. თორნდაიკი *ფილასტერის* იდილიისადმი სწრაფვის დამონსტრირებისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გმირის მიერ ნადირობისას წყლის პირას

¹ “Although the resemblance is not so close, the idyllic scenes in *Cymbeline* have more than a chance likeness to those in *Philaster*” [43, p.154].

მტირალი ულამაზესი ჭაბუკის ხილვის სცენას (I, 2). როგორც ზემოთ უფრო დაწვრილებით აღვწერთ, ეს სცენა უშუალოდ ეხმიანება (უმჯობესია ვთქვათ: გადმოტანა) *ვეფხისტყაოსნის* ერთი, მკითხველთა შორის ყველაზე პოპულარული, იდილიური ხილვისა: ნადირობისას წყლის პირას მჯდომარე და მტირალი ზღაპრული სილამაზის უცხო მოყმის ნახვისა. არ გავამახვილებ ყურადღებას იმაზე, რომ ფილასტერის მიერ გამოქვაბულის გამოთხრასა და შიგ ცხოვრებაზე ოცნებაც *ვეფხისტყაოსნის* მთავარი გმირის გამოქვაბულში ცხოვრების რემინისცენციად შეიძლება მიგვეჩნია. დავუბრუნდეთ შექსპირის პიესას. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებაში, ტყეში ცხოვრების იდილია შექსპირის შემოქმედებისთვის საზოგადოდ დამახასიათებელია, პრინციპული მნიშვნელობისაა შემდეგი ფაქტი – *ფილასტერის* ამ იდილიური სცენების პარალელად *ციმბელინში* მითითებულია [43, გვ. 154] ბომონტისა და ფლეტჩერის პიესისაგან სიუჟეტურად განსხვავებული, მაგრამ ასევე ბუნებაში ცხოვრების იდილიის ამსახველი სიუჟეტური პასაჟი: ბელარიუსი, მეფე ციმბელინის მიერ სასახლიდან ცილისწამებით განდევნილი უერთგულესი დიდებული, რომელმაც შურისძიების გამო მეფის მცირეწლოვანი ვაჟები გაიტაცა და მეფე უმემკვიდრეოდ დატოვა, უკვე ოცი წელია ცხოვრობს უკაცრიელ მთებსა და კლდეებს შორის, გამოქვაბულში; ზრდის უფლისწულებს და საზრდოობენ ნანადირევით. მათთან ერთად გარდაცვალებამდე იყო სასახლიდან წამოყვანილი უფლისწულების გადია. მეფესთან წაკიდებული, სასახლიდან გამოქცეული გმირის წლების მანძილზე მიუვალ კლდეთა შორის გამოქვაბულში ცხოვრება, სასახლიდან წამოყვანილ მსახურ ქალთან ერთად და ნანადირევით საზრდოობა – ეს *ვეფხისტყაოსნის* ნარატივის ერთი უმთავრესი თავისთავადობაა.

3. ყურადღება მინდა შევაჩერო კიდევ ერთ სიუჟეტურ მსგავსებაზე *ფილასტერსა* და *ციმბელინს* შორის, რომელზედაც ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა ერთხმად მიუთითებს. ესაა შეყვარებულთა სახიფათო თავგადასავლების ბედნიერი დასასრული. სწორედ ეს ბედნიერი დასასრული (Happy end) ითვლება ბომონტისა და ფლეტჩერის უმთავრეს ინოვაციად, რომელიც მათ XVI საუკუნის დასასრულის ინგლისის თეატრალურ სცენაზე გაბატონებული ტრაგედიების ჟანრის

წიაღში ერთბაშად შემოიტანეს და მყისიერი პოპულარობა მოუპოვეს. ბომონტთან და ფლეტჩერთან ეს სტილი ერთბაშად, ერთმანეთის მომდევნო რამდენიმე პიესაში გამოჩნდა (*ვილასტერი, მეფე და არა მეფე, ქალიშვილის ტრაგედია*). ამიტომაცაა მიჩნეული, რომ შექსპირის *ციმბელინი* ამ ბედნიერი დასასრულითაც ბაძავს *ვილასტერს* [43, გვ. 100-101, 158]. მართლაც, ამ ორივე – ერთი მხრივ შექსპირის, ხოლო მეორე მხრივ ბომონტისა და ფლეტჩერის – პიესაში დრამატული თავგადასავლები, გათამაშებული შეყვარებული წყვილის და მათ გასათიშად მეფის მიერ შემოთავაზებული სასიძოს წრეში, შეყვარებულთათვის ბედნიერად მთავრდება: სასიძოს ჩამოშორება ხდება, შეყვარებულ წყვილს სამეფო კარი მიიღებს. ანალოგიურია სიტუაცია *ვეფხისტყაოსანშიც*, რომელიც ამგვარი ბედნიერი დასასრულით *ვილასტერის* უშუალო წყაროა, ისევე როგორც იმავე ავტორების *მეფე და არა მეფესი*. სიუჟეტის ამგვარი ფინალით შექსპირის *ციმბელინი* მისდევს უშუალოდ *ვეფხისტყაოსანს* და არა *ვილასტერს*. *ვილასტერი* რომ უშუალოდ *ვეფხისტყაოსანს* ემსგავსება, ამაში ეჭვის შეტანა აღარ შეიძლება. ორივე ნაწარმოებში ზუსტად ანალოგიური სიტუაციაა: სამეფოს ორ მემკვიდრეს – მეფის ერთადერთ ქალიშვილს და შემოერთებული სამეფოს უფლისწულს ერთმანეთი უყვართ. მეფეს სურს ქალიშვილს დაუტოვოს ტახტი და ზედსიძედ მოიწვევს მეზობელი ქვეყნის მეფის შვილს. ფინალში სასიძოს ჩამოიშორებენ, წყვილი შეუღლდება. *ციმბელინიშიც ვეფხისტყაოსნის* მსგავსი სამკუთხედია: მეფის ერთადერთ ქალიშვილს უყვარს მეფის მიერ ქალიშვილთან ერთად აღზრდილი ღირსეული ქვეშევრდომი (ზუსტად ამგვარი იყო *ვეფხისტყაოსნის* ტარიელის ბავშვობაც). მეფე ქალიშვილს სასახლის კარზე მყოფ სხვა საქმროს სთავაზობს, რომელიც დედოფლის შვილია და, ამდენად, ტახტის მემკვიდრე ქალიშვილისთვის უფრო შესაფერისი საქმრო. ფინალი ბედნიერია – სასიძოს ჩამოიშორებენ; მეფე შეყვარებულებს დალოცავს. მაგრამ *ვილასტერსა* და *ციმბელინს* შორის ამ კონფლიქტის გადაწყვეტაში არის სხვაობა: *ვილასტერის* მიხედვით, მოწვეულ სასიძოს დააბრუნებენ თავისსავე ქვეყანაში. *ციმბელინის* მიხედვით კი სასიძოს კლავენ. ამ სიუჟეტურად უმნიშვნელოვანესი დეტალით *ციმბელინი* უშუალოდ

ვეფხისტყაოსანს ემსგავსება: ტარიელი კლავს სამეფო კარზე ჩამოსულ სასიძოს.

ვფიქრობ, დასკვნა ჩატარებული ექსკურსიდან არაორაზროვანია: *გილასტერსა* და *ციმბელინს* შორის არსებული ამკარა სიუჟეტური მსგავსებით, რომელზედაც ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა მიუთითებს, ეს პიესები ემსგავსებიან *ვეფხისტყაოსნის* ნესტანისა და ტარიელის ამბავს. უფრო მეტიც, ამ ორი პიესის თვით ეს მსგავსი სიუჟეტური პასაჟები ერთმანეთს შორის ამჟღავნებენ სპეციფიკურ გადახრებს. ეს გადახრები როგორც ერთი, ასევე მეორე პიესისა უშუალო პარალელს ავლენენ ისევ *ვეფხისტყაოსანთან*. მაშასადამე, სტრუქტურა თითოეული პიესის სიუჟეტისა კავშირს ამყარებს რუსთველის პოემასთან, თანაც უშუალოდ და არა მეორე პიესის მეშვეობით.

ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა ამ ორი პიესის მსგავსებაზე მსჯელობისას სიუჟეტურ პარალელებზე არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს თხზულებათა საერთო, ერთგვაროვან ლიტერატურულ სტილს. ამას კი, როგორც ზემოთ ჩემ მიერ დამოწმებული თვალსაზრისების ციტირებისას გამოჩნდა, უპირველეს ყოვლისა, ორივე მათგანში გამოძვინებული რომანულ ტრადიციაზე დამოკიდებულებაში ხედავენ [25, გვ. XXVIII]. თანაც ისიც გასაოცრად და ძნელად ასახსნელადაა მიჩნეული, რომ ამ პიესებში მოხდა იმ პერიოდის დრამატურგიაში აპრობირებული და დამკვიდრებული სტილის შეცვლა: მოხდა აღდგენა ინტერესისა ათეული წლების წინ მივიწყებული რომანტიკული დრამისადმი [25, გვ. XLVI]¹, იმ ტიპის რომანტიკული სტილისა, რომელიც ადრერენესანსის ეპოქის ინგლისური ლიტერატურისთვის იყო დამახასიათებელი. ეს ახლებური რომანტიკული სტილი, რომელიც თავისი დამკვიდრების პიკს 1608-10 წლებში აღწევს (*გილასტერი, ციმბელინი, მეფე და არა მეფე...*), რამდენიმე თემატურ, სიუჟეტურ და კომპოზიციურ ფაქტორს ეყრდნობა, რომელთაგან თითოეული ევროპული ლიტერატურული

¹ ე. გური: "A more plausible, if vaguer, answer might be found in the changing taste of the time, a renewal of interest in the romantic drama which had been quiescent a dozen years".

პროცესისათვის აბსოლუტური სიახლე არ არის. მაგრამ ისინი ერთად და ერთბაშად შემოტანილი და დამკვიდრებული ინგლისის თეატრალურ სცენებზე, უმნიშვნელოვანესი ინოვაცია აღმოჩნდა და თანდათანობით ახალი ჟანრის – ტრაგიკომედიის ჟანრის პოპულარულ სქემად იქცა. აი, რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი, რომელზედაც მიუთითებენ XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისური დრამის სიუჟეტურ ინოვაციებზე მსჯელობისას; კერძოდ კი, რაც ამჯერად ჩვენ უფრო გვინტერესებს – *ვილასტერისა* და *ციმბელინის* ლიტერატურული სტილის საერთო მახასიათებლებზე მსჯელობისას:

უპირველეს ყოვლისა ესაა რომანული ინტრიგა, რომელიც გათამაშდება სამეფო კარზე [შდრ. 25, გვ. XLVIII], თანაც მიმართებაში ტახტის მემკვიდრეობის საკითხთან. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს *ვილასტერის* ტექსტის გამომცემლისა და კომენტატორის შენიშვნა: ფლეტჩერის ადრინდელი პიესის (*ერთგული მწყემსი ქალი*) სამოქმედი გარემო – სოფლის პასტორალური ადგილები – *ვილასტერში* გადაიქცევა სამონადირეო ტერიტორიად და მწყემსი პერსონაჟების სიყვარული დინასტიურ პრობლემებად და სიყვარულად სამეფო კარზე და ტახტის მემკვიდრეებს შორის [25, p. XLVIII-XLIX]¹. შექსპირის *ციმბელინშიც* იგივე ტენდენცია ჩანს.

შემდეგ: happy end ანუ ბედნიერი დასასრული მრავალ წინააღმდეგობისა და ინტრიგების გარემოში გამოტარებული სენტიმენტალური შეფერილობის სიყვარულისა. უფრო კონკრეტულად: შეყვარებული პერსონაჟის ჰეროიკული და თან სენტიმენტალური ტიპი, რომელიც მზადაა თავისი სიყვარულისთვის ყველაფერი გაწიროს [43, გვ. 106]; სენტიმენტალური, ტრაგიზმისკენ მიდრეკილი სიყვარული, გამოვლენილი იდილიური და დაუჯერებელი მოვლენების გარემოცვაში [43, გვ. 101, 107, 157].

¹ ე. გური: “What is important about this is the change in setting; the pastoral countryside of the first play [*The Faithful Shepherdess* - E.K.] becomes the hunting country of *Philaster*, and the concerns are not the loves of literary shepherds but the loves and related dynastic complications of princes and courts”.

და კიდევ: სამეფო კარზე დაწყებული მოვლენების ტყეებში, მთებში განვითარება. ტრაგიზმის მოხსნა: სასიკვდილო განაჩენისა თუ დასასრულისკენ წარმართული სიტუაციების განტვირთვა. კომიკური, მსუბუქი სცენების შემოტანა.

ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში ჩანს ამგვარი სტილის დამამკვიდრებელი სიუჟეტური წყაროების ძიებაც. კერძოდ, კლასიფიცირებულია და ახალ ლიტერატურულ სტილთან მიმართებით განხილულია XVII საუკუნის პირველი წლების თეატრალური რეპერტუარი, როგორც ტრაგედიები, ასევე კომედიები. ახალი ლიტერატურული სტილი, რომელიც ჩანს ბომონტისა და ფლეტჩერის *ვილასტერში*, *მეფე და არა მეფეში*, *ქალიშვილის ტრაგედიაში* და შექსპირის *ციმბელინში*, ემიჯნება ყველა მათგანს [43, გვ. 97-104]. ამიტომაცაა მიჩნეული, რომ ეს სტილი შექმნილია ან ბომონტის და ფლეტჩერის, ან შექსპირის მიერ [43, გვ. 108]¹. ამავე დროს ისიც შენიშნულია, რომ შექსპირი ტრაგედიებიდან რომანტიკულ დრამაზე გადასვლით გაემიჯნა არა მხოლოდ საკუთარ უკანასკნელი ათწლეულის, არამედ მთელ იმდროინდელ ინგლისის თეატრალურ პრაქტიკას [43, გვ. 107]². ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ არც ბომონტის, ან ფლეტჩერის დამოუკიდებელ პიესებში, ანუ მათ *ვილასტერამდელ* შემოქმედებაში ჩანს ეს ახალი რომანტიკული სტილი [43, გვ. 104-105]. ამ სტილით ისინი გაემიჯნენ მათ თანამედროვე თეატრალურ და დრამატულ პრაქტიკას [43, გვ. 108]. ბომონტისა და ფლეტჩერის ადრინდელი პიესების სტილი იყო შექსპირისეული მანერით დრამატიზირება ძველი ამბებისა. *ვილასტერით* დაწყებული ახალი სტილი კი ემორჩილება არა შექსპირისეული დრამის, არამედ რომანის პროზაულ ლიტერატურულ კანონებს [25, გვ. XXIX].¹

¹ "So far as they (romances - E.K) constitute a development of a new type of drama, that development seems to have been the work of Beaumont and Fletcher or Shakspeare."

² "We are justified in concluding that when in 1609 Shakspeare turned from tragedy to romance he not only departed from his practice of the past eight years, but also from the practice of his contemporaries during that period".

¹ "Few of the earlier Beaumont and Fletcher plays are concerned to give dramatized renderings of old stories in the Shakespearean manner". რაც შეეხება *ვილასტერს*, იქ

ეს მოკლე ექსკურსი ინგლისის თეატრალურ სცენებზე XVII საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოს დამკვიდრებული ახალი ლიტერატურული სტილის - ტრაგიკომედიის ჟანრის დახასიათებისა მიუთითებს, რომ ინოვაციას 1608-1610 წლების ინგლისური დრამისა (*ვილასტერი, ციმბელინი, მეფე და არა მეფე*) იმდროინდელ თეატრალურ ტრადიციაში სიუჟეტური და თემატური წყარო არ ეძებნება. მეორე მხრივ, უკანასკნელი წლების ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებებით გამოვლენილი მიგნება იმის თაობაზე, რომ ბომონტისა და ფლეტჩერის ეს ორი პიესა (*ვილასტერი და მეფე და არა მეფე*) ძირითად სიუჟეტურ ღერძად რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* ფაბულას იყენებს, გვაფიქრებინებს, რომ იგივე *ვეფხისტყაოსანი* შეიძლება იყოს ის სიუჟეტური წყარო, რომელსაც ეს ინოვაცია მოაქვს შექსპირის *ციმბელინიც*. მართლაც, ზემოთ მითითებული ყველა თავისებურება XVII საუკუნის პირველი ათწლეულის ინგლისური დრამისა *ვეფხისტყაოსნის* თემატური და სიუჟეტური მახასიათებელია. კერძოდ:

სასიყვარულო ისტორია სამეფო კარის ერთადერთ მემკვიდრე ქალსა და იმავე კარის ღირსეულ ქვეშევრდომს შორის - არის *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტის ორივე პარალელური ამბის (ინდოეთისა და არაბეთის სამეფო კარების) თემატური საგანი. ორივე ამბავი *ვეფხისტყაოსანში* დაკავშირებულია ტახტის მემკვიდრეობის საკითხთან. ისევე როგორც *ციმბელინიში*, რუსთველის პოემის ძირითად რომანულ ისტორიაში (ნესტანის და ტარიელის სიყვარულის ამბავში) სამეფო კარზე დაწყებული რომანული ინტრიგა გადადის უკაცრიელ გარემოში - ტყეში, მთებში, უდაბნოში და, ისევე როგორც ინგლისურ პიესებში, პერსონაჟთა მნიშვნელოვანი ასპარეზი მონადირეობაა.

ვეფხისტყაოსნის შეყვარებული პერსონა არის სწორედ იმგვარი თვისებების მქონე ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც ინოვაციურადაა მიჩნეული ინგლისური დრამის რომანული სტილისთვის: ესაა ტრაგიზმისაკენ მიდრეკილი სენტიმენტალური შეფერილობის სიყვარულით შეპყრობილი

კი "The conventions are those of prose romance literature, not of Shakespearean drama [25. P. XXIX].

ჰეროიკული პერსონაჟი, რომელიც მზადაა ამ სიყვარულისთვის ყველაფერი გასწიროს და ამავე დროს იბრძვის მისი (ამ სიყვარულის) გადარჩენისთვის (ნესტანი).

ვეფხისტყაოსნის სიყვარულის ამბის დასასრული ბედნიერია. მსგავსად ინგლისური ტრაგიკომედიებისა. ნესტანისა და ტარიელის სიყვარულია მრავალ წინააღმდეგობასა და ინტრიგების გარემოში გამოტარებული ბედნიერი დასასრულის მქონე სენტიმენტალური სიყვარული.

ამგვარად, XVII საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოს, ერთი მხრივ, ბომონტისა და ფლექტერის, ხოლო მეორე მხრივ, შექსპირის ახალი სტილის პიესებში გამოვლენილი რომანული ტრადიცია, ყველა პრინციპული იდეურ-თემატური ნიშნით, რომელზედაც მიუთითებს ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა, არის *ვეფხისტყაოსნის*, გვიანდელი შუასაუკუნეების სარაინდო რომანის, მახასიათებელი სიუჟეტური და კომპოზიციური სპეციფიკა.

ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკასთან მიმართებით საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე მითითება. *ციმბელინისა* და *ფილასტერის* პარალელური კვლევის შედეგად, რომელსაც საუკუნოვანი ისტორია აქვს, ის აზრი ჩამოყალიბდა, რომ ამ პიესების სიუჟეტური წყარო სავარაუდოდ, უნდა იყოს პროზაული რომანი. ერთი მხრივ, როგორც ზემოთ მიუთითებდით, გამოთქმული იყო აზრი, რომ ეს ორი პიესა უშუალოდ არ უნდა ესესხებოდნენ ერთმანეთს. ისინი ორივენი ერთ საერთო წყაროსთან უნდა ამყარებდნენ კავშირს [25, XXVIII]. მეორეც, უშუალოდ *ფილასტერის* წყაროების კვლევამ იგივე ავტორი უაღრესად საინტერესო დასკვნამდე მიიყვანა: ენდრიუ გური ფიქრობს, რომ ამ ნაწარმოების პერსონაჟთა ქცევის ნორმები არის პროზაული რომანის ჟანრის ტიპისა და არა შექსპირისეული დრამის ტიპის; და ეს პერსონაჟები, თითქოს, ემსახურებიან რაღაც სიუჟეტის განსახიერებას ნაცვლად იმისა, რომ თვითონ სიუჟეტი ემსახურებოდეს პერსონაჟთა ხატვას [25, გვ. XXIX].¹ მაშასადამე - აგრძელებს მკვლევარი, პიესის მატერიალურ

¹ “Instead of a plot serving as vehicle for the ‘personation’ of character..., the characters are set in patterns to serve the plot. The conventions are those of prose romance literature not of Shakespearean drama” [25, p. XXIX].

წყაროებს პროზაული რომანის ნორმები იძლეოდა... ამ წყაროების უპირველესი პრიორიტეტი იყო გულდასმით შემუშავებული ამბავი, რომელიც ოპერირებს ან მუშაობს, როგორც ფართო და კომპლექსური მორალური პარადიგმა.² პერსონაჟები ბომონტისა და ფლეტჩერისა ფუნქციონირებენ მსგავს და საკმაოდ ელემენტარულ დრამატულ დონეზე. პიესები უფრო დრამატიზაციაა, ვიდრე დრამები.³

ფილასტერის ტექსტის გამომცემლის მიერ ნავარაუდევო ეს პროზაული რომანი, თანახმად ჩემი კვლევა-ძიებისა, არის ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავი რუსთველის *ვეფხისტყაოსნიდან*.

კიდევ ერთხელ შევაჯამოთ ჩატარებული კვლევა-ძიება:

1. ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა ბომონტისა და ფლეტჩერის ე.წ. ახალი სტილის პიესების, კერძოდ *ფილასტერის* მხატვრულ სტილზე დაკვირვებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს უკანასკნელი არის რომანის დრამატიზაცია, რომელიც პროზაული რომანის სიუჟეტურ ქარგაში დრამატული პერსონაჟების ჩასმა. უკანასკნელი წლების ძიებებმა, როგორც ზემოთ ვამტკიცებდით, დაადასტურა ეს ვარაუდი: ეს რომანი არის *ვეფხისტყაოსანი*.

2. უკვე საუკუნეზე მეტია ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა იკვლევს იმ მსგავსებებს, რასაც ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერი* და უილიამ შექსპირის *ციმბელინი* ერთმანეთის მიმართ ამჟღავნებენ. იმავე ლიტერატურული კრიტიკის დასკვნა ამ მიმართულებით ისაა, რომ ორივე პიესა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად რომელიც სხვა პიესასთან (მე დავაზუსტებდი: სხვა სიუჟეტურ ქარგასთან) ამყარებს კავშირს. როგორც ზემოთ ვამტკიცებდით, ეს სხვა ლიტერატურული ქარგა არის *ვეფხისტყაოსნისეული* ტარიელისა და ნესტანის რომანი.

3. ამ თხზულებათა პარალელური შესწავლა უცილობლად ადასტურებს, რომ *ფილასტერისა* და

² " The conventions of the prose romance accordingly provided the material sources of the play... The first priority of these sources is a carefully designed story which will operate as a vast and complex ... moral paradigm" [25, p. XXX].

³ "...but their characters do function on a similar, fairly elementary dramatic level. They are dramatizations rather than dramas [25, p. XXIX].

ციმბელინის მსგავსი სიუჟეტური ადგილები, თავიანთი ნიუანსური განსხვავებებითაც კი, ვეფხისტყაოსანთან ამყარებენ მიმართებას.

ამგვარად, ვეფხისტყაოსანი არა მხოლოდ ბომონტისა და ფლეტჩერის პიესების, არამედ უილიამ შექსპირის ციმბელინის სიუჟეტური წყაროცაა.

P.S. წინამდებარე გამოკვლევის მეორე ნაწილი დაიბეჭდება ჟურნალ „ქართველოლოგი“ მომდევნო ნომერში. - ე.ბ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბადრიძე, შ., კენჭოშვილი, ი., „ტიტუს ანდრონიკუსი – თამარი თუ ტამორა“: *ქართული შექსპირიანა*, 3. თბ. 1972, გვ. 88–103.
2. ბარამიძე, ა., „ნესტანი“: *ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, I, თბ. 1945, გვ. 181–203.
3. ბერიძე, ვ., *მოგონებები*. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1987.
4. გოგიაშვილი, გ., „მივიწყებული წარსულის საიდუმლო“: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ #232, 14 დეკემბერი 2010წ.
5. ნოზაძე, ვ., *ვეფხისტყაოსნის მზისმეტყვეება*. სანტიაგო დე ჩილე, 1957.
6. სულხან-საბა ორბელიანი, *თხზულებანი*, IV.2. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1966.
7. ყიასაშვილი, ნ., „შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება“: *უილიამ შექსპირი, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად*, I. „ხელოვნება“, თბ. 1983. გვ. I-XXXII.
8. შექსპირი, უილიამ, *პერიკლე, მეფე ტვიროსისა. ციმბელინი* (თამარ ერისთავის თარგმანი). „პალიტრა L“, თბილისი 2013.
9. ხინთიბიძე, ე., *ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში*. „ქართველოლოგი“, თბ. 2003.
10. ხინთიბიძე, ე., „ვეფხისტყაოსნის უძველესი კვალი ევროპულ ლიტერატურაში“: *ჟურნ. ქართველოლოგი*, #14, 2007.
11. ხინთიბიძე, ე., *ვეფხისტყაოსანი შექსპირის ეპოქის ინგლისში*. „ქართველოლოგი“, თბ. 2008.
12. ხინთიბიძე, ე., *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო*. „ქართველოლოგი“, თბ. 2009.
13. ხინთიბიძე, ე., „რუსთაველის ვეფხისტყაოსანი – კულტურული ხიდი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სეფიანთა ირანის ქართველები“: *ჟურნ. ქართველოლოგი*, #16, 2011.

14. ხინთიბიძე, ე., „ვეფხისტყაოსანი XVII საუკუნის ინგლისში“: *მეექვსე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები*, თბ. 2011.
15. ხინთიბიძე, ე., „გზა – რომლითაც უნდა მისულიყო ვეფხისტყაოსნის ამბავი XVI-XVII საუკუნეების მიჯნის ინგლისში“: *საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები (ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები)*. თბ. 2012.
16. Adler, J.G., *Museum cuficum Borgioanum Velitris. Romae* 1782.
17. Alter, F.K., *Über georgianische Literatur*. Wien 1798.
- 17a. Bacon, D.S., *The philosophy of the plays of Shakespeare*. N.Y. 1856.
18. Beaumont, Francis and Fletcher, John; *Philaster or, Love lies a-bleeding* (edited by Andrew Gurr). Manchester University press, Manchester and New York, 2003.
19. Болховитинов, Евгений, *Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном её состоянии*. СПб 1802.
20. “Cymbeline”: <<http://en.wikipedia.org/wiki/Cymbeline>>.
21. Debelius, W., “Zur Stoffgeschichte des Titus Andronikus”: *Jahrbuch der deutschen Shakespeare – Gesellschaft*, #48, 1912, S. 1-12.
- 21a. Demblon, C., *Lord Rutland est Shakespeare*, Paris 1912
22. Dryden, John, “The Grounds of Criticism in Tragedy”: *The Works of John Dryden*, V-VI (Edited by Walter Scott). London 1808.
23. “Francis Bacon” – <<http://en.wikipedia.org/wiki/Francis-Bacon>>.
24. Ghani, C., *Shakespeare, Persia, and the East*. “Mage Publishers”, Washington 2008.
- 24a. Гилилов И., - *Игра об Уильяме Шекспире, или Тайна великого феникса*, Москва 1997.
25. Gurr, A., “Introduction”: *Philaster or, Love Lies A-Bleeding* (by F.Beaumont and J.Fletcher). Edited by Andrew Gurr. Manchester University press, Manchester and New York 2003, pp. XIX-LXXXIII.
26. Hight, G., *The Classical Tradition*. Oxford University Press, 1949.
27. Hirst, D., L., *Tragicomedy*. “Methuen”, London and New York 1984.
28. Hoeniger, F.D. “Two Notes on Cymbeline”: *Shakespeare Quarterly*, Vol. 8, No. 1 (Winter, 1957).
29. Khintibidze, E., *Rustaveli’s The Man in the Panther Skin and European Literatur*. “Bennett and Bloom”, London 2011.
30. Khintibidze, E., “Rustaveli’s The Man in the Panther Skin: Cultural Bridge from East to West”: *Georgia. Previous Experiences Future Prospects*. Tehran 2011.

31. Kokeritz, H., 'Five Shakespeare Notes': *The Review of English Studies*, OS-XXIII (92), Oxford University Press 1947.
32. Курошева, А.И., «Примечания»: *Уильям Шекспир, Полное собрание сочинений, в восьми томах*, т. VII (Цимбелин. Перевод и Примечания А.И. Курошевой). М. 1949.
33. Leonhardt, B., "Über Beziehungen von Beaumont und Fletcher's *Philaster, or Love Lies-a-Bleeding* zu Shakespeare's *Hamlet* und *Cymbeline*": *Anglia*, vol. 8. 1885.
34. Milner, C., "Shakespeares Tragic Comedies. Cymbeline":
<<http://www.netplaces.com/shakespeare/shakespeares-tragic-comedies/cymbeline.htm>>
35. Nosworthy, J. M., "Preface in Cymbeline: Second Series":
<http://books.google.com/books?id=mxGM3uMrNZ8C&pg=PR24>.
36. Perry, William, *A New and Large Discourse of the Travels of Sir Anthonie Sherley, Knight by Sea and Overland to the Persian Empire*. London 1601.
37. Ristine, F.H., *English Tragicomedy. Its Origin and History*. The Columbia University Press 1910.
38. Rustaveli, Shota, *The Man in the Panther's Skin*, (a close rendering from the Georgian by Marjory Scott Wardrop). London 1912.
39. Shakespeare, William, *Cymbeline*. 'Tredition Classics' (Publisher: tredition GmbH), Hamburg.
40. Sherley, Antony, *Relation of His Travels into Persia*. (Printed for Nathaniell Butter and Ioseph Bagfet), London 1613
41. Strachey, L., *Books and Characters*. Harcourt, Brace; New York 1922.
42. "The Drama to 1642": *The Cambridge History of English and American Literature* (In 18 volumes), 1907-1921, Vol. V; Vol. VI.
43. Thorndike, Ashley H., *The Influence of Beaumont and Fletcher on Shakspeare*. Press of Oliver B. Wood, Worcester, Massachusetts 1901.
44. Tomalin, C., *Samuel Pepys. The Unequalled Self*. 'Penguin Books', 2003.
45. Toussaint, F., *Chants d'amour et de guerre de l'Islam*. Marseille 1942.
46. Waith, E.M., The pattern of Tragicomedy in Beaumont and Fletcher. "Archon Books", 1969.
47. Wells, S. and Dobson, M., eds., *The Oxford Companion to Shakespeare*. Oxford University Press, 2001.

The Man in the Panther Skin – Shakespeare’s Literary Source

Elguja Khintibidze

Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Head of the University’s Institute of the History of Georgian Literature. Head of the Fund for Kartvelian Studies.

Abstract: The present study is the first publication of research that resulted in significant innovation both in Rustaveli studies and English literary criticism: Rustaveli’s *MPS* (“The Man in the Panther Skin”) is the literary source of Shakespeare’s play *Cymbeline*.

The fact that the *MPS* was used as a plot story in early 17th century English dramaturgy, namely in the plays of Francis Beaumont and John Fletcher (*A King and No King*, *Philaster*) was dealt with in my earlier study. Further research into this topic led me to new conclusions. The point is that back in the 19th century a plot, thematic and ideal similarity was noticed between Beaumont and Fletcher’s *Philaster* and Shakespeare’s *Cymbeline*. In the opinion of modern researchers, these resemblance must derive from a common literary source. My discovery of the *MPS* being the plot story of *Philaster*, hitherto unknown to English literary criticism, prompted me to the need of studying the relationship of Shakespeare’s *Cymbeline* to the *MPS*. It transpired that the common source of the resemblance, noticed between *Cymbeline* and *Philaster* in English literary criticism, is the story of Rustaveli’s Nestan and Tariel. Furthermore, the subtle differences found between similar passages of Shakespeare’s *Cymbeline* and *Philaster* by Beaumont and Fletcher are again related to *MPS*. The present issue of the *Kartvelologist* carries only the first part of the study.

Key words: *Rustaveli; Shakespeare; Beaumont and Fletcher; The Man in the Panther Skin; Cymbeline; Philaster;*

Pro domo mea

The 12th century Georgian poet, Queen Tamar’s eulogist Chakhrukhadze develops a messianic conception in his

“Thamariani”: Thamar is a rescuer, messiah of the kingdom of the Georgians, the Georgian kingdom - of Christianity and Christianity - of mankind. Thamar is a rescuer, messiah. One stanza of the poem reads: “I said pale with fear”. I take these words to mean the great responsibility with respect to the statement. My personal responsibility is enhanced by the fact that I, a Georgian researcher, intend to reveal and assert a hitherto absolutely unknown fact of Shakespeare, the peak of the world’s literary thought, having looked into the national treasury of my nation. Will this not be taken by scholarly circles, primarily by foreign Shakespearian scholars, as a patriotic desire, excitement and overstatement? Following in the wake of my great teacher Korneli Kekelidze, I have always tried to be exempt from such charges in my scholarly activity. I recall the words of another outstanding Georgian Giorgi Merchule: “Wise speech is pure silver, while silence is gold”. Perhaps it is better to “leave trouble alone”, the more so as silence costs so much? I think I have no right to “leave trouble alone” and fall silent in fear of “what if” regarding the views that have taken shape in my philological research of recent years and which I believe to be so important both for reading the unknown pages of the Georgian creative genius and for the interpretation of a highly significant issue of English literary criticism.

On the history

In European literature of Shakespeare’s time Georgia or a Georgian character – historical or fictional - occurs very seldom. The situation alters from the last period of Shakespeare’s activity. A point of view exists in European literary criticism according to which a character of Shakespeare himself, Queen Thamora in the tragedy *Titus Andronicus*, must have been given the name of the Georgian Queen Tamar [see 21; 26, p. 194]. However, this view has a negative assessment in Georgian literary criticism [1]. In connection with *The Man in the Panther Skin*, Shakespeare’s name was mentioned by an English MP, Emrys Hughse in his speech at a festive meeting dedicated to Rustaveli’s 800th anniversary in 1966. He said: “Regrettably, I do not speak Georgian but I shall speak in Shakespeare’s language. As a matter of fact, from one point of view, Shakespeare was uneducated; he did not know about the existence

of Rustaveli, had he known it, he would have borrowed or stolen the plot of *The Man in the Panther Skin*" [3, p. 376]

The assumption that Shakespeare was acquainted with *MPS* followed my finding that the *MPS* is the source plot of two plays of Francis Beaumont and John Fletcher: *A King and No King* and *Philaster*, both playwrights belonging to Shakespeare's period. However, such bold thoughts were based on the argument that, as the *MPS* was used by Shakespeare's junior contemporaries, it must have been known to Shakespeare as well, who had great knowledge and used numerous sources [4].

Interpretation of the possibility of posing the problem

Indeed, Shakespeare uses a vast number of literary and historical sources and, as seen from his work, he is familiar with much more. But I considered it possible to pose the question of his possible relation to the *MPS* after two significant conclusions followed my above-mentioned research. Various assumptions on the arrival of the story of *MPS* reaching Europe earlier than is pointed out in the surviving evidence were expressed immediately with my assertion on the use of the story of Tariel and Nestan in the works of Beaumont and Fletcher [10, pp. 95-98; 11, pp. 35-39; 29, pp. 70-71]. But study of this question on the basis of primary sources has led me to a more categorical conclusion [30, p. 36; 13, pp. 55-80; 14, pp. 56-59; 15, pp. 209-215].

1. The story of the *MPS* must have arrived in early 17th century England as a result of close relations and cooperation of a large group of English diplomats and travelers and high officials of Georgian extraction promoted at the court of Shah Abbas I of Persia.

In particular, in the last year of the 16th century a 26-strong group of English travelers arrived in Persia on a diplomatic mission, headed by a well-known diplomat and traveler Anthony Sherley. He stayed at the Persian royal court for six months, carrying on propaganda in favour of Persia launching a war against Turkey. Later Sherley was sent to Europe by Shah Abbas in the rank of his personal ambassador, and for years he was active in Russia, Central Europe, Italy and Spain. An abundance of letters and other parcels arrived in England through Sherley and his companions among which there must have been reports dealing with cultural, literary

and other information on the orient. Sherley had close relations with Shah Abbas' high officials of Georgian extraction, in the first place with the Shah's principal adviser and general Alaverdi Khan Undiladze [see 40, p. 73]. I am aware of the great efforts of English diplomats and travellers of this period spent on sending reports to England on literary, folklore, historical sources. On the other hand, historical facts prove that Alaverdi Khan and his family of the turn of the 16th-17th centuries was highly advanced and imbued with Georgian national interests. It should be added here that Alaverdi Khan and his son Imam Quli Khan, foremost and wealthiest officials at the Safavid court, were patrons of learning and culture, and were distinguished for intellectual aspirations [13, pp. 74-75].

2. At the next stage of research I faced the question. Can we be sure that Sherley's aims included an interest in obtaining cultural, namely literary or folklore material in the East? Further, did Sherley and his travellers have contact with the circles of English society from the story of this expedition could reach the dramatists of English royal court? The answer proved unequivocally positive.

Sherley's expedition set out for Persia from Southampton. At the time Henry Wriothesley was the Earl of Southampton brother-in-law of Sherley. Henry and Anthony were married sisters, cousins of Robert Devereux, the Earl of Essex. It was Earl Devereux who was the only sponsor of Sherley's expedition. It is thought that the idea of the expedition came from him. For their part the earls of Essex and Southampton were linked with the strongest friendship. Henry idealized Devereux and considered that he stood beside all military campaigns, even in the conspiracy against Queen Elizabeth I.

The main point of interest of my study is that both were lovers of the theatre, while Henry Southampton was Shakespeare's sponsor and his close friend [24]. Furthermore, this relationship between the royal troupe (in the first place between Shakespeare himself) and the named earls was so close that when the Earl of Essex (and the Earl of Southampton who sided with him) hatched a plot against the queen, even the royal troupe was won over.

In more detail: Queen Elizabeth initially had a favourable attitude to the Earl of Essex Robert Devereux and he ordered him to lead a major military campaign in Ireland, which ended in disaster. This was followed by a confrontation of the Earl of Essex with the royal court,

developing into a political conspiracy. At the culmination stage of the plot the royal troupe was involved. Shakespeare's play *Richard II* was staged revised in such a way as to be directed against the queen and the royal court. Shakespeare's special liking for the Earl of Southampton is seen from the following: the English royal court put Devereux's plot down harshly in 1601. Both earls were arrested and sentenced to death. Henry Wriothesley survived. On the initiative of the queen's courtiers his death sentence was commuted to life imprisonment. Following the death of Elizabeth I, he was released by the newly acceded James I. This event is echoed by one of the sonnets of Shakespeare (sonnet 107), whose historical base has been the subject of discussion by Shakespearean students. It is quite clear that Shakespeare sympathises with Henry Wriothesley whom he calls "my true love", while he compares the queen to "the mortal moon": "The mortal moon hath her eclipse endured".¹

Clearly enough, Sherley's sponsors, well known English earls, were in close contact with the royal troupe, and personally with

¹ See W. Shakespeare's Sonnet 104, the original text with a modern English translation (<http://nfs.sparknotes.com/sonnets/sonnet107.html>):

Original Text	Modern Text
<p>Not mine own fears, nor the prophetic soul Of the wide world dreaming on things to come, Can yet the lease of my true love control, Supposed as forfeit to a confined doom. The mortal moon hath her eclipse endured And the sad augurs mock their own presage; Incertainties now crown themselves assured, And peace proclaims olives of endless age. Now with the drops of this most balmy time My love looks fresh, and death to me subscribes, Since spite of him I'll live in this poor rhyme, While he insults o'er dull and speechless tribes. And thou in this shalt find thy monument, When tyrants' crests and tombs of brass are spent.</p>	<p>Neither my own fears nor the speculations of the rest of the world about the future can continue to keep me from possessing my beloved, who everybody thought was doomed to remain in prison. The moon, which was always mortal, has finally been eclipsed, and the gloomy fortune-tellers now laugh at their own predictions. Things that once seemed doubtful have become certainties, and peace has come to stay. Now, with the blessings of these times, my beloved looks fresh again and death itself submits to me, since in spite of death I'll live on in this poor poem while death only exults over the stupid and illiterate peoples that he's overcome. And you will find this poem to be your monument when tyrants reach the end of their reigns and tombs to brass fall into decay.</p>

Shakespeare. It is also known that Sherley kept up correspondence with the Earl of Essex. Shakespearean students contend that in Shakespeare's writings one can see a reflection of Sherley's travels and that Shakespeare was informed about Sherley's expedition at its initial or planning stage [24, p. 64].

The finding of the above historical study can be summed up as follows: at the end of the 16th century a large group of travelers and diplomats from England, led by the well-known diplomat Anthony Sherley, visited the Persian royal court. The expedition was sent and was funded from the south-eastern counties of England. Anthony Sherley was a close friend and relative of two earls, those of Essex and Southampton. Both earls had close relations and considerable influence on the royal troupe. Henry is believed to have been Shakespeare's friend, patron or sponsor. On the other hand Sherley's greatest supporters at the royal court of Persia were viziers of Georgian extraction, in particular Alaverdi Khan Undiladze, whose life and activity demonstrate Georgian national orientation and cultural and literary interests. Reports on Sherley's expedition and his letters began to arrive in England immediately after 1600. In 1608-10 two plays were created by the adaptation of the plot of the *MPS* by Shakespeare's junior contemporaries and fellow-writers: *Philaster* and *A King and No King*. Hence, I assume that the story of the *MPS* goes to the dramatists of the royal troupe and directly to Shakespeare's circle from originally Georgian viziers promoted in Persia via Sir Anthony's expedition. Special attention should be given to the fact that the expeditions of English diplomats, merchants and travelers to the East were crowned by cultural spoils (including literary, folkloristic and historical stories). The group of Sherley's patrons was clearly inspired by such interest.

The basic proposition of my new point of view, which, in my view, does not belong to the sphere of assumption, is that the *MPS* is indeed the plot source of *Philaster* and *A King and No King*. I assert this proposition through the philological path, i.e. study of literary relations [for details, see 11, pp. 12-34, 66-76; 29, pp. 51-61, 72-80]:

1. In the English plays the main plot line is built on the story of the principal pair of lovers of the *MPS* – Nestan and Tariel.

A King and No King: childless king and queen adopt a newly born son of a close noble. Later the queen bears a daughter. For some time the children are reared together. Then they are separated. When, many years later, the prince (in the *A King and No King* already

enthroned) sees the princess mature for marriage he faints through sudden love, losing consciousness. The girl reciprocates. The end is happy – after overcoming the intrigue of the royal court (part of it being the solution of the problem of the would be son-in-law) the young people marry and the question of the royal dynasty is settled.

Philaster: one kingdom incorporated (conquered) a neighboring kingdom. The king of the united kingdom has only an heiress. But the heir of the incorporated kingdom claims the throne. The king wants to enthrone his daughter, inviting the prince of a neighbouring kingdom as a son-in-law. The problem is solved through love. The woman invites the man to visit her, confessing her love for him. It transpires that the man is also in love with her. They work out a plan of getting rid of the invited son-in-law. The settlement of the intrigue of the royal court is followed by a happy end – marriage.

Thus, the scheme of the plot of both English plays follows exactly the love story of Nestan and Tariel. The events of this story in the above plots are broken into two parts. The principal details of the story of Nestan and Tariel are redistributed, but there is something common in both plays, which is essential in the love story of the *MPS* as well: love brings together the two claimants to the throne (woman and man); the king or queen (both in the *MPS*) are willing and act towards raising their only daughter to the throne; great obstacles on the way of beloved pair; a happy end.

2. A whole number of other arguments proving the relation of the English plays to the *MPS* are the essential resemblance of separate plot passages of these plays to the *MPS*. For example the queen becoming pregnant exactly five years within the adoption of the child and the same indication of this as in the *MPS*; the almost same description of the king's losing consciousness as Tariel fainted; the king in love considers his love dead and his meditation on his own departure from this world (*A King and No King*). The princess invites the heir to the throne to her place and declares love to him; invitation of the prince by sending him a letter through her maid servant, suggesting that the maid servant may go to the prince as his mistress; the desire of mounting the throne transpires from the beginning of the conversation, etc (*Philaster*).

Here I want to add one more interesting parallel. In *Philaster*, in my view, one of the main characters, next to the enamored – Arethusa and Philaster, is the virgin Euphrasia, disguised as a boy (the page Bellario). Desperately in love with Philaster, Euphrasia flees from her father’s house, disguises herself as a boy and tries to attract Philaster’s attention. This is how Philaster describes his first seeing Bellario (the disguised Euphrasia): “Hunting the buck, I found his sitting by a fountain’s side,.... and paid the nymph again as much in tears; ...His tender eyes upon ‘em he would weep,....” [18, p.26]. One cannot help remembering the first episode of Tariel’s first appearance in the *MPS*: “They saw a certain stranger knight: he sat weeping on the bank of the stream”(stanza 84 –M. Wardrop’s translation [38]). I should like to add, without commenting, that according to the view prevalent in the history of English literature, this scene – the first finding of Bellario – is one of the best passages in *Philaster* in terms of the poetic value.¹

3. The cited plays of Beaumont and Fletcher have other types of relation with the *MPS* as well: specific depiction of personages, the beloved goes mad and ranges in the forest, etc. I shall pay attention to the fact that the English authors point directly at Georgia suggesting the *MPS*. Action in *A King and No King* according to the author takes place in Georgia (Iberia) and the princess of Iberia, with whom her brother (adopted, as it transpires later) is called Panthea. Her prototype in the *MPS* is Nestan-Darejan, whom her beloved Tariel likens to a panther; hence he imagines the panther as the symbol of his beloved (this is the main symbolic axis of the *MPS*). The name Panthea resembles the English word *panther*. The *vepkhi* of the *MPS* is the animal that we call panther. It may be conjectured, the English authors gave this character created as a prototype for Nestan a name that is suggestive of Nestan and the *MPS* as a whole [for details, see: 11, pp. 26-31; 29, pp. 58-61]. In naming this character the English authors have recourse to the so-called punning speech. This is a pun of the type that is built on the similarity between spelling and reading (homographic-homophonic pun). It was this type of punning speech that was very popular in the

გაგება ითვალისწინებს ადამიანის ბუნებრივ სურვილს, მისწრაფებას, წადილს გაიგოს და ახსნას სამყარო არა გარედან მიღებული სქემებით (რელიგიური, იდეოლოგიური, კულტურული), არამედ საკუთარი აზროვნებით, საკუთარი, თანდაყოლილი გონიერი პრინციპის ამოქმედებით. ამ ამოქმედებას ბერძნები დიალექტიკას უწოდებდნენ და მას თავისი წესი და კულტურა აქვს. დიალექტიკა არის ობიექტური აზროვნების დინამიური სივრცე, სადაც მას, ვინც დიალექტიკოსობს, სჯერა, რომ აზროვნების ამგვარი მეთოდით ის გამოდის პიროვნული, სუბიექტური სივრციდან და ფიქრობს ისე, როგორც იფიქრებდა მთელი კაცობრიობა, ანუ, უნივერსალურად. ამგვარი უნივერსალური ფიქრი ითვალისწინებს შეთანხმებად ტერმინებსაც, სხვანაირად ეს არ იქნება დიალექტიკური ფიქრი, რადგან დიალექტიკა რეალურ თუ ვირტუალურ თანამოფიქრალსაც ითვალისწინებს, რომელიც აღიარებს და იზიარებს ცნებების სისტემას, ცნობს მათ სემანტიკას, და ამიტომაც მისი დარწმუნებაც შესაძლებელია ლოგიკური გამომდინარეობების გზით, ან როგორც პეტრიწი იტყოდა "იმულებითა თანშესიტყვათადათა". თუმცა, როგორც აღვნიშნე, ეს ფიქრი დამყარებულია პირველად და პიროვნულ დიდ ვნებაზე - შეიცნო სამყარო, და ამ შეცნობით დაამყარო მასთან უფრო ადექვატური, ავთენტური ურთიერთობა. გამოდის, რომ ფილოსოფიურ-დიალექტიკური აზროვნება ერთდროულად უკიდურესად პიროვნული და სუბიექტურია - რადგან ისევე არ არსებობს კოლექტიური განცვიფრება და კოლექტიური შემეცნების ვნება, როგორც კოლექტიური პოეტური შთაგონება, ან კოლექტიური რომანტიკული შეყვარება - და ამავე დროს უნივერსალურიც და ყველა ადამიანზე გამწვდომიც. სწორედ უნივერსალურობის რწმენა იწვევს ფილოსოფოსში თავისი ნააზრევის სხვებისთვის გაზიარების დაუოკებელ სურვილს და არა მარტო სურვილს, არამედ მოვალეობის განცდასაც. პეტრიწიც ამგვარი გაზიარების სურვილით ჩამოვიდა საქართველოში, თავისი მისიონერული როლის მკაფიო ხედვით.

თუმცა ფილოსოფია პეტრიწამდეც შემოვიდა საქართველოში იოანე დამასკელის "დიალექტიკის" თარგმნის გზით. იოანე დამასკელმა გამოიყენა პორფირის "შესავალი არისტოტელეს კატეგორიებში" და დაურთო თავის ნაშრომს -

”ცოდნის წყაროს”. როგორც ეფრემ მცირე, ”დიალექტიკის” პირველი ქართველი მთარგმნელი, წერს: ამ ტექსტამდე მსგავსი შინაარსის ტექსტები ქართულში არ ყოფილა თარგმნილი. იმავე საუკუნეში ეს ტექსტი ხელახლა თარგმნა არსენ იყალთოელმა, როგორც ჩანს, უკმაყოფილომ წინა თარგმნის სიზუსტის ხარისხით. ეფრემი ფილოსოფიური თავების თარგმნის გამართლებად მიიჩნევს იმას, რომ ამ ცოდნით ქრისტიანები შეძლებენ არაქრისტიანი ფილოსოფოსების თავდასხმებისაგან თავის დაცვას და მეტიც, თვით მათივე იარაღით ამ ფილოსოფოსების დამარცხებას. ანუ, ფილოსოფიას ეფრემი უმსახურებს ქრისტიანული რელიგიის და თეოლოგიის საჭიროებას. არსენი შესაძლოა უფრო შორს მიდის. ამის ვარაუდის საშუალებას მაძლევს ის, რომ დავით აღმაშენებელი, ვისი მოძღვარიც არსენი იყო, როგორც თავის ”გალობანი სინანულისანიში” ამბობს, სწავლობდა ბერძნულ ფილოსოფიას, რომელსაც ”ღვთიურ სიბრძნესაც” უწოდებს პავლე მოციქულის ციტატის მოხმობით. შესაძლოა მისი გზამკვლევი ფილოსოფიაში სწორედ არსენი იყო. თან საინტერესოა ფრაზა, რომელსაც დავითს მიაწერენ: ”მე იმ დროის კაცი ვარ, როდესაც არსენი დაროჯიდს სჭამდა, ნოსელს თარგმნიდა და ცვილსა სოფია წმიდასა იგი მარტო იქმოდა”. ეს ფრაზა, აღწერს ერთ-ერთი ყველაზე ფილოსოფიური ბერძენი მამის, გრიგოლ ნოსელის თარგმნას ქართულად არსენის მიერ, და მისი ენიგმატური დასასრული, რომ არსენი ”სოფია წმიდის ცვილს მარტო აკეთებდა”, შესაძლოა ნიშნავს, რომ არსენი წმინდა სიბრძნის/სოფიის სანთელს ანთებდა, ანუ ცდილობდა ქრისტიანობისა და ფილოსოფიის დაკავშირებას. გელათის სკოლის სულისკვეთებაც, ჩანს, ამ დაკავშირებაში იყო, ამიტომაც გელათს დავითის ანონიმი ისტორიკოსი ათენისა და იერუსალიმის ერთობად სახავს. გელათის სკოლის მთარგმნელები განსხვავებით ათონელებისაგან უკვე თარგმნიან ზედმიწევნითი სიზუსტით ფილოსოფიურ ტექსტებსაც. განსაკუთრებით საინტერესო ამ მხრივ არის VI საუკუნის ალექსანდრიული ფილოსოფიის სკოლის წარმომადგენლის, ამონიოს ერმიასის ნაშრომის თარგმანი. პირველივე თავებში ამონიოსი ფილოსოფიის სხვადასხვა განმარტებას იძლევა, მათ შორის ასეთსაც: ”ფილოსოფოსობა არს მსგავსება ღმრთისა რაოდენიცა ვინ უძლოს”. თუმცა ორიგინალური

ფილოსოფიური ნაშრომი იოანე პეტრიწამდე არ დაწერილა. იოანე პეტრიწი ამგვარად სრულ ვაკუუმში არ იწყებდა პიონერულ საქმეს - მიეცა თავისი გელათელი სტუდენტებისთვის სისტემური, ფუნდამენტური ფილოსოფიური განათლება.

ჩვენამდე მოღწეული ნაშრომები, რომლებიც ნამდვილად პეტრიწს ეკუთვნის სამია: 1. ნემესიოს ემესელის “ადამიანის ბუნებისათვის”, რომელიც პეტრიწმა, ჩანს, ადრეულ პერიოდში თარგმნა და აქა-იქ კომენტარებიც დაურთო; 2. ფსალმუნების თარგმნის წინასიტყვაობა, რაც ფილოსოფიისა და ქრისტიანული რელიგიის ჰარმონიის ერთგვარი მანიფესტია და 3. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი, პროკლე დიადოხოსის “ღვთისმეტყველების საფუძვლების” კომენტარებული თარგმანი. თავად ეს ნაშრომები აჩვენებენ პეტრიწის მთავარ მიზანს - შემოიტანოს ფილოსოფიის სისტემური, დისციპლინირებული სწავლების კურსი; ნემესიოსის თარგმნის შემთხვევაში ეს არის ყოვლისმომცველი ანთროპოლოგიური, პროკლეს შემთხვევაში კი ასეთივე მეტაფიზიკური ტრაქტატი. რაც შეეხება ფსალმუნების წინასიტყვაობას, როგორც ამ ტექსტიდან ჩანს, პეტრიწმა იგი დაურთო ფსალმუნების თავისსავე კომენტარებულ თარგმანს. სამწუხაროდ ტექსტის ეს, მთავარი ნაწილი დაკარგულია. მე ვფიქრობ, იგი შეგნებულად განადგურდა ცენზურის მიერ, რომელმაც მხოლოდ შესავალი დაინდო, მაგრამ სახიფათოდ ჩათვალა ქრისტიანული ღვთისმსახურების მთავარი ტექსტის, ფსალმუნების, მეტაფიზიკური ფილოსოფიის პრიზმით წარმოჩენა.

პეტრიწის ხედვა, მისი მთავარი ინტუიცია არის ის, რომ სამყაროს, მის მთელს სისავსეს, აქვს ობიექტური, მწყობრი სტრუქტურა, აგებულება, მისი სიტყვებით, “არსთა თანაწარმოდგომილი სარწმუნოება”, რომელიც შემეცნებადია ჩვენი, ადამიანური ინტელექტისთვის დიალექტიკური მსჯელობის გზით; რომ სამყარო არ არის მხოლოდ ის, რაც გრძნობების მეშვეობით გვეძლევა, არამედ გრძნობადის მიღმა მისი ზეგრძნობადი საფუძვლები იმალება, რომლებიც უშუალოდ არ გვეცხადება, არამედ აღმოსაჩენია ჩვენი გონების ძალისხმევით. იმას, რითაც ჩვენ სამყაროს ვიმეცნებთ, პეტრიწი უწოდებს ჩვენს შინაგან “დიალოგურ სიტყვას” (“ჩვენს შორისი მიდმოსიტყვაჲ”), ან შინაგან “ჰერმესს”, ე.ი. ინტერპრეტაციის

და გაგების იმანენტურ პრინციპს. ეს იმანენტური სიტყვა კი მოქმედებაში მოდის ღვთიურ სიტყვასთან “ხახუნში”, ანუ დიალექტიკური აზროვნება მართულია ღვთიური სიტყვით - ეს არის სინერგიული თანა-მოქმედება ჩვენი შინაგანი ლოგოსისა ღვთიურ ლოგოსთან. ზემოთ ვთქვი, რომ პეტრიწის აზრით სამყაროს სტრუქტურა და მისი უხილავი საფუძვლები შემეცნებადია, მაგრამ უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ადამიანი მოვალეცაა შეასრულოს ეს შემეცნებითი აქტი, რადგან ყველაზე პრინციპულად სწორედ შემეცნების ამ დიალექტიკური უნარით განსხვავდება ადამიანი პირუტყვებისაგან. მაგრამ დიალექტიკური უნარის ამოქმედებას სჭირდება ზუსტი ცნებითი აპარატი, მწყობრი ტერმინოლოგიური სისტემა, მეტაფიზიკისთვის ადექვატური ტექნიკური ენა. უპირველეს ყოვლისა, ამ ენის შექმნას სახავს პეტრიწი ფილოსოფიის, ანუ ხილულიდან უხილავამდე მოგზაურობის აუცილებელ პირობად. ფაქტობრივად ის ამბობს, რომ მანამდე სანამ თავად შექმნიდა ამგვარ ტექნიკურ ენას, საქართველოში არ სრულდებოდა და ვერც შესრულდებოდა მოგზაურობა ხილულიდან უხილავამდე ფილოსოფიური მეთოდით.

პლატონური ფილოსოფიისა და ქრისტიანული თეოლოგიის პეტრიწისეული სინთეზი დაფუძნებულია მის აპრიორულ რწმენაზე, რომ ორივე ერთსა და იმავე ჭეშმარიტებაზე ლაპარაკობს. თუ ადამიანის მიზანია მიაღწიოს მეტაფიზიკური, გონითსაწვდომი კოსმოსის (ან, როგორც პეტრიწი უწოდებს “აღმკულის”) ჭკრეტას, სადაც მარადიულად და ჩაუქრობლად ყვავიან სრულყოფილი იდეები, და თუ ბიბლია ჭეშმარიტი გამოცხადებაა, მაშინ ეს გამოცხადებაც სხვა არაფერია, თუ არადა მეტაფორული მოთხრობა ამ სრულყოფილ იდეებთან ადამიანის დაკავშირებაზე. ფაქტობრივად, პეტრიწისთვის ნეოპლატონური ფილოსოფია არის გასაღები ბიბლიის მეტაფორების გახსნისათვის და მათში მეტაფიზიკური ხედვების აღმოჩენისათვის. ამგვარად ბიბლიური “ადამი” პეტრიწისთვის იდეების სამყაროში მყოფი, ჩამოუვარდნელი სულის მეტაფორაა, ხოლო სამოთხის ხეები ის სრულყოფილი იდეები, რომლებსაც ეს სული უჭკრეტდა ჩამოვარდნამდე, ანუ გონებრივი ფრთების (მისი მეტაფორაა პლატონის “ფედროსიდან”) დაკარგვამდე; ადამიანის

ისტორიული ცხოვრების მიზანი კი ამ გონიერი ფრთების ისევ “გამოსხმა” და ზემატერიალური, პეტრიწის სიტყვებით, “ნივთთაგან მიუხებელი” მჭვრეტელობის დაბრუნებაა. ადამის მიმართ ღმერთის სიტყვები “სად ხარ ადამ?”, პეტრიწს ესმის რიტორიკულ შეკითხვად: “ნახე, შენმა უგუნურებამ საიდან სად (ანუ ზემატერიალურიდან მატერიალურამდე) ჩამოგაგდო”. უფრო მეტიც, პეტრიწი აკეთებს ნეოპლატონური ფილოსოფიის რეალიების პირდაპირ დაკავშირებას ქრისტიანული თეოლოგიის რეალიებთან. მისთვის ნეოპლატონური ფილოსოფიის უთქმელი და გონებისთვის მიუწვდომელი ტრანსცენდენტური ერთი - მამა ღმერთია, ერთის შემდგომი მეტაფიზიკური პრინციპები, პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროობა, შესაბამისად, ერთთან “გაურთიერთარსებული” ძე და სულიწმინდაა. ეს არ არის მხოლოდ შედარებები, არამედ გაიგივებები, რადგან პეტრიწი არ ცხოვრობს ორ განცალკევებულ - პლატონური ფილოსოფიის და ქრისტიანული რეველაციის - სამყაროებში, არამედ ქმნის ერთიან სამყაროს ამ ორი ტრადიციისაგან. გასაკვირი არ არის, ამდენად, რომ პლატონს მიაწერს ერთის მხრივ პროკლეს სიტყვებს, მეორეს მხრივ კი გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვებს, რადგან ორივე, პროკლეცა და გრიგოლიც პლატონის დიალოგების დაფარული და ბუნდოვანი ადგილების განმმართველები და გამომაჩინლები არიან. პეტრიწისთვის პავლე მოციქულის სიტყვები მეტაფიზიკურ თეორიებს გამოხატავენ. მაგალითად, პავლეს ფრაზას “რომელმან არმყოფს უწოდა მყოფი” პეტრიწი სვამს ნეოპლატონური ტერმინოლოგიის კონტექსტში და გვაწვდის თეორიას, რომლის მიხედვითაც ღმერთი, ანუ ტრანსცენდენტური ერთი, აწარმოებს უსტრუქტურო და გაუფორმებელ მატერიას, რომელიც არმყოფია იმ აზრით, რომ ჩვენი გონებისთვის შეუცნობელია (რადგან გონება პრინციპულად უძლურია შეიმეცნოს ის, რასაც სტრუქტურა არ აქვს), მაგრამ ტრანსცენდენტური ერთისთვის ეს არმყოფი, ცხადია, არ არის არმყოფი, არამედ მყოფი. შესაძლოა პავლეს თემები ყალყზეც დადგომოდა თავისი სიტყვების ამგვარი ინტერპრეტაცია რომ მოესმინა, მაგრამ ეს არის პეტრიწის მეთოდი: დაინახოს მეტაფიზიკური მარცვლები წმინდა წერილში და მიუსადაგოს ისინი პროკლეს და სხვა ნეოპლატონიკოსების ჭეშმარიტ ხედვებს. პეტრიწი იმდენად

დარწმუნებულია და იმდენად პოზიტიური თავისი დიადი სინთეზისა და ჰარმონიის შესაძლებლობაში და მართებულებაში, რომ არ ამჩნევს, ან ცდილობს არ შეამჩნიოს გადაულახავი შეუსაბამობები პლატონურ ფილოსოფიასა და მართლმადიდებელი ეკლესიის, რომლის წევრადაც თავს ხედავს, შეხედულებებს შორის. მაგალითად, ერთისაგან სამყაროს აუცილებელი ემანაციისა და სამყაროს არაფრისგან შექმნის ქრისტიანული დოქტრინის შეუსაბამობა, რომელიც უმთავრესი განხეთქილების და კამათის საგანი იყო ნეოპლატონურ სკოლასა და ქრისტიანობას შორის. ნეოპლატონისტები პროკლე და სიმპლიკიოსი ტრაქტატებს წერდნენ ქრისტიანების წინააღმდეგ სწორედ ამ საკითხზე. ქრისტიანი იოანე ფილოპონოსი კი თავს მოვალედ თვლიდა ქრისტიანული შესაქმნის პოზიციიდან უარყო არისტოტელესეული იდეა სამყაროს და უძრავი მამოძრავებელის თანამარადიულობის შესახებ. პეტრიწისთვის ეს პრობლემა არ არსებობს, ხოლო პროკლეს ცხოვრებას ის აღწერს როგორც წმინდანის ცხოვრებას, რომელმაც ასკეტური ღვაწლით და დიალექტიკური ძალისხმევით მიაღწია ღვთიურ მჭვრეტელობას. ანუ პეტრიწი ჩანს აიგივებს შექმნასა და ემანაციას. ის იყენებს ტერმინს “შექმნა”, მაგრამ არ არის ცხადი, გულისხმობს თუ არა ამ შექმნაში მყისიერ აქტს, თუ ღმერთისაგან სამყაროს მარადიულ ქმნადობაზე საუბრობს, რაც შეიძლება ემანაციის ენაზეც თარგმნო. ემანაციასთან კიდევ ერთი პრობლემაა: სამყარო არა მარტო გადმოიფრქვევა ერთისაგან, არამედ მეტაფიზიკურ ციკლში უბრუნდება კიდევ ერთს და არ არის გამოსვლა დაბრუნების ანუ უკუნქცევის გარეშე. თუ ეს ციკლი გარკვეული აზრით აუცილებელი ციკლია, მაშინ როგორ დავაკავშიროთ ეს ქრისტიანულ დოქტრინასთან დემონების ღმერთისაგან მარადიული მოწყვეტის შესახებ? თუ ეს დემონები ამ დაბრუნების ციკლის გარეთ იმყოფებიან, მაშინ ისინი საერთოდ სამყაროს გარეთაც არიან, რადგან სამყაროში ვერაფერი ვერ უსხლტება ამ ციკლს. მაგრამ თუ ისინიც მონაწილეობენ ამ ციკლში, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი მოწყვეტა ღვთისაგან არ არის რადიკალური და მარადიული და მათაც შეუძლიათ დაბრუნება. ეს ორიგენისეული აპოკატასტასისის იდეა პეტრიწთან ცხადად არა არის მოცემული, მაგრამ მისი

მეტაფიზიკიდან ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს, რადგან ხილულ და უხილავ სამყაროში ყველაფერი წილნაყარია ერთისაგან გამოსვლის და მასში დაბრუნების ციკლთან. შემდეგი შეუსაბამობა პლატონიზმსა და ქრისტიანობას შორის არის სულების წინაარსებობის პლატონური დოქტრინა და ქრისტიანული დოქტრინა სულისა და სხეულის ჰიპოსტატური ერთობის შესახებ, რომელიც უარყოფს სულის წინაარსებობას. ამ საკითხში პეტრიწი, ვფიქრობ, პლატონიზმის მხარეს იკავებს. მისთვის სული წინაარსებობს და ადამიანის ისტორიული დაბადება სულის “ქმნად [ე.ი. გრძნობად სამყაროში] შთამოვრდომაა”. ამაში პეტრიწი მიჰყვება ძველ ქრისტიანულ ტრადიციას, რომელიც ორიგენედან იღებს სათავეს. სწორედ ამ ტრადიციის მიმდევარია მის მიერ ნათარგმნი ქრისტიანი ავტორი ნემესიოს ემესელიც; პეტრიწი უკომენტაროდ თარგმნის მის ბიბლიურ ეგზეგეზას იმის შესახებ, რომ ექვსი დღის მერე ღმერთის დასვენება მეტაფორულად აღნიშნავს იმას, რომ ღმერთმა ყველა სული შექმნა, და რომ სიტყვა “ქმნა” იოანეს სახარების პასაჟში “მამაჩემი დღემდე იქმს და მეც ვიქმ” აღნიშნავს უკვე შექმნილის განგებას და არა შექმნას. ამდენად ტყუიან ისინი, ვინც ამბობს, რომ სული სხეულთან ერთად იქმნება. ეს და ამგვარი იდეები (მაგალითად, ამგვარივე იდეები ჰქონდა სულის შესახებ ქრისტიან ეპისკოპოს სინესიუს კირენელსაც) ოფიციალურად უარყო მეხუთე საეკლესიო კრებამ, მაგრამ პეტრიწი ქრისტიანულ აზროვნებაში არსებულ ერთ-ერთ ძველ, მეხუთე კრებამდე არსებულ ტრადიციას მიჰყვება. კიდევ ერთი პრობლემაა პლატონური იერარქიული კაუზაციის მორიგება ტრინიტარულ ხედვასთან არაიერარქულ კაუზაციაზე მამისგან ძის და სულიწმინდის. პეტრიწი ერთ შემთხვევაში ვერტიკალურ-იერარქიულად წარმოაჩენს მამის მიმართებას საზღვართან - ძესთან და უსაზღვროობასთან - სულიწმინდასთან. მაგრამ სხვა შემთხვევებში, როდესაც საუბრობს მათ “გაურთიერთარსებულობაზე” ან როდესაც მოჰყავს მუსიკალური ანალოგია, ვფიქრობ, გამოორცხავს იერარქიულობას. პეტრიწი ასევე დიდ პრობლემას გადააწყდა, როდესაც თარგმნიდა და განმარტავდა პროკლეს ჰენადურ თეორიას. პროკლესთან ჰენადები მარადიული ღმერთებია; მათ პოლითეისტი პროკლე ეთაყვანება. პეტრიწი კი ჰენადებს

“ღმერთებს” მხოლოდ რელატიური გაგებით უწოდებს, რადგან მისთვის ისინი არიან “ქმნულნი ერთნი” და “ზიარებით განღმერთობილნი”, რაც ახალი და სავსებით არაპროკლეანური დოქტრინაა და აშკარად ქართველი ფილოსოფოსის ქრისტიანობიდან გამომდინარე მოდიფიკაციას წარმოადგენს. პეტრიწის თეორია ეროსზე, ვფიქრობ, ასევე განსხვავდება ნეოპლატონური სწავლებისაგან. კერძოდ, ნეოპლატონიზმში ეროსი ერთისადმი სრულდება მისტიკური, გამოუხატველი ერთობით, სადაც სრულდება სწრაფვა. პეტრიწთან კი როგორც ჩანს ეროსი არასდროს სრულდება და სწრაფვა სწრაფვას მოსდევს. ეს კი ისეთი ქრისტიანი მოაზროვნეების მისტიკას თანხვდება, როგორებიცაა გრიგოლ ნოსელი თავისი იდეით მარადიულ მისწრაფებაზე თუ წინ-გაწვდომაზე ღმერთისადმი (ე.წ. ეპექტასისი), ან სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, რომელიც თავის რელიგიურ პოეზიაში საუბრობს წყურვილზე, რომელიც ვერასდროს კმაყოფილდება წყლით - ღვთის მადლით, არამედ წყურვილს წყურვილი მოსდევს. ეს საკითხი, ვფიქრობ უფრო ფოკუსირებულ კომპარატიულ შესწავლას მოითხოვს.

პეტრიწის მიერ შესრულებული პროკლეს ტრაქტატის თარგმანი და განმარტება მრავალმხრივია საინტერესო თანამედროვე მკვლევარებისთვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება პეტრიწის ნაშრომს აქვს აღმოსავლურ-ქრისტიანულ, ბიზანტიურ აზროვნებაში პლატონიზმისა და კერძოდ პროკლეს როლის შესწავლისთვის. ბიზანტიაში მკაცრი იმპერიული ცენზურის გამო არ გვაქვს ნაშრომი, რომელიც ნეოპლატონური ფილოსოფიისა და ქრისტიანობის პეტრიწისავით გაბედულ ჰარმონიზაციას მოახდენდა. არც პსელოსთან და არც თავად ერეტიკოსად შერაცხილ იტალოსთან მსგავსი მასშტაბის სინთეზის მცდელობა არ არის. ამდენად, პეტრიწი შეიძლება მოწმობდეს იმაზე, რაც დაფარული და მიუწვდომელია მხოლოდ ბერძნულენოვან წყაროებზე დამყრდნობი მეცნიერებისათვის.

ამავე დროს პეტრიწის მიერ თარგმნილი “ღვთისმეტყველების საფუძვლები” უნიკალურ მნიშვნელობას ატარებს ნეოპლატონიზმის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტის მკვლევარებისთვის. ეს ჯერ კიდევ ამ ტრაქტატის ყველაზე ცნობილმა გამომცემელმა, ბრიტანელმა დოდსმა აღნიშნა და გამოიყენა კიდევ პეტრიწის მიერ თარგმნილი

ზოგიერთი პასაჟი ავთენტური პროკლეს დადგენისათვის. პეტრიწის თარგმნის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი შესრულებულია მეთორმეტე საუკუნეში, ან ყველაზე უგვიანეს, მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ამდენად ის ბერძნული ხელნაწერი (თუ ხელნაწერები), რომელიც პეტრიწს ედო წინ მინიმუმ რამდენიმე ათწლეულით უფრო ადრინდელია, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული უადრესი ხელნაწერი (მათ შორის ყველაზე ადრინდელი მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მიჯნას ეკუთვნის). რამდენადაც დღემდე მოღწეული ხელნაწერები განსხვავებულ ტრადიციებს ეკუთვნიან და ზოგჯერ სავსებით განსხვავებულ წაკითხვებს გვაძლევენ, პეტრიწის თარგმანი, რომელიც ძირითადად ცდილობს სარკისებრი სიზუსტით გადმოსცეს პროკლეს ტექსტი, შეიძლება გამოვიყენოთ როგორც გასაღები, რომელიც ირიბად გვაჩვენებს თუ როგორი წაკითხვა იყო მის ბერძნულ ხელნაწერში. პროკლეს ტექსტის სამომავლო გამოცემებისთვის, ამდენად, პეტრიწის თარგმანს შეიძლება ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდეს. განსაკუთრებით ინტერესს, ამ მხრივ, წარმოადგენს პეტრიწის ტექსტში არსებული ერთი თავი, რომელიც არ არის პროკლეს ამ ტრაქტატის ჩვენამდე მოღწეულ არცერთ ხელნაწერში. კერძოდ ეს ეხება თავს ღვთაებრივ და დაიმონურ სულებზე (რომლებსაც პეტრიწი თარგმნის როგორც “ემმაკებრივნი სულნი”). ზემოთხსენებული დიდი ბრიტანელი მკვლევარი დოდსი ამ თავს მიიჩნევს არავთენტურად და ეს ერთ-ერთი მიზეზიცაა მისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭოს პეტრიწის თარგმნით მიწვდომად ბერძნულ ტექსტს. თუმცა სხვა მეცნიერებს (ალექსიძე, გიუნტერი) აქვთ საინტერესო არგუმენტები, რითაც ისინი ამტკიცებენ ამ თავის ავთენტურობას. მიუხედავად ზემოთქმულისა, საჭიროა დიდი სიფრთხილე, როდესაც პეტრიწის ტექსტის საშუალებით აღვადგენთ პროკლეს სავარაუდო ბერძნულ ტექსტს, ვინაიდან პეტრიწი ზოგჯერ საკმაო თავისუფლებას იჩენს თარგმანის დროს. ხდება, რომ სხვადასხვა, ფილოსოფიური, თეოლოგიური თუ პედაგოგიური მიზეზების გამო შეგნებულად ცვლის მას, ან შეცდომით ესმის და ამიტომ თარგმანშიც შეაქვს თავისი აზრი, რომელიც ზოგჯერ ძალიან ღირებულია ფილოსოფიის თვალსაზრისით, მაგრამ ადექვატურად კი არ გადმოსცემს პროკლეს.

პეტრიწის ოცნება იყო დაეფუძნებინა მკვიდრი ფილოსოფიური ტრადიცია საქართველოში და თავისი ბადალი ფილოსოფოსები აღეზარდა, მისივე სიტყვებით “მსგავსი და ნაცვალი ემთინა.” როგორც ჩანს, პეტრიწმა იმას მაინც მიაღწია, რომ გელათში შექმნა ფილოსოფიის სისტემური კურსი, რომელიც კლასიკური განათელების ყველა კომპონენტს შეიცავდა: გრამატიკა-რიტორიკა-ლოგიკით (ტრივიუმი) დაწყებული არითმეტიკა-გეომეტრია-ასტრონომია-მუსიკით (კვადრივიუმი) დამთავრებული, რაც გვირგვინდებოდა მეტაფიზიკით, ანუ ფილოსოფიური თეოლოგიით. პეტრიწის ტრადიცია სამწუხაროდ არ გაგრძელდა საქართველოში ისტორიული მწიგნობრობის გამო. თუმცა ქართული კულტურის ერთგვარი სამარკო ნიშანი, შოთა რუსთაველი, შეუძლებელია წარმოიდგინო და განიხილო პეტრიწის გარეშე. რუსთაველის მთელი ფილოსოფიური ტერმინოლოგია პეტრიწის გავლენას აჩვენებს, ხოლო მისი თეორია ეროსზე ანუ მიჯნურობაზე, როგორც სულის ზე-ამყვან ღვთიურ ძალაზე, თითქმის ყველაფერში მიჰყვება პეტრიწის სწავლებას, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, თუმცა ეს ცალკე მსჯელობის თემაა. პეტრიწს შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში დიდ პატივს სცემდნენ, მის ნაშრომებს რუდუნებით იწერდნენ, როგორც მაღალი ფილოსოფიური აზროვნების ნიმუშს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პეტრიწი ესმოდათ, რადგან მხოლოდ ტექსტი არ კმარა მისი გაგებისთვის, როდესაც აღარ არის ის ინტელექტუალური გარემო, სადაც მსგავსი ტექსტი ქმედითი მსჯელობის, ცოცხალი დიალექტიკური მსჯელობის საგანი გახდებოდა; ან სადაც იქნებოდა განმმართველად მასწავლებელი, პეტრიწით განდობილი ფილოსოფიური მეტაფიზიკის პლატონურ ტრადიციას. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ზოგჯერ გადამწერებს გარკვეული ხიფათის გრძნობაც ჰქონდათ პეტრიწის ხელნაწერთან ურთიერთობისას, რაც ერთ-ერთ მინაწერში ასე ცხადად ჩანს. პეტრიწით აღფრთოვანებული იყო ანტონ კათალიკოსი, თუმცა საეჭვოა მას ადექვატურად ესმოდა პეტრიწის ნააზრევი, რადგან არ იცნობდა ნეოპლატონურ ტრადიციას, ანუ იმ საფუძველს რაზეც დგას პეტრიწის ფილოსოფია. მაგრამ ანტონისთვის პეტრიწი სხვა მხრივაც იყო საინტერესო - როგორც ენის რეფორმატორი და ახალი, ტექნიკური ფილოსოფიური ენის შემქმნელი. ეს

მაგალითი, ცხადია, უმნიშვნელოვანესი იქნებოდა ენის თეორიის შემქმნელი და ენის რეფორმატორი ანტონისათვის.

პეტრიწის მკვლევარები: ნიკო მარს ეკუთვნის პეტრიწის შესახებ პირველი სამეცნიერო სტატია [10, გვ. 55-56], რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მის შემდეგ, 1914 წელს ს. გორგაძემ გამოსცა იოანე პეტრიწის თარგმნილი ნემესიოსის “ზუნებისათვის კაცისა” და თავისი წინასიტყვაობა დაურთო [7]. პეტრიწის პოპულარიზაციას საბჭოთა კავშირში ხელი შეუწყო მისი კომენტარების ილია ფანცხავას მიერ შესრულებულმა რუსულმა თარგმანმა, რომელიც დახვეწეს და ხელახლა გამოსცეს პოპულარულ ფილოსოფიურ სერიაში გურამ თევზაძემ და ნოდარ ნათაძემ [11]. ი. ფანცხავას ეკუთვნის რუსული მონოგრაფიაც პეტრიწზე [12]. პეტრიწზე დაწერეს მონოგრაფიები შალვა ხიდაშელმა [9], თამარ კუკავამ [5] და გურამ თევზაძემ [2], რომელიც ასევე ავტორია მრავალი საგულისხმო სტატიისა როგორც ქართულ ისე პრესტიჟულ დასავლურ პერიოდიკაში. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტრიწის ტექსტის ქართულ გამოცემას შალვა ნუცუბიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ (1937 წელს განმარტებები და 1940 წელს პროკლეს ტექსტის თარგმანი) [4]. თუმცა გამომცემლებისთვის არ იყო მისაწვდომი მეცამეტე საუკუნის უძველესი H-1337 ხელნაწერი. გამომცემლებმა დაურთეს შესავალი სტატიებიც. პირველ ტომს შესავალი სტატია დაურთო მოსე გოგიბერიძემ (1940). პეტრიწის ენაზე სიღრმისეული გამოკვლევის ავტორია დამანა მელიქიშვილი [6], მასვე ეკუთვნის მრავალი საინტერესო სტატია პეტრიწზე, როგორც მის ენაზე, ისე ფილოსოფიაზე, და მისი კომენტარების ახალქართული თარგმანი [3]. პეტრიწის შესწავლა წინ წაწიეს ანა ხარანაულმა, ედიშერ ჭელიძემ, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა, რომ ე.წ. “ბოლოსიტყვაობა” სინამდვილეში ფსალმუნების წინასიტყვაობაა, თინათინ ცქიტიშვილმა, ქეთევან ბეზარაშვილმა, მაგდა მჭედლიძემ ა.შ. ცალკე უნდა ვახსენოთ ლელა ალექსიძე, რომელმაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პეტრიწის კვლევაში და პოპულარიზაციაში. მრავალი სტატიის, როგორც ქართულ ისე უცხოურ პერიოდიკაში, გარდა ლელა ალექსიძემ დაწერა მონოგრაფია პეტრიწის ანტიკურ-ფილოსოფიურ წყაროებზე [1], რომელიც სახელმძღვანელოდ იქცა პეტრიწის

მკვლევარებისთვის, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლუტც ბერგერმანთან ერთად, შეასრულა პეტრიწის კომენტარების გერმანული თარგმნის გამოცემა [15], რითაც პირველად მისაწვდომი გახდა ეს ტექსტი ევროპული აუდიტორიისთვის. თენგიზ ირემამძემ თავის მონოგრაფიაში [16] პეტრიწის აზროვნება, კერძოდ კი მისი თეორია ინტელექტზე, შეადარა გერმანულ მისტიკოსებს დიტრიხ ფრაიბერგელს და ბერტოლდ მოოსბურგელს, რითაც პეტრიწი მკვიდრად დანერგა შუა საუკუნეების ფილოსოფიაზე დასავლურ სამეცნიერო დისკურსში; თ. ირემამძეს ეკუთვნის აგრეთვე მნიშვნელოვანი სტატია პეტრიწზე სტენფორდის ფილოსოფიის ენციკლოპედიისთვის (2006). ჩემი სტატიები ინგლისურ და ქართულ ენაზე, განსაკუთრებით კი ამერიკაში გამოცემული მონოგრაფია [13], ვფიქრობ, პეტრიწის ფილოსოფიის ფართო აუდიტორიისთვის გაცნობის მხრივ უმნიშვნელო არ არის. პეტრიწზე დაიწყო წერა უცხოელმა ავტორებმაც. პირველი მათგანი იყო გერმანელი ვოლფგანგ ოფერმანსი (1972), რომელმაც შეადარა პეტრიწის და თომა აქვინელის იდეები კაუზაციაზე [8]. თანამედროვე გერმანელი მეცნიერი ჰანს გიუნტერი დაინტერესდა პეტრიწის ტექსტის მნიშვნელობით პროკლეს უძველესი ტექსტის დადგენისთვის. მან გამოსცა კვლევა და ბერძნულად თარგმნა კიდევ პეტრიწის ქართული თარგმანის ოცი თავი [14], როგორც ნიმუში, თუ როგორ შეიძლება ქართული ტექსტით პროკლეს ავთენტურ ტექტზე გასვლა. ამ სტატიის ავტორი უნგრელ პროფესორ იმტვან პერცელთან ერთად დღესდღეისობით მუშაობს პეტრიწის სრული ტექსტის ინგლისურ თარგმანზე, რაც იმედაა ორ წელიწადში იხილავს თავის მკითხველს.

იოანე პეტრიწის გარეშე უკვე ძნელია წარმოიდგინო მსოფლიო სამეცნიერო დისკურსი შუა საუკუნეების ქრისტიანულ ფილოსოფიაზე, მით უმეტეს, რომ ქრისტიანული და პლატონური ტრადიციების თამამი ჰარმონიის პეტრიწისეულ მოდელს არ ჰყავს ანალოგი არც ბიზანტიაში და არც ევროპაში.

დასახელებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე ლ., *იოანე პეტრიწი და ანტიკური ფილოსოფია*, თბილისი 2008.
2. თევზაძე გ., *იოანე პეტრიწი*, თბილისი 2008.
3. იოანე პეტრიწი, *განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“*: თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დამანა მელიქიშვილმა, თბილისი 1999.
4. იოანე პეტრიწი, შრომები, ტომი I. *პროკლე დიადოხოსის პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი*. ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. შესავალი სტატია - მოსე გოგიბერიძისა. თბილისი 1940. /იოანე პეტრიწი, შრომები, ტომი II. განმარტებაჲ პროკლესთვის დიდადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფოსისათვის. ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. ტფილისი 1937.
5. კუკავა თ., *იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა*. თბ. 1971.
6. მელიქიშვილი დ., *იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი*, თბ. 1975.
7. ნემესიოს ემესელი, *ბუნებისათვის კაცისა* (იოანე პეტრიწის თარგმანი). გამოსცა ს. გორგაძემ. თბილისი 1914.
8. ოფერმანსი ვ., “ხუთი მიზეზის შესახებ იოანე პეტრიწთან და თომა აკვინელთან”, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, No.3, თბ. 1972.
9. ხიდაშელი შ., *იოანე პეტრიწი*. თბ. 1956.
10. Март Н., *Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII века*, Санкт Петербург 1909.
11. Иоанэ Петрици, *Рассмотрение Платоновской философии и Прокла Диадоха*. Редакторы тома Г.В. Тевзадзе, Н.Р. Натадзе. Вступительная статья и примечания Г.В. Тевзадзе. Перевод с древнегрузинского языка И.Д. Панцхавы. Москва 1984.
12. Панцхава И.Д., Петрици, Москва: Мысль, 1982.
13. Gigineishvili L., *The Platonic Theology of Ioane Petritsi*. Gorgias Press, NJ 2007.
14. Günther Hans-Christian, *Die Übersetzungen der Elementatio Theologica des Proklos und ihre Bedeutung für den Proklostext*. Leiden: Brill, 2007.
15. Ioane Petrizi, *Kommentar zur Elementatio theologica des Proklos*. Überetzung aus dem Altgeorgischen, Anmerkungen,

Indices und Einleitung. Herausgegeben von Lela Alexidze und Lutz Bergerman. Bochumer Studien zur Philosophie, 47. B.R. Grüner Publishing Company, 2009.

16. Iremadze T., *Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklischen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg, Berthold von Moosburg, Joane Petrizi*, Amsterdam/Philadelphia 2004

Ioane Petritsi and His Philosophical-theological Project

Levan Giginishvili

Associate Professor at Ilia State University

Abstract: The article discusses Ioane Petritsi's unique role in establishing philosophical tradition in medieval Georgia: his efforts of creation of Georgian philosophical language and a grand project of bridging two - Biblical-revelational and philosophical (Platonic) - traditions into one body of knowledge. The problems he could encounter in fulfilling this project, as well as the reasons for his harassment from the side of the official Church of his time are also addressed.

Key words: *Ioane Petritsi, Neoplatonism, Philosophy, Christianity*

Ioane Petritsi holds a special place in Georgian intellectual culture, along with such figures as Shota Rustaveli, Solomon Dodashvili, Nikoloz Baratashvili and Ilia Chavchavadze. Those names signify breaking through certain world-view stereotypes, escaping frames of tradition, modifying the tradition through the light of new knowledge and experience. Any tradition, unless it is creatively rethought through the light of universal intellectual processes and developments of this or that epoch, leaves no space for an explosion and continues to turn in circles. Such thinkers as Petritsi bear a credit of cutting through and opening such circles. In particular, Petritsi introduced into Georgian intellectual culture philosophy in the initial, Classical meaning of this notion. This notion implies a natural human propensity, striving, desire to understand and explain the universe not through some ready-made outer schemes (religious, ideological, cultural), but through one's own intellectual efforts, through actualization of one's own innate intellectual principle. This actualization was called by Greeks *dialectics*, and it has its own order and culture. Dialectics, although the term carries much ambiguities, can be defined as a dynamic space of objective thinking, in which a

person who is involved in dialectic process of thought believes that through this method he or she comes out from a particular, personal, subjective space and thinks as all humanity would have thought, that is to say, universally. Such a universal thinking implies also negotiated and agreed-upon terms and notions, for otherwise this will not be any more a dialectical thought, for dialectics implicates a real or a virtual co-thinker, who acknowledges and shares a system of notions and terms, understands their semantics, and therefore, it is possible to convince such a person by means of logical inferences (or as Petritsi says, by means of “syllogistic compulsion”). However, as I have noted, this thought is based upon a primordial and personal grand passion – to understand the universe and through this understanding establish an adequate, authentic relationship with it, to “get it right” so to say. It follows then, that philosophical-dialectical reasoning is on the one hand extremely personal and subjective – for it is as impossible to fall into a collective wonder about reality and collective passion for its understanding, as it is impossible to fall in love collectively – and on the other hand universal and addressing to all humanity. Especially this belief in universality kindles in a philosopher an unquenchable desire to share his/her thoughts to others, and not only a desire, but also a feeling of a duty to do so. Petritsi arrived to Georgia from Constantinople where he got a philosophical education most probably under Michael Psellus and/or John Italus, exactly with this desire to share his ideas, with a lucid vision of his truly missionary role.

However, philosophy entered Georgia first through translation of John of Damascus’ “Dialectic”. John of Damascus (8th century) elaborated Porphyry’s “Introduction to Aristotle’s Categories” and added it to his work “The Source of Knowledge”. As writes Ephrem Mtsire (11th century), the first Georgian translator of the “Dialectic”, before this text, no text of similar contents had ever been translated into Georgian. In the same century, this text was translated anew by Arsen of Iqalto, apparently due to his discontent with the quality of exactitude of the previous translation. Ephrem justifies himself in undertaking the translation of philosophic chapters by the purpose of providing Christians dialectic means for fending themselves from and moreover defeating pagan philosophers through their own weapons. That is to say, Ephrem makes

philosophy a servant of Christian religion and theology. Perhaps Arsen goes further than him. My ground for supposing this is that King David the Builder (1089-1125), whose teacher and spiritual father Arsen was, says in his famous "Prayers of Repentance" that he studied Greek philosophy, which he even calls "divine wisdom" alluding to the Apostle Paul (1 Cor. 1:21). It is most plausible that Arsen was his guide in studying philosophy. And there is an interesting phrase attributed to King David: "I am a man of that time, when Arsen ate dried bread, translated Gregory of Nyssa and, he alone, made the candle of the Holy Sophia". This phrase describes translation into Georgian by Arsen of one of the most philosophic Greek fathers, Gregory of Nyssa, and its enigmatic ending that Arsen was the only one to make the candle of the Holy Sophia/Wisdom, perhaps means that he aspired to combining Christianity and philosophy. In fact, the entire spirit of the Gelati school was exactly in this combination, and that is why an anonymous historian of the King David views Gelati as a unity of Athens and Jerusalem. The Gelati school translators, unlike the preceding school of translators from Mt Athos aspire at closest exactitude of rendering of Greek philosophic texts. With this respect, especially interesting is translation of the work of VI century representative of Alexandrian philosophic school, Ammonius Hermias. In the first chapters of his book Ammonius provides different definitions of the term "philosophy". Among those is this one: "to philosophize is to become like God, to the extent anybody can". However, no original philosophic work had been written before Ioane Petritsi. As evident from the above facts, it was not in a complete vacuum that Petritsi started his pioneering undertaking: to provide his Gelatian students a systematic, fundamental philosophic education.

The works that have come down to us that definitely belong to Petritsi are three: 1. Nemesius of Emesa's "On human nature", which Petritsi apparently translated and sporadically commented at an earlier stage of his literary exploits; 2. Preface of his commented translation of Psalms, which is a manifesto of harmony between Christian religion and philosophy and 3. the most important work – commented translation of Proclus' "Elements of Theology". All those works speak for themselves and show Petritsi's major goal: to introduce a systematic, disciplined course of philosophy. In case of

translation of Nemesius, this is a comprehensive anthropologic, whereas in case of Proclus a similar metaphysical treatise. As to the preface of the Psalms, as evident from this text, Petritsi added this to his commented translation of this biblical book. Unfortunately, this main part of the text is lost. I think, it was purposefully destroyed by the censorship, which spared only the introduction, but deemed it dangerous to expose general audience to metaphysical interpretations of the major text of Christian divine service.

Petritsi's vision, his major intuition is that the world, its entirety, has an objective, orderly structure, or as he calls it "the truth that co-exists with beings", which is cognizable through our intellect by means of dialectic reasoning; that the world is not only what is given to us through senses, but beyond the perceptible universe is hidden its supra-perceptible foundation, which does not reveal itself to us directly but is discoverable by efforts of our intellect. That, through which we cognize universe, Petritsi calls our inner "dialogic/dialectic word", or "inner Hermes", i.e. the interpretative principle. This immanent word is activated by its rubbing with the Divine Logos; that is to say, dialectic thought is governed by the Divine Word, thus representing a synergic co-action of our inner logos with the Divine Logos. I have mentioned above, that in Petritsi's vision the structure of the universe and its invisible foundations are cognizable, however it will be more exact to say that human being is also obliged to perform this intellectual act, because most principally exactly through this dialectical capacity a human being differs from beasts. However, the activation of the dialectical capacity requires an exact conceptual apparatus, an orderly terminological system, a technical language adequate to metaphysics. Petritsi regards creation of such a language as the precondition for conducting a voyage from the visible to the invisible. In fact, he says that before him having created such a technical language, no such voyage was possible in Georgia by philosophic-dialectic means.

Petritsian synthesis of Platonic philosophy and Christian theology is based upon his *a priori* faith, that both speak about one and the same truth. If ultimate human aim is to rise to contemplation of metaphysical, intelligible world (which Petritsi translates as "ადმკული"/"adornment" after the Greek κόσμος) where eternally

and inextinguishably shine perfect Ideas and if, moreover, Bible represents a true revelation, then also this revelation is nothing else than a metaphorical story concerning human journey towards or connectedness with the same world of Ideas. Actually, for Petritsi, the Neoplatonic philosophy is a key for cracking the biblical metaphors and uncovering metaphysical theories in them. Thus, the biblical “Adam” for Petritsi represents a metaphor for a soul that dwells blissfully in the world of Ideas, whereas the trees of the paradise are those very Ideas beheld by the soul before her fall, that is to say, before her loosing the intellectual wings. In fact, the principal purpose of human life is to “re-grow” those intellectual wings and turn back to supra-material contemplation. The words uttered by God towards Adam “Where are you, Adam?”, Petritsi understands as an admonition through a rhetorical question: “Look, from where (i.e. the intelligible world) to where (i.e. the material world) your foolishness has brought you!”. Furthermore, Petritsi ventures outright connections and even identifications of realities of the Neoplatonic philosophy with those of the Christian theology. Thus, for him the transcendent and supra-intellectual One is God the Father, while the metaphysical principles immediately following the One – the first Limit and the first Infinity – “co-essentially” as Petritsi states, are the same as the Son and the Holy Spirit respectively. Those are not simply comparisons, but, as I have said above, outright identifications, for Petritsi does not live in two separate universes one belonging to the Platonic philosophy whereas the other to the Christian revelation, but rather he creates a common universe from both traditions. Therefore, it is not surprising that he ascribes to Plato, on the one hand, words of Proclus, and on the other hand words of St. Gregory of Nazianzus, because for him, in fact, both Proclus and St. Gregory are explicators of hidden and obscure places of Plato’s dialogues. For Petritsi, words of St. Paul express metaphysical theories. For example, Petritsi puts the Pauline phrase “Who called the non-being as being” (Cf. Romans, 4:17) into the context of Neoplatonic terminology and provides a theory, according to which God, i.e. the transcendent One, produces from Himself the formless matter that is “non-being” in the sense that it is unintelligible for our intellects (for, in principle, intellect is powerless to cognize that, which has no structure whatsoever),

however for the transcendent One this non-being is not non-being but being. It is possible that Paul would have been taken aback at such an interpretation of his words, but that is exactly Petritsi's method: to see metaphysical seeds in the Holy Scripture and adjust them to the true visions of Proclus and other Neoplatonists. Petritsi is to such an extent confident and so positive with respect of plausibility and rightfulness of his grand synthesis and harmony that tends to neglect and turn a blind eye to apparent discrepancies between the doctrines of Platonic philosophy and those of the Orthodox Church, of which a member he himself believes to be. For example, incompatibility of the doctrine of the necessary, involuntary emanation (Neoplatonism) and the doctrine of volitional creation out of nothing (Christianity), which was the basic "apple of discord" between the adepts of the Neoplatonic School and the Christians. Neoplatonists, Proclus, Simplicius etc. wrote treatises – 18 of them belong to Proclus – against Christians exactly on this issue. A Christian, John Philoponus, regarded it his duty to refute from the standpoint of the Christian tenet of creation the Aristotelian vision of the history-less world, which is coeval with and uncreated by the supreme immaterial principle – the Unmoved Mover. This problem does not exist for Petritsi, and he in fact presents the life of Proclus as if this Neoplatonic master was a person comparable to a Christian saint, who through both ascetic and educational-dialectical feats attained to divine visions. Thus, apparently, Petritsi identifies the creation with emanation. Indeed he uses the term "creation" - "ἡδούση", "ἡδούση" – but it is anything but clear whether he implies in this "creation" the instantaneous act, or eternal creation of the universe by the agency of God, which is possible to be translated also in the language of emanation.

There is one more problem connected with the theory of emanation: the world not only emanates from the One, but also reverts to It/Him and the first is unthinkable without the second. Thus, if this cycle is in a sense a necessary cycle, then how can one comply this theory with a Christian doctrine on eternal division and secession of demons from God? If those demons are outside of the procession-reversion cycle, then they are outside the universe itself, for in fact everything should be included in this cycle. However, if

they also participate in this cycle, then we can think that their secession from God is not radical and eternal and they also can revert. This Origenistic idea of restoration of all to the initial status, the so called “apokatastasis”, is not clearly present in Petritsi’s text, but seems to logically follow from his metaphysics for everything in both visible and invisible world partakes of the cycle of emanation from and reversion to the One.

Another discrepancy between the Platonism and Christianity is the Christian doctrine of hypostatic unity of body and soul, which denies the Platonic doctrine of preexistence and natural immortality of soul. In this quarrel Petritsi, I think, sides with Platonists. For him soul preexists and historical birth of man is “fall of soul in [the world of] becoming”. In this, Petritsi follows an ancient Christian tradition that originates from the thought of Origen the Alexandrian. Nemesius of Emesa, 4th century bishop, whose major opus “De natura hominis” Petritsi translated, also follows the same tradition. In fact Petritsi translates without any commentary and explanation Nemesius’ biblical exegesis that God’s rest after six days metaphorically indicates that He has created universe in its completeness, including all souls, while the words of Johannine Gospel “My father works until now and I work” (John 5:17) he interprets in terms of providential care upon the things already created and not any sort of new creations. Thus, according to Nemesius those who say that souls are created together with bodies, are in a grave error. This and suchlike ideas (for instance, another Christian bishop of 5th century, Synesius of Cyrene cherished similar ideas about soul) were officially rejected and condemned by the fifth Ecumenical Council, however, Petritsi still adheres to one of those ancient traditions in Christian thought that predated the abovementioned council.

One more problem encountered by a Christian in dealing with the Neoplatonic thought is to accommodate the latter’s rigid doctrine of hierarchical causation with Christian vision of non-hierarchical causation in Holy Trinity: of the Son and the Holy Spirit from the Father. At least once Petritsi presents relationship of the One-the Father with the Son-the Limit and the Infinity-the Holy Spirit in a vertical-hierarchical fashion, however in other cases, where he

speaks about “consubstantiality”, or when he adduces musical analogy of the Trinity, he seems to exclude any notion of hierarchy.

In addition, Petritsi faced a major difficulty in translating and explicating Proclus’ henadic theory. In Proclus henads represent eternal gods whom, being a polytheist, Proclus worships. In a drastic contrast, Petritsi calls henads “gods” only in a relative sense, because for him they are “created unities” and metaphysical entities “deified through participation”, which is a novel and a totally un-Proclian doctrine, being obviously a Georgian philosopher’s modification conditioned by his Christianity.

Petritsi’s theory of eros or passion towards God, I think, also differs from the Neoplatonic tenet. To wit, in Neoplatonism eros towards the One consummates with a mystical, inexpressible union, where the desire is quenched and satisfied. Contrary to this, in Petritsi, as it seems, eros never ends and a new desire follows a previous one and so on and on. This assimilates Petritsi’s view to mysticism of such Christian thinkers as St Gregory of Nyssa, with his idea of eternal striving, or eternal stretching-forth-towards God (the so called “epektasis”), or St Symeon the New theologian, who in his religious poetry speaks about thirst that is never satiated, due to the fact that new thirst arises upon the previous one. This difficult issue requires, I think, a more focused comparative study.

Petritsi’s commented translation of Proclus’ “Elements of Theology” in many ways represents an interest to modern scholars. One of the significance of this work is to study influence and role of Platonism and in particular of Proclus upon Eastern-Christian and Byzantine thought. In Byzantium, due to a tight imperial censorship, we do not possess any work that would have struck such an audacious harmonization of Platonic philosophy and Christianity. Neither in works of Michael Psellus, nor in works of his disciple John Italus, who was anathematized by his contemporary Constantinopolitan church, can one find an attempt of a synthesis of such a scale as in Petritsi. Therefore, Petritsi can witness to that movement in Byzantine thought that is not available to scholars who use only Byzantine sources, that went underground in the Empire,

while revealed in full breadth and complexity in the Kingdom of Georgia where the grip of censorship seems to have been looser.

Besides, Petritsi's translation of the "Elements of Theology" bears a unique significance for scholars of this one of the crucial texts of Neoplatonism. This importance was first acknowledged by the most renowned editor – and translator – of this text, E. R. Dodds, who even used up to ten passages of Petritsi's text in order to establish authentic readings of Proclus. Uniqueness of Petritsi's text is in that the Georgian translation was made in 12th century, or the first half of the 13th century the latest. Therefore, that Greek manuscript – or manuscripts – which was used by Petritsi predated at least by decades the earliest extant manuscript of Proclus (the oldest among them belong to the turn of 13th and 14th centuries. Since the extant codices belong to different families that sometimes give totally divergent readings, a question stands as to which among them is most reliable and closest to the original text of Proclus. In this situation, Petritsi's translation, which usually aims at mirror exactness, can be used as a key giving us an access to the Greek text he used, and thus to the earliest available reading. Thus, what E.R. Dodds does with William Moerbeke's Latin translation – reconstructing occasionally his now lost Greek manuscript from his Latin translations – can and should be done with Petritsi's Georgian translation. It stands without question that for future editions of Proclus' text Petritsi's translations can have immense significance. Especially intriguing in this respect is one additional, 129th chapter in Petritsi's translation, absent from all the extant manuscripts of the "Elements of Theology". This chapter speaks about divine and *daimonic* souls. E.R. Dodds contended this chapter to not to be authentic and this was one of the reasons that he downgraded the value of the virtual Greek text available through Petritsi's translation. However, other scholars (Alexidze; Günther) provide interesting arguments to prove the authenticity of this chapter. Despite of what was said above, a great caution is to be taken in using Petritsi's translation as a key or a bridge to his lost Greek codex, for Petritsi at times allows himself a considerable freedom during his translation. At some instances, due to different, theological, philosophical or pedagogical reasons Petritsi purposefully alters the Greek, or misunderstands the meaning, thus introducing

his own ideas already in the translation itself. Those alterations sometimes are quite valuable in philosophical terms, however they do not adequately and objectively render Proclus' meanings.

Petritsi's dream was to establish a lasting philosophic school in Georgia and nurture philosophers similar to himself, who would succeed him. Admittedly Petritsi at least achieved that in Gelati monastery, where he launched a systematic course in philosophy that included all components of classical education: starting from Grammar-Rhetoric-Logic and Arithmetic-Geometry-Astronomy-Music (respectively the *trivium* the *quadrivium* in Boetius' terms), it culminated with metaphysics, or philosophical theology. Due to historical calamities, most significantly to the devastating invasions first of Khorezmians and then of Mongols, the tradition set up by Petritsi quickly ceased. And yet, such an emblematic figure of the medieval Georgian culture as Shota Rustaveli is impossible to be thought about without a reference to Ioane Petritsi. In fact, the entire philosophical terminology of Rustaveli is based on Petritsi's philosophical vocabulary. Moreover, Rustaveli's theory of eros as the anagogic/elevating divine power follows Petritsi's doctrine almost in all respects. Yet this is a topic of a separate discussion.

Petritsi enjoyed a huge respect in the entire medieval Georgia. His works were carefully copied as a sample of lofty, if extravagant, philosophical thought. This, however, hardly means that he was properly understood, for availability of the text only is not sufficient for its understanding, unless there exists an intellectual milieu, where such a text is a subject of a lively discussion, dialectical consideration etc. Or at least, where is present a teacher initiated in philosophy and metaphysical theories like Petritsi. Therefore, it is not a surprise that the copyists had a feeling of caution and even alarm, as vividly evidenced in one of the glosses warning that reader should not step out from the borders set by the holy fathers of the Church, lest he embraces a dangerous heresy that will lead his soul to eternal damnation. Petritsi was greatly admired by Catholicos Anthony in the 18th century, however it is hardly likely that he understood him adequately, due to the fact that Anthony was not any closely familiar with the Neoplatonic tradition. However, Petritsi was important for the Catholicos also for the reason that he

was a creator of a new, technical philosophical language. Thus, Petritsi's example would be crucial for Anthony who also engaged himself in reforming the Georgian language and creating a linguistic theory of "three styles".

Petritsi's scholars: The first scholarly article on Petritsi, that still has not lost its importance, belongs to Niko Marr (1909)[11]. After him, in 1914 S. Gorgadze edited Nemesius of Emesa's "On Human Nature", translated by Petritsi, and wrote his introduction to it[13]. Popularity of Petritsi in the Soviet Union was facilitated by a Russian translation of Petritsi's commentaries that was edited and enhanced by Guram Tevzadze and Nodar Natadze who edited anew this translation in the famous series "Philosophical Heritage" (1984)[7]. To I. Pantskhava belongs also a Russian monograph on Petritsi (1982) [15]. Other monographs on Petritsi belong to Shalva Khidasheli (1956)[9], Tamar Kukava (1971)[10] and Guram Tevzadze (2008)[16], who also has written numerous important articles both in Georgian and in prestigious Western periodicals. Shalva Nutsbidze's and Simon Khaikhchishvili's Georgian edition of Ioane Petritsi was a milestone in Petritsian studies (in 1937 were edited Petritsi's commentaries and in 1940 Petritsi's translation)[6]. However, the editors did not have access to the oldest 13th century manuscript (H-1337). The editors have written also introductory articles. Mose Gogiberidze wrote an introduction for the first volume (1940). In-depth study of Petritsi's language belongs to Damana Melikishvili (1975)[12], who also has written many interesting articles on Petritsi, both on his language and philosophy. She also translated Petritsi into modern Georgian (1999)[5]. Petritsi studies were promoted by Ana Kharanauli, Edisher Chelidze – who was the first to discover that the so-called "Epilogue" in fact is introduction to Petritsi's commented translation of Psalms – Tinatin Tskitishvili, Ketevan Bezarashvili, Magda Mchedlidze etc. Lela Alexidze's contribution is to be especially distinguished, for she played a major role in international popularization and promotion of Petritsi studies. Besides many articles both in Georgian and Western European periodicals she wrote a monograph on Classical philosophical sources of Petritsi (2008)[1] that has become a reference book for Petritsi's scholars, and most importantly, together with Lutz Bergerman she translated and

edited Petritsi's commentaries in German (2008)[8]. This edition, first time made Petritsi's text accessible for the European audience. Tengiz Iremadze in his monograph (2004)[4] compared Petritsi's thought, namely, his theory on intellect with theories of German mystical thinkers Dietrich von Freiberg and Berthold von Moosburg, by which he firmly established Petritsi in Western scholarly discourse on Medieval philosophy. To Tengiz Iremadze also belongs an important article on Petritsi for Stanford Encyclopedia of Philosophy (2006). My articles in English – one of them with Gerd van Riel – and especially a monograph on Petritsi edited in the USA (2007)[2], I think, also have contributed to the Western audience's familiarization of Petritsi. Western scholars also started to make independent contributions to Petritsi studies. The first among them was a German W. Offermans, who compared Petritsi's and Thomas Aquinas' ideas on causation[14]. Another German scholar, Hans Guenther, has recently got interested in the significance of Petritsi's translation for establishment of the most ancient version of Proclus' text. This scholar has published a study (2007)[3] and has translated into Greek twenty chapters of the Georgian translation as an example of how can one get access to Proclus' authentic text through the Georgian text. The author of this article, together with Prof. Istvan Perczel presently works on the English translation of the entire text of Petritsi, which hopefully will see its readers in two years.

Without Ioane Petritsi, it is already difficult to imagine international scholarly discourse on Medieval Christian philosophy, and moreover so, since such a bold harmonization of Christian and Platonic traditions attempted by Petritsi, has hardly any analogues in Byzantium and Western Europe.

References

1. Aleksidze L., *Ioane Petritsi and Antique Philosophy*. Tbilisi 2008 (in Georgian).
2. Gigineishvili L., *The Platonic Theology of Ioane Petritsi*. Gorgias Press, NJ, 2007.
3. Günther Hans-Christian, *Die Übersetzungen der Elementatio Theologica des Proklos und ihre Bedeutung für den Proklostext*. Leiden: Brill, 2007.

4. Iremadze T., *Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklischen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg, Berthold von Moosburg, Joane Petrizi*. Amsterdam/Philadelphia 2004.
5. Ioane Petritsi. *Explanation of Proclus Diadochus' 'Elements of Theology'*. Translated in modern Georgian, supplied dictionary and notes by Damana Melikishvili. Tbilisi 1999 (in Georgian).
6. Ioane Petritsi. *Opera*. Vol. 1. Proclus Diadochus' 'Elements of Theology'. Georgian text edited and supplied by notes and dictionary by Simon Kaukchishvili. Introductory article by Mose Gogiberidze. Tbilisi 1940. Ioane Petritsi. *Opera*. Vol. 2. "Explanation of Proclus Diadochus and the Platonic Philosophy". Edited by Sh. Nutsbidze and S. Kaukchishvili. Tbilisi, 1937 (in Georgian).
7. Ioane Petritsi. *Commentaries of Platonic philosophy and Proclus Diadochus*. Eds. G. Tevzadze and N. Natade. Introduction and notes by G. Tevzadze. Translation from Old Georgian I. Patniskhava. Moscow 1984) (Иоанэ Петрици, *Рассмотрение Платоновской философии и Прокла Диадоха*. Редакторы тома Г.В. Тевзадзе, Н.Р. Натадзе. Вступительная статья и примечания Г.В. Тевзадзе. Перевод с древнегрузинского языка И.Д. Панцхавы. Москва 1984).
8. Ioane Petrizi, *Kommentar zur Elementatio theologial des Proklos*. Überzetzung aus dem Altgeorgischen, Anmerkungen, Indices und Einleitung. Herausgegeben von Lela Alexidze und Lutz Bergerman. Bochumer Studien zur Philosophie, 47. B.R. Grüner Publishing Company, 2009.
9. Khidasheli S., *Ioane Petritsi*. Tb. 1956 (in Georgian).
10. Kukava T., *World-outlook of Ioane Petritsi*. Tb. 1971 (in Georgian).
11. Marr N., *Ioane Petritsi, a Georgian Neoplatonist of XI-XII cc*. St. Petersburg 1909 (in Russian). (Март Н., *Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII века*. Санкт Петербург 1909)
12. Melikishvili D., *Language and Style of Ioane Petritsi*. Tbilisi 1975(in Georgian).
13. Nemesius of Emesa. *On human nature*. Ed. S. Gorgadze. Tb. 1914 (in Georgian).
14. Offermans W., „Concerning five causes in Ioane Petritsi and Thomas Aquinas“. *Matsne*, No. 3, pp. 55-56, Tbilisi 1972 (in Georgian).
15. Pantskhava I., *Petritsi*. Moscow. Mysl, 1982(in Russian). (Панцхава И.Д., *Петрици*. Мысль, Москва 1982).
16. Tevzadze G., *Ioane Petritsi*. Tb. 2008 (in Georgian).

იოანე პეტრიწის ენა

დამანა მელიქიშვილი

პროფესორი-ემერიტუსი თსუ

რეზიუმე: იოანე პეტრიწის ენის სპეციფიკას, მის სტილს ქმნის ერთობლიობა იმ თავისებურებებისა, რომლებიც:

1. რთული ფილოსოფიური, მაღალი აზროვნებითი კატეგორიების გადმოცემის საჭიროებითაა გამოწვეული: ფილოსოფიური ცნებების სიმრავლე და მათი გამომხატველი ახალი ტერმინების სიუხვე, რთული სინტაქსური კონსტრუქციები.
2. ბერძნული ენისა და ბერძნული დედნის გავლენა ტერმინების კომპოზიციასა და წინადადების წყობაზე.
3. ინდივიდუალური სტილის თავისებურებანი, რაც ვლინდება ენის სინონიმურ საშუალებათა თავისებურ შერჩევასა და წინადადების თავისებურ წყობაში.
4. ხოლო, მისი “განმარტების” სასაუბრო სტილის განმსაზღვრელი ფაქტორია ამ თხზულების სასწავლო დანიშნულება: იგი მოსწავლეთა, მსმენელთათვისაა გამიზნული.

თავისებურებათა მთელი ეს კომპლექსი ქმნის იოანე პეტრიწის თვითმყოფად სტილს.

საკვანძო სიტყვები: *იოანე პეტრიწი, პროკლე დიადოხოსი, გელათის ფილოსოფიური სკოლა*

შუა საუკუნეების დიდი მოაზროვნე-თეოლოგი იოანე პეტრიწი – „პლატონური ფილოსოფოსი“ (როგორც მას იხსენიებენ ხელნაწერების მინაწერები), ახალი ეტაპის წარმომადგენელია ქრისტიანული აზროვნების ისტორიაში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთოდ, ადმოსავლური ქრისტიანული სამყაროს შუა საუკუნეების ფილოსოფიის // თეოლოგიის განვითარების ტენდენციებისა და სპეციფიკის, ასევე, დასავლურთან მისი მიმართების დადგენისა და გაგებისათვის.

სასწავლო სახელმძღვანელოების ნუსხა აკადემიის სახელით ცნობილი გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლისა (XII-XIII სს.), რომელიც კონსტანტინოპოლის მანგანას უნივერსიტეტის ანალოგია საქართველოში და სადაც სწავლება თრივიუმ-ქუადრივიუმის აკადემიურ სისტემას ემყარებოდა, ფართოდ მოიცავს სწორედ იმ ნეოპლატონურ ლიტერატურას, რომელიც შუა საუკუნეების ევროპულ აკადემიებში სახელმძღვანელოებად გამოიყენებოდა. სწორედ ამ თხზულებათა თარგმანებისა და კომენტარების საფუძველზე დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკური სისტემა ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის ღვაწლითა და შრომით. იოანე პეტრიწმა გელათის აკადემიაში სასკოლო კომპენდიუმთა რიგში შეიტანა V საუკუნის გამოჩენილი ბერძენი ნეოპლატონიკოსის, პლატონის კათედრის დიადოხოსის, ანუ „მონაცვალის“ (როგორც მას იოანე პეტრიწი უწოდებს), პროკლეს ცნობილი ტრაქტატი „თეოლოგიის საფუძვლები“ *Stoiceiwsic Qeologikh*, რომლის თარგმანსაც დაურთო „სქოლიოდ“ წოდებული ვრცელი განმარტება, უნიკალური თავისი მნიშვნელობით, რადგანაც იგი შეიცავს არა მხოლოდ პროკლეს ფილოსოფიის დაწვრილებით განხილვას, არამედ, საზოგადოდ, ელინური (/პლატონური) ფილოსოფიის ძირითადი პრობლემების განხილვა-კომენტარებას და ანალოგიის მეთოდზე დაყრდნობით არსის ნეოპლატონური სტრუქტურის საკუთარი, ორიგინალური, ქრისტიანული თვალსაზრისით ინტერპრეტაციას. პეტრიწის ნაშრომი თავისი ფორმითა და სტილით წარმოადგენს ლექციების ციკლს მსმენელი სტუდენტებისათვის, რომელთაც ავტორი აცნობს ელინ ფილოსოფოსთა ნააზრევს და თითოეული საკითხის განხილვისა და დასაბუთებისას ციტირებას ახდენს პლატონისა და აკადემიელების, არისტოტელესა და პერიპატოელების, პითაგორასა და პითაგორელების, სტოიკოსების; პლატონისა და არისტოტელეს კომენტატორების: პორფიროსის, ასკლეპიოსის, პლოტინეს, ალექსანდრე აფროდისიელის და სხვათა ნაშრომებიდან. იოანე პეტრიწის განმარტებანი შემდეგნებისთვის, მსმენელისთვის, მოსწავლისათვის არის დანიშნული, ამიტომაც მის განმარტება-კომენტარებს თავიდან

ბოლომდე გასდევს სასაუბრო კილო, ესაა მისი ენობრივი სტილის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი: მეორე პირი – მსმენელი, მთელი განმარტების განმავლობაში მისი ყურადღების ცენტრშია. ავტორი მას ხშირად მიმართავს და უწოდებს გამგონეს, (შემმეცნებელს), ან განმცდეს (მხედველს, აღმქმელს), მსმენელსა და მოსწავლეს: *იხილე, ხედვათა შუენიერებანი, ოდ გამგონეო* [2, გვ. 154,28]; *ხედენ და განიცადენ, გამგონეო, ხედვანი უჩუეველნი* [2, გვ. 186,13]; *ხოლო შენ, მსმენელო, აქა მომეც საცნოდ ხედვისაჲ* [2, გვ. 105,31], *აწ რად ვყოთ, მოსწავლეო, ხედულო გონებისაგან* [2, გვ. 107,17]; *ისმინენ წადილმან მოსწავლისამან* [2, გვ. 83,19].

იოანე პეტრიწის ამ ნაშრომის დიდ მნიშვნელობასა და გავლენაზე თავისი დროისა და მომდევნო პერიოდის მოაზროვნე წრეებზე მიუთითებს ქართული პოეზიისა და ესათეტიკური აზრის მწვერვალის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ის პასაჟები, სადაც პროკლეს ფილოსოფიური სისტემისათვის დამახასიათებელი ტერმინები პირდაპირ იოანე პეტრიწის სიტყვიერი საუნჯიდანაა შესული; პეტრიწის ამ ნაშრომისადმი დიდ ინტერესს მოწმობს ის, რომ იგი 1248 წელს ქართულიდან სომხურ ენაზე ითარგმნა; ცნობილია, თუ რა დიდი გავლენა იქონია პეტრიწის ნააზრევმა და მისმა ენამ ანტონ კათალიკოსის (XVIII ს.) სკოლაზე: ამ ეპოქის ლიტერატურულ წრეებში იგი „ქართული ენის მამზევებელად და მადღევებელად“ იწოდება.

იოანე პეტრიწის ენა და სტილი ყოველთვის იქცევდა და იქცევს მწერალთა თუ მკვლევართა ყურადღებას: ტრადიციული შეხედულების თანახმად, რომელსაც სათავე დაედო ანტონის სკოლაში, იოანე პეტრიწის ენა მეტად რთული გასაგებია (*ფრიად ღრიფოის და ძნიად იგულისქმების*), მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ხანის მოღვაწენი – სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ კათალიკოსი, იოანე ორბელიანი და სხვანი მას „ქართულისა ენისა მზედ“ უხმობენ, მიიჩნევენ „მამზევებელად და მადღევებელად ენისა ჩუენისა“, მის რა ქმნის იოანე პეტრიწის ენის თავისებურებას?

თავისი ენის ორიგინალობის გასაღებს იოანე პეტრიწი თვითონვე იძლევა პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლების“ მისეული თარგმანისა და განმარტების

სხვადასხვა ადგილას, სადაც იგი საკმაოდ ვრცლად გადმოსცემს და ასაბუთებს თავის მთარგმნელობითს პრინციპებს:

პირველ რიგში, სირთულეს იგი ხსნის იმით, რომ ამგვარი ტექსტი რთული გასაგებია „უჩუველთავის უსხეულოთა განცდისა“, ანუ იმათთვის, ვინც გამოუცდელია არამატერიალურის ხედვებში (თეორიებში); იგი აღნიშნავს, რომ ჩვენში ჩვეულებაა ადვილი და მარტივი ტექსტების ჩვეული ენით თარგმნა, მაგრამ რთულ აზროვნებითა და ფილოსოფიურ თხზულებებში იგი ენის მარტივად და ლიტონად მიყოლას ცდილობს მანამდის, სანამ ზედმეტი სილიტონით აზრს ვნება და დაშლა არ შეემთხვევა, რადგანაც მთელი მისი გონება მათში არსებული აზრისა და ხედვისკენაა მიმართული: ლოგიკური (სიტყვიერებითი) იქნება ის თუ მათემატიკური (სწავლულებითი), გინდ ბუნებითი (ფიზიკური) ანდა ღვთისმეტყველებითი [2, გვ. 222]. ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების მისეული პრინციპი ეყრდნობა მის შეხედულებას და დამოკიდებულებას ფილოსოფიური აზროვნებისა და ძიებების დიდი ტრადიციის მქონე „ელინთა ენის“ უსაზღვრო გამომსახველობითი შესაძლებლობების მიმართ: პეტრიწის სიტყვებით რომ ვთქვათ, *„ელინთა ენაშეობასა ზედა, ყოველსავე თვისი სახელი ჰრქვიან, შესაბამი თვისისა არსებისაჲ [2, გვ. 6] – აქედან გამომდინარეობს იოანე ფილოსოფოსის მთარგმნელობითი პრინციპი: ბერძნული ტექსტის ზუსტი, ადეკვატური თარგმანის შექმნისა და ბერძნული მეცნიერული, ფილოსოფიურ-ლოგიკური აპარატის, თეოლოგიური ცნება-ტერმინების ქართულ ენაზე კალკირების გზით გადმოტანისა (იმავე მეთოდით, როგორითაც ხდებოდა ლათინურენოვანი თეოლოგიური და, საერთოდ, ევროპულ ენებზე მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება).*

გელათის ფილოლოგიურ-თეოლოგიური სკოლა (XII-XIII სს.), უმნიშვნელოვანესი ეტაპია ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრისა და, ქართული მეცნიერული ენის განვითარების გზაზე. ამ სკოლაში გაგრძელდა შავი მთის სკოლის დიდი მოღვაწის, ეფრემ მცირის დაწყებული საქმე – საბოლოოდ შემუშავდა თეორიული საფუძვლები ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა და ქართული თეოლოგიური ენისა, დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიურ-

თეოლოგიური ენა და სტილი, საფუძველი დაედო ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკურ სისტემას.

სწორედ ამ ენის შექმნას გულისხმობდა თავის გვარ-ტომის ხალხისათვის, ქართველთათვის, იოანე პეტრიწი, როდესაც წერდა: *...და აღვიშურვე ტომისათვის გუართა ჩემთასა მე მიდმოობად ენისად გალესებული და მესხუედ მდაბრიონთაგან [1, განმარტ., გვ. 220, 24-25]*: ანუ მან გადაწყვიტა შეექმნა ქართული მეცნიერული, ფილოსოფიური ენა, ქართული მეცნიერული სტილი, განსხვავებული „მდაბიოთა“, „მსოფლიოთა“ (ანუ ყოფითი, სალაპარაკო) ენისაგან, დაემუშავებინა ქართული ფილოსოფიურ-ლოგიკური აპარატი.

ნებისმიერ ენაში ყოველ ახლადშექმნილ ტერმინს თავდაპირველად „უცნაურობისა“ და „ხელოვნურობის“ იერი დაჰკრავს. ასეთ შემთხვევაში შეჩვევის ფაქტორი გამაძლეველი თუ არა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ტერმინის დამკვიდრებისათვის. სწორედ ამას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როდესაც წერდა: „რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდა წმინდა ქართული იყოს, რაკი ამ სიტყვას ახალ მნიშვნელობას მისცემ, ისიც გაუგებარი იქნება ჯერხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა... რასაკვირველია, ამ სიტყვის აზრს შევეჩვევით თავის დროზედ, მაგრამ, სანამ შევეჩვევით, იმ დრომდე ეგენი ძნელნი იქნებიან და ძნელად გასაგონნი“.

მეცნიერული, კერძოდ, ფილოსოფიური ენა, გარკვეული აზრით, კონსტრუირებული ენაა. „ხელოვნურობა (ანუ მხოლოდ ბუნებრივად განვითარებადი, სალაპარაკო ენისაგან განსხვავებულობა) გარდაუვალია არა მარტო სინტაქსურ კონსტრუქციებში და ამა თუ იმ მორფოლოგიურ საშუალებათა განზოგადოებაში... არამედ, პირველ ყოვლისა, ლექსიკაში“ [5, გვ. 361]. თავდაპირველად ნებისმიერი ფილოსოფოსის მიერ შექმნილი ტერმინები, შესაძლებელია, ხელოვნურად გამოიყურებოდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი ეთვისებიან ენის ქსოვილს, თუ შესაბამისი მეცნიერება განაგრძობს განვითარებას და შთამომავლობას ექნება სათანადო პირობები ამ მეცნიერების მემკვიდრეობის ასათვისებლად.

იოანე პეტრიწს დიდი წინამორბედები ჰყავდა ბიბლიური და ეგზეგეტიკური ტექსტების თარგმანსა და კომენტარების საქმეში: სირიაში მოღვაწე თუ ტაო-კლარჯრთის სამონასტრო სკოლების ქართველი ბერების, ე.წ. პრეათონური პერიოდის თარგმანების სახით; წმინდა ათონელი მამების – ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების (XI ს.) უმდიდრესი სიტყვიერი მემკვიდრეობის სახით; ასევე, ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის შრომების თარგმნა-კომენტარების ბრწყინვალე ოსტატის, შავი მთის (ანტიოქიაში) დიდი მოღვაწის – ეფრემ „მცირედ“ წოდებულის ნამუშავევის სახით: XI ს-ის 80-90-იან წლებში ეფრემ მცირეს უკვე თარგმნილი ჰქონდა იოანე დამასკელის „საფილოსოფიო თავები“ ანუ „დიალექტიკა“, მისივე „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა“ და დიონისე არეოპაგელის მთელი კორპუსი მაქსიმე აღმსარებლის კომენტარებითურთ; როგორც ჩანს, ტერმინოლოგიის სრულყოფის მიზნით, იყალთო-გელათის ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა – არსენ იყალთოელმა ხელახლა თარგმნა დამასკელის „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“ (თვით ეფრემ მცირე გვაუწყებს თავის „ანდერძში“, რომ დამასკელის ამ თხზულებათა თარგმნისას მისი „ძალმწე“ არსენ იყალთოელი ყოფილა); გელათში, არსენის წრეშივე ითარგმნა ალექსანდრიული (ნეო)პლატონური სკოლის, ამონიოს ერმიასის კომენტარები არისტოტელეს „კატეგორიებზე“ და ამონიოსისავე კომენტარები პორფირიუსის ამავე „კატეგორიების“ შესახებ, რომელშიც თავმოყრილი და სისტემაში იყო მოყვანილი არისტოტელედან და მისი კომენტატორებიდან მომდინარე ლოგიკურ-ფილოსოფიური ტერმინოლოგია; იოანე პეტრიწის მოღვაწეობის პირველი პერიოდის, ნემესიოს ემესელის ანთროპოლოგიური ხასიათის ტრაქტატის, „ბუნებისათვის კაცისას“ თარგმანს განსაკუთრებით ატყვია არსენ იყალთოელის სტილის გავლენა.

მაგრამ მაინც, იოანე პეტრიწის ღვაწლი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური (//მეცნიერული) ენის ჩამოყალიბების საქმეში სრულიად განსაკუთრებულია: იოანე პეტრიწის მიერ ნეოპლატონური ფილოსოფიის სისტემატიზატორის, პროკლე დიადოხოსის "Stoiceiwsic

Geologikh” – „თეოლოგიის საფუძვლების” (მისი თარგმანით: „კავშირნი ღმრთისმეტყულებითნი”) თარგმნა-კომენტირებას შედეგად მოჰყვა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის სისტემაში მოყვანა, მკაცრად დამუშავებული ქართული მეცნიერული ენის – ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკური სისტემის შექმნა. სწორედ პროკლესაგან, როგორც პეტრიწი უწოდებს მას – „პლატონის მონაცვალე” („დიადოხოსი”) ფილოსოფოსისაგან, შეითვისა მან ის ლოგიკური სისტემატურობა, რომელიც მთელ მის სიტყვათშემოქმედებას გასდევს. როგორც ცნობილია, პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლებში”, მის ფუნდამენტურ ნაშრომში „პლატონური თეოლოგია”, მის კომენტარებში პლატონის „დიალოგებზე” (რომელთაც შესანიშნავად იცნობს და იყენებს თავის განმარტებებში იოანე პეტრიწი) პროკლესათვის დამახასიათებელი აკრიბიითა და სკრუპულეზურობით არის ჩამოყალიბებული მკაცრი სისტემა ელინური ფილოსოფიური ტერმინოლოგიისა ნეოპლატონური გადამუშავებით. ცხადია, ეს მის მთარგმნელსა და კომენტატორს ავალებდა ასეთივე მკაცრი სიზუსტით მოჰკიდებოდა თითოეული ფილოსოფიური ცნების ქართულად გადმოცემის საქმეს.

საუკუნეების განმავლობაში ბერძნული ტერმინების შესატყვისად შექმნილ ქართულ ლექსემებს, აგრეთვე, ახლად თარგმნილი ნეოპლატონური ფილოსოფიის ცნებათა ქართულ შესატყვისებს ესაჭიროებოდა ერთ ფორმალურ-სემანტიკურ სისტემაში გაერთიანება, რაც კიდევაც განხორციელდა გელათის სკოლაში. ამ მხრივ გელათის ფილოსოფიურ-ლიტერატურული სკოლა ახალი ეტაპია ქართული ფილოსოფიური (//თეოლოგიური) ტერმინოლოგიის განვითარების გზაზე: ესაა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ერთიანი მონოსტრუქტურული სისტემის ჩამოყალიბების შეგნებული ცდა. ამ საქმეს ერთი ხელი და ერთი გონება სჭირდებოდა; სჭირდებოდა პიროვნება, რომელშიც შემოქმედებითი სითამამე და ფართო გაქანება, ენის ალლო და ღრმა ცოდნა, სიტყვის არსში წვდომისა და მისი ესთეტიკური განცდის უნარი, ფილოსოფიაში განსწავლულობა და „ხედვათა სურვილი” ჰარმონიულად იქნებოდა შერწყმული. სწორედ ასეთი პიროვნება – „წარმორსებული წმიდა

განგებისაგან ღმრთისაჲსა, ჯელოვნებათაგან სულისათა დაჯელოვნებული, ხედვათაგან გონებისათა გაგონებებული” [2, 222] იყო „იოანე პლატონური ფილოსოფოსი”, ზედწოდებით „პეტრიწი”, რომელსაც, ნიკო მარის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უნდა ვუმაღლოდეთ ქართულ ენაზე შექმნილ მზამზარეულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, რომელიც ქართული ძირებით არაჩვეულებრივად ზუსტად გადმოსცემს ყველა ტერმინს, ევროპულ ენებზე ბერძნული ან ლათინური ნასესხობების სახით რომ არსებობს” [4, გვ. 35].

ამგვარად, პეტრიწის მიზანი იყო ფილოსოფიურ ტერმინთა ისეთი სისტემის შექმნა, რომლის ელემენტები ურთიერთკავშირში იქნებოდნენ ერთმანერთთან როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, შექმნიდნენ ფორმალურ-სემანტიკურ პარადიგმატულ ერთიანობას და გამორჩეული იქნებოდნენ ყოფითი ლექსემებისაგან ფორმალურ-სემანტიკური სტრუქტურების სისტემურობით. სწორედ ამას გულისხმობს იოანე ფილოსოფოსი, როდესაც ამბობს, რომ თავისი გვარ-ტომის ხალხისათვის – ქართველებისათვის აღიშურვა „მდაბრიონთაგან მესხუე და გალექსებული” ენის შექმნა.

იოანე პეტრიწის ენაზე, კერძოდ, მის ტერმინშემოქმედებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი პრინციპების მიხედვით

1. ტერმინი უნდა შექმნილიყო ქართული ძირებისა და აფიქსების საშუალებით;

2. ტერმინი გამორჩეული უნდა ყოფილიყო ყოფითი ლექსემისაგან როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური სისტემურობით;

3. ტერმინს ზუსტად უნდა აესახა შესაბამისი ცნების შინაარსი, უნდა ყოფილიყო გამჭირვალე, მოტივირებული;

4. ტერმინსა და ცნებას შორის ცალსახა მიმართება უნდა ყოფილიყო: ტერმინი მონოსემიური უნდა ყოფილიყო;

5. ტერმინი უნდა ყოფილიყო მოკლე და სხარტი.

ამ პრინციპების განხორციელება ყოველთვის შეუძლებელი იყო და ახლაც შეუძლებელია, რამდენადაც მეცნიერული ენა, ისევე, როგორც საზოგადოდ, ყოველი ცოცხალი ენა, არ არის სტატიკური და განვითარების კანონებს ემორჩილება. მაგრამ ამ იდეალური სისტემურობისაკენ სწრაფვა მოითხოვდა „ენის

ველოვნებისა და ღრამმატიკოსობის” დაუფლებას, ენის „აობისა (არსის) და ქცევის (ფორმაცვალების)” შესწავლას, სიტყვათა „შეწყობისა და დაშლის” (სინტაქსის) ოსტატობაში გაწაფვას, სიტყვის არსში წვდომას და ამ გზით ტერმინის „ეტიმოლოგიის” („მზამეტყველების”) ანუ მოტივაციის დადგენას [2, გვ. 220-221].

იოანე პეტრიწის ენის შესწავლით ირკვევა, რომ მან, როგორც ბრწყინვალე „გრამატიკოსმა” თავისი შეუცდომელი ენობრივი ალღოს წყალობით შესანიშნავად გამოიყენა ქართული ენის შესაძლებლობანი მისი ლექსიკის გასამდიდრებლად.

იოანე პეტრიწი ზედმიწევნით იცავს ქართული ენის სიტყვაწარმოების წესებს: ძირები და მაწარმოებელი აფიქსები ქართულია, მათი გამოყენების წესებიც ქართული ენის სტრუქტურის შესაბამისია. ერთი და იმავე მნიშვნელობის რამდენიმე მაწარმოებლიდან უმეტეს შემთხვევაში აღებულია უფრო გავრცელებული. თავისებურებას ქმნის ის, რომ ერთგვაროვნების დასაცავად ტერმინოლოგიის წარმოებისას, იოანე პეტრიწი ერთი რიგის ცნებათა აღსანიშნავად აბატონებს ერთი სახის წარმოებას და მას უმორჩილებს ნებისმიერ ძირს, რომელიც კი დასჭირდება ახალი ფილოსოფიური ცნების გამოსახატავად: ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ზედსართავ სახელთაგან აბსტრაქტული ცნების საწარმოებლად ქართულში, ჩვეულებრივ, *სი-ე* კონფიქსი გამოიყენება (*თეთრი – სი-თეთრ-ე*). იოანე პეტრიწი კი აბსტრაქტულ ცნებათა წარმოებისას მაწარმოებლთაგან *-ობა* სუფიქსს აბატონებს, რითიც ერთი რიგის ტერმინთა წარმოებისას ერთგვაროვნების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მაგ.: *მჟავე-ობა, თეთრ-ობა, დიდ-ობა* და სხვა. ამგვარი განზოგადებული წარმოებით იგი ზედსართავისაგან ნაწარმოებ სახელებსაც ტერმინოლოგიური ღირებულებას ანიჭებს: *სიკეთე, სიმჟავე, სითეთრე, სიდიდე...* თვისებებია საგნისა, ხოლო *კეთილობა, მჟავობა, თეთრობა, დიდობა* და სხვ. გვარეობითი, უზოგადესი განყენებული ცნებებია, რომლებიც ყველა კეთილის, ყველა მჟავის, ყველა თეთრის, ყველა დიდის... თვისებებს აერთიანებს თავისში (*კეთილობა* გვარეობითი ცნებაა, *სიკეთე –* მასზე დაქვემდებარებული – სახეობითი: მაგ. „*სიკეთე ბჭე არს კეთილობისა*”).

ძველი ქართული ენის ძეგლებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ზოგი წარმოება, რომელიც პეტრიწის ენაში უცნაურად გვეჩვენება, საკმაოდ გავრცელებულია: *მობაძავი* – ასეთი წარმოება, ოდენპრეფიქსიანი, „უცნაური“ დღევანდელი თვასაზრისით, ძველ ქართულში უცხო არ იყო. რეფლექსივთა სასუბიექტო მიმღობების (როგორცაა, მაგ. *მოძრავი*) ოდენ *მო-*პრეფიქსიანი წარმოება დამახასიათებელი იყო ძველი ქართული ენისათვის: *მოდგამი, მოძილი, მოშიში...*)

ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად და ხელოვნურად მოგვეჩვენოს ზმნის პირიან ფორმებზე (III – პირის ფორმაზე), ან ნაცვლასახელის ბრუნვის ფორმაზე, ზმნიზედის, თანდებულის თუ ნაწილაკის გაქვავებულ ფორმაზე ბრუნვის ნიშნის დართვით ახალი სიტყვის, ტემინის წარმოება, მაგ.:

ზმნიდან: *იყო>იყო; იყოს>იყოსი>იყოსობა; არს >არსი; ეგების> ეგებისი*

ნაცვლასახელებიდან: *მას > მასი > მასობა > მასვეობა; იგი > იგივე(ე)ობა; თვთ > თვთობა > თვთება...*

თანდებულიდან: *გან – განი, გამო – გამომ* (*არისტოტელისგამომ, პერიპატომს-გამონი* (არისტოტელეს მიმდევარნი, მისი სკოლიდანა გამოსულნი). *გამო* თანდებულიდან ნაწარმოებია ზმნა – *იგამოა*, აბსტრაქტული სახელი – *გამოობა, კერძომ – კერძომ; მიერ – მიერი...*

ზმნიზედიდან: *ოდესმე > ოდესმედ, მერმე – მერმედ.*

ნაწილაკიდან: *აჰა – აჰაჰ და სხვ.*

ამგვარი წარმოება გავრცელებულია ძველ ქართულში. მეტად ფართოდ აქვს იგი გამოყენებული ეფრემ მცირესაც თავის ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა თარგმანებში სწორედ ტერმინების საწარმოებლად. ამგვარად წარმოებული სიტყვები გავრცელებულია ახალ ქართულშიც (*არს – არსი – არსება, ღირს – ღირსი, მ(რ)წამს – მრწამსი, იგივე – იგივეობა, თვისი – თვისობა*. საინტერესო მასალას იძლევა იოანე პეტრიწის ენის შედარება ეფრემ მცირის, როგორც ფილოსოფიური თხზულების (პეტრე იბერიელის შრომების) მთარგმნელის ენასთან. ეფრემ მცირე ისევე, როგორც იოანე პეტრიწი, აზრის სიზუსტის დაცვისათვის, ფილოსოფიური მსჯელობის გადმოცემისათვის, სპეციალურ ტერმინოლოგიას იმუშავებს. ტერმინთა წარმოების ტიპები ორივე მოაზროვნისა მსგავსია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათი წყარო ქართული ენის ცოცხალი მასალაა, ზოგჯერ მათი

შექმნილი ტერმინები სრულიად თანხვედბა ფორმითაც და მნიშვნელობითაც. *თჯთბამ, თჯთბითი, მასი, მასვეობა, ყოვლობა, ეგებისი, იყო, იყოსი* და სხვა ორივე მოაზროვნის ენაში თანაბრად გვხვდება. ეფრემ მცირეც ისევე, როგორც იოანე პეტრიწი, ფართოდ იყენებს ქართული ენის შესაძლებლობებს ახალი სემასიოლოგიური ერთეულების შესაქმნელად.

დასასრულ, აღსანიშნავია ისიც, რომ იოანე პეტრიწი ერთი და იმავე ბერძნული სიტყვის გადმოსაცემად მოხერხებულად იყენებს ქართული ენის მრავალფეროვან საშუალებებს და ერთი და იმავე ტერმინის მნიშვნელობას სხვადასხვა ნიუანსს მორფოლოგიური წარმოების სხვადასხვა საშუალებებით გადმოსცემს. ამ მხრივ იოანე პეტრიწის ენა მეტად ძვირფასი წყაროა თამანდროვე ქართულისთვის, განსაკუთრებით კი, ფილოსოფიისა და სპეციალურ დარგთა ტერმინოლოგიისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილ მცირე რაოდენობის მაგალითთაგან ბევრი დღესაც სწორედ ტერმინოლოგიური მნიშვნელობით იხმარება, აღარაფერს ვამბობთ იმ ზღვა მასალაზე, რომელსაც იოანე პეტრიწი გაეწვდის და რომლის სრულად მოყვანა აქ შეუძლებელია. ასეთებია: *მგერძნობლობა, სიტკბობა, მხედველობა, მკურნალობა, უსაზღვროობა, მოუწვდომლობა, უსრულობა, უსამართლობა, სხუაობა, გასხუაება, რაობა, რაოდენობა, არსობა; ცნობიერება, გონიერება, სიტყვიერი – სიტყვიერება; შესატყვისი, დასაწყისი; ღირღულიანი (ღირღულიანობა), გუაროვანი, ჯეროვანი; ნივთიერი, სულიერი, ზომიერი; გონებრივი, მრგულივი, ქვებრივი, სხეულებრივი, აკვებრივი; გრძობადი, აღორძინებადი, ფრიადი; სიტყვიერებითი, ბუნებითი, ცხოველობითი...*

ამგვარად, იოანე პეტრიწის მიერ შექმნილი ტერმინები ქართული ენისათვის დამახასიათებელი ყალიბების მიხედვითაა აგებული და ამ ტიპის მოდელები ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიაში დღეს ფართოდაა გამოყენებული. ეს მოდელები თანამედროვე ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიის გამდიდრების წყაროს წარმოადგენს.

ტერმინწარმოების სფეროში განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე პეტრიწის ფაქიზი ალლო და

არაჩვეულებრივი უნარი მიაღწიოს ცნება-ტერმინთა მორფო-სემანტიკური სისტემატიზაციის იდეალურ დონეს. მაგალითისათვის მოვიხმობთ პარონიმული წყვილის, *ტომი – გვარი* შემხვევას: ცნებათა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების სისტემატიზაცია მუშაობის რთულ ეტაპებს მოიცავს. ცნებათა მნიშვნელობების დადგენა და მათთვის სახელწოდებათა შერჩევა განყენებულად არ ხდება (ან არ უნდა ხდებოდეს), არამედ სხვა ცნებებთან და მათ შესატყვის ტერმინებთან მიმართებაში უნდა ზუსტდებოდეს. ყოველ ცნებას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩენილი ცნებათა სისტემაში და ამ ცნებათა (და შესაბამისად – მათ გამომხატველ ტერმინთა) შორის არსებულ კანონზომიერებებს უნდა ასახავდეს. როგორც ცნობილია, ეს კანონზომიერებანი ცნებათა ლოგიკურ კავშირებს ემყარება და ცნებათა ისეთ კლასიფიკაციას გულისხმობს, რომელიც მნიშვნელობათა გვარ-სახეობრივ ურთიერთობებში ვლინდება [6, გვ. 46]. როდესაც გვარ-სახეობითი ცნებების ამ იერარქიული დამოკიდებულების (ჰიპონიმის) გამოხატვა გამჭვირვალე ენობრივი მასალით ხდება, საქმე გვაქვს იდეალურ შემთხვევასთან ცნებათა და შესატყვის ტერმინთა სისტემატიზაციის თვალსაზრისით. სწორედ ასეთი სანიმუშო შემთხვევაა პეტრიწის მიერ გვარ-სახეობითი დამოკიდებულების აღმნიშვნელი წყვილის – γένος – εἶδος/ἰδέα ცნებების გადმოტანა ერთ სემანტიკურ ველში შემავალი ურთიერთდამოკიდებული წყვილით – *ტომი* და *გუარი* (რომელთაგან პირველი ფართო მოცულობის ჰიპერონიმია, მეორე კი მასში შემავალი ვიწრო მოცულობის ჰიპონიმი), ნაცვლად ქართულ ლოგიკურ ტერმინოლოგიაში ადრე (დამასკელის „დიალექტიკისა“ და ამონიოსის შრომების თარგმანებში) მიღებული ტერმინებისა – *ნათესავი* და *სახე*. საქმე ისაა, რომ არც თვით ბერძნულ ტერმინებში და არც მათს ძველ ქართულ თარგმანებში არ არის დაცული (და გააზრებული) სათანადო სისტემურობა, რომელიც იდეალურ შემთხვევაში ერთი ჯგუფის ცნებების ერთ სემანტიკურ ველში შემავალი ტერმინებით ასახვას გულისხმობს. *ნათესავ* ტერმინს (რომელიც ამავე დროს, მეტად გავრცელებული ყოფილი მნიშვნელობის სიტყვაა) იოანე პეტრიწი ცვლის მისი ნაწილობრივი სინონიმით, სპარსულიდან ადრევე ნასესხები *ტომით*, ხოლო εἶδος/ἰδέα ის ძველ ქართულ შესატყვისს – *სახე*-ს

ცვლის გუარ ტერმინით, რომელიც, თავის მხრივ, ტომის ქვეკლასს წარმოადგენს. ამგვარად, იგი ახერხებს ენობრივი მასალის საშუალებითაც ასახოს ის იერარქიული დამოკიდებულება, რომელიც ამ გამოსახატავ ცნებებს შორის არსებობს, რითიც აღწევს იდეალურ სისტემატურობას გამოხატვის პლანში. ამ მხრივ იგი აჭარბებს სისტემატიზაციის საოცარი უნარით განთქმულ თვით პროკლესაც კი, რომელიც ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ტრადიციით იყო შეზღუდული.

თავისი ტერმინოლოგიური ძიებების გზაზე პეტრიწისათვის ყველაზე მთავარი მაინც სიტყვის არსში წვდომა და ამ არსის ზედმიწევნითი სიზუსტით გამოხატვაა ენობრივი ნიშნით. იგი მიისწრაფვოდა შეექმნა ცნების, საგნისა და მოვლენის არსის გამომხატველი გამჭირვალე სემანტიკური სტრუქტურისა და ცხადი მოტივაციის მქონე, სწორად მათორიენტირებელი ტერმინები.

პლატონის მიერ „კრატილოსში“ გამოთქმული აზრით, ყოველი სახელი უნდა გამოხატავდეს საგნის ბუნებას (იხ. „კრატილოსი“, 396a) და, რადგანაც პეტრიწის ღრმა რწმენით „ელლინთა ენამზებობასა ზედა ყოველსავე თვისი სახელი ჰრქვან, შესაბამი თვისა არსებისაჲ“, ამიტომ მისი მიზანია ქართული ფილოსოფიური ენა თავისი გამომხატველობითი ძალით გაუტოლოს „გონიერთა ხედვათა მომმარჯვ“ ელინურს. აქედან მოდის სწორედ მისთვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპი ტერმინშემოქმედებისა – ახალ ცნება-ტერმინთა ბერძნული ენიდან კალკირების ხერხის აქტიური გამოყენება. ეს გამოცდილი ხერხი უზრუნველყოფდა ზუსტ თარგმანს და ფილოსოფიური ტექსტის მთარგმნელს იცავდა ნეფსითი თუ უნებლიე საკუთარი ინტერპრეტაციების საფრთხისაგან.

* * *

ტერმინოლოგიასთან ერთად არსებითად სინტაქსია ის სფერო, რომლის მიხედვითაც შეიძლება გვლაპარაკა იოანე პეტრიწის ენის თავისებურებაზე, იმდენად, რამდენადაც, ფილოსოფიური და, საზოგადოდ, მეცნიერული ენა, ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ სალაპარაკო, ყოფითი ენისაგან განსხვავებულია.

წინადადების მიმდებარე კონსტრუქციათა ხშირი ხმარება (რაც ბერძნულისათვისაა დამახასიათებელი),

წინადადების წევრთა გამოტივება (განსაკუთრებით ქვემდებარისა და შემასმენლისა (არს მემშველი ზმნისა, რომელსაც ავტორი თავისთავად გულისხმობს), რაც აგრეთვე დამახასიათებელია ბერძნული დედნისა, მაგრამ გაუგებრობა არ იქნება, რადგანაც გამოტოვებული წევრის კომპენსაცია სხვა საშუალებით ხდება; „და“ კავშირის ხმარება „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით, რაც აშკარად ბერძნულის გავლენაა; მსჯელობისას რთული ქვეწყობილი წინადადების სიხშირე და დასაბუთების შემდეგ წინადადების დაწყება მასუმირებელი ვიდრემე, ვინაჲვე, ვინაჲცა კავშირებით, რაც აგრეთვე ბერძნული დედნის ზუსტი თარგმანის დამახასიათებელია.

გრეციზმები სინტაქსის სფეროში ჩვეულებრივია ძველი ქართული ენის ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლების ენაში და მათ შორის, ქართულ სახარება-ოთხთავში. მთარგმნელები თავიდან ვერ იცილებდნენ, თუ შეგნებულად არ არიდებდნენ თავს ბერძნულის გავლენას. ასეთი გავლენა, ჩვეულებრივ, სწორედ სინტაქსის სფეროში შეინიშნება ძველ ქართულ თარგმანებში. მაგრამ იოანე პეტრიწის მიერ ბერძნული ენის სინტაქსური (ან კიდევ ლექსიკაში ტერმინთა კომპოზიციის წესების) ზოგჯერ ქართულში გადმოტანა მერქანიკურ გავლენას არ უნდა მივაწეროთ. იგი გარკვეულ მიზანს ემსახურება: ქართული ენა გახადოს აზრის გადმოცემის ისეთივე სრულყოფილი იარაღად, როგორც იყო ბერძნული, სადაც ფილოსოფიური აზროვნება და მსჯელობები უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს პლატონმა და არისტოტელემ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართული ფილოსოფიური ენის, „მდაბრიონთაგან მესხუე“ ენის შექმნას იოანე პეტრიწი დიდი ფოლოსოფიური ტრადიციების მქონე ბერძნული ენის კვალად ფიქრობდა: „კავშირის“ თარგმანის ბოლოსიტყვაობაში იგი ამბობს: ქართველთაგან რომ „თანსიყუარული და შეწევნაჲ მჩუენებოდა, (ქართული) ენაჲმცა, ენისადმი (ბერძნულისა) გამეწყო და ხედვაჲცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მერისტოტელურაჲ“. იგი ხშირად გამოხატავს თავის აღტაცებას ელინთა ენაშეობისა და „გონებადღეობის“ გამო, რადგანაც „ყოველსავე, ელინთა ენაშეობასა ზედა, თჳსი სახელი ჰქჳან, შესაბამი თჳსისა არსებისაჲ, ხოლო ჩვენთამან, არცა თარგმანთა, არცა სხუამან-ვინ დასჭურიტნა, და აწ მე

უზომოდ მიზლის თარგმანსა შინა, რამეთუ ყოველსავე ერთად და სწორად დასდებენ ჩვენნიო“ (2, გვ. 6, 23-26).

იოანე პეტრიწის თარგმანებში ხმარებული სპეციფიკურად ბერძნული კონსტრუქციები, როგორცაა განსაკუთრებით არს მეშველი ზმნის გამოტოვება, და კავშირის ხმარება „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით, მიმღობური და პასიური კონსტრუქციები (რაც საზოგადოდ დეფინიციებით გადატვირთული ფილოსოფიური მსჯელობის შემცველი ტექსტებისთვისაა დამახასიათებელი), დედნის შესაბამის ადგილებში ხშირად არ გვხვდება. ამგვარი შემთხვევები ზოგჯერ ვერ აიხსნება ვერც დედნიდან გამომდინარე პირდაპირი თარგმანით და ვერც პეტრიწის მთარგმნელობითი პრინციპებით. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ იოანე პეტრიწი გაიზარდა და ფილოსოფიური განათლება მიიღო ბიზანტიაში. თავსი ცხოვრების დიდი ნაწილი მან ბერძნულ სამყაროში გაატარა. ბერძნული ენა მისთვის ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა იყო და ამიტომ მოსალოდნელიცაა, რომ მის, როგორც ჩვეულებრივად ბერძნულად მეტყველი პირის კალმიდან უნებურად ამ ენის დამახასიათებელი ყალიბის წინადადებები გადმოსულიყო. რაც შეეხება რთული ქვეწყობილი წინადადების ხმარებას, მათს დაკავშირებას შედგენილობით მეტად მრავალფეროვანი კავშირების ან საკავშირებელი სიტყვების საშუალებით, ეს საერთოდ ფილოსოფიური ენის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. ეს თავისებურება კი გამოწვეულია აზრის ზუსტად და დაუმახინჯებლად, გარკვევით და უწყვეტი ჯაჭვით გადმოცემის მოთხოვნით, რაც ნებისმიერი ავტორის ფილოსოფიური თხზულების ენის დამახასიათებელია.

იოანე პეტრიწის ენას თავსითავადობას, დამოუკიდებლობას ანიჭებს ამ მოვლენებთან ერთად მისი ინდივიდუალური სტილი, რაც მის მიერ ენაში არსებულ სინონიმურ საშუალებათა თავისებურ შერჩევასა და წინადადების მეტად თავისებურ წყობაში ვლინდება.

ცნობილია, რომ ქართული მარტივი წინადადების ორდინალური, ჩვეულებრივი წყობა მოითხოვს შემასმენლის

დასმას ქვემდებარის შემდეგ. სხვა წევრების არსებობის დროსაც წინადადებას ჩვეულებრივ შემასმენელი კეტავს. ქვემდებარე, თავის მხრივ, კი ჩვეულებისამერ მარტივი წინადადების თავშია ხოლმე. იოანე პეტრიწი იმით, რომ შემასმენელს ქვემდებარის წინ და ორივეს ერთად კი წინადადების ბოლოში აქცევს, მეტად თავისებურ, და ამასთანავე, ქართულისათვის არაორდინალური მელოდიკის წინადადებას იღებს:

რამეთუ ბუნებით თამეჯოგედ და მოქალაქედ ცხოველად შეიქმნა კაცი (3, გვ. 16,4), სწორისა ძალისა მიერ იქმნების წარმოჩენად სწორთად (1, გვ. 8,25). მსგავსთა, პირველ უმსგავსოთადასა, წამოაყენებს ყოველთა წარმომაყენებელი მიზეზი (1, გვ. 24).

ხშირად წინადადების თავში შემსამენელი დგას, ბოლოში კი ქვემდებარე:

უჯერო არს უსულოდცა და სულიერად თქუმად სულისა: (3, გვ. 26, 19).

ზმნისართის ადგილი ქართულ წინადადებაში, ჩვეულებრივ, ზმნის წინაა. იოანე პეტრიწი თავისებურ რიტმულობას აძლევს წინადადებას, როცა ზმნისართს ზმნის შედეგ ხმარობს:

მოქმედებამან უძლიერესისამან იმოქმედაცა უძლიერესად (1, გვ. 46,7).

განკერძოებული განსაზღვრებების, გათიშულ მსაზღვრელ-საზღვრულთა ხშირი ხმარება იოანე პეტრიწის სტილის მეტად დამახასიათებლ ნიშანს წარმოადგენს:

რომელი-იგი იყო ქუაბი, მრავალხრახნილად ქვეული და ძნიად წიაღსასვლელი და ძნელად გამოსავალი, (2, გვ. 224, 8).

მსაზღვრელ-საზღვრული ხშირად ზმნითაა გათიშული:

ყოველი ქმნილი ორობითისა მიერ იქმნების ძალისა, (1, გვ. 51, 9).

ხშირად მსაზღვრელ-საზღვრული რამდენიმე სიტყვითაა გათიშული:

რამეთუ თვთ გონებად არს და გონიერი ხუდა მას არსებად (1, გვ. 103, 26). მაშინ ითქუა, ვითარმედ ყოველსა გუარსა არსებად დაუუმჯდობესდების მოქმედებისასა;

რამეთუ არა უდარესთაგან **რას** შეიწყნარებს ღმრთებრივი ზესთმეკონეობად **ცნობასა** (1, გვ. 27, 5).

საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი წინადადებები წყობით ბერძნულ დედანს მისდევს. მაგრამ, თუ სხვა მთარგმნელთან მსგავსი კალკი იშვიათად, შეუცნობლად გამოჩნდება ხოლმე (ძველ ტექსტებში გათიშული მსაზღვრულ-საზღვრული იშვიათად გვხვდება) იოანე პეტრიწი სწორედ ამგვარ წყობას აძლევს უპირატესობას. მას ეს წყობა მოსწონს და შეგნებულად სწორედ ამგვარ წინადადებებს აგებს თავის ორიგინალურ ნაწარმოებშიც - „განმარტებაში“.

ნაწილაკებისა და კავშირების წინადადების ბოლოში მოქცევა იოანე პეტრიწის წინადადების ნატიფსა და მოხდენილს ხდის:

და არც **ყოველნი** სულნი ეზიარებიან თანზიარებითსა გონებასა, არამედ, უგონიერესნი **ოდენ**: (1, გვ. 69, 2); რამეთუ ესე მხოლოდ შენდობასა მიემთხვის, შეინანოს **თუ** (3, გვ. 16, 9); არამედ არცა ეშმაკნი და ანგელოზნი, შეინანოდა **თუ**, შენდობასა ღირს იქნებიან (3, გვ. 16, 3);

მელოდიურია წინადადება, როდესაც სხვათა სიტყვის გადმოცემისას პეტრიწი **ო** ნაწილავს ურთავს ზმნას მით უფრო, როდესაც ეს ზმნა ქვამდებარისა და დამატების წინ დგას: **რომლისთვის იტყვს სოკრათი: ნიადაგ მესხუაესა მდედრსა ჰგავსო ნივთი** (2, გვ. 72, 32); **მაშინლა ვიტყვთო ცნობად, ოდეს მიზეზნი ვიუწყნეთო პირველნი** (2, გვ. 42, 1); **ცეცხლი არსო სხვათა ასოთა მშობიერი** (3, გვ. 48, 27); **რომელმან... სული შეანაწევრაო სხეულთა** (3, გვ. 48, 27); **იტყვს: ეზიარებისო სიმრავლე ერთსა** (2, გვ. 12, 4).

მსგავსად ნამერწი წინადადებები იოანე პეტრიწის ინდივიდუალური სტილის ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია.

* * *

ფონეტიკისა და მორფოლოგიის სფეროში იოანე პეტრიწის ენა „იდეალური სისწორის“ (ნ. მარი) ნიმუშია. იგი ძველი ქართული ენის ნორმებს მიჰყვება, მაგრამ ამ მხრივ კონსერვატული სრულიადაც არ არის. როგორც შეეფერება XII საუკუნის სამწერლო ენას, იოანე პეტრიწი თავისუფლად უშვებს თითქმის ყველა, მისი დროის მწიგნობრულ ენაში აქა-იქ შემოპარულ ფორმებს, რომლებიც შემდგომ სამწერლო

ქართულში მკვიდრდება და ბატონდება და ახალი ქართულის მოვლენებადაა მიჩნეული.

ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება: 1. ზმნისწინთა გამარტივება *ალ > ა, გან > გა, წარ > წა* ზმნისწინებისა: *აგითქუან, ანათხზი, აგებული; გაჰყოფს, გაზიდავს, გასხუაებულა, გაიგონებენ, გააგრილებს; წამწურვალელებული.*

1. *-მდე* თანდებულისანი ვითარებითის ფონეტიკურად გამარტივებული სახით ხმარება: *(ადმდე > ამდე) სიღრმემდე, უსაზღვრობამდე, უკანადასკნელამდე...*

2. მრავლობით რიცხვში *-ებ* სუფიქსის გამოყენება (თუმცა იშვიათად): *წიგნები, ძალები, სახეები, სიტყუები, სახელები, თუალები, საყრდენები, ხატები ...*

3. ადამიანთა საკუთარი სახელების გაფორმება მოთხრობითს ბრუნვაში: *ბასილმან, ქსენოკრატიმან, მოსემან, იამვლიხოლმან, არისტოტელმან ...*

4. ზედსართავ სახელთა ხარისხის მოკლე ფორმები (ისინი ფართოდაა გავრცელებული „ვეფხისტყაოსანში“ და საერთოდ, XII სს-ის სამწერლო ენაში): *უდარე, უმრავლე...*

5. არს მეშველი ზმნის გამარტივება და შერწყმა წინამავალ სიტყვასთან: *უცნაურია, უსხეულოა, შედგმულებაა, სხეულია, სავსეა ...*

6. აბსოლუტურ და რელატიურ ზმნათა I რეზულტატივის ფორმათა ახალ წარმოებაზე გადასვლა: *წარმოდგომილა, გასნაზღვრებულა, შეერთებულა, მოუგია, წარმოსდგომია, გჳსწავლია* (ნაცვლად: *შეერთებულ არს, მოიუგის...*)

7. ახლისკენ, გარდამავალი საფეხურის არსებობა I კავშირებითის III სუბ. პირის მრავლობითს რიცხვში (*ოდენ > ოდინ*) *იქმოდინ, იწარმოებოდინ, ითქუმოდინ; ნაცვლად ძველი იწარმოებოდინ ...* – ფორმისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იოანე პეტრიწი, „პროკლე დიადოხოსისა, პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, *შრომები, ტ. I*, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაუსრთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1940.

2. იოანე პეტრიწი, „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა“, *შრომები*, ტ. II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937.
3. ნემესიოს ემესელი, *ბუნებისათჳს კაცისა, ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ*, (ს. გორგაძის გამოც.), თბ., 1914
4. Н. Марр. *Иоанн Петрицкий, Грузинский Неоплатонник XI-XII вв.* СПб, 1909.
5. ჰეგელი, *გონის ფილოსოფია*, (გერმანულიდან თარგმნა ნ. ნათაძემ) თბ., 1984.
6. რ. ლამბაშიძე, *ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები*, თბ., 1986.

Language of Ioane Petritsi

Damana Melikishvili

Professor-Emeritus Tbilisi State University

Abstract: The specificity and style of Ioane Petritsi's language is created by unity of the peculiarities that

Are necessitated by requirement of conveying lofty intellectual categories: multiplicity of philosophic notions and abundance of terms expressing them; complex syntactic constructions;

Influence of the Greek language and Greek original on composition of terms and order of sentences;

Peculiarities of individual style, which is revealed in an idiosyncratic choice of synonymous means of language and peculiar order of sentences;

Eventually, conversational style of the "Commentaries" is determined by the educational purpose of the work: it is aimed at an audience of students.

This complex of peculiarities creates an original and unique linguistic style of Ioane Petritsi.

Key words: *Ioane Petritsi; Proclus Diadochus; Gelati Academy.*

A great medieval philosopher-theologian Ioane Petritsi, "the Platonic philosopher", as manuscript glosses name him, is a representative of a new stage in the history of Christian thought. Study of his literary heritage has an immense importance for understanding the tendencies and specifics of development of medieval philosophy and theology not only in Georgia but in the Eastern Christendom in general. This study will also help to establish and shed light on the relationship between Eastern and Western Christian philosophy and theology.

The list of textbooks utilized in Gelati theological-literary school, conventionally called Gelati Academy (12th-13th centuries), that is a Georgian analogue of the Constantinopolitan Mangana University, consists of Neo-Platonist literature and textbooks on the free arts – *the trivium* and *quadrivium* – similar to those that were widely used also in medieval European educational centers. On the

basis of translation of those works the formal-semantic system of Georgian philosophical terminology was elaborated and established through the efforts of Eprem Mtsire, Arsen Iqaltoeli and Ioane Petritsi. Ioane Petritsi introduced among the compendia of the Gelati Academy the “Elements of Theology”, a treatise of a 5th century outstanding Greek Neo-Platonist Proclus, a successor or “diadochus” of Plato’s cathedra – as Petritsi calls him. To this treatise Petritsi added his scholia or commentaries, more extensive than the treatise itself. The commentaries are unique in their importance, for they consist not only of meticulous analysis of Proclus’ philosophy, but in general discussion and explication of basic issues of Hellenic (Platonic) philosophy and an attempt to present, relying on the method of analogy, of his own, original, his Christianity-influenced interpretation of the Neoplatonic structure of reality. In its form and style, Petritsi’s work represents a cycle of lectures for his audience of students whom the author introduces into the thought of Hellenic philosophers. While discussing different issues, Petritsi quotes and analyses Plato and the Academics, Aristotle and Peripatetics, Pythagoras and Pythagoreans, Stoics; commentators of Plato and Aristotle: Plotinus, Porphyry, Iamblichus, Asclepius, Alexander of Aphrodisias and others. Since the commentaries of Ioane Petritsi are aimed at students’ ears, they thoroughly bear a conversational air, which is the main factor defining his linguistic style. Throughout the entire commentaries he addresses a second person, a hearer, a student, who is always in the center of his attention. The author frequently refers to him calling him a “listener”, or a “perceiver”, a “hearer” and a “student”: “Behold the beauty of the theories, o, perceiver” [2, p. 154, 28]; “Look and perceive, o perceiver, those wonderful theories” [2, p. 186,13]; “and you, o listener, give to me your attention for theorizing” [2, p. 186,13]; “now what should we do, o student, who look through your intellect” [2, p. 107,17]; “listen, [o you], who desire to study” [2, p. 83, 19].

Great importance and influence of this work of Ioane Petritsi on later period thinkers is evidenced by those passages of “The Knight in Panther Skin” of Shota Rustaveli, the summit of Georgian poetry and aesthetic thought, in which are utilized philosophical terms characteristic of Proclus’ philosophical system exactly in the form Petritsi renders them. Furthermore, the importance of Petritsi’s

work was acknowledged outside Georgia as well, since in 1248 his commented translation was translated into Armenian. It is well known how great was Petritsi's influence on the school of Anton Catholicos (18th century). In literary circles of this epoch Petritsi was referred to as "enlightener of the Georgian language".

Language and style of Ioane Petritsi has always attracted the attention of writers and scholars. According to a traditional view, which was established in the school of Anton Catholicos, Ioane Petritsi's language is very difficult to understand however, despite this, exactly the authors of this epoch, Sulokhan-Saba Orbeliani, Anton Catholicos, Ioane Orbeliani and others call him the "sun of the Georgian language". What makes Petritsi's language so peculiar and outstanding?

In different places of his commentaries on Proclus, in which he quite extensively speaks about his translational principles, Petritsi provides a key for understanding of why his language is so original. For the first thing, he explains the complexity of his language by the fact that such texts like that of Proclus, are difficult to understand for those who are not experienced in "theories of immaterial entities". He notes, that other Georgian translators translate easier texts of a common language, and he, himself is positive about following the simplicity and lucidity of the native language only to the point when this simplicity may already damage the precise meaning of a more difficult philosophical text. Thus, the difficulty of Petritsi's language is due to the difficulty of the material he translates, for the disciplines he treats in his commentaries – logical, mathematical, physical and metaphysical-theological [2, p. 222] – require a different level of terminological rigor. His principle of creation of terminology is based upon his views and attitudes towards the Greek language, which has a long philosophical tradition and infinite capacities for expressing philosophical categories. In Petritsi's words: "in the Greek language, which is as bright as the sun, every [notion] has its own term, according to its essence" [2, p. 6]. From this follows the translational method of Ioane Petritsi: to create an exact, adequate translation of the Greek text and transmitting into Georgian the entire philosophical-logical apparatus, theological notions and terms into Georgian in a mirror-like manner. This was the way also followed by Latin authors when they attempted to create a Latin philosophical-

theological terminology, as well as in general by all European translators whenever they tried to form and establish scientific terminology in their native tongues.

The Gelati philosophical-theological school (12th-13th centuries) represents the most important stage of development of the Georgian philosophical-theological thought and scientific language. This school continued the work initiated by the great scholar and translator from the Black Mountain, Ephrem Mtsire. In Gelati were finalized the theoretical foundations of translation of philosophical texts and the Georgian philosophical-theological language and style, as well as formal-semantic system of philosophical-theological terminology was clearly formed.

Creation of such language for his compatriots, Georgians, was the aim of Petritsi. As he writes: "I desired earnestly for the people of my nation to create a flexible and orderly [philosophical] language that differs from that of the plebs" [1, p. 220, 24-25]. That is to say, he decided to create a Georgian scientific, philosophical language, a Georgian scientific style that was different from a plebeian, common conversational language, to elaborate Georgian philosophical-logical apparatus.

In any language, a newly created term initially leaves an impression of oddity and artificiality. In this case the factor of "getting accustomed with" becomes if not decisive, then at least one of the important conditions for the establishment of a term. Exactly this was meant by Ilia Chavchavadze, one of the principal creators of the modern Georgian language, when he wrote: "however successful you may be in the creation of a word, even if this word will be purely Georgian, if you give to this word a new meaning, it will be for a while as odd and as difficult for understanding as a foreign word. Of course, we may get accustomed to the meaning of this word in time, but before this happens they are difficult to understand".

Scientific, in particular, philosophic language, in a sense, is a constructed language. Thus, artificiality, that is to say distinction from naturally developing conversational language, is unavoidable not only in syntactic constructions and generalizations of this or that morphological means, but first of all in the very new words [5, p. 361]. Initially, terms created by any of the philosophers may look artificial. However, as time passes, they get incorporated in the fabric

of the language if the relevant science continues to develop and if the posterior generations have relevant conditions for mastering the legacy of this science.

9. Anton Pritula (Dr. Anton Pritula is Head of Department of the Middle East and a curator at the Hermitage Museum of St Petersburg. He currently holds a Humboldt Scholarship in the theological faculty of the University of Göttingen under the supervision of Prof. Dr. Martin Tamcke, who represents the department of Ecumenical Theology and Oriental Church and Mission History at the theological faculty of the Georg August University) demonstrates in his article 'A Hymn on Tiflis from Warda Collection: A Transformation of the Muslim Conquerors into Pagans' (pp. 217-238): The hymn is found only in one copy of the Warda *'oniyātā* collection, namely in Add. 1983 dated to 1550 AD (f. 181), in the Cambridge University Library. There it cannot be attributed to Warda with certainty, even though it is ascribed to him. The composition of the hymn on Tiflis is typical of one of the 'catastrophic' hymns ascribed to Warda. Its main part consists of very detailed and shockingly naturalistic descriptions of the terrors and destruction caused to the city by the foreign invaders. The terrible devastation and massacre makes the author doubt God's justice, which he expresses by addressing to Him the crucial questions left without answer (stanzas 50–55). Finally Righteous God rebukes the author and explains to him His will, i.e. testing humans before their transition to the other world of eternal life (stanzas 56–61). Such a structure is met also in several other hymns ascribed to Warda. The role of the final condemner and revealer in different hymns may be played by various figures, such as God's Righteousness, or the author's Mind, or someone else. Thus, this type of hymn may be considered apologetic.

The origination of the late Syriac *'onitā* genre from the dialogue poem (*soghitā*) is generally accepted. Among the great number of the *soghyātā* published by Sebastian Brock there is a poetic dialogue with the soul by St Jacob of Serugh. It consists of only three parts, each one being a long utterance by one dialogue participant. Although the details of this evolution still need require careful research, in the meaning of composition such a type of dialogue poem gives us a good parallel to the hymn group under discussion, going back to the Classical Syriac literature.

The historical context of the hymn is of particular interest. It describes the events that took place in 1220–1226 AD, a period when several different invaders encroached upon the Georgian people. These events were described in Arabic, Persian, Armenian and Georgian sources, and hence, there is enough information with which to compare the hymn.

In the hymn the episode with the letters is also mentioned (stanzas 12–14), but with a specific pathos. The Muslim Khorasmians have been transformed into Magians, i.e. Zoroastrians, represented as pagans (stanzas 12–15), and Sharwa (Shalva) as a protector of Christianity from paganism (stanzas 12, 15). Killing the hero seems to be represented in the hymn as a part of some heathen ritual (stanza 15). The term ‘Magianism’ (*mgūšūtā*) also means ‘magic practicing, sorcery’. It is very tempting to suggest that here it could be a reflection of the fact that Mongols at this period were shamanist, and in this case we face a complete merging of the Mongols and the Khorasmians in the text. One can see a very similar situation in another hymn, also within the same “catastrophic” group, namely the second one on the capture of Jerusalem, published by Th. Nöldeke, and then republished and studied by Alessandro Mengozzi. It was pointed out that the hymn contains many mistakes in different historical facts. Both scholars have suggested that it had been composed long after this historical event by a person whose only source was an oral narrator of the folk tradition.

10. Werner Seibt (Prof. Dr. Werner Seibt is a researcher for Byzantine and Christian Oriental Studies from the Institute for Byzantine Studies of the Austrian Academy of Sciences in Vienna) demonstrates in his study *‘Die orthodoxe Metropolis “Kaukasos”* (“The Orthodox Metropolis of “Kaukasos””: pp. 239-250) that an Orthodox Metropolis of Kaukasos appears for a limited time in the 14th century among the metropolises of the Ecumenical Patriarchate of Constantinople in the register of the Patriarchate of Constantinople and in a few other sources, in particular in connection with problems that the Patriarchate had with the metropolitan of Alania at that time. This metropolitan interfered repeatedly in the affairs of the apparently neighbouring Metropolis of Kaukasos.

According to the author many factors speak in favour of locating this metropolis in the territory of the As / Os, the immediate forefathers of the modern Osetians. While the Alanian kingdom was converted by missionaries in the early 10th century and an orthodox metropolis had been erected there by the middle of that century, the conversion of the Osetians must not have begun until later. This conversion originated in Georgia, which experienced an enormous upturn in the 12th century and whose influence then also extended to North Caucasian areas. The first archaeological finds indicating the presence of Christian missionary work among the As also date from the 12th or 13th century at the latest.

However, the Mongols then considerably weakened Georgia's political power, which evidently enabled the Byzantines to put the Ecumenical Patriarchate in charge of the existing church organisation of the As / Os with the sanction and, presumably, the support of the Mongols and to convert it into a Greek Orthodox metropolis. It is surely no coincidence that the aforementioned metropolitan of Alania had particularly good relationships with the Mongols and knew how to play them off against the Patriarchate.

Yet the Byzantine reorganisation of the Metropolis of Kaukasos was only to be granted a few decades of success. On one hand, Islam soon made considerable progress in these regions, while changes in the political relationships between Byzantium and the Mongols, and in the latter's policies on religion, may have played a certain role.

11. In his article '*Der Westfeldzug von 1219–1221: Die "Mongolenerwartung" im Kreuzfahrerlager von Damiette und im christlichen Kaukasus*' ('The invasion of Khwarezmia in 1219–1221: The "expectation of the Mongols" in the Crusaders' camp of Damietta and in the Christian Caucasus': pp. 251-308), Aleksandre Tvaradze (Prof. Dr. Aleksandre Tvaradze is an philologist and historian at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University in Georgia. He is also Researcher for Christian Oriental Studies) discusses sources such as the letters from Queen Rusudan and Atabeg Ivane to Honorius III and Kirakos Ganjakeci's report from the Christian Caucasus. These documents suggest that the Mongols were also initially taken for the Christians in the Kingdom of Georgia. It is likely that this conviction

led the Georgian King George IV Lasha to make preparations for a crusade allegedly intended to free Jerusalem immediately before the Mongol invasion.

In addition, the article analyses the relevant Georgian and Armenian reports. Particular attention is paid to the following questions: what expectations could have developed with regard to the Mongols in the Christian Caucasus before the invasion by Jebe and Subotai; did these convictions or expectations also have corresponding political effects; how were the Mongols judged afterwards? In order to provide a broader context, the article also considers western sources. Combining the western and eastern sources makes it possible to reconstruct the historical circumstances which are particularly important to the history of the Crusades and the Georgian kingdom.

12. In her contribution *Mongol invasions in the Caucasus and the Georgian source Kartlis cxovreba* (pp. 309-320), Sophia Vashalomidze (Dr. Sophia Vashalomidze is a researcher and lecturer at the Oriental Institute of the seminar for Christian Oriental and Byzantine Studies at the Martin Luther University Halle-Wittenberg) delivers an overview of the historical sources which bear testament to Mongol rule in ancient Georgia and, more specifically, present an image of the Mongols as told in *The Georgian Chronicle*.

This chronicle contains extensive information on the Mongol-Tatar rule in Georgia as well as on Asia and Europe in general. It reports not only on the political and military history of the Mongols, but also on the outer anthropological appearance of the Mongols, their language and way of life, system of government, feudal-nomadic economic system, customs and habits, religious views and their art of war and tactics of warfare.

The Georgian source therefore provides historical perspectives of historical events which lie further back in the past. Values, actions and judgements cannot be considered on an equal footing, as they do not take place concurrently, but in succession and are as such related to one another.

13. In his study '*Zur Möglichkeit der Analyse nicht-rationaler Textelemente*' ('On the possibilities of analysing non-rational text elements': pp. 321-354), Manfred Zimmer (Dr. Manfred Zimmer is a

researcher at the Oriental Institute of the seminar for Christian Oriental and Byzantine Studies at the Martin Luther University Halle-Wittenberg) observes that the conception of man also plays a major role in historiographical texts. This is of particular significance with regard to competition and change in the various phases of life in the context of individual vitality and fitness. It is especially in this factual milieu though that considerable numbers of non-rational accounts are to be found. A whole series of texts deal with a sphere of beauty and creative power (in both a positive and negative sense) which, although it is beneficial in its non-rationality to the persons that encounter it, is mostly characterised by problems concerning the ability of the affected persons to build relationships. As such encounters are at times a significant constituent of the overall events described in texts, a methodically secure set of concepts that makes it possible to handle these elements is essential. This contribution aims to suggest such a set of concepts. Central to this set of concepts are the concept of the Other World and the perception of impression. The concept of a life plan is suggested for fitting into the concept of the idea of man. The second section of the report uses several examples to demonstrate that non-rational accounts make up a notable portion of the Armenian reports concerned with the time of the Mongol invasions in Armenia and Georgia and the rule and retreat of the Mongols, thus further underlining the need to accord such accounts positive recognition.

We hope that with this anthology we will succeed in reviving scientific discussion of the Christian Orient, in particular the Caucasus.

**ვაჟა-ფშაველას ლირიკის
რამდენიმე ზოგადსაკაცობრიო მოტივი**

ლინდა ციციშვილი

თსუ ფილოლოგიის მაგისტრი, საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის (IBO) და საერთაშორისო სახლის (IH) ინგლისური ენის მასწავლებელი.

რეზიუმე: ვაჟა-ფშაველას ლირიკაში შეინიშნება ორი, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში დღემდე ნაკლებად წარმოჩენილი მოტივი, რომელიც ეხმიანება ზოგადსაკაცობრიო საკითხებს.

ლექსი „ზნელეთი“ იმეორებს სიკვდილის როკვის (Dance Macabre) - ევროპული იკონოგრაფიის, ფერწერისა და სიტყვიერების ალეგორიულ სიუჟეტს. პარალელის გავლენას აიოლებს მკვდართა ფერხული და ცოცხალთა გაქვავება; ასევე ხელიხელჩაკიდებულ მკვდართა მსვლელობა.

საინტერესოა პოეზიის თამაშებრივი ბუნება ვაჟა-ფშაველას ლირიკაში. სტატიაში საუბარია ფშავ-ხევსურულ ფოლკლორსა და პოეტის შემოქმედებას შორის არსებულ პარალელებზე როგორებიცაა: მონორითმიანობა, გაბჭობა, გაბასების ფორმა, პოეზიის თამაშებრივი ბუნება და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ვაჟა-ფშაველა; თამაში; სიკვდილი

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ბევრია დაწერილი ვაჟა-ფშაველას ლირიკაზე: ბუნების, სტილის, ფოლკლორული წყაროების და სხვათა კუთხით. ამ მხრივ, შედარებით ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი ორიოდე ზოგადსაკაცობრიო პრობლემას, რომელიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ჩანს და თანაც ორიგინალური ასპექტითაა წარმოდგენილი. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ სიკვდილის პრობლემის მხატვრულ ინტერპრეტაციაზე პოეტის შემოქმედებაში.

„ქართველი მწერლები გაურბიან სიკვდილის თემას”,- შენიშნავს ქართველი მკვლევარი კიტა აბაშიძე. ტიცინ ტაბიძე ამ საკითხს ასე განმარტავს: „...მე მგონი, ეს ფაქტი ფრიად მომასწავებელია და ამჟღავნებს ჩვენი მწერლობის ნაციონალურ ბუნებას; ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო თავის კუბოში ცოცხლად რომ ჩაიჭედოს, სიკვდილზე არ ფიქრობს: ჩვენი მწერლობის ვალი მხოლოდ ვაჟა-ფშაველამ და კ. მყაშვილმა გამოისყიდეს“ [13, გვ.305]. ვაჟა-ფშაველას ლირიკით აღქმული სიკვდილის ფენომენი წინაპრების უმდიდრესი სულიერი გამოცდილების, კულტურისა და მთელი ერის მენტალიტეტის პოტენციურ მუხტს გულისხმობს. სიკვდილის გააზრება ქართულ ლიტერატურაში უძველესი დროიდან ხდებოდა. ყველა ეპოქა სხვადასხვა ელფერს სძენს სიკვდილის თემას.

ჰიმნოგრაფიასა და ჰაგიოგრაფიაში სიკვდილის ტრაგიზმი არ ჩანს: იგი მარადიული ცხოვრების საწინდარია, ამდენად - ბედნიერების დასაწყისიც. სიკვდილის ცნება შეცვლილია გარდაცვალებით, რაც ახალი, უმჯობესი სიცოცხლის დაწყებას მოასწავებს. წმინდა შუშანიკი არაადამიანური წამების წინა დამეს სიხარულის დასაბამად მიიჩნევდა და მოუთმენლად ელოდა თავისი აღსასრულის დღეს. ნეტარი აბო მისი ბედით დამწუხრებულ მრევლს ამშვიდებდა და მწუხარების ნაცვლად ლოცვისა და სიხარულისკენ მოუწოდებდა.

„ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველი სიკვდილის ცნებას აფართოებს, ახასიათებს და დეტალებით ავსებს მას: სიკვდილი გარდაუვალია, იგი ყველას ეწვევა. ვაჟკაცი ნაზრახ სიცოცხლეს სახელოვან სიკვდილს უნდა ამჯობინებდეს, იმისთვის უნდა იღწოდეს, რომ ამქვეყნად სახელი დატოვოს, იმქვეყნად კი ღვთის სასუფეველისკენ მიმავალი გზის სიძნელე სააქაოში დაგროვილი მადლის წყალობით ადვილად დაძლიოს.

დავით გურამიშვილისეული გააზრება სიკვდილისა, მართალია, უკავშირდება სასულიერო მწერლობასაც და ხალხურ ტრადიციებსაც, მაგრამ, ძირითადად, რუსთაველურ გზას მიჰყვება. ამთავითვე შევნიშნავთ, რომ ამ საკითხში გურამიშვილი რუსთაველისგან იმით განსხვავდება, რომ აძლიერებს სუბიექტურ მომენტს, რაც თავს იჩენს ლექსში: „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“. მას ვერ გაეჩვევი, ვერც დაემალები და ვერც შეებრძოლები. ამ ლექსში

რუსთველური ხმებიც ისმის, ზოგადქრისტიანული მოტივებიც. პოეტს სწამს, რომ სიკვდილი განგების საქმეა, ღმერთის ნება-სურვილია. გურამიშვილთან სიკვდილ-სიცოცხლის თემას უკავშირდება ხორციელი ცხოვრების ხანმოკლეობა და სულიერი ცხოვრების მარადიულობის აღიარება.

რომანტიკოსებთან სიკვდილის თემა უკვდავების იდეამ გადაფარა. მათთვის სიყვარულშია უკვდავება.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ქართულ ფოლკლორს, სადაც სიკვდილის თემა, ასევე, მრავალმხრივაა წარმოდგენილი. ფოლკლორში საუკეთესო სიკვდილად გმირულ აღსასრულს მიიჩნევენ. სახალხო მთქმელების აზრით, მკვდარნი სიცოცხლეს განაგრძობენ და თავიანთი საქციელის მიხედვით განისჯებიან. მართალი გადაივლის ბეწვის ხიდს და ცოდვილი კუპრის მდინარეში ჩავარდება.

ვაჟა-ფშაველას ლირიკის გააზრებისთვის მხოლოდ ქართული სალიტერატურო და ფოლკლორული წყაროების გათვალისწინება, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. საგულისხმოა ისიც, რომ პეტერბურგში ვაჟა ეზიარა მსოფლიოს მრავალი ლიტერატორის თუ ფილოსოფოსის ნააზრევს.

XIX საუკუნის ფილოსოფიური გაგებით, სიკვდილი არ არის ამორფული არსი, არამედ იგი არის ქმედების კატალიზატორი, რომელიც აიძულებს ადამიანს, დაძაბოს, მომართოს თავისი სასიცოცხლო ძალები. სიკვდილის შიში, - აღნიშნავს შპენგლერი, - ყველაზე შემოქმედებითია გრძნობათა შორის. მას უნდა უმადლოდეს ადამიანი ყველაზე სავსე, ღრმა ფორმებსა და სახეებს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სიკვდილი ვაჟასთან არის გამოცანა; ყოფიერების სხვა გამოცანებთან ერთად, სიკვდილი და სიცოცხლე მისთვის ყოფიერების წესრიგის ნაწილებია. პოეტი არ მიმართავს ცხოვრების, ან სიკვდილის ესთეტიზაციას.

მის ლექსებში სიკვდილის სინონიმად მრავალი მხატვრული ფიგურა გვხვდება: „ბნელეთი“, „მძინარე არემარე“, „სამეფო ძლიერი“, „შავეთი“, „სულდგმულთ სიცოცხლის მტაცი“ და სხვა. ამ სტატიაში ჩვენ შევხებით ვაჟას მიერ სიკვდილის გააზრების მხოლოდ ერთ ასპექტს, კონკრეტული ლექსის სივრცეში.

ევროპული იკონოგრაფიის ერთ-ერთი ვარიანტი ადამიანის არსებობის წარმავლობის შესახებ, ფერწერისა და სიტყვიერების ალეგორიული სიუჟეტი, ცნობილია სიკვდილის როკვის (dance macabre) სახელით.

ეს მოტივი გამოკვეთილია ვაჟასთანაც და ამ თემას ეხმაურება მისი ლექსი „ბნელეთი“, სადაც სიკვდილი მითოლოგიური ელემენტებით არის გაზავებული. პოეტი შემზარავად აღწერს საიქიოს, რომელზე ჩაფიქრებაც კი შიშს გვგვრის.

ვაჟას სიტყვები: „გაქვავებული დაჰრჩები“ - კვლავ ეხმიანება სიკვდილის იკონოგრაფიის ზემოთ ნახსენებ თემას. შიშველ მიცვალებულებს ფერხული გაუმართავთ, ხოლო რანგის მიხედვით ჩაცმული ცოცხლები გაქვავებულნი დგანან. მიცვალებულთა მკვირცხლი რიტმი და ცოცხალთა გაქვავება ამ ლექსში მკვეთრ კონტრასტს ქმნის.

„სიკვდილის როკვის“ მთავარ კორიფედ სიკვდილი გვევლინება, რომელიც ოდესღაც წარმოდგენილი იყო ადამიანური სახით. ამ თემაში ძირეულია სიკვდილის გამათანაბრებელი ძალა; შემდეგ ამან საფუძველი დაუდო უფრო რთული და ღრმა ალეგორიების შექმნას.

სიკვდილის იკონოგრაფიის სახის ისტორიისთვის უნდა ითქვას, რომ დრამა და ცეკვა შუა საუკუნეების ევროპაში განუყოფლად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. სწორედ ამით აიხსნება „სიკვდილის როკვის“ სახელის წარმოშობაც.

ვაჟა-ფშაველას ლექსის „ბნელეთის“ სიუჟეტი გადატანილია ქვესკნელში, უკუნეთში. სიკვდილის როკვის მოქმედება კი ხდება სააქაოში. ამგვარი ფიქრის საფუძველს გვაძლევს ის რეალიები, რომლებიც თან ახლავს ამ სცენებს, ხოლო ვაჟასთან ადგილი მკაცრად განსაზღვრულია: ეს არის საიქიო. საინტერესო პოეტური ფიგურაა „ბნელეთის მტაცის ხელი“, რომელიც კიდეც ერთხელ გვახსენებს ხელიხელჩაკიდებულ მკვდრებსა და ცოცხლებს. ფერთა სიმბოლიკაც შესაბამისია: ირგვლივ კუპრივით შავია ყველაფერი.

სიკვდილის სურათს აძლიერებს მთიბველის სახის ხსენებაც, რომელიც არსად ჩანს.

მთიბველი საინტერესო, ორმაგი სიმბოლიკის მატარებელი სახეა. მთიბველის იარაღი, ცელი, იმეორებს ნახევარმთვარის ფორმას. მთვარის ნიშანი ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლოა. ასე, რომ ცელი, ქრისტიანული სიმბოლიკით, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სიუხვის, ასევე სიკვდილის ალეგორიად. მაგალითად, აპოკალიფსის სცენაზე ცელით ანგელოზები არიან შეიარაღებულნი. ხალხურ პოეზიაში, კერძოდ, ფშაურ ფოლკლორში მთიბველის სახე სიკვდილის ფუნქციით არის დატვირთული („სიკვდილმ თქვა...“). ეს სახე ფიგურირებს გურამიშვილთანაც. მთიბველის სახე გურამიშვილთანაც სიკვდილს უკავშირდება.

შემდეგ სტროფში უკვე ყურადღებას იქცევს წყლის სიმბოლიკა, რომელიც სიკვდილთან, გლოვასა და ცრემლებთან ასოცირდება. ცრემლებისგან წარმოშობილი ტბა გვხვდება არაერთ ქართულ თქმულებაში. ვაჟას ლექსში წყალი მკვდართა ცრემლია და არა ცოცხალთა. აქ კიდევ ერთხელ დასტურდება ვაჟას შემოქმედებითი დამოკიდებულება ფოლკლორული მასალის და არა მარტო მის მიმართ.

Dance macabre-ს შემდეგი დამახასიათებელი სიუჟეტური შტრიხი არის სიკვდილის ბინადართა დახასიათება: სიკვდილის სამეფოში აღარ არსებობს მტრობა და შური. იქ ყველა თანაბარია. მომდევნო სტროფში უკვე მკვდართა ფერხულის სცენაა.

ერთ მწკრივში, ხელგადადებით დგანან მკვდარნი, მაგრამ ცოცხალნი აქ არ ჩანან. ეს მხოლოდ მკვდართა როკვა და ფერხულია. ამ სიახლეს, სიკვდილის როკვის თემასთან დაკავშირებით, ერთვის კიდევ ერთი ნოვატორული დეტალი: თუ უმეტეს სურათზე, გრავიურაზე, ლექსსა თუ იკონოგრაფიაში სიკვდილი გამარჯვებულია, ვაჟასთან სიკვდილი მგლოვიარეა. მკვდარნი ტირიან და ლოცავენ ცოცხლებს, რომლებიც უღალატო და წესიერი ცხოვრებით ცხოვრობენ. ვაჟასთან მკვდრებს ამქვეყნიური ემოციები წარმართავს: შეცოდება, წუხილი... ზოგადად, ვაჟა-ფშაველას

ლირიკაში მკვდრები აქტიურად არიან ჩართულნი ცოცხალთა ცხოვრებაში. ისინი ლაპარაკობენ, ფიქრობენ, ზრუნავენ და წუხან სააქაოში დარჩენილებზე. ეს მოტივი - არსებობის ორ ჰოპოსტაზს შორის კავშირისა - ეხმიანება შუა საუკუნეების მოაზროვნეთა წარმოდგენებს, რომელთა მიხედვითაც, მკვდრები კვლავ აგრძელებდნენ კავშირს ცოცხლებთან: ბრუნდებოდნენ მიწაზე, რათა მოეგვარებინათ ამქვეყნიური საქმეები.

ი. ჰაინინგას, როდესაც შუა საუკუნეების აზროვნების ფორმებს იკვლევდა და „როკვის“ ფენომენს გადააწყდა, გაუკვირდა, თუ რატომ ვერ შეძლეს ევროპელებმა კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა- ლპობიდან სიცოცხლისკენ. „როკვის“ ლაიტმოტივია ყოფიერების წარმავლობა; მაგრამ ეს პროცესი სამუდამოდ არ გრძელდება: ის იქვე თავდება, ჩვენ თვალწინ და ნეშტი მტვრად იქცევა, მტვერი - მიწად, ხოლო მიწა სიცოცხლეს კვებავს ისევ. ვფიქრობ, რომ ის ნაბიჯი, რომელსაც ჰაინინგა ისაკლისებდა, ვაჟასთან გადაიდგა: სხვაგვარად მკვდარი ცოცხალს ვერ დალოცავდა. ვაჟა-ფშაველას ლირიკული სამყარო სხვაგვარ სიკვდილს იცნობს, ევროპელებისგან გამორჩევით: ქართველის აზრით, სიკვდილი არ არის წყევლა ან კოშმარი, ის არის გარდაცვალება, ახალი ცხოვრების დაწყება. აქ მნიშვნელოვანია სახელოვანი სიკვდილის თემა და პასუხისმგებლობა საკუთარი სინდისის წინაშე, ადამიანის მიერ საკუთარი არსებობის გააზრება, გამართლება, მისი მორალური განვითარება.

აქ ჩანს ის ეკლექტიზმი, რაც დამახასიათებელია ვაჟას შემოქმედებისა და აზროვნების სტილისთვის. სიკვდილი განყენებული ცნება კი არ არის, არამედ ის ჩართულია სიცოცხლის არსში. გაძლიერებულია სუბიექტური მომენტი სიკვდილთან მიმართებაში - დიალოგების და გასაუბრების მხატვრული ფორმით. ვაჟა-ფშაველას ლირიკის მიხედვით, ადამიანს საკუთარი მოკვდავობა განსაკუთრებულ მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს და მის საფუძველში დევს არა შიში ცოდვებისათვის დასჯის გამო, არამედ პასუხისმგებლობა საკუთარი სინდისის წინაშე. სიკვდილის ფენომენი სიცოცხლეს აზრს კი არ უკარგავს, არამედ ხაზს უსვამს მის შეუცვლელ ფასეულობას.

...კიდევ ერთი მოტივი, რომელიც ასახვას პოეზებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, არის პოეზიის თამაშებრივი ბუნება. ეს მოტივი განსაკუთრებით გამოიკვეთა XX საუკუნის ლიტერატურასა და ფილოსოფიაში. თამაშის ცნება ოდითგანვე ქართულ ფოლკლორსა თუ ლიტერატურაში სიმღერასთან იყო დაკავშირებული. ხოლო სიტყვა „სიმღერა“ თავად ორმაგი სემიოზისის მატარებელი ლექსემაა. სიმღერა - გალობა და სიმღერა - თამაში.

ტერმინი „სიმღერა“ საყურადღებოა ქართული პოეზიის ისტორიის თვალსაზრისითაც: „ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვა პოლისემანტურად გაიაზრება: როსტევანისთვის „სიმღერა“-ნარდის თამაშს უკავშირდება, ავთანდილისთვის „მღერა“-სიმღერაა, გალობაა.

ვაჟა-ფშაველას ლირიკაში დიდი ადგილი უჭირავს „სიმღერებს“: „ფშაველის სიმღერა“, „ბალღების სიმღერა“, „სვინდისის სიმღერა“, „მწყემსის სიმღერა“, „სამეფოს სიმღერა“ და ა.შ. - ამგვარი დასათაურება ჩვეულებრივია პოეტის ლირიკული თხზულებებისთვის. 121 ლექსს პირველივე სტრიქონი უძღვის სათაურად და მითითებული აქვს „სიმღერა“.

ვაჟა-ფშაველას „სიმღერების“ სახელწოდებით ცნობილ ლირიკულ თხზულებებზე პირველად ყურადღება გაამახვილა გრ. რობაქიძემ „ენგადში“. აქ ვხვდებით მსჯელობას ფშავ-ხევსურული „სიმღერების“ შესახებ. ცნობილია, რომ „სიმღერები ვაჟას პოეზიის ერთ-ერთი დიდი თემატური ბირთვია. ეს „სიმღერები“ ფშავ-ხევსურული ფოლკლორით საზრდოობს” [12, გვ. 64].

აკაკი შანიძის განმარტებით, ხევსურული ლექსების ერთი დარგი „სიმღერე“ საგმირო საქმეების წყობილ სიტყვად ასხმულ ქმნილებას ჰქვია და თავისი მუსიკალური ჰანგი აქვს ფანდურზე. მკვლევარი დასძენს: „*მღერა ძველად თამაშობას აღნიშნავდა და არა გალობას*“ [14, გვ. 022]. თამაშსა და გალობას თავად ვაჟა-ფშაველაც მიჯნავდა ერთმანეთისგან. ამრიგად, სიმღერა პოეტს აძლევს უფრო მეტ თავისუფლებას, აქ იგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „სიმღერა“ პოეტურ სიტყვას არ აქცევს მუსიკალური რითმების ტყვეობაში, ასეთია ხალხური სიმღერების ბუნება, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია ვაჟა-ფშაველას ლირიკაზე

მსჯელობისას. სწორედ ხალხური სიმღერების ბუნებით განისაზღვრება ვაჟას ლექსის პოლითემატურობაც; იგივე უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ გალობის თავისუფლება იზღუდება ფშავ-ხევსურულ სიმღერებში.

ქართულ კრიტიკაში გამახვილებულია ყურადღება ასევე ვაჟას მონორითმიან „სიმღერებზე“. შენიშნულია, რომ მონორითმიანობა უფრო მეტად მთის პოეზიაშია საგრძნობი და ხევსურულ „სიმღერათა“ დიდი ნაწილი ერთ რითმაზეა აგებული. ხევსურულ პოეზიაში - სიმღერე - ანუ საგმირო-საისტორიო ან საკუთრივ საგმირო ლექსთა უმრავლესობა მართლაც იმღერება [1, გვ. 63].

გასათვალისწინებელია ერთი თავისებურება, რომელიც დამახასიათებელია ვაჟა-ფშაველას „სიმღერებისთვის“: ეს არის „გაბჭობის“, „გაბაასების“ „დიალოგის“ ფორმა. ამგვარი ლექსები ხშირია გურამიშვილის შემოქმედებაშიც, რომელიც მკაფიოდ აირეკლავს ე.წ. „ცნობიერების თამაშს“. ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრს მსჯელობენ. მას ხშირად, ზოგადად, „თამაშის თეორიას“ უწოდებენ. პოეტური თამაშის განცდას ტოვებს ვაჟა-ფშაველას ისეთი ლექსები, როგორებიცაა: „ბაყაყის სიმღერა“, „თავის სიმღერა“, „სინდისის სიმღერა“, „კურდღლის სიმღერა“ და სხვა მრავალი.

ბესიკ ხარანაული საგულისხმოდ მიიჩნევს თამაშის მარადიულობის პრობლემას: „ბავშვი ჯოხის ცხენს შეკაზმავს, მუთაქას თუ სავარძელს, თავის განუწყვეტელ თამაშში კონკრეტული სახე შეაქვს, კერძოდ, მხედრისა. მაგრამ ნუთუ უფროსი საბოლოოდ გამომშვიდობებია თამაშს? დიდად ეჭვი მეპარება!“ [15, გვ.171].

თამაშის თეორია ვრცელადაა განხილული იოჰან ჰაიზინგას ნაშრომში „Homo Ludens“ („კაცი მოთამაშე“). მიუთითებენ, რომ თამაშში განასახიერებს თავისუფლების იმ ფერმენტს, რაც კულტურას ქმნის - ანუ ადამიანთა ცხოვრებას რაღაც უფრო მეტად აქცევს, ვიდრე თვითშენახვის, სასიცოცხლო სივრცის მოპოვებისა და გვარის გადარჩენისთვის ბრძოლაა [16, გვ. 6]. რაიმე აბსტრაქტულის ყოველი გამოხატულების უკან მეტაფორა დგას, ყოველ მეტაფორაში კი სიტყვათა თამაშია შეზავებული. ასე იგება მეორე, შეთხზული სამყარო, თავისი მეტად განვითარებული ფორმებით. თამაში განმსჭვალულია რიტმითა და ჰარმონიით. პოეზიასა და

თამაშს შორის კავშირი მხოლოდ მეტყველების გარეგნულ ფორმას არ გულისხმობს. ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია მისი გავლენა მხატვრული წარმოსახვის სტრუქტურასა და მოტივებზე, მათი გამოხატვის ხერხებზე. მათ უკან ყოველთვის იმალება ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი მიზანი: სიტყვების მეშვეობით შეიქმნას დამაბულობა, მკითხველსა თუ მსმენელს რომ დააბამს [16, გვ. 162]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაჟა ხან ბაყაყის ენით საუბრობს, ხან - სინდისის და ხანაც - მწყემსის. ამის პასუხიც, რაღა თქმა უნდა, წარმოსახვის თამაშობრივი ფუნქციიდან იღებს სათავეს. ამ ასპექტს ემსახურება ვაჟას „ჩიტის სიმღერა“.

სიმღერაში „მთას იქით მთვარე ამოდის“ ჩანს ის ტენდენცია, რომელზეც ზემოთ გვექონდა საუბარი. ვაჟა ამ ლექსში მზის პროექციიდან საუბრობს და მნათობს თავისი ფიქრებით აშინაარსებს. ეს არის სტატიკურად დახატული მზის ჩასვლის სურათი. ისეთი გრძნობა იქმნება, თითქოს, მზე მეორედ აღარ ამოვაო. მთავარე დახატულია როგორც მტერი, მოქიშპე მზისა.

ვაჟას სიმღერათა უმრავლესობა ამართლებს იმ განმარტებას, რომელიც მას აქვს ფშაურ ფოლკლორში; „თამაშობა“. თითქოს, ლექსით ვაჟა თამაშის თავისებურ ფორმას გვთავაზობს. იგი გამოცანაა, რომელიც მხოლოდ დაკვირვებული მკითხველის თვალწინ იხსნება.

სატრფიალო ლირიკის ნიმუშში „ნეტავი გამაგებინა“ ვაჟა ცდილობს, ჩახვდეს ქალის ბუნებას. პოეტი დასაწყისშივე ახსენებს სიტყვას „ამოცანა“, რაც მართლაც ამ გამოცანად იქცევა ლექსის ბოლო სტროფში. იგი, თითქოს, საერთოდ არ თავსდება ამ პოეტური თხზულების დინებაში და, შეიძლება, სხვა ლექსის ნაწყვეტადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს - მხოლოდ ერთი შეხედვით. ჩვენი აზრით, ვაჟა ქალის ბუნებას გამოცანას ადარებს, როდესაც თვალები ერთს ამზობენ და საქციელი - სხვას. ქალის ბუნება შეუბრალებელია მიჯნურისთვის, მაგრამ თვალები - სევდიანი. „ბობოქარი ზღვა, რომელსაც მენავების ტირილი არ ესმის“ - არის ქალის საქციელი, ხოლო მტირალი „მენავები“ - ქალის თვალებია; ქალის ორგვარი, ურთიერთგამომრიცხავი საწყისი, აფიქრებს ვაჟას და ათქმევინებს: „ნეტავი გამაგებინა“.

საყურადღებოა ვაჟას „სიმღერების“ კიდევ ერთი თავისებურება: ვაჟა ხშირად მათ რიტორიკული შეკითხვით ამთავრებს. პოეტი მკითხველსაც მიმართავს, ღმერთსაც და საკუთარ თავსაც.

პოლ ვალერის აზრით, ხელოვანი თავის როლს თამაშში ასრულებს. მის შრომაში არის რაღაც თამაშის მსგავსი. ის თვითონვე ქმნის საკუთარ მოპირისპირეს. „კაცი“ „მასალის“ წინააღმდეგ, „დროის“ წინააღმდეგ...აი, მისი ქმნილების ქმნილება - მასში [5, გვ. 151].

ვაჟა-ფშაველას ლირიკაში თამაში მრავალი ფორმით გვხვდება, რომელთაგანაც, შეიძლება, გამოვყოთ: თამაში სიტყვით, აზროვნებით, კულტურული მემკვიდრეობით; თამაში მსმენელთან და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საკუთარ თავთან. ვაჟა-ფშაველას, როგორც მოაზროვნის, საუკეთესო მოწინააღმდეგე არის თავად ვაჟა-ფშაველა პოეტის რანგში. აქ უნდა ვეძებოთ თამაშის მთავარი საწყისი და წყარო.

დამოწმებანი:

1. ბარბაქაძე, თ., *ათი წერილი ქართულ ლექსზე*, თბილისი 1993.
2. ბრეგაძე, ლ., *რეცეფციული ესთეტიკა, ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი*, თბილისი, 2006.
3. გურამიშვილი, დ., *მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა*, ტომი 28, თბილისი 1979.
4. ევგენიძე, ი., *ვაჟა-ფშაველა*, თბილისი 1989.
5. ვალერი, პ., *რჩეული პროზა*, თბილისი 1983.
6. ვაჟა-ფშაველა, *თხზულებანი ხუთ ტომად*, ტომი I, II. თბილისი 1992.
7. ვაჟა-ფშაველა, *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*, ტომი I, II. თბილისი 1964.
8. თევზაძე, დ., *DANCE MACABRE*, თბილისი 1999.
9. კიკნაძე, გ., *ვაჟა-ფშაველას შემოქმედება*, თბილისი 1989.
10. კოტეტიშვილი, ვ., *ხალხური პოეზია*, თბილისი 1961.
11. ლოტმანი, ი., „პოეტური ტექსტის ანალიზი“, *სჯანი* #13, 2012.
12. რობაქიძე, გ., ენგადი, *მნათობი*, #8, 1987.

13. ტაბიძე, ტ., *რჩეული*, ესსე - „ომის თემა ქართულ მწერლობაში“, თბილისი 1960.
14. შანიძე, ა., *ქართული ხალხური პოეზია*, 1 ტომი ხეცსურული, თბილისი 1931.
15. ხარანაული, ბ., *სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი*, თბილისი 2010.
16. ჰაიზინგა, ი., *Homo Ludens (კაცი მოთამაშე)*, კულტურის თამაშში წარმოშობის შესახებ, თბილისი 1997.

Some Humanistic Motifs in the Lyrics of Vazha-Pshavela

Linda Tsitskivili

TSU master's degree in Philology, English language teacher at International Baccalaureate Organization (IBO) and International House of Tbilisi (IH).

Abstract: In the poetry of Vazha-Pshavela two motifs which reflect humanistic issues are less outlined in the Georgian literary criticism.

The poem "The Darkness" echoes the allegoric plot of European iconography, art and literature - the dance of death (dance macabre). The process of comparing reveals similarities: the dance of death and stiffness of the living; also marching of the dead hand in hand.

The playful nature of poetry in the lyrics of Vazha-Pshavela is significant. In this article we point out the parallel forms between Pshav-Khevsurian folklore and the poet's works. They are: monorhymed verse, dialogue, conversation, and exchange form, playful nature of poetry and so on.

Key words: *Vazha-Pshavela; game; death*

In Georgian literary criticism Vazha-Pshavela's feel for nature, style, folk background etc. is widely spoken of. However less attention is paid to two humanistic problems which are represented in the lyrics of Vazha-Pshavela and presented in an original aspect at that. This time we will focus on the literary interpretation of death in the lyrics of the poet.

"Georgian writers avoid the subject of death", - notices Georgian researcher Kita Abashidze. Titsian Tabidze interprets this as something quite significant which reveals the national essence of our literature. This means that even if Georgia placed in her coffin she never thinks of death. Only Vazha-Pshavela and K. Maqashvili might say that they did justice to this problem [12, p. 305]. The

phenomenon of death through the prism of Vazha-Pshavela's lyrics implies the predecessors' spiritual wealth of experience, culture and potential charge of the whole nation's mentality. Conceptualization of death in Georgian literature began in ancient times. Each era added different nuances to the problem of death.

In hymnography and hagiography tragicity of death did not exist. It was the beginning of an eternal life, thus the door to happiness. The concept of death was replaced with the word passing which heralds the birth of a new, superior life. Saint Shushanik viewed the night of her torture as the beginning of joy and impatiently waited for the day of her death. The beatific Abo calmed people saddened about his fate by invoking them to pray and be cheerful.

In "The Knight in the Panther's Skin" Rustaveli broadens the notion of death, characterizes it and enriches it with details. Death is inevitable, it visits everyone. The knight prefers glorious death to shameful life. By his good deeds he must strive to leave a good name in life and overcome difficulties on the way to heaven.

David Guramishvili's conceptualization of death - although linked with church writings and folk traditions - basically follows the Rustaveli's path. It must be stated that Guramishvili differs from Rustaveli in strengthening the subjective factor, which reveals itself in the poem: "Dispute and dissension of man and death". One can't run away, hide or fight death. This poem combines Rustavelian and Christian motifs. The author believes that death is the matter of God's will and intention. According to Guramishvili the theme of life and death is connected with limited lifetime and an eternity of spiritual existence.

The motif of death is overlapped by the idea of eternity in the lyrics of romantic poets. Immortality is love for them.

While analyzing Vazha-Pshavela's lyrics it is not sufficient to deal only with Georgian literary or folk sources. One should also take into account that while studying in Saint Petersburg the poet gained knowledge of works and ideas of the world's philosophers and writers.

According to the 19th century philosophical understanding, death is not an amorphous essence, but acts as a catalyst which makes people strain, adjust their vital forces. Fear of death – notes Spengler

– is the most creative feeling of all. Men should be grateful for this feeling of the deepest and most sufficient images and icons.

Bearing in mind the foregoing, death in the lyrics of Vazha-Pshavela is a puzzle: in line with all the other mysteries of life. Life and death are parts of existential structures. The lyricist isn't trying to aestheticize life or death.

In his lyrics we see many artistic symbols of death: "the darkness", "sleeping side", "mighty kingdom", "black dominion", "human life taker" etc. In this article we will only deal with one aspect of analyzing death in the lyrics of Vazha-Pshavela, in one specific poem.

The feature of ephemeral human life in European iconography, allegoric subject of art and literature, is known by the name of death dance (dance macabre).

This motif is shown in the lyrics of Vazha-Pshavela's poem "The Darkness" which echoes this concept. Death is diluted with mythological elements. The poet describes the dreadful scene of kingdom come; the only thought of which is frightful.

The poet's words: "you will be stoned" again echoes the death iconography mentioned above. Bare skeletons are dancing while people dressed according to their rank are standing stiff. The skeletons' gay rhythm and the stiffness of people are in great contrast.

The main coryphaeus in "dance macabre" is death itself that was human once. The main idea of this motive is the equalizing force of death which formed the basis of more complex and deep allegories.

For the history of death iconography we should mention that drama and dance in Europe during the Middle Ages were not separated from each other, which gives account for the name of "dance of death".

Vazha-Pshavela's poem "The Darkness" transfers the plot to the nether, underworld while "dance of death" progresses in the real world - the realities which attribute those scenes make us believe in that. On the other hand, in the analysed poem the place is specifically identified and it is the netherworld. "The grabbing hand of the netherworld" is an interesting poetic icon that resembles once

again dancing skeletons and people. The colour symbols are appropriate: everything around is coal black.

The vision of death is strengthened referring to an image of a mower, who is nowhere to be seen. This image is very interesting and carries double symbolic meaning. His weapon – sickle is crescent-shaped which is the symbol of fertility and abundance. As a result, the sickle according to Christian symbolism may represent fertility and be an allegory of death as well. For instance, in the apocalyptic visions angels carry sickles. In folk poetry, specifically in Pshavian folklore the image of a mower carries the function of death (“Death said”). This image also prevails in the lyrics of Guramishvili with the symbol of death.

The following couplet is distinguished for water symbolism, which is associated with death, mourning and tears. Tear lake is found in many Georgian tales. However, in this very poem the tears in the lake are tears of the dead, not of the living. This proves once more Vazha-Pshavela’s creative attitude towards folklore and not only.

The typical frame of “dance macabre” is a characteristic of dead people: in the netherworld there is no jealousy or hostility. Everyone is equal. The subsequent stanza shows the whirl of the dead. The dead in one line are hand in hand with no trace of living. Thus it is only the dance of the dead. This novelty towards the dance of the dead is followed by one more original detail: whereas in most pictures, engravings, verses or iconography death is the winner; in Vazha-Pshavela’s poem death is mourning. The dead are crying and praying for the living, who have honest and fair lives. The deceased are driven by real world emotions: sorrow, sympathy... In general the dead in the lyrics of Vazha-Pshavela are actively involved in everyday life. They think, talk, care and mourn about the living. The motif of connecting two hypostases of existence – echoes the thoughts of medieval thinkers. According to them the dead are connected with the living: they come back to earth to finish what they started in their lifetime.

Johan Huizinga, while researching Middle-age thinking systems, came across the “dance macabre” phenomenon and was surprised why Europeans couldn’t make one more step from decaying towards life. Transience of life is the leitmotif of “dance

macabre”- though this process doesn’t last forever: it ends on the spot, in front of our eyes and the remains turn into ashes, ashes into soil, and soil feeds life again. We think that the step forward mentioned by Huizinga was taken by Vazha-Pshavela. Otherwise, the dead couldn’t bless the living. Vazha-Pshavela’s lyrical world knows another type of death, apart from Europeans. According to Georgians, death is not a curse or horror. It is a passing, a beginning of a new life. Honorable death motif and responsibility for your conscience, realization, justification of one’s own existence, its moral development is important.

Vazha-Pshavela’s lyrics and thinking style shows the eclectic nature. Death is not something that stands alone but it is included in the essence of life. The subjective moment towards death is strengthened – through the fiction form of dialogues and conversations. In Vazha-Pshavela’s lyrics mortality grants humans moral responsibility, in the core of what lies not the fear of punishment for one’s sins but self-conscious responsibility. The phenomenon of death doesn’t turn our lives into nonsense, but underlines its unalterable value.

...One more motif which is reflected in the lyrics of Vazha-Pshavela is the playful nature of poetry. This motif was especially developed in the 20th century literature and philosophy. The essence of play was historically connected with singing in Georgian folklore and literature. The lexeme “singing” carries double semiosis. Singing – chanting and singing – playing.

The term “singing” is significant in terms of the history of Georgian poetry. In “The Knight in the Panther’s Skin” this word is treated polysemantically. For Rostevan “singing” is connected with playing backgammon and for Avtandil “singing” is chanting, caroling.

In the lyrics of Vazha-Pshavela many poems are given the heading “singing”: “Pshav’s Song”, “Children’s Song”, “Song of the Conscience”, “Shepherd’s Song”, “Song of a Kingdom” etc. This type of heading is quite common in the poet’s lyrical works. 121 poems have the first line as a heading and are named as “songs”.

The first to notice those prominent lyrical works by the name “song” was Grigol Robakidze in his work “Engadi”. He talks about Pshav-Khevsurian “songs”. It is a well known fact that “songs” are a

big thematic core in the lyrics of Vazha-Pshavela. Those “songs” are nourished by Pshav-Khevsurian folklore [10, p. 64].

According to Akaki Shanidze, one field of Khevsurian poems “simghera” (“song”) represents chanting of heroic deeds on *panduri* (musical instrument). The researcher adds that *singing historically meant playing and not chanting* [11, p. 022]. Playing and chanting is also distinguished in the lyrics of Vazha-Pshavela. Therefore singing gave the poet more freedom. Shanidze pays attention here to the fact that “songs” doesn’t capture poetry in musical rhythm. That is the nature of folk songs which is important to take into account while discussing the lyrics of Vazha-Pshavela. The nature of folk songs determines polythematicity of Vazha-Pshavela poems. The same accounts for the limited freedom of chanting in Pshav-Khevsurian songs.

In Georgian literary criticism monorhymed “songs” of Vazha-Pshavela are also noted. Generally highland poetry is characterized by monorhyme. A big amount of Khevsurian “songs” is written in one rhyme. In Khevsurian poetry the majority of “simghere” i.e. heroic-historical poems are sung [1, p. 63].

We should also take into account one characteristic of Vazha-Pshavela’s poetry. It is the so-called dialogue, conversation, and exchange form. Such poems are quite frequent in Guramishvili’s works and they vividly reflect the so called “playful mind”. This topic is widely discussed. It is frequently called – “Game Theory”. The feeling of poetic play is felt in the poems of Vazha-Pshavela: “Frog’s Song”, “Song of the Conscience”, “Rabbit’s Song” and so on.

Besik Kharanuli considers eternal problem of playful minds to be quite significant: “if a child equips his stick horse, armchair or a pillow, in this never-ending game he enriches the concrete image of a knight. But adults - have they said farewell to games? I doubt it!” [8, p. 171]

“Game Theory” is reviewed in detail in the work of Huizinga “Homo Ludens” (“playing man”). We must note that “playing” by Huizinga represents the ferment of freedom, which creates culture – i.e. it turns human lives into something more rather than the instinct of self-preservation and struggling for the next generation [5, p. 6]. Behind any abstract thing there is a metaphor and each metaphor is playing with words. Thus we create a second, imaginary world, with

its advanced forms. The game is overflowing with rhythm and harmony. The connection between poetry and playing is not based only on the interior. More important is its influence on artistic imagination and motifs, on their ways of expression. The conscious or unconscious goal is always hidden behind them: to create tension with the words to capture the reader's or listener's attention [5, p. 162]. As we have already mentioned before, Vazha-Pshavela sometimes talks as a frog, as conscience and as a shepherd. The source of this is again a playful function of imagination. Vazha-Pshavela's poem "Bird's song" serves the same purpose.

In the song, "The Moon Rises behind the Mountain" is shown the tendency mentioned before. In this poem Vazha-Pshavela talks from the sun's point of view and inspires this brightest star with his thoughts. Static picture of a dawn is shown in this poem which creates the feeling that the sun is never going to rise again. The moon is put in the enemy's position as the opponent of the sun.

The most poetic works of Vazha-Pshavela justifies the name "playing" given to it in Pshavian folklore. As if by his lyrics the poet suggests a peculiar type of game. It is a puzzle, or riddle which requires a careful observer to solve.

In the sample of his love lyrics, "I Wish to Know" the poet tries to understand the nature of a woman. The poet mentions the word "riddle" at the very beginning, which develops into a real puzzle in the last verse. It seems like the last verse of this poem is from another "song" and doesn't fit in with the natural flow of the piece, but that's from the first sight. We think that the poet compares woman's nature to a charade, when the eyes tell one thing and the action – something else. The woman's temper is merciless towards a loving heart, but the eyes are filled with sorrow. "The wild sea that doesn't hear the boatmen crying" – is the woman's attitude and the crying boatmen are the woman's eyes; double, mutually contradicting essence of woman. The poet thinks about all this and says: "I wish to understand".

One more typical aspect of Vazha-Pshavela's "songs" is ending them with a rhetorical question. He addresses the reader, God and himself.

According to Paul Valery, the artist performs his/her role in playing. In his works something playful exists. He creates his own

opponent: “men” versus “substance” and “time”... that is his creative creation [14, p. 151].

We can identify many styles of “playing” in Vazha-Pshavela’s lyrics: playing by words, by thoughts, by cultural heritage; playing with the recipient and what’s more important with his own ego. The best sparring partner for Vazha-Pshavela is Vazha-Pshavela himself in the rank of a poet. That is the main starting point, a source of his playful mind.

References:

1. Barbakadze, T., *Ten essays about Georgian Verse*, Tb. 1993. (in Georgian)
2. Bregadze, L., *Receptive aesthetics, literary Theory, 20th century main methodological course and concepts*, Tb. 2006. (in Georgian)
3. Evgenidze, I., *Vazha-Pshavela*, Tb. 1989. (in Georgian)
4. Guramishvili, D., *The library of World Literature*, Volume 28, Tb. 1979. (in Georgian)
5. Huizinga, J., *Homo Ludens, culture was born in games*, Tb. 1947. (in Georgian)
6. Kiknadze, G., *The works of Vazha-Pshavela*, Tb. 1989. (in Georgian)
7. Kotetishvili, V., *Folk Poetry*, Tbilisi 1961. (in Georgian)
8. Kharanauli, B., *Sixty Knights Riding Mules*, Tbilisi 2010. (in Georgian)
9. Lotman, I., The analysis of a poetic text, *Sjani #13, 2012*. (in Georgian)
10. Robakidze, G., Engadi, *Mnatobi, #8, 1987*. (in Georgian)
11. Shanidze, A., *Georgian Folk Poetry*, Volume 1 Khevsurian, Tb. 1931. (in Georgian)
12. Tabidze, T., *Collection of works*, essay “War themes in Georgian Literature”, Tb. 1960. (in Georgian)
13. Tevzadze, D., *Dance Macabre*, Tb. 1999. (in Georgian)
14. Valery, P., *Collection of literary works*, Tb. 1983. (in Georgian)
15. Vazha-Pshavela, *Works in five volumes*, Volume I, II, Tb. 1992. (in Georgian)

16. Vazha-Pshavela, *Complete works in ten volumes*, Volume I, II, Tb.
1964. (in Georgian)

“ცნობიერების ნაკადი” და ოთარ ჭილაძის რომანები

თამარ გეგეშიძე

ფილოლოგიის დოქტორი, საბავშვო წიგნების ავტორი

რეზიუმე: მე-20 საუკუნის ქართველმა პროზაიკოსმა ოთარ ჭილაძემ თავისი რომანების პრობლემატიკის უკეთ წარმოჩენისა და სტილის გამრავალფეროვნებისათვის „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურული მეთოდის ტექნიკა გამოიყენა. თუმცა ამგვარ ტექნიკას მხოლოდ რამდენიმე რომანში მიმართა, რომელთაგან აღსანიშნავია მწერლის ბოლო რომანი „გოდორი“. ოთარ ჭილაძემ პერსონაჟების შინაგანი სამყარო და სიღრმისეული პრობლემები შინაგანი და ასოციაციური აზროვნების მეშვეობით წარმოადგინა.

საკვანძო სიტყვები: *არაცნობიერი, შინაგანი მონოლოგი, ასოციაციური აზროვნება, სულიერი სამყარო, წერის ტექნიკა.*

ოთარ ჭილაძე იმ ქართველ მწერალთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც მე-20 საუკუნის ინტერდისციპლინარულ გარემოში ლიტერატურული ნაწარმოების რეალობის, პერსონაჟების ხასიათებისა და საკუთარი მსოფლმხედველობის უკეთ წარმოსაჩენად პროზა არაერთ თეორიასა თუ მოძღვრებზე დაყრდნობით განავითარეს. შესაბამისად, ჭილაძის რომანებში ჩანს მე-20 საუკუნის ლიტერატურისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ძირითადი ტენდენცია, იქნება ეს მკვეთრად გამოხატული მითოლოგიზმი თუ რემითოლოგიზაცია, ლათინო-ამერიკული პროზისთვის ნიშანდობლივი “მაგიური რეალიზმის” ელემენტები, ღრმა ფსიქოლოგიზმი - ადამიანის სულიერ სამყაროს ამოცნობის მცდელობა, რის წარმოჩენასაც მწერალი ზიგმუნდ ფროიდისა და კარლ გუსტავ იუნგის სიღრმის ფსიქოლოგიის თეორიების გათვალისწინებით ახერხებს, თუ ახალი ისტორიული პროზის ჟანრში მუშაობა. აქვე უნდა დავასახელოთ წერის მანერის თავისებურებაც – თხრობა სუბიექტური პერსპექტივიდან და პერიოდულად “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკის მეშვეობით პერსონაჟის არა მხოლოდ ცნობიერში, არამედ არაცნობიერში ჩაღრმავების მცდელობაც.

“ცნობიერების ნაკადის” ლიტერატურული მეთოდის გამომსახველობითი ფორმა - ტექნიკა ოთარ ჭილაძეს თავისი პროზის პრობლემატიკის დასახვასა და სტილის გამრავალფეროვნებაში დაეხმარა. ეს ტექნიკა მწერლის რამდენიმე რომანში შეიმჩნევა. თავდაპირველად ის მცირე, თითქმის უმნიშვნელო, ადგილს იკავებს ნაწარმოებში “რკინის თეატრი”(1981), ნელ-ნელა ძლიერდება “მარტის მამალში”(1987) და კულმინაციას აღწევს მწერლის ბოლო რომანში “გოდორი”(2002).

ტერმინი “ცნობიერების ნაკადი”, რომელიც პირველად ამერიკელმა ფსიქოლოგმა უილიამ ჯეიმსმა 1880 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “ფსიქოლოგიის საფუძვლები” გამოიყენა, ლიტერატურას არ უკავშირდებოდა, მაგრამ საკითხი ადამიანის არაცნობიერის უწყვეტად დინების შესახებ სწორედ აქ დადგა. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი პირობითია, რადგან ამ ტიპის ლიტერატურას ადამიანის არა ცნობიერი, არამედ უფრო არაცნობიერი აინტერესებს [9, გვ. 56-80].

“ცნობიერების ნაკადის” ტექნიკის ელემენტები ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პროზაში გაჩნდა, თუმცა, როგორც ტექნიკა, პირველად ედუარდ დიუჟარდენმა გამოიყენა (1887) [12, გვ. 5-17]. მეთოდის სახით ის მე-20 საუკუნეში გაფორმდა, რასაც ხელი ანრი ბერგსონის ინტუიტიურმა ფილოსოფიამ და ფროიდ-იუნგისეულმა ფსიქოლოგიურმა სკოლამ შეუწყო. ბერგსონმა სიცოცხლის წარმართველ ძალად ცნობიერება მიიჩნია და დაამკვიდრა ცნობიერებასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი ტერმინები, როგორცაა “გრძლივობა” და “კონტინუუმი”, რაც უწყვეტობასა და დენადობას გამოხატავს. თავის ერთ-ერთ ნაშრომში კი ჩამოაყალიბა მოძღვრება სულიერი მეხსიერების, როგორც წარსულის ჭვრეტის შესახებ. ფროიდმა, შეიძლება ითქვას, თავიდან “აღმოაჩინა” ადამიანის არაცნობიერი და ასევე დაასკვნა, რომ ის ადამიანის ცხოვრებაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს. “ცნობიერების ნაკადის” ლიტერატურულმა მეთოდმა სწორედ უწყვეტი, მუდმივად დენადი არაცნობიერის გამოხატვა დაისახა მიზნად, რისი შედეგიც, კლასიკური ფსიქოანალიზის მეთოდის მსგავსად, ადამიანის პრობლემების აღმოჩენა და მისი გადაჭრის გზის დასახვა უნდა ყოფილიყო [2, გვ. 24; 11, გვ. 18-22].

“ცნობიერების ნაკადისთვის” არსებითია აზრის გაჩენის პროცესის ჩვენება და ის პროცესები, რომელიც არაცნობიერში კონკრეტული აზრის წარმოშობამდე მიმდინარეობს, რომლის დროსაც აქცენტირებულია ცნობიერების მეტყველებამდელი დონე. შესაბამისად, მისი ფუნქცია არაცნობიერის წვდომაა. არაცნობიერის გამოხატვა შეუძლებელია, რადგან მას სამეტყველო საფუძველი არ გააჩნია და არ არსებობს ფორმა, რომელიც მას წერილობით მოგვაწოდებს, ამიტომ ის, რასაც ავტორი გვთავაზობს, ფსიქოლოგიური ფენომენის მხოლოდ მიახლოებითი იმიტაციაა [6, გვ. 5].

მხატვრული ხერხი, რომლითაც “ცნობიერების ნაკადის” ეფექტი მიიღწევა, შინაგანი მონოლოგია და ის მე-20 საუკუნის ლიტერატურაში მხატვრული ტექსტის მთავარი კომპოზიციური ელემენტია. შინაგანი მონოლოგი, თავის მხრივ, რთული ფსიქოლოგიური ფენომენის – შინაგანი მეტყველების - ლიტერატურულ ანალოგს წარმოადგენს, მას არ ჰყავს რეციპიენტი, მსმენელი და არ არის განსაზღვრული სხვისი უშუალო აღქმისთვის, ამიტომ თუ რეალისტურ რომანში შინაგანი მონოლოგის მიზანი ფსიქოლოგიური რეალიზმის შექმნაა, “ცნობიერების ნაკადის” ლიტერატურაში ის უფრო ფსიქოლოგიური ნატურალიზმისკენ ისწრაფვის [5, გვ. 163-169]. თავის მხრივ შინაგანი მონოლოგები ასოციაციურ აზროვნებას ემყარება, რაც ერთმანეთთან ალოგიკურად, მხოლოდ ასოციაციურად დაკავშირებულ ფიქრებსა და მოგონებებს გულისხმობს. ეს ფიქრები არაცნობიერშია შენახული და მათ პერსონაჟის გარკვეული ემოციები გამოიხმობს, როგორც, მაგალითად, ჯეიმს ჯოისის რომანში “ულისე”, სადაც მწერალმა, პირობითად, შეიმუშავა “ცნობიერების ნაკადის” კონცეფცია (მეთოდი თეორიულად არ არის გამყარებული).

მოგვიანებით უილიამ ფოლკნერმა უარი თქვა “ცნობიერების ნაკადის” შინაარსობრივ მხარეზე და მიმართა მხოლოდ მის ტექნიკას მხატვრული ეფექტის მიზნით, რამაც მეთოდს გამოაცალა ფუნქცია – არაცნობიერის წვდომა და დაუტოვა მხოლოდ ფორმა [3, გვ. 35-45]. ამის შემდეგ ამგვარი ტექნიკა აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა პერიოდისა თუ ჟანრის ნაწარმოებებში და ინტერპრეტირებული სახით დღემდე აგრძელებს ფუნქციონირებას (თომას პინჩონის “გრავიტაციის

ცისარტყელა” (“Gravity’s Rainbow”, 1973), რობერტო ბოლანიოს “ღამით ჩილეში” (“[By Night in Chile](#)”, 2000).

ქართულ ლიტერატურაში “ცნობიერების ნაკადის” მეთოდით (მისი კლასიკური გაგებით) დაწერილი ნაწარმოებები, ფაქტობრივად, არ გვხვდება, მაგრამ ქართველი მწერლის, ჭოლა ლომთათიძის 1907-1914 წლებში დაწერილ მოთხრობებში (“სახრჩობელას წინაშე”, “საპყრობილეში”, “პირველი მათისი”, “ჩემი დღიური”, “თეთრი ღამე”) შეინიშნება „ცნობიერების ნაკადის“ ელემენტები. ამ ნაწარმოებებში წინა პლანზეა წამოწეული გმირის ცნობიერის მოძრაობა და ნოველები აგებულია შინაგან მონოლოგებით, რომლებიც, თავის მხრივ “თავისუფალ ასოციაციებს” ეყრდნობა, გარდა ამისა წაშლილია დროის ჩარჩო და პასიურია სიუჟეტი [7, გვ. 80-88]. თუმცა, cxadia, აქ არ იგულისხმება უშუალოდ “ცნობიერების ნაკადი”, რადგან აღნიშნული მოთხრობები ბევრად უსწრებს წინ ჯოისის “ულისეს”, სადაც ეს მეთოდი საბოლოოდ ჩამოყალიბდა.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში უშუალოდ ოთარ ჭილაძის პროზის “ცნობიერების ნაკადის” მეთოდისადმი (უფრო კი ტექნიკისადმი) მიმართებაზე რამდენჯერმე გამოითქვა აზრი, მაგრამ თემა შესწავლილი არ არის. რომანის “ყოველმან ჩემმან მპოვნელმან” გამოსვლის შემდეგ ერთ-ერთ კრიტიკულ წერილში დაიწერა, რომ ერის აუერბახი წიგნში “მიმესისი” ვირჯინია ვულფის რომანის განხილვისას განასხვავებს “ინდივიდუალისტურ სუბიექტივიზმს” და “მრავალსუბიექტიან ცნობიერებას”. კრიტიკოსის აზრით, “მრავალსუბიექტიანი ცნობიერება” არის სწორედ ის, რაც გვხვდება უილიამ ფოლკნერის “ხმაურსა და მძვინვარებაში”, ვირჯინია ვულფის რომანში “გასეირნება შუქურისკენ” და, ასევე, ოთარ ჭილაძის ზემოთხსენებულ ნაწარმოებში, რადგან ამ რომანებში სინამდვილე რამდენიმე გმირის თვალთ არის აღწერილი [1, გვ. 21-22]. ამის გამო სინამდვილე მკითხველის თვალწინ სხვადასხვა კუთხით იშლება, ზოგჯერ კი ერთი და იგივე მოვლენაც სხვადასხვა თვალსაზრისითაა წარმოდგენილი. ამკარაა, რომ აქ საუბარია “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკაზე და ოთარ ჭილაძის რომანიც “ცნობიერების ნაკადის” ავტორების ნაწარმოებებსაა შედარებული. გარდა

ამისა, ამგვარი “თანამედროვე ტექნიკა” ავტორის სტილის ერთ-ერთ წამყვან ფაქტორადაა მიჩნეული.

დასმულია ასევე საკითხი რომანში “გოდორი” გამოყენებულ “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკაზე და აღნიშნულია, რომ ეს ტექნიკა, როგორც ხერხთა და გამოსახვის შესაძლებლობათა ერთიანობა, ზუსტად ესადაგება ოთარ ჭილაძისეულ ხელწერას. პერსონაჟთა ცნობიერში თავისუფალ ასოციაციებს ენაცვლება რეალობა. მოქმედი პირები იხსენებენ წარსულს და თხზავენ შესაძლო მომავალს, ან – წარსულს, რომელიც არ ყოფილა, მაგრამ შესაძლოა, ყოფილიყო [4, გვ. 27].

ოთარ ჭილაძე არ არის ის ავტორი, რომელიც “ცნობიერების ნაკადის” მეთოდს მიმართავს, ამ ტერმინის კლასიკური გაგებით, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ მეთოდს მრავალწლიანი ინტერვალი აშორებს. მწერალი რამდენიმე რომანში მხოლოდ “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკას იყენებს, სადაც ის, დროდადრო, ჯეიმს ჯოისივით, ვირჯინია ვულფივით, გმირის ყველაზე ფარული აზრის, მისი არაცნობიერის წვდომას ცდილობს. ჭილაძის პროზაში “ცნობიერების ნაკადის” ლიტერატურული მეთოდის მხოლოდ გარეგნული მხარეა აქცენტირებული და ავტორი, უილიამ ფოლკნერის მსგავსად, მიმართავს მხოლოდ მის ტექნიკას, როგორც ეფექტურ მხატვრულ ხერხს, რათა უკეთ წარმოაჩინოს თავისი გმირების სულიერი მდგომარეობა. ამ კუთხით განვიხილოთ მწერლის ორი რომანი - “მარტის მამალი” და “გოდორი”.

რომანში „მარტის მამალი“, რომელიც პირველად 1987 წელს გამოქვეყნდა, “ცნობიერების ნაკადის” მეთოდისა თუ ტექნიკის მხოლოდ გავლენაზე შეგვიძლია ვისაუბროთ, რადგან აქ ტექნიკა ნაკლებად ფუნქციურია, თუმცა მეტნაკლებად “ცნობიერების ნაკადის” მეთოდის შინაარსობრივი მხარეა აქცენტირებული – შინაგანი მონოლოგების საშუალებით წარმოჩენილია პერსონაჟის სულიერი სამყარო, მისი გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი სურვილები, არეულია ფაქტების ქრონოლოგია და მინიმუმამდეა დაყვანილი სიუჟეტი. რომანი მთავარი გმირის ერთ უზარმაზარ შინაგან მონოლოგს წარმოადგენს, მცირე რეალური პლანი კი მხოლოდ გმირისა და მისი გარშემომყოფების ფიზიკური არსებობის დამადასტურებელია. ნაწარმოების ემპირიული რეალობა

პასიურია და რაც ხდება, უფრო ზუსტად, რაც უკვე მოხდა, მხოლოდ პერსონაჟის, ნიკოს ფიქრებში ჩანს. შეიძლება ითქვას, წარსული განსაზღვრავს სიუჟეტსა და რომანის “აწმყო” მოქმედებას.

თხუთმეტი წლის ნიკო ომისა და მამის ავადმყოფობის გამო, დედამ ბათუმიდან ბეზიასთან და პაპასთან, სიღნაღში გახიზნა, სადაც ის მკვლელობას შეესწრო. ამ ფაქტმა ისე ძლიერად იმოქმედა მოზარდზე, რომ ის ერთი თვის განმავლობაში “ავადმყოფობს” – გაუნძრევლად წევს საწოლში და საკუთარ თავს უღრმავდება. რამდენადაც მარტივია სიუჟეტი, იმდენად რთულია გმირის შინაგანი სამყარო. სწორედ მისი მოგონებებიდან, წარმოსახვიდან თუ სიზმრებიდან ვგებულობთ მისი ცხოვრების სხვადასხვა დეტალებსა და ამბებს, მის დამოკიდებულებას სხვა პერსონაჟებთან, რაც განსაზღვრავს მათდამი მკითხველის დამოკიდებულებასაც. ნაწარმოები იმდენად სუბიექტურია, რომ შიგ ჩართული სხვა პერსონაჟების ფიქრებიც ნიკოს მიერაა განცდილი. ნიკო წარმოიდგენს თავს საკუთარ პაპად, რომელიც ომიდან გამორბის, ესწრება ილია ჭავჭავაძის მკვლელობას, მსხვერპლის ნაცვლადაც განიცდის და მკვლელის მაგივრადაც იტანჯება; უიმედოდ შეყვარებულია ომში დაკარგულ ყმაწვილზე, როგორც მისი ახალგაზრდა დეიდა. ნიკო საკუთარი თავის გარდა, ყველა ის პერსონაჟიცაა, რომელიც ნაწარმოებში გვხვდება.

თავის შინაგან მონოლოგში ნიკო გამუდმებით ასოციაციური აზროვნების ზღვარზეა, რადგან არა ლოგიკურად, არამედ ასოციაციურად ახსენდება ესა თუ ის ამბავი. ავტორის ტექსტში ჩართულობის მიხედვით, პერსონაჟის შინაგანი მონოლოგი ხშირად ტრადიციული, რეალისტური ნაწარმოების მონოლოგს ჰგავს, მაგრამ ნიკოს მონოლოგების მიზანი ავტორთან ერთად არა სწორხაზოვნად ერთი კონკრეტული თემის განვითარებაა (როგორც რეალისტურ ნაწარმოებში), არამედ ისევე, როგორც “ცნობიერების ნაკადის” შინაგან მონოლოგებში, მისი სულიერი სამყაროს და მისი არაცნობიერის წვდომა, რაც პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება. ნიკოს ავადმყოფობის მიზეზი და მთავარი ასოციაციური ნიშანსვეტი ნაწარმოებში ნიკოს დედ-მამასთან ურთიერთობაა. ის ფაქტი, რომ დედამ მამის

ავადმყოფობის გამო ის სიღნაღში გააგზავნა, ნიკოს უნებურად, ქვეცნობიერად აპირისპირებს მამასთან, სანამ ტყეში გავარდნილი უცნობი ყაჩაღის მეშვეობით, რომელიც მამას აგონებს, არ შესძლებს მამის “პატიებას”. საბოლოოდ ნიკო “განიკურნება”, კვანძის გახსნა ხდება ისევ სუბიექტურ სამყაროში – ნიკოს სიზმარში, სადაც მინიშნებებითა და სიმბოლოებით ის ახერხებს თავისი დანიშნულების გააზრებას.

“ცნობიერების ნაკადის” ნაწარმოებს “მარტის მამალი” რამდენიმე მიზეზით ემსგავსება: 1. რომანი წარმოადგენს ერთ დიდ მონოლოგს, სადაც შერწყმულია სუბიექტური და ობიექტური პლანი, მაგრამ სუბიექტურს აშკარა უპირატესობა ენიჭება; 2. ნაწარმოებში არ გვხვდება მკვეთრად ჩამოყალიბებული სიუჟეტი და რეალურ პლანი პასიურია; 3. რომანი ეყრდნობა ასოციაციურად დაკავშირებულ ფაქტებსა და მოგონებებს 4. ეს ყოველივე ემსახურება მთავარი პერსონაჟის შინაგანი სამყაროს ამოხსნას, შესაძლოა, ნაწილობრივ მისი არაცნობიერის წვდმასაც, რაც საბოლოოდ გამოიხატა ნიკოს სიზმარში, რომელიც ნაწარმოების კულმინაციური მომენტია და სწორედ არაცნობიერის გზავნილია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ “მარტის მამალში” აშკარად იგრძნობა “ცნობიერების ნაკადის” მეთოდის გავლენა (რაც, ტექნიკასაც გულისხმობს). რომანი არ წარმოადგენს ტრადიციულ რეალისტურ ნაწარმოებს, მაგრამ ის სრულად არც “ცნობიერების ნაკადის” კონცეფციას ემორჩილება, ამიტომ, აქ ტრადიციულისა და “ცნობიერების ნაკადისეულის” შერწყმის ავტორისეული ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი, რასაც ფოლკნერიდან დაწყებული არაერთი ავტორი მიმართავს.

ოთარ ჭილამის “გოდორი” მწერლის ბოლო რომანია და, შეიძლება ითქვას, ერთგვარად შემაჯამებელი ნაწარმოებია მის შემოქმედებაში – ავტორს ისევე, როგორც სხვა რომანებში, აქაც გადმოაქვს სამშობლოს, პოსტსაბჭოთა საქართველოს კრიზისის თემა და ავითარებს დამაბულ სიუჟეტს ოჯახურ ურთიერთობებზე, რისი მიზანიც, მისი ეპოქის “დაცემული”, “დეკეროიზირებული” პერსონაჟების სულიერი სამყაროს წვდომაა. რაც შეეხება წერის ტექნიკას, ამ რომანში ჭილამე საგრძნობლად სცილდება ტრადიციულ თხრობის მანერას (რაც მეტნაკლებად დამახასიათებელია მისი წინა რომანებისთვის) და აქტიურად მიმართავს “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკას.

რომანს არ ჰყავს ერთი მთხრობელი და სიუჟეტს ცალკეული პერსონაჟების სუბიექტური წარმოდგენებიდან ვიგებთ. მამამთილმა, რაჟდენ კაშელმა, სექსუალური ურთიერთობა დაამყარა რძალთან – ლიზიკოსთან, რასაც ჯერ დედამთილი და საბოლოოდ ქმარი – ანტონიც, გაიგებს. გამწარებული ანტონი კლავს მამას და პოლიციაში მიდის, რათა დანაშაული აღიაროს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ შვილს რაჟდენი არ მოუკლავს და ის, შესაძლოა, საკუთარმა ცოლმა, ანტონის დედამ მოკლა, შემდეგ კი რძლის, ლიზიკოს დახმარებით დამარხა. ან არც არავის მოუკლავს. ამ მოვლენების შემდეგ ლიზიკო ვენებს გადაიჭრის და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდება, ანტონი კი ლიზიკოს მამასთან ერთად აფხაზეთის ომში მიდის და ტყვეას ეწირება.

ვრცელი შესავალი სიტყვის შემდეგ, სადაც ავტორი-ნარატორი საქართველოს ისტორიის ფონზე კაშელების ოჯახის იტორიას ჰყვება, თხრობა პერსონაჟების ხელში გადადის და რომანის ბოლომდე ავტორი ტექსტში მხოლოდ არაპირდაპირი გზით, რემარკებისა და მინიმუმების საშუალებით ერთვება. მეორე ეპიზოდი რაჟდენ კაშელისა და მისი რძლის, ლიზიკოს შინაგან მონოლოგებს ეთმობა, რაც ერთი და იგივე მოვლენის ორ მხარეს გვიჩვენებს. ეს მონოლოგები, ფაქტობრივად, სიუჟეტითა და ლოგიკური დასკვნებით დატვირთული პერსონაჟების ფიქრებია. შიგადაშიგ ვითარდება სიუჟეტი და აქცენტირებულია რომანის რეალური პლანი. ამ მონაკვეთს ასრულებს რაჟდენის ცოლის, ფეფეს, მონოლოგი, რომელიც, ძირითადად მის მოგონებებს წარმოადგენს.

მესამე მონაკვეთი ლიზიკოს დედინაცვლის, ელისოს პოზიციიდანაა წარმოდგენილი. რომანის ემპირიულ რეალობაში ელისოსა და ლიზიკოს საუბარი მიმდინარეობს, ელისოს გონებაში კი უამრავი ფიქრი და მოგონება ტრიალებს, რისი საშუალებითაც ელისოს პიროვნებასაც ვეცნობით. მომდევნო, მეოთხე ეპიზოდი ლიზიკოს მამისა და ელისოს ქმრის, ელიზბარის შინაგანი მონოლოგია, სადაც უკვე მინიმუმამდეა დაყვანილი სიუჟეტის რეალური განვითარება, მოგონება მოგონებას ებმის, თუმცა პერსონაჟის მსჯელობებში აშკარად ერთვება მთხრობელი და თამამად ავითარებს თავის მოსაზრებებს. სიუჟეტი აშკარად გამძაფრებულია, ხოლო რაც

უფრო მწვავედ გმირების სულიერი დრამა, მით უფრო შემოდის რომანში “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკა.

რომანის მეორე და მესამე ნაწილი მთლიანად პერონაჟების შინაგან მონოლოგებს ეთმობა, იკარგება რეალური პლანი (თუ არ ჩავთვლით ეპიზოდს, როდესაც ერთმანეთს ხვდებიან ელიზბარი და ანტონი) და მოქმედება გმირების ცნობიერში გადაინაცვლებს. ანტონის შინაგან მონოლოგში მხოლოდ მისი სუბიექტური რეალობაა წარმოდგენილი, მაგრამ შიგადაშიგ იგრძნობა ავტორის, მთხრობელის არსებობაც და ხდება მისი კონცეფციის შესაბამისი აზრის განვითარებაც (სირთულეს ქმნის მთხრობელთა მონაცვლეობა, ავტორის გამოჩენა და იმპერსონალიზაცია). დამაბულობა კულმინაციას აღწევს ბოლო ეპიზოდის, ელიზბარის, ანტონისა და ლიზიკოს შინაგან მონოლოგებში, სადაც პერსონაჟების კრიზისული მდგომარეობის და ემოციის სიმძლავრის წარმოჩენა “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკის გამოყენებით ხერხდება.

ოთარ ჭილაძე შინაგან მონოლოგებში “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკას იყენებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გმირის რთულ შინაგან მდგომარეობას უსვამს ხაზს. რომანი “გოდორი” თითქმის მთლიანად შინაგანი მონოლოგებისგან შედგება. ვფიქრობ, ამ მონოლოგებს შეიძლება საკუთრივ შინაგანი მონოლოგები დაერქვას და არა “ცნობიერების ნაკადის” შინაგანი მონოლოგები, მაგრამ შიგადაშიგ, უფრო მეტად კულმინაციურ მომენტებში, როცა პერსონაჟი უკიდურესად კრიზისულ მდგომარეობაშია და საკუთარ თავს უღრმავდება, მონოლოგებში ერთვება ასოციაციური აზროვნება, რომელსაც არაცნობიერთან მივყავართ, ირღვევა თხრობის ლოგიკა, ქრონოლოგია, და გმირი იკარგება საკუთარ ტექსტებში. სწორედ ამგვარ ადგილებში იკვეთება “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკა, რაც ლოგიკურადაც გამართლებულია, რადგან სულიერი დრამის პირობებში ალოგიკურად აზროვნება ბუნებრივია. ყოველივე ეს კარგად ჩანს რომან “გოდორის” ბოლო ნაწილის შინაგან მონოლოგებში სადაც “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკა განსაკუთრებით თვალშისაცემია.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მყოფი ლიზიკოს განცდების საჩვენებლად, წარმოდგენილია შინაგანი მონოლოგი, რომელშიც ჩვეულებრივი, გააზრებული მსჯელობებიც გვხვდება, მაგრამ დროდადრო ავტორს

მოქმედება პერსონაჟის ცნობიერში გადააქვს და ტექსტს აბუნდოვნებს. მაგ: „აქედან გავალ თუ არა, უნდა დაველაპარაკო, გულწრფელად... აღარაა ამის დრო. დედაზე უფრო დედაო... ვინ თქვა? ვის უთხრა? არ მახსოვს. არ ვიცი. არაფერი არ ვიცი. რაც არ ვიცი, ის ვიცი მხოლოდ. ორივემ უნდა გავხსნათ ფრჩხილები. სულ კვარცხლბეგზე დგომა უბედურებაა. ვინმე მაინც გიყურებდეს. ვის რაში სჭირდება?! ვინ რად გაგდებს? ხალხმა უკვე მოინელა. ახალ-ახალი მსხვერპლი სჭირდება ყოველდღე, ცოცხალი, სისხლით გატიკნული... მოიძრე გვირგვინი, ჩამოიბანე გრიმი და ჩაუჯექი მამამთილს კალთაში... მიყევი ცხოვრების დინებას, იბერიიდან იბერნიამდე და უკან, იბერნიიდან იბერნიამდე. ... ერთი. ორი. სამი. ოთხი. ხუთი. ექვსი. შვიდი. რვა. ცხრა. ათი. თერთმეტი. თორმეტი. ცამეტი. ...” [8, გვ. 365].

პერსონაჟს გააზრებული აქვს თავისი საქციელის სიმძიმე, მაგრამ მთელ დანაშაულს საკუთარ თავზე არ იღებს და პასუხისმგებლობას საზოგადოებასაც აკისრებს, რომელმაც საშუალება მისცა რაჟდენ კაშელს რძალთან ამგვარი ურთიერთობა დაემყარებინა. ეს ფრაზები, უკიდურესი სასოწარკვეთის ჟამს, ლიზიკოს სულიერი მდგომარეობის გამოძახილია, ამიტომ გაუფორმებელი ფიქრების წარმოდგენა ავტორის მიერ, საუკეთესო გამოსავალიცაა. თანაც ეს მდგომარეობა ერთადერთია, რაც ლიზიკოს გაამართლებს და მკითხველის თვალში თანაგრძნობას გამოიწვევს.

“ცნობიერების ნაკადისთვის” მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი მოვლენაა ასოციაციური აზროვნება. მისი ამოცანაა ცნობიერების მუშაობის ფიქსაცია, რომელიც უამრავ შთაბეჭდილებას ღებულობს, მათგან არჩევს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან შთაბეჭდილებებს და მათ შორის ასოციაციურ კავშირს ამყარებს. [10, გვ. 369]. ასოციაციური აზროვნება ორგვარი ბუნებისაა: ერთ შემთხვევაში ასოციაცია ეყრდნობა გმირის ან მთხრობელის გონებაში არსებულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ მოვლენებს. აქ ნიშანსვეტები ერთმანეთს მიემართებიან და შემდგომ კიდევ ახალ ასოციაციებს წარმოქმნიან. მეორენაირი ასოციაცია კი უკვე ავტორის მიერაა გააზრებული და ერთგვარად მისი კონცეფციის ნაწილია. ეს მწერლის კომენტარებია, რომელსაც იგი ურთავს გმირის ნაფიქრში, რათა თავად გმირის გაფანტული ასოციაციები

ნაწარმოების მთავარ სათქმელს დაუკავშიროს. ამის მაგალითია ჯოისის “ულისეში” სტივენ დედალოსის მიერ ვიკოს ქუჩის ხსენება. სტივენ დედალოსისთვის ვიკო არანაირ ასოციაციურ ნიშანსვეტს არ წარმოადგენს, მაგრამ თავად ავტორისათვის არის მნიშვნელოვანი, რადგანაც ვიკოს კულტუროფილოსოფია მკითხველს რომანის მთავარ სათქმელზე მიანიშნებს – თუ როგორ კრიზისულ მდგომარეობაშია მეოცე საუკუნის ეჭვებით ატანილი ადამიანი. ხშირად ავტორისა და გმირის ასოციაციები ერთმანეთს გადაკვეთს, ეს ადგილები რომანის მთავარი კვანძებია [2, გვ. 21-22; 11, გვ. 18-22].

მაგალითისთვის ისევ ლიზიკოს შინაგან მონოლოგს მივუბრუნდეთ. არაცნობიერ მეტყველებაში ლიზიკო დედინაცვალზე - ელისოზე ფიქრობს, შემდეგ ახსენდება ფრაზა “დედაზე უფრო დედაო” – ეს ნიშნავს, რომ მისი ასოციაცია გადასწვდა სიტყვის არსს – დედა და ელისო მოიაზრა, როგორც დედა. დედა, ალბათ, ერთადერთი არსებაა, ვინც შეიძლება, ასეთ დროს მხარში დაუდგეს პერსონაჟს. ეს პერსონაჟის უმწეობაზე მიანიშნებს.

შემდეგ ლიზიკო იწყებს თვლას, ჩნდება ახალ-ახალი ასოციაციები: დეიდა ლენა – კაჭკაჭი – პეპლები – მე-პეპელა – მომაკვდავ პეპელასთან ჩაცმული ბავშვები (ეს, თითქოს კრავს წინა ასოციაციებს) – დაუნდობელი ბავშვები, რომლებიც მწერებს ხოცავენ – მათი გამოცდილება – ეს გამოცდილება ვერ გამოიყენა ანტონმა – შემოდის რაჟდენის “პირობითი” მკვლელობის სცენა (ისევ შეიკრა ასოციაციები, გამოიკვეთა ახალი თემა) – აქცენტი დედამთილის, ფეფეს დანიშნულებაზე და ასე შემდეგ.

მაგრამ ამავდროულად ლიზიკოს მონოლოგში ჩართულია ისეთი ასოციაციებიც, რომლებიც მხოლოდ პერსონაჟის საკუთრებას არ წარმოადგენს, იგი ავტორსაც ეკუთვნის, ან მხოლოდ ავტორს და, როგორც ზემოთ ვთქვით, მწერალს ეს მთავარ სათქმელთან კავშირის დასამყარებლად სჭირდება. მაგალითად: “ვის რაში სჭირდება? ვინ რად გაგდება? ხალხმა უკვე მოინელა. ახალ-ახალი გმირი და მსხვერპლი სჭირდება ყოველდღე..” [8, გვ. 366]. ეს ფრაზა საერთოა ავტორისა და პერსონაჟისთვის, რადგან ლიზიკო საკუთარ უბედურებას გულისხმობს, ავტორი კი საზოგადოების გულგრილობასა და უსამართლობაზე აკეთებს აქცენტს, რაც

ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მწერლისთვის არა მხოლოდ “გოდორში”, არამედ თითქმის ყველა რომანში.

ამავე მონაკვეთში ლიზიკო ფიქრობს: “მიყვი ცხოვრების დინებას იბერიიდან იბერნიამდე და იბერნიიდან იბერნიამდე” (8, გვ. 366). ეს კი უკვე მწერლის კუთვნილი ასოციაციაა – იბერიის ხსენება. საქართველოს, იბერიის, სამშობლოს თემა, ერთ-ერთი წამყვანია ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში. ამიტომ იბერიის ხსენებას გავეყვართ ნაწარმოების მთავარ ხაზზე – სამშობლო გასაჭირშია და ერთ დროს იბერია, ახლა გადაუჭრელი პოლიტიკური და ზნეობრივი პრობლემების წინაშე დამდგარა. სხვა შემთხვევაში ლიზიკოს მდგომარეობაში საქართველოზე ფიქრი ნამდვილად გასაკვირია. მას, თითქოს, შემთხვევით აგონდება ეს სიტყვა, სინამდვილეში კი “იბერია” რომანის პირველ გვერდზე გვაბრუნებს, სადაც საქართველო “რანდული კეთილშობილებითა და მეომრული შემართებით სახელგანთქმული ქვეყანაა” [8, გვ. 10].

გავიხსნოთ ასევე ომში მყოფი ანტონის ფიქრები: “მე ყველაზე ჭორფლიანი გოგო ვარ მთელს სანაპიროზე... ეტყობა, სიმდაბლის მწვერვალს უნდა მიაღწიო, რათა ხელახლა აღსდგე. ხსნა ნამდვილად არსებობს, სადღაც აქვე, ახლომახლო...” [8, გვ. 327]. საუბარი დაცემასა და აღდგომაზე, რაც, ცხადია, არ შეიძლება მხოლოდ მისი ასოციაცია იყოს, რადგან ეს ოთარ ჭილაძის შემოქმედების – გმირების ძერწვის – ერთ-ერთი პრინციპია. მასთან მხოლოდ უკიდურეს ზღვრამდე მისული, დამდაბლებული, განადგურებული ადამიანები ახერხებენ გარდაქმნას.

ასევე ელიზბარის შინაგან მონოლოგში ერთმანეთს ებმის და განაპირობებს სხვადასხვა ასოციაცია: ქვიშხეთი – მწერები – ელიზბარი ჭიანჭველაა, რომელსაც არასდროს სძინავს – ხეებზე ციყვია – ციყვი არ ენდობა ადამიანს – ადამიანს მკვლელის ბუნება აქვს (ეს შეიძლება ავტორისა და გმირის საერთო ასოციაციად ჩაითვალოს) შემდეგი ფიქრი კი, რომელიც იარაღის ხმის ფონზე ჩნდება, უკვე ავტორის კონცეფციის მატარებელია: “თუ იწვის, კარგი რაღაც იწვის. დრანგ. სამშობლო. დრანგ. ყველაფერს დათმობს კაცი ამ სურნელისთვის” [8, გვ. 333]. აქ ავტორის მიერ აქცენტირდება საქართველოს რთული პოლიტიკური მდგომარეობა (სამშობლო იწვის) და ელიზბარის

მისდამი დამოკიდებულება (ყველაფერს დათმობ, მაგრამ ვერ გაყიდი).

“ცნობიერების ნაკადის” ტექნიკამ, რომელიც, როგორც გამოხატვის ფორმა და მხატვრული ხერხი, მეთოდისგან დამოუკიდებლადაც არსებობს, რომანში “გოდორი” ყველაზე ცხადად იჩინა თავი. “გოდორი” მთლიანად შინაგან მონოლოგებზე აგებულია, რომელთაგან ზოგი რეალისტური ნაწარმოებების შინაგან მონოლოგს მოგვაგონებს, მაგრამ მაშინ, როდესაც სიუჟეტი მძაფრდება და გმირების დამაბულობა კულმინაციას აღწევს, შინაგან მონოლოგებში შემოდის “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკა – ასოციაციური აზროვნება, მარტივი წინადადებები, გამეორებები, სინტაქსური ტავტოლოგია, აღრეული ქრონოლოგია, წინ წამოიწევს პერსონაჟის სუბიექტური სამყარო. თუმცა აქ არ იგულისხმება ამ ცნების ჯოისისეული კლასიკური გაგება, სადაც “ცნობიერების ნაკადის” მიზანი ზოგადადამიანური, კერძოდ კი, მე-20 საუკუნის კრიზისში მყოფი ადამიანის ფსიქიკის გაშიშვლებაა, არამედ ამ მეთოდის მხოლოდ გარეგნული, ტექნიკური მხარე, რაც მიზანმიმართულად გამოიყენა უილიამ ფოლკნერმა თავის რომანებში. ამ შემთხვევაში ჭილაძის, ისევე, როგორც ფოლკნერის მიზანი, გმირის ტრაგიკული განცდების წარმოჩენა და მისი ხასითის უკეთ წვდომაა.

რომანში “გოდორი” “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკამ ხელი შეუწყო პერსონაჟების ხასიათებისა და ნაწარმოების პრობლემატიკის წარმოჩენას. ნაწარმოებში: 1. ტრადიციულ შინაგან მონოლოგებში პერიოდულად ერთვება “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკა. 2. ამ ტექნიკას მწერალი იყენებს მხატვრული ეფექტისთვის, როცა მისი გმირები კრიზისში არიან და მათი განწყობის გამოსახატავად ასოციაციური აზროვნება საუკეთესო საშუალებაა. 3. ავტორი შინაგან მონოლოგებს არ ტვირთავს სიუჟეტით, ამიტომ შიგადაშიგ ახერხებს არაცნობიერის წვდომას და შედეგად ჯოისისეულ კონცეფციასაც უახლოვდება.

აღსანიშნავია ასევე, რომ რომანში “გოდორი” ჭილაძემ ამგვარ ტექნიკას მაშინ მიმართა, როდესაც გმირების სულიერმა მდგომარეობამ უკიდურეს მდგომარეობას მიაღწია, “მარტის მამალში” კი საქმე ცოტა სხვაგვარადაა – ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი გამუდმებით ემოციებშია, დამაბულობა და სწორედ ამიტომ სწორხაზოვანია. ნაწარმოების რეალური პლანისა და

მისი მოგონებების ფონზე არ მწვავდება მისი სულიერი დრამა, დინამიკაში არ ვითარდება და ერთ მომენტზეა დაფიქსირებული – ეს არის პერსონაჟის რთული, ემოციური, და ნაწილობრივ გააზრებული ძიება საკუთარი თავისა. ამიტომ, ვფიქრობ, ამ ნაწარმოებში ავტორმა მხოლოდ იმ დოზით მიმართა “ცნობიერების ნაკადის” გამომსახველობით ფორმას თუ აქცენტი გააკეთა მის შინაარსობრივ მხარეზე, რამდენიც თხრობის ლოგიკამ და პერსონაჟის ხასიათმა მოითხოვა. “ცნობიერების ნაკადის” მეთოდი ამგვარი ლავირების საშუალებას ნამდვილად იძლევა.

როგორც ვხედავთ, “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკას ოთარ ჭილაძის პროზაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ის ავტორს რომანებში სტილის გამრავალფეროვნებასა და პერსონაჟების ხასიათების უკეთ წარმოჩენაში ეხმარება. მწერლის თავდაპირველ რომანებში “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკას ნაკლებად ვხვდებით, მაგრამ დროთა განმავლობაში ჭილაძე გამომსახველობით ფორმათაგან უპირატესობას ანიჭებს შინაგან მონოლოგს და შემდგომ ეს მისი პროზის მხატვრული თავისებურება ხდება. ოთარ ჭილაძე ახერხებს ტრადიციული და “ცნობიერების ნაკადისეული” შინაგანი მონოლოგების შერწყმას. შედეგად ვლტებულობთ ავტორის თავისებურ ინტერპრეტაციას – ტრადიციულ შინაგან მონოლოგებში ჩართულ “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკას, რომელიც, თავის მხრივ, ასოციაციურად დაკავშირებულ ფიქრებსა და მოგონებებს ეყრდნობა, რაც ცალკეული პერსონაჟების შინაგანი სამყაროსა და სიღრმისეული პრობლემების წარმოჩენას უწყობს ხელს.

ლიტერატურა:

1. ასათიანი გ., “მწერლის ახალი რომანი“, *კრიტიკა* #2, თბილისი, 1977.
2. ბერგსონი ა., *ცნობიერების უშუალო მონაცემები*, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1993
3. თოფურიძე ე., *უილიამ ფოლკნერის რომანის პოეტიკა*, თბილისი, 1984.
4. კიკვიძე ზ., “ცნობიერების ნაკადის ტექნიკა ო. ჭილაძის რომანში “გოდორი“, *ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები*, ტომი VII (II), ქუთაისი, 2005

5. საყვარელიძე ნ., “შინაგანი მეტყველების პირობითი ტრანსფორმაცია მხატვრულ ლიტერატურაში”, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, #4, 1974.
6. ყიასაშვილი ნ., „ჯეიმს ჯოსის “*ულისეს*” წინასიტყვაობა“, *ულისე*, თბილისი, 1983.
7. მიგუა მ., “ცნობიერების ნაკადი ჯოლა ლომთათიძის შემოქმედებაში”, *ლიტერატურული წერილები*, თბილისი, 2005
8. ჭილაძე ო., *გოდორი*, არეტე, 2006.
9. Джеймс У., «поток сознания», *Психология*. М., Педагогика, 1991.
10. *Современный словарь-справчник по литературе*, 1999.
11. Humphrey R. *Stream of consciousness in modern novel*, University of California Press, 1968.
12. Parsons D., *Theorists of the Modernist Novel: James Joyce, Dorothy Richardson and Virginia Woolf*, Routledge, 2007.

"Stream of Consciousness" and Otar Chiladze's Novels

Tamar Gegeshidze

Doctor of Philology, author of children's books

Abstract: In order to demonstrate better the problems of his novels and to diversify the style the 20th century prose writer Otar Chiladze made use of the literary technique of the "stream of consciousness". However, he resorted to this technique only in several novels, of which notable is the writer's last novel "The Basket". He presented the inner world of the characters and their in-depth problems through inner and association thinking.

Key words: *unconscious, inner monologue, association thinking, spiritual world, technique of writing.*

Otar Chiladze is one of the Georgian writers who developed Georgian prose on the basis of numerous theories and doctrines to better present reality, characters of heroes, and their own worldviews in literary works produced in the interdisciplinary environment of the 20th century. Correspondingly, almost all main trends characteristic of the 20th-century literature can be seen in Chiladze's novels. These include clear-cut Mythologism or Remythologisation, elements of "Magic Realism" characteristic of the Latin American prose, deep psychologism - an attempt to understand the spiritual world of humans, which the author managed to show, taking into account the theories of depth psychology by Sigmund Freud and Carl Gustav Jung. His works in the genre of new historic prose are also noteworthy. The characteristic manner of writing should also be mentioned. Narration proceeds from the subjective perspective and attempts are periodically made to go deep into not only the conscious, but also the unconscious of heroes by means of the method of the "stream of consciousness".

The expressive forms of the literary method of the "stream of consciousness" helped Otar Chiladze to set problems for his prose and make his style more diverse. The method becomes visible in several novels by the author. Initially, it occupied an almost

insignificant place in the work entitled *The Iron Theatre* (1981), became stronger in *A Rooster of March* (1987), and reached its peak in the last novel by the author entitled *Godori* (2002).

The term "stream of consciousness" that was first used by the American psychologist William James in his *Principles of Psychology* published in 1890 was not linked to literature, but it was in that work that the problem of the uninterrupted flow of the human unconscious was raised. It should be noted that the term is tentative, because this type of literature is interested in the human unconscious rather than the conscious [6, p. 56-80].

Elements of the method of the "stream of consciousness" emerged back in the prose of the 18th century. However, Edouard Dujardin was the first to use it as a method (1887) [10, p. 5-17]. It took the shape of a method in the 20th century, being promoted by Henri Bergson's intuitive philosophy and the Freud-Jung school of psychology. Bergson regarded consciousness as a leading force in life. He introduced such important terms linked to consciousness as "duration" and "continuum" that express uninterruptedness and fluidity. In one of his works, he formulated a teaching on spiritual memory as the contemplation of the past. It can be said that Freud "rediscovered" the human unconscious and concluded that it plays a decisive role in human life. The literary method of the "stream of consciousness" set the goal of expressing precisely the uninterrupted and constant unconsciousness. Like the classical method of psychoanalysis, it was to find human problems and ways of resolving them [2, p. 24; 5, p. 18-22].

It is important for the "stream of consciousness" to show how a thought emerges and the processes underway in the unconscious before a concrete thought emerged. Accordingly, its function is to go deep into the unconscious. It is impossible to express the unconscious, because it is not based on speech and there are no forms that could communicate it in written form. Therefore, what an author offers us is just an approximation of a psychological phenomenon [7, p. 5].

The artistic method that helps to achieve the effect of the "stream of consciousness" is an internal monologue, which is the main compositional element of artistic texts in the literature of the 20th century. For its part, internal monologue is a literary analogue of

a complicated psychological phenomenon - internal speech, which has no recipient and listener, so it is not meant for someone else's perception. Therefore, in realistic novels, internal monologue aims at shaping psychological realism and in the literature of the "stream of consciousness" it tends to be closer to psychological naturalism [11, p. 163-169]. For their part, internal dialogues are based on associative thinking, which implies thoughts and memories illogically linked to each other only associatively. These thoughts are kept in the unconscious and certain emotions of characters serve to revive them. This is true of James Joyce's novel *Ulysses*, where the author, conditionally speaking, elaborated the concept of the "stream of consciousness" (a method not supported theoretically).

Later, William Faulkner renounced the content of the "stream of consciousness" and used it only to attain an artistic effect, which deprived the method of its function of looking into the unconscious, leaving its form alone [12, p. 35-45]. Since then, this method has actively been used in works of various periods and genres, continuing to function in a newly-interpreted shape (*Gravity's Rainbow* by Thomas Pynchon - 1973, and *By Night in Chile* by Roberto Bolano - 2000).

There are effectively no works in Georgian literature written using the method of the "stream of consciousness" (in its classical sense). However, elements of the "stream of consciousness" can be seen in stories written by the Georgian writer Chola Lomtadze in 1907-1914 (*Facing the Gibbet, In Prison, The First of May, My Diary, The White Night*). The movements of the consciousness of characters are in the foreground in these works and the stories are based on internal monologues, which, for their part, are based on "free associations". In addition, the timeframes are blurred and the plot is passive [4, p. 80-88].

Opinions on the relation of Otar Chiladze's prose to the method (or rather technique) of the "stream of consciousness" have been expressed on a number of occasions, but the problem remains unexplored. After his novel *Everyone That Findeth Me* came out, one critical essay said that discussing a novel by Virginia Woolf in his book *Mimesis*, Erich Auerbach differentiated between "individualistic subjectivism" and "multilayered consciousness". In the critic's opinion, "multilayered consciousness" is precisely what

we can see in William Faulkner's *The Noise and the Rage*, Virginia Woolf's *To the Lighthouse*, and the aforementioned work by Otar Chiladze, because reality is seen in these novels with the eyes of several characters [1, p. 21-22]. Due to this, reality is presented from various angles and sometimes, the same event is presented from various viewpoints. It is obvious that it is the question of the technique of the "stream of consciousness" and the novel by Otar Chiladze is compared with the works of the authors who used the method of the "stream of consciousness". In addition, such "modern technique" is regarded as one of the leading factors of the author's style.

The problem of the "stream of consciousness" technique used in the novel *Godori* is also raised and it is noted that this technique, as a unity of methods and a means of expression, is well adjusted to Otar Chiladze's style. Free associations in the conscious of the characters alternate with reality. Characters recall the past and invent a possible future or a past that has never existed, but could have existed [8, p. 27].

Otar Chiladze is not an author, who uses the method of the "stream of consciousness", and this is natural, because there are many years between him and the method. The author uses only the technique of the "stream of consciousness" in several novels in cases when he tries, like James Joyce and Virginia Woolf, to go deep into the most secret ideas of his characters - their unconscious. Only the external side of the literary method of the "stream of consciousness" is emphasised in Chiladze's prose. Like William Faulkner, the author uses only the technique as an efficient artistic device in order to better depict the spiritual state of his heroes. I will consider two novels by the author - *A Rooster of March* and *Godori* - from this angle.

In his novel *A Rooster of March*, which was first published in 1987, we can speak only about the influence of the method or technique of the "stream of consciousness", because the technique is not so functional here and the emphasis is more or less laid on the content of the method of the "stream of consciousness". The spiritual world of characters and their conscious or unconscious desires are shown by means of internal monologues, the chronology of facts is mixed up and the plot is reduced to the minimum. The novel is one

long internal monologue of the main character and reality in the background only serves to confirm the physical existence of the hero and the people surrounding him. The empiric reality of the work is passive and what happens or, more precisely, what has happened, can be seen only in the thoughts of the character - Niko. It can be said that the past determines the plot and the action at "present" depicted in the novel.

Because of war and father's illness, mother sends 15-year-old Niko from Batumi to his grandparents in Sighnaghi, where he happens to see a murder. This had such a deep impact on the teenager that he felt sick for a month, lying on his bed without moving and going deep into his own thoughts. The internal world of the character is as difficult as simple is the plot. It is from his memories, imaginations and dreams that we learn about various details and events of his life and his attitude towards other characters. The work is so subjective that the thoughts of other characters are also depicted as experienced by Niko. The latter imagines himself as his grandfather, who deserts war and attends Ilia Chavchavadze's death. Niko suffers instead of both the victim and the murderer. Like his young aunt, he is hopelessly in love with a young man, who went missing in war. In addition to being himself, Niko is all the characters we encounter in the work.

In his internal monologue, Niko is constantly on the verge of associative thinking, because he recalls specific stories in an associative, not direct manner. Depending on the author's involvement in the text, the character's internal monologue often resembles a monologue in a traditional realistic work. However, Niko's monologues do not aim at developing one specific issue straightforwardly together with the author (like in a realistic work). Their aim is, like in internal monologues of the "stream of consciousness", to go deep into his spiritual world and his unconscious, which is supposed to help him in resolving problems. The cause of Niko's illness and the main associative issue raised in the work is Niko's relations with his parents. The fact that mother sent him to Sighnaghi because of his father's illness, makes Niko unwillingly and unconsciously opposed to his father. He "forgives" his father only through the anonymous man, who has become a brigand in the forest and who reminds him of his father. Niko finally

recovers from his illness. The denouement also takes place in the subjective world - Niko's dream, in which he manages to understand his role through allusions and symbols.

There are several reasons for regarding *A Rooster of March* as a work using the method of the "stream of consciousness": 1. The novel is one large monologue, where the subjective and objective layers are intertwined, with the subjective obviously prevailing; 2. The work does not have a clear-cut plot and the realistic background is passive; 3. The novel is based on associatively connected facts and memories; 4. All this serves to unveil the internal world of the main hero and possibly to go deep into his unconscious, which was ultimately expressed in Niko's dream, which is the culmination of the work and precisely a message from the unconscious. Given all this, it can be said that the influence of the method and technique of the "stream of consciousness" is obvious in *A Rooster of March*. The novel is not a traditional realistic work, but it is not fully subordinated to the concept of the "stream of consciousness" either. Correspondingly, it is the author's interpretation of the merger of the traditional method and the method of the "stream of consciousness". Since Faulkner, numerous authors have done so.

Otar Chiladze's *Godori* is the author's last novel and can be regarded as a kind of summary of his creation. Like in other novels, the author considers the problem of the crisis in his homeland, post-Soviet Georgia. The tense plot is about relations within a family in order to unveil the spiritual world of his "fallen" and "de-glorified" characters of his era. As regards the technique of writing, in this novel, Chiladze significantly deviates from the traditional manner of narration (that is more or less characteristic of his previous novels) and actively uses the technique of the "stream of consciousness".

There is no single narrator in the novel, so we become familiarised with the plot from individual characters' subjective opinions. Father-in-law Razhden Kasheli establishes sexual relationships with his daughter-in-law Liziko. This becomes known first to the mother-in-law and then Liziko's husband Anton. Embittered Anton kills his father and goes to the police to admit guilt, but it turns out that the son did not kill his father and it was probably the wife, Anton's mother, who killed him. It is also probable that no one has killed him. After all this happens, Liziko

slashes her wrists and finds herself in a hospital for the insane. Anton and Liziko's father become involved in the war in Abkhazia, where he is killed.

After a long introductory narration, in which the author tells the story of the Kasheli family against the background of Georgian history, characters start narrating and until the end of the novel, the author becomes involved only indirectly by using remarks and allusions. The second episode is devoted to internal monologues of Razhden Kasheli and his daughter-in-law Liziko, depicting two sides of one event. The monologues are effectively characters' thoughts loaded with the plot and logical conclusions. This part emphasises the realistic layer of the novel.

The third part is presented from the positions of Liziko's stepmother Eliso. In the empiric reality, Eliso and Liziko are talking to each other and at the same time, there are numerous thoughts and memories in Eliso's mind. The following episode is about the internal monologue of Lisiko's father and Eliso's husband Elizbar, where the realistic development of the plot is reduced to the minimum. A memory comes after a memory, but the narrator often becomes involved in the reasoning of the character, expressing his opinions. The tenser the characters' spiritual drama is, the more intensive the technique of the "stream of consciousness" becomes.

The second and third parts of the novel completely consist of the characters' internal monologues, where action mostly unfolds in the heroes' conscious. Tension culminates in the final episodes, where the critical condition of the characters is shown by means of the method of the "stream of consciousness".

The novel *Godori* consists almost entirely of internal monologues. In my opinion, these monologues can be called internal monologues proper, not internal monologues of the "stream of consciousness", but from time to time, mostly at moments of culmination, when characters find themselves in extremely critical situations, monologues switch to associative thinking that leads us to the unconscious, where the logic and chronology of narration are violated and the character becomes lost in his own texts. It is in such passages that the technique of the "stream of consciousness" becomes outlined, which is logically justified, as illogical thinking is natural in conditions of spiritual drama. Otar Chiladze uses the technique of the

"stream of consciousness" in internal dialogues only when this serves to emphasise the hero's complicated internal state.

The sentiments of Liziko, who is in a hospital for the insane, are shown by means of an internal monologue, in which we can encounter ordinary sensible reasoning too, but from time to time, the author switches action to the character's conscious, making the text misty. For example: "As soon as I leave this place, I must speak to her, sincerely... There is no more time for this, mother, who is better than mother... Who said this? Who she told this? I don't remember. I don't know. I don't know anything. I know only what I don't know. Both of us should say everything clearly. It is a misfortune to constantly stand on a pedestal. If only someone would look at you. Who needs you!? Who takes account of you? People have already digested it. They need new victims every day, alive, full of blood... Take off you crown, wash off your make-up, and sit on your father-in-law's knees... Follow the stream of life, from Iberia to Hibernia and back from Hibernia to Iberia... One. Two. Three. Four. Five. Six. Seven. Eight. Nine, Ten. Eleven. Twelve. Thirteen. ... [3, p. 365].

The hero realises how grave her behaviour is, but does not assume full responsibility, holding society also responsible, as they enabled Razhden Kasheli to establish such relations with his daughter-in-law. These phrases reflect Liziko's spiritual state in time of extreme despair. Therefore, it was the best way out for the author to present them in the shape of amorphous thoughts. In addition, such a condition is the only one that can justify Liziko's behaviour and gain the reader's sympathy for her.

Associative thinking is important and determinative for the "stream of consciousness". Such thinking is necessary to describe how consciousness works, as consciousness receives numerous impressions, selecting most important from them and establishing associative connections with them [9, p. 369]. Associative thinking is binary in nature. In some cases, associations in the mind of the narrator or a character are based on events that are not connected with each other. Landmarks become related here, giving rise to additional new associations. The other type of associations is thought out by the author and, to a certain extent, makes part of his concept. These are writer's comments added to character's thoughts in order to connect dispersed associations of a character with the main thing

the work has to say. As an example, we can refer to Stephen Dedalus mentioning the Vico road in *Ulysses* by James Joyce. Vico is not an associative landmark for Stephen Dedalus, but he is important for the author, because Vico's cultural philosophy points to the main thing the author has to say: The critical conditions, which 20th-century humans full of suspicions found themselves in. The character's and author's associations often intersect and these passages are the main plot developments in the novel [2, p. 21-22; 5, p. 18-22].

Let us revert to Liziko's internal monologue as an example. In her unconscious speech, Liziko thinks about her stepmother Eliso. Then her association reaches the essence of the word *mother* and she starts regarding Eliso as her mother, who is probably the only person who can support her daughter in such a situation. This points to the fact that the character is helpless.

However, at the same time, Liziko's monologue comprises associations that do not belong to the character alone, but also to the author or only to the author. As we said above, the author needs this to establish a connection with the main thing he has to say. For example: "Who needs you!? ...People have already digested it" [3, p. 366]. These phrases are common for the author and the character, because Liziko means her own ordeal and the author emphasises the indifference and injustice of the public, which is one of the most important problems for this author not only in *Godori*, but also in all his novels.

Liziko's mentioning Iberia in the same passage is the writer's association. The problem of his homeland Georgia - Iberia - is one of the leading issues in Otar Chiladze's works. Therefore, Iberia leads us to the main line of the work: The homeland is in trouble and the country once called Iberia is now facing unresolved political and moral problems. In case of another explanation, it would indeed be surprising for Liziko to think about Georgia in the situation she found herself. She seems to have recalled this word accidentally, but in reality, *Iberia* takes us back to the first page of the novel, where Georgia is described as "a country renowned for its chivalrous nobility and belligerent boldness [3, p. 10].

Of course, the monologue of Anton, who speaks about the fall and revival being in the war, cannot be an association of the character alone, because this is one of the principles of shaping

characters in Otar Chiladze's creation. Only the people, who have reached the extreme verge and fallen, can transform in his works. "I am the most freckled girl on the whole coast... It seems that you should reach the peak of vileness to revive again. There is indeed salvation. It is quite close, somewhere here... [3, p. 327].

Likewise, various associations are connected with and determine each other in Elizbar's internal monologue: Kvishkheti - insects - Elizbar is an ant that never sleeps - there are squirrels in the trees - squirrels do not trust humans - humans are killers by nature (this can be regarded as an association common for the author and the character). The next thought that emerges against the background of rattling weapons definitely bears signs of the author's concept: "If there is something that is burning, that something is good. Bang. Homeland. Bang. You can cede anything for this smell" [3: 333]. The author emphasises the complicated situation in Georgia (the homeland is burning) and Elizbar's attitude towards it.

The technique of the "stream of consciousness" that exists independent of the method as a form of expression and an artistic device is most evident in the novel *Godori*, which is completely built on internal monologues, some of which remind us of internal monologues in realistic works, but at the moment, where the plot becomes tense and the tension of heroes reaches a culmination, the technique of the "stream of consciousness" emerges in internal monologues expressed in associative thinking, simple sentences, repetitions, syntactic tautology, and mixed chronology, bringing the character's internal world to the fore. However, it is not the classical understanding of this notion like with Joyce, who uses the "stream of consciousness" to lay bare the mindset of humans in general and in particular, that of the crisis-stricken humans of the 20th century. Chiladze uses only the external and technical side of this method, which William Faulkner purposefully used in his novels. In such cases, both Chiladze and Faulkner aim at showing a character's tragic sentiments and going deeper into his nature.

In the novel *Godori*, the technique of the "stream of consciousness" made it easier to show the features of characters and highlight problems raised in the work. In this work: 1. The technique of the "stream of consciousness" periodically emerges in traditional internal monologues; 2. The author uses the technique to achieve

artistic effects at the moments, when heroes are in crisis and associative thinking is the best method for expressing their sentiments; 3. The author does not overload internal dialogues with the plot, which helps him to sometimes go deep into the unconscious and get closer to Joyce's conception.

It is also noteworthy that Chiladze resorted to this technique in the novel *Godori*, when the spiritual troubles of heroes reached their peak. Things are somewhat different in *A Rooster of March*. The main hero of the work is constantly obsessed by emotions and tensions. Hence, he is blunt. His spiritual drama does not become more acute against the background of the realistic layer of the work and his own memories. It does not develop dynamically, being fixed at a certain moment. The character is in a complicated, emotional, and partially sensible search for his own self. Therefore, in my opinion, the author used the "stream of consciousness" as an expressive method in this work only to the extent necessary to emphasise its content, because that was necessary for the logic of narration and the character's nature. The method of the "stream of consciousness" does provide an opportunity for such manoeuvring.

We can see that the technique of the "stream of consciousness" has a significant role in Otar Chiladze's prose, helping the author to make his style more varied and to better describe his heroes. We encountered the technique of the "stream of consciousness" quite rarely in the author's early novels. However, as time passed, Chiladze started giving preference to internal monologue among other forms of expression and such monologues later became an artistic feature of his prose. Otar Chiladze managed to merge traditional internal monologues and monologues of the "stream of consciousness". As a result, we received a kind of interpretation by the author: The technique of the "stream of consciousness" within traditional internal monologues, which, for their part, are based on associatively connected thoughts and memories that improve the description of the internal world and deep problems of individual characters.

References:

1. Asatiani G., *A New Novel by the Author*. In: *Kritika*, No 2, Tbilisi, 1977. (In Georgian)

2. Bergson H., *The Immediate Data of Consciousness*, Independent University of Tbilisi, 1993. (In Georgian)
3. Chiladze O. *Godori*, Arte, 2006. (In Georgian)
4. Dzigua M., *Stream of Consciousness in Chola Lomtadze's Works*. In: Literary Essays, Tbilisi, 2005. (In Georgian)
5. Humphrey R., *Stream of consciousness in modern novel*. University of California Press, 1968.
6. James W., *Stream of Consciousness*. In: *Psychology*, Moscow, Pedagogika, 1991. (In Russian)
7. Kiasashvili N., *Introduction to James Joyce's "Ulysses"*. In: *Ulysses*, Tbilisi, 1983. (In Georgian)
8. Kikvidze Z., *The Method of the Stream of Consciousness in O. Chiladze's Novel "Godori"*. In: Proceedings of the Humanities Department, Vol. VII (II), Kutaisi, 2005. (In Georgian)
9. *Modern Reference Book of Literature*. 1999. (In Russian)
10. Parsons D., *Theorists of the Modernist Novel: James Joyce, Dorothy Richardson and Virginia Woolf*. Routledge, 2007.
11. Sakvarelidze N., Conditional Transformation of Internal Speech in Fiction, *Matsne: Language and Literature*; No 4, 1974. (In Georgian)
12. Topuridze E., *The Poetics of William Faulkner's Novels*. Tbilisi, 1984. (In Georgian)

**ანდრია კრიტელის დიდი კანონის ქართული თარგმანები
და კანონის, როგორც ჟანრის ჩამოყალიბების
რამდენიმე ასპექტი**

ლაურა გრიგოლაშვილი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი*

რეზიუმე: ხელნაწერთსაცავებში შემონახულია წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ სამი ქართული თარგმანი: ექვთიმე მთაწმიდელის (955-1028), გიორგი მთაწმიდელისა (1009-1065) და არსენ იყალთოელის (მე-11-12 ს.). ექვთიმე მთაწმიდელი ტექსტის მიმართ თავისუფალ დამოკიდებულებას ავლენს, ესწრაფვის არა მაქსიმალურ ადეკვატურობას, არა კალკირებას, არამედ ტექსტის საღვთისმეტყველო და პოეტური შინაარსის წვდომას, საგალობლის სემანტიკური ველიდან გაუსვლელად ვარიაციების შექმნას. მისი მთარგმნელობითი მეთოდი დინამიკური ეკვივალენტის ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ. გიორგი მთაწმიდელი ანგარიშს უწევს ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანს, მაგრამ მაინც ცდილობს ტექსტის ბერძნულ დედანთან დაახლოებას. არსენ იყალთოელი კი ფორმალური, ეკვივალენტური ტიპის მთარგმნელია და გვთავაზობს „დიდი კანონის“ იდენტურ, ორიგინალის ლამის ზუსტ ორეულს.

„დიდი კანონის“ ქართულ თარგმანთა შემცველი ბევრი ხელნაწერია ჩვენამდე მოღწეული. ამჯერად ვსარგებლობ ამ ძეგლის სამივე ქართული თარგმანის შემცველი უნიკალური კრებულით - Par. georg. 5-ით, რომლის პირველი ნაწილი თარიღდება მე-12 ს.-ის 60-იანი წლებით და შეიცავს „დიდი კანონის“ ექვთიმესა და გიორგის თარგმანებს, ხოლო კრებულის მეორე ნაწილში (შედგენილია მე-12ს.-ის 80-იანი წლებში) შესულია ძეგლის არსენ იყალთოელისეული თარგმანი. კრებულის პირველი ნაწილი თუმცა გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფი არ უნდა იყოს (ამ მოსაზრებას ამყარებს ერთი მინაწერის გამოვლენა გეორგ.5-ში), მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც ძალზე დიდია, რადგან იგი ნამდვილად გიორგი მთაწმიდელის მიერაა რედაქტირებული.

უძველეს ქართულ ხელნაწერებში შემონახული არქაული სახე „დიდი კანონისა“ საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრებები კანონის, როგორც ჟანრის ჩამოყალიბების რამდენიმე ასპექტზე. კერძოდ, რით აიხსნება „დიდი კანონის“ გალობათა უჩვეულო სიდიდე, გალობათა ერთმანეთისაგან განსხვავებული მოცულობა, ორ-ორი ძლისპირი და სხვ.

ანდრია კრიტელის “დიდი კანონი” სულიერი კულტურის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ინტერესს ამ საგალობლისადმი რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. ამ კანონითაა შთაგონებული დიდი ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის “გალობანი სინანულისანი”, მასთანაა დაკავშირებული ჩვენი მწერლობის სამი უდიდესი წარმომადგენელი: ექვთიმე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი და არსენ იყალთოელი, რომელთაც ერთმანეთის მიყოლებით თარგმნეს და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრეს იგი. და, რაც მთავარია, დღეს ხდება ერთგვარი გადაფასება რელიგიურ-მისტიკური გამოცდილებისა, თვით ასკეტიზმისა, როგორც განსაკუთრებული ფენომენისა. პოსტმოდერნიზმისა და პოსტსრუქტურალიზმის წარმომადგენლებიც კი ინტერესდებიან ასკეზის რაობით და აღიარებენ მას, როგორც პოზიტიურ მოვლენას. მეტიც: ასკეტიზმს მიიჩნევენ კულტურის, როგორც ასეთის, უნივერსალურ წინაპირობად, საფუძვლად, რომელიც განსაზღვრავს კულტურათა ნათესაობას და ქმნის შესაძლებლობას ამ კულტურათა შორის კომუნიკაციის დამყარებისა. აღიარებენ, რომ უნივერსალური ეთიკის საფუძვლები სწორედ ასკეტურ ლიტერატურაშია გამოკვეთილი და ამ პრინციპებს დღეს ინტელექტუალური ელიტა ახალს ვერაფერს ჰმატებს. ზოგი მეცნიერი იმასაც კი ფიქრობს, რომ ასკეზის ერთ-ერთ წამყვან, ძირითად მოტივთან სინანულთან დაკავშირებულ მძაფრ, რთულ, დრამატულ განცდათა მონაცვლეობას ტრაქტატებზე უკეთესად ლიტურგიული პოეზია გამოხატავს და დაბეჭდვით გვირჩევს, ჩავუღრმავდეთ ანდრია კრიტელის სინანულის საგალობელს, განთქმულ “დიდ კანონს” [16, გვ. 65].

ანდრია კრიტელის “დიდი კანონი” ქართულ ლიტურგიულ პრაქტიკაში XI საუკუნის I ნახევრიდან, კონსტანტინეპოლური ტიპიკონის შემოსვლასთან ერთად იწყებს დამკვიდრებას. ამდენად, ძველ ხელნაწერებში დაცული “დიდი კანონის” ქართულ თარგმანებში შემონახულია მისი

არქაული სახე; ბერძნული მარხვანები კი ამ საგალობლის შემცველ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შედარებით გვიანდელ ტრადიციას ემყარება. ესეც ზრდის “დიდი კანონის” ქართული თარგმანების მნიშვნელობას მედიევისტიკისთვის.

პირველი ცდა “დიდი კანონის” ქართულ ენაზე გადმოღებისა ექვთიმე მთაწმიდელის სახელთანაა დაკავშირებული. მისი მთარგმნელობითი პრინციპების შესახებ ქართულ მეცნიერებაში ბევრი თქმულა და დაწერილა. განსაზღვრულია ანდრია კრიტელის “დიდი კანონის” ექვთიმესეული თარგმანის რაობაც. მნიშვნელოვანია, რომ ექვთიმეს თარგმანის შესახებ გვაქვს “დიდი კანონის” მთარგმნელთა (გიორგი მთაწმიდელი, არსენ იყალთოელი) დეფინიციები, რომლებიც უმაღლესი კომპეტენციის გამოხატულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამასთან, გიორგი მთაწმიდელისა და არსენ იყალთოელის შეფასებები ურთიერთთანხვედრია. რას გვაუწყებენ ისინი? ექვთიმე მთაწმიდელმა გამოტოვა “დიდი კანონის” ბიბლიური სახე-სიმბოლოები, ვითარცა გონებისა შემაქვეველნი და ძნელად გასაგები (გეორგ. 5, 154v). მათ სანაცვლოდ სულის მასაზრდოებელი სინანულის დასდებლები შეჰმატა, რადგან ტექსტის შინაარსის სიზუსტის დაცვაზე მეტად ამას ესწრაფვოდა (გეორგ. 5, 159r). მას შეუცვლია ხმაც და ძლისპირებიც (იქვე).

ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი “დიდი კანონისა” მოცულობით თითქმის იდენტურია ანდრია კრიტელის ტექსტისა და თუ მაინც რჩება უკმარისობის განცდა მისი თარგმანის გამო, ეს გამოწვეულია მთარგმნელის დამოკიდებულებით ბიბლიური პარადიგმული სახეების მიმართ. აგრეთვე, “დიდი კანონის” ხმისა თუ ძლისპირებთან მიმართებაში გამოჩენილი თავისუფლებით. მაგრამ კვლავ გავიხსენოთ, როგორ განსაზღვრავს გიორგი მთაწმიდელი ექვთიმე მთაწმიდელის შემოქმედებით მიზანს: წმიდა მამა ექვთიმეს “დიდნი გალობანი” სავედრებელ წიგნად უთარგმნია (154v). ექვთიმეს ლოცვა-ვედრების გამოხატველი გალობები აინტერესებდა, ამიტომ მოჭარბებული სახე-სიმბოლოები და ბიბლიურ პერსონაჟთა სახელები გამოუტოვებია. ამასვე ამბობს არსენ იყალთოელიც ექვთიმეს თარგმანის შესახებ: მას გამოუტოვებია საღვთო წერილის სახეები და მათ ნაცვლად

სულის მასაზრდოებელი სინანულის საგალობლები შეუმატებია (გეორგ. 5 147v).*

ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდი დღევანდელი კვალიფიკაციით, დინამიკური ეკვივალენტის ტიპისაა და ისღა დაგვრჩენია, დავეთანხმოთ კ. კეკელიძის მოსაზრებას, რომ ექვთიმეს "საჭიროდ არ მიაჩნდა ბერძნული ტექსტის მონობაში ყოფილიყო, ის თავს უფლებამოსილად თვლიდა თავისებურად გაეაზრებინა ეს ტექსტები" [4, გვ.18].

"დიდი კანონის" გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანის რაობაზე, მთარგმნელის მიზნებსა და ამოცანებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მისი ანდერძი, დართული მისსავე თარგმანზე "დიდი კანონისა".

გიორგი მთაწმიდელი მიზნად ისახავდა შეედგინა სრული კრებული მარხვანისა და ზატიკისა, რომელიც ყოველგვარი ნაკლისგან უნდა გასწორებულიყო, რათა კათოლიკე ეკლესიის დამამშვენებლად წარმოდგარიყო. სწორედ ამიტომ გადაუწყვეტია გიორგის "დიდი კანონის" მეორედ თარგმნა, რათა ექვთიმესგან განსხვავებით სრულად გადმოედო საგალობლის სახე-სიმბოლოები და ძველი და ახალი აღთქმის სახე-სახელები. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ გიორგის მეთოდი ძირითადად დედანთან სიახლოვეს გულისხმობდა [17, გვ. 27].

გიორგი მთაწმიდელს კიდევ ერთი საზრუნავი ჰქონდა: ექვთიმესადმი განსაკუთრებული კრძალვისა და პატივისცემის გამო აუცილებლად მიაჩნდა ექვთიმეს მიერ ჩამატებული სინანულის დასდებლების გადმოტანაც, რის გამო გიორგის თარგმანში უამრავი სახე და დასდებელი შემოსულა. გიორგი ათონელი იმედს გამოთქვამს, რომ "თუმცა დასდებლები მომრავლებულა, მაგრამ მოსაწყენი არ არის, პირიქით,

* აქვე შეიძლება მოვიხმოთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ჩვენი კონტექსტისათვის რამდენადმე საინტერესო მოსაზრება: "დიდი კანონში" დაუსრულებლად მონაცვლეობენ ძველი და ახალი აღთქმის სახეები, რედუცირებული უმარტივესი აზრობრივი სქემებით... მთელი "დიდი კანონი" თითქოს "მორალთა" კრებულია, მიმართული ათობით არარსებული იგავისადმი" [1, გვ. 254-255].

მშვენიერი და მეტად სასურველი არიან” (გეორგ.5, 154v). გიორგი ათონელის თარგმანი სინანულის კანონისა მოცულობით მართლაც აღემატება როგორც ექვთიმესეულს, ისე არსენისეულს.

არსენ იყალთოელი კიდევ უფრო რთული ამოცანის წინაშე დგას. იგი წინამორბედ მთარგმნელებს – ექვთიმე და გიორგი ათონელებს, უდიდეს ავტორიტეტებად მიიჩნევს. თუმცა ისიც იცის, რომ მათი თარგმანები დაცილებულია ანდრია კრიტელის ტექსტს, რის გამოც ორივე თარგმანი მძიმე ტვირთად შეჰქმნია სრულიად საქართველოს ეკლესიას. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ არსენ ბერი ერთ-ერთი ინიციატორია ქართულ ეკლესიაში მიმდინარე ტიპიკონური ცვლილებებისა. სწორედ მისი თაოსნობით შემოდის ახალი რედაქცია ტიპიკონისა [6, გვ. 576]. ამ პროცესში ჩართულია მეფეთ მეფე დავით აღმაშენებელიც. სწორედ მას უბრძანებია მისთვის ”დიდი კანონის” ხელახლა თარგმნა, ხოლო იოვანე ქართლის კათალიკოზისთვის ტექსტისთვის ხმის შეწყობა, რათა განახლებულ ეკლესიას ”უნაკლო და წმინდა ჭემმარიტება მიართვას ყოველ მოტრფიალეს სიტყვისას” (გეორგ. 147.v).

არსენ იყალთოელმა ბრწყინვალედ გადაჭრა დასახული ამოცანა. მთარგმნელობით მეთოდს, რომელსაც იგი ეფუძნება, დღეს ფორმალური ეკვივალენტის ტიპს მიაკუთვნებენ, შეიძლება ითქვას, რომ არსენ იყალთოელმა შექმნა ”დიდი კანონის” ზუსტი, იდენტური თარგმანი, ერთგვარი ორეული დედნისა. მან უცვლელად გადმოიტანა ორიგინალის ხმა, ძლისპირები, ბიბლიური სახე-სიმბოლოები, ტექსტის იდეური და მხატვრული შინაარსი. გიორგი მთაწმიდელი რომ უაღრესად ერთგულად მიჰყვება ტექსტს, ამას ამოწმებს მეგლის სლავური თარგმანებიც და ამასთანავე, ძველი ბერძნულიდან ახალ ქართულ ენაზე გადმოღებული ”დიდი კანონი” ანდრია კრიტელისა [7, გვ. 22-28].*

ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ ”დიდი კანონის” სამივე ქართული თარგმანის შემცველ უნიკალურ კრებულზე, რომელიც დაცულია პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის

* ანდრია კრიტელის სამივე ქართული თარგმანის ტექსტი ვრცელი გამოკვლევითურთ მომზადებულია გამოსაცემად და ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში მიიღებს მას მკითხველი.

ხელნაწერთა ინსტიტუტში. ეს ხელნაწერია Par. georg.5. აკად. ელ. მეტრეველი და მე, როცა ერთობლივად ვმუშაობდით “დიდი კანონის” ქართულ თარგმანთა ტექსტების დადგენაზე, ვეფუძნებოდით სწორედ ამ ხელნაწერის როტოპირსა და მიკროფირს.

ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელსაც ეკუთვნის გეორგ.5-ის პირველი მეცნიერული აღწერილობა, იმთავითვე შენიშნა, რომ “ამ წიგნში სამი სხვადასხვა დროს გადაწერილი ხელნაწერია მოქცეული ერთ ყდაში” [3, გვ. 32]. შემდგომმა კვლევამ დაადასტურა ე. თაყაიშვილის დაკვირვება. ხელნაწერში მართლაც გამოიყოფა სამი ხელი. პირველი ხელით დაწერილია ხელნაწერის უმთავრესი ნაწილი – 1-216 გვერდები. ეს ნაწილი შეიცავს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თითქმის სრულ მარხვანს და მისივე რედაქციის ზატიკის დასაწყისს, რაც თავდაპირველად – გეორგ.5-ის შედგენამდე ერთ წიგნად – მარხვან-ზატიკად უნდა არსებულებოდა [11, გვ. 269]. II და III ნაწილები (გვ. 217-222 და 222-292) ერთი მთლიანობაა და მარხვანის ახალ რედაქციადაა მიიჩნეული, მის შემდგენელ-რედაქტორად კი ეფრემ მცირე სახელდება [13, გვ. 15]. ის XI ს-ის 80-იან წლებში უნდა იყოს შედგენილი [11, გვ. 19].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ გეორგ. 5 ავტოგრაფული ხელნაწერი უნდა იყოს. წამოყენებული იქნა ანგარიშგასაწევი არგუმენტები: პირველწყაროებიდანაა ცნობილი, რომ გიორგი მთაწმიდელს მართლაც სრულად უთარგმნია მარხვანი და ზატიკი; საგალობელთა ძველი თარგმანების გვერდით საკუთარი თარგმანების მოტანა დამახასიათებელი იყო გიორგი მთაწმიდელისათვის, რომ მთელი ხელნაწერის აღნაგობა თანხვედრილია გიორგის მუშაობის პრინციპებთან (სიზუსტე, საგალობლებისთვის ავტორის მითითება, კრებითი ხასიათი კრებულისა, ანდერძ-მინაწერები) და სხვ. [11, გვ. 264-287]

ჩემი მხრივ დავუმატებდი, რომ გიორგი ათონელის რედაქციის მარხვანად მიჩნეულ ხელნაწერთა (გეორგ. 5-ის I ნაწილი, ათ. 59, ათ. 38, იერ. 61, იერ. 130-ის I ნაწილი) შორის მხოლოდ გეორგ. 5-ის ხელნაწერშია დაცული გიორგი ათონელის ძალზე მნიშვნელოვანი ანდერძი, რომელშიც ექვთიმე ათონელისა და თვით გიორგი მთაწმიდელის მიერ

თარგმნილ “დიდ კანონთან” დაკავშირებული საინტერესო ვითარებაა აღწერილი.

მაგრამ აღნიშნული თვალსაზრისი არ აღმოჩნდა ყველასთვის მისაღები. გამოითქვა ეჭვი პარიზული ხელნაწერის ავტოგრაფულად მიჩნევის გამო და დაისვა კითხვები: თუ გეორგ. 5 მართლაც ავტოგრაფული ხელნაწერია, მაშინ რატომ არ არის იგი სრული, ან რით სარგებლობდა ათ. 38-ის გადამწერი, როცა მას თავის ხელნაწერში სხვადასხვა განგებები შეჰქონდა, რამდენად შესაძლებელია, რომ ავტოგრაფული ნუსხა ყოფილიყო გეორგ. 5-ისაგან განსხვავებული, შევსებული ყველა იმ მნიშვნელოვანი ნაწილებით, რომლებიც გეორგ. 5-ს არ გააჩნდა და სხვ. [15, გვ. 79-80].

დაშვებულ იქნა შესაძლებლობა, რომ გეორგ.5-ის გადამწერმა დედნად თვით ავტოგრაფული ხელნაწერი გამოიყენა [15, გვ. 81].

აღსანიშნავია, რომ გეორგ.5-ის შესწავლისას მხედველობის მიღმა დარჩა აღნიშნული საკითხისათვის მეტად საყურადღებო შენიშვნა – ერთი მინაწერი ამ კრებულისა.*

პარიზულ ტექსტს გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი “დიდი კანონისა” უძღვის ასეთი ზედწარწერა: “სახელითა ღმრთისაჲთა. ესევე დიდნი გალობანი ანდრეა კრიტელისა თქმულნი და ჩუენ, გიორგი მთაწმიდელისა მიერ, მეორის გუერდსა აღწერილნი” (მეორეჯერ თარგმნილი) (გეორგ. 5, 127r). ტექსტის დასასრულს კი მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობაა მოწოდებული: “დიდნი გალობანი” თარგმნილი მამა გიორგის მიერ მეწამული ზღვის გადალახვის საგალობლის კვალობაზე, ექვთიმეს თარგმნილზე უმჯობესად და უმშვენიერესად მივიჩნიე და ის გადმოვწერე, რადგან მათზე ბევრად საყვარელია” (გეორგ 5. 154v). შემდეგ ხელნაწერში მოთავსებულია გიორგი ათონელის ცნობილი ანდერძი.

ანალოგიური ინფორმაციის შემცველ მინაწერს მივაკვლიეთ “დიდი კანონის” გიორგისეული თარგმანის

* თავის დროზე, როცა “დიდი კანონის” შემცველ ხელნაწერებზე ვმუშაობდი, მეც გამომრჩა აღნიშნული მინაწერი. ის ელ. მეტრეველმა შენიშნა და ჩემს მიერ გადაწერილ ტექსტს დაურთო მინიშნებით: “ამას მოსდევს გადამწერის ცნობა” და მოიტანა მისი შინაარსიც.

შემცველ სხვა ხელნაწერშიც (იერ. 61 (XII-XIIIს.)*. აქაც ტექსტს უძღვის სათაური: “დიდნი გალობანი, თქმულნი ანდრია კრიტილისანი და ჩუენ მიერ მეორისა გუერდსა აღწერილნი” (მეორეჯერ თარგმნილი) (იერ. 61, 414r). “დიდი კანონის” ტექსტის დასასრულს კი გადამწერი იმეორებს ზემოთ მოხმობილ მინაწერს: “დიდნი გალობანი” თარგმნილი მამა გიორგის მიერ მეწამული ზღვის გადალახვის საგალობლის კვალობაზე, ექვთიმეს თარგმნილზე უმჯობესად და უმშვენიერესად მივიჩნიე და ის გადმოვწერე, რადგან მათზე ბევრად საყვარელია (იერ. 61, 468v).

ამ მინაწერებიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: სხვა არის “დიდი კანონის” მთარგმნელი და სხვაა გეორგ. 5-ისა თუ იერ. 61-ის გადამწერი. გიორგი ათონელი საკუთარ ნაღვაწს ამგვარ შეფასებას არ მისცემდა, თანაც ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანთან მიმართებაში.

აქ ერთ კითხვასაც უნდა გაეცეს პასუხი: რა კავშირია გეორგ. 5-სა და იერ. 61-ში მოთავსებული “დიდი კანონის” გიორგისეულ ტექსტებს შორის? უფრო სწორედ, რა დამოკიდებულებას ავლენენ გადამწერები “დიდი კანონის” ტექსტის მიმართ? ამჯერად კითხვას ვუპასუხებთ ტექსტების არა დეტალური შედარებით, არამედ ზედაპირული, მაგრამ ჩემი აზრით, სერიოზული დატვირთვის მქონე მონაცემებით.

შენიშნულია, რომ გეორგ. 5-ის ტექსტი უჩვეულოდ იწყება: “განგების ცალკე ელემენტის დაწყება სიტყვებით “სახელითა ღმრთისაჲთა” ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებში ჩვეულებრივ არ გვხვდება. ეს უფრო სათაურის ფორმაა, რომელიც განგების გარეთ ცალკე მოთავსებული საგალობლისათვის უნდა შეერჩია გიორგი მთაწმიდელს” [15, გვ. 82]. იერ.61-ის გადამწერს, ჩანს, უგრძნია ეს უხერხულობა და დასაწყისისთვის ჩამოუცილებია “სახელითა ღმრთისაჲთა”.

იერ.61-ის გადამწერი, განსხვავებით გეორგ.5-ის გადამწერისაგან, საჭიროდ მიიჩნევს გიორგისეული თარგმანის

* იერუსალიმის ხელნაწერთა არცერთ აღმწერს (ა. ცაგარელი, ნ. მარი, უ. ბლეიკი) არ აქვს მითითებული, რომ ამ კრებულში შეტანილია “დიდი კანონის” გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი. თავის დროზე ამ ლიტურგიული კრებულების დეტალური გაცნობის შედეგად მივაკვლიეთ მას.

ბოლოს კვლავ შენიშნოს: "ესე დიდნი გალობანი მეწამული ზღვის გადალახვის საგალობლის კვალობაზე თარგმნილია მამისა გიორგის მიერ" და ამას მოაყოლებს ცნობას: ექვთიმეს თარგმანს გიორგის თარგმანი ვარჩიო. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მინაწერი აქვს გეორგ. 5-ის ტექსტსაც, მაგრამ გვგონია, რომ იერ. 61-ის გადამწერის ინფორმაციას ლოგიკური საფუძველი აქვს. მის წინაშე ორი თარგმანია: ექვთიმესი და გიორგისი, მათგან შეარჩია ერთ-ერთი (გიორგისეული) და მას დაურთო კიდეც შესაბამისი ახსნა-განმარტება.

გეორგ. 5-ის გადამწერს კი ასეთი არჩევანი არ გაუკეთებია. მან ორივე თარგმანი შეიტანა კრებულში და განაცხადი – გიორგის თარგმანი მამა ექვთიმეს თარგმნილზე უმჯობესად მივიჩნიე და ის გადმოვწერეო – ზედმეტი აღმოჩნდა.

გვგონია, რომ იერ. 61-ის გადამწერმა შეგნებულად თქვა უარი გიორგი მთაწმიდელის ვრცელ და უაღრესად მნიშვნელოვან ანდერძზეც, რომელიც გეორგ. 5-ში გიორგისეულ თარგმანს ახლავს, რადგან ეს ანდერძი უმთავრესად "დიდი კანონის" ექვთიმესეულ თარგმანს მიემართება, მასთან კავშირში იხსნება მისი შინაარსი სრულად.

გეორგ.5 და იერ.61 ერთმანეთთან კიდეც ერთ მსგავსებას ავლენენ. ორივეგან "დიდი კანონის" თარგმანებას ექვთიმე მთაწმინდელის "აქებდითსა" აგვირგვინებს. გეორგ. 5-ში ის მოთავსებულია "დიდი კანონის" ექვთიმესა და გიორგის თარგმანებს შორის, იერ.61-ში კი გიორგის თარგმანის ბოლოსაა. "დიდი კანონის" შემცველ ადრინდელ თუ მოგვიანო ხანის ხელნაწერებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ყველგან შეტანილია ექვთიმეს თარგმანი აღნიშნული სტიქარონისა. იერ.56-ში კი, რომელიც შეიცავს "დიდი კანონის" არსენ იყალთოელისეულ თარგმანს და მთავრდება ექვთიმეს თარგმნილი "აქებდითსათი", გვხვდება გადამწერის შენიშვნა: "ამათ ახალთა აქებდითსა ააქუს (ასეა! – ლ. გ.), ჩუენ ეგრეცა დაუწერეთ ძუჭლთაგან" (იერ.56, 148)."აქებდითსას" ახალ თარგმანს მივაკვლიეთ A147 ხელნაწერში. ეს კრებული ახალი რედაქციის მარხვანადაა მიჩნეული. ვინ არის ამ სტიქარონის ახალი მთარგმნელი, არაა ცნობილი. შესაძლოა ის თვით არსენ იყალთოელს ეკუთვნოდეს. გიორგი მთაწმიდელს კი, ჩემი

აზრით, არ უთარგმნია “აქებდითსა”, რადგან ექვთიმეს თარგმანი ამ შემთხვევაში მის სრულ ნდობას იმსახურებდა.

გეორგ. 5-ის მნიშვნელობა, იქნება ის ავტოგრაფული ხელნაწერი თუ არა, განუზომლად დიდია. ჯერ ერთი, ის შედგენილია XII საუკუნეში. მასში, როგორც ეს გიორგი მთაწმიდელის შემოქმედებითი მეთოდისთვის იყო დამახასიათებელი, “სრულადაა წარმოდგენილი ქართული და ბერძნული ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის მონაპოვარი” (15,76). კრებული შეიცავს “დიდი კანონის” სამივე ქართულ თარგმანს. გეორგ. 5-ის I ნაწილს კი აშკარად ატყვია გიორგი მთაწმიდელის, როგორც რედაქტორის, ხელი. აი, რა გვაქვს მხედველობაში:

1. ექვთიმე ათონელის თარგმნილი “დიდი კანონის” შემცველი უძველესი ხელნაწერებია სინ.5 და სინ.75. ორივე ხელნაწერი სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება როგორც ერთ-ერთი წყარო გეორგ. 5-ში დაცული ლიტურგიული კრებულისა. სინურ ხელნაწერებში ექვთიმეს მიერ თარგმნილი “დიდი კანონის” სათაურია:

“გალობანი სინანულისანი, თქმულნი ანდრია კრიტელი მთავარეპისკოპოსისანი” სინ.5, 191v.

“გალობანი სინანულისანი, თქმულნი წმიდისა ანდრია კრიტელი მთავარეპისკოპოსანი” სინ.75,191r.

ხოლო პარიზულ ხელნაწერში მას “დიდნი გალობანი” ეწოდება:

“დიდნი გალობანი სინანულისანი, თქმულნი ანდრია კრიტელისანი, რომელ იყო იჭრუსალემით” – გეორგ.5* (127r).

2. II გალობას სინ. 5-სა და სინ. 75-ში, განსხვავებით გეორგ. 5-ისაგან, არ აქვს მეორე ძლისპირი.

3. III გალობასაც, განსხვავებით გეორგ.5-საგან, ერთი ძლისპირი აქვს.

4. VI გალობას (ღაღადყავსა) – სინ. 5-სა და სინ. 75-ში არ ახლავს კონდაკი, გეორგ. 5-ში კი VI გალობის ბოლოს ტექსტის ხელით მიწერილია კონდაკის დასაწყისი სიტყვები: მეექუსესა კონდაკი ბ გ ი, “სულო ჩემო, სულო ჩემო” და ნეშტი საკითხავისად” (გეორგ.5, 134r). ეს შენიშვნა განპირობებულია

* “დიდნი გალობანი” გიორგი ათონელის თარგმნილი ტექსტის სათაურიც.

ქართული თარგმანის ბერძნულ ტრადიციასთან დაახლოების სურვილით.

5. "დიდი კანონის" ტექსტს სამივე ქართულ თარგმანში ბიბლიურ საგალობელთა მუხლები ახლავს. ჩემი დაკვირვებით, ეს ტექსტები შეუმოკლებლად, სრული სახით მხოლოდ გეორგ.5-შია წარმოდგენილი. სხვა ხელნაწერებში, მათგან სინ.5-სა და სინ.75-ში, ამ მუხლების მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია მოტანილი სათანადო საგალობლებზე მიმანიშნებლად, გეორგ.5-ში კი, როგორც აღვნიშნეთ, ექვთიმეს თარგმანსაც კი სრული ტექსტები დაერთვის ამ მუხლებისა. რაც მთავარია, ეს ტექსტები სინ.5-სა და სინ.75-ში ბიბლიურ საგალობელთა წინათონურ ტრადიციას ემყარება, გეორგ.5-ში კი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა.

ამკარაა, გეორგ. 5-ის პირველი ნაწილის რედაქტორია გიორგი მთაწმიდელი (ან ნუსხა მომდინარეობს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფიდან). ხოლო გიორგის განთქმული ანდერძი, როგორც ამას ექვთიმე თაყაიშვილი შენიშნავს, ამ კრებულში ჩაწერილი უნდა იყოს თვით გიორგი მთაწმინდელის მიერ "ფრიად წვრილის ნუსხა-ხუცურით, როგორც ჩვეულება იყო გიორგი მთაწმინდელისა" [3, გვ. 33].

"დიდი კანონის" უძველეს ქართულ თარგმანებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრებები კანონის, როგორც ჟანრის, ჩამოყალიბების რამდენიმე ასპექტზე.

კანონის აღმოცენების ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი. თუმცა ცნობილია, რომ ადრეულ ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ფსალმუნებთან ერთად გამოიყენებოდა ცალკეული ბიბლიური გალობები. შემდეგში მათ დაურთეს ტროპარები, იგივე დასდებლები. ასე შეიქმნა ერთსაგალობლები, ორსაგალობლები, სამსაგალობლები... ხოლო კანონის – საეკლესიო პოეზიის ამ ახალი ჟანრის მესაძირკვლედ ანდრია კრიტელია (650-726 წ.) მიჩნეული. "კანონთა მეფედ" აღიარებული მისი "დიდნი გალობანი" ამ ჟანრის უძველესი ნიმუშია.

ცნობილია, რომ ბიბლიურ გალობათა შემცირება თოთხმეტიდან ცხრამდე (მოსეს და მარიამის გალობა, მოსეს მეორე გალობა, ანას გალობა, ამბაკუმ წინასწარმეტყველის გალობა, ესაია წინასწარმეტყველის გალობა, სამთა ყრმათა ორი გალობა, მარიამ ღმრთისმშობლისა და ზაქარიას გალობები)

პირველად იერუსალიმურ პრაქტიკაში განხორციელდა. მთავარი ნაბიჯები ჰიმნოგრაფიული კანონის ჩამოყალიბებაშიც პალესტინაში გადაიდგა. ანდრია კრიტელის "დიდი კანონი" შედგება სწორედ 9 გალობისგან, თითოეულს აქვს თავისი ძლისპირი (ირმოსი) და შესაბამისი დასდებლები (ტროპარები). "დიდი კანონი" თავდაპირველად 210 ტროპარისგან შედგებოდა, შემდეგ მას ორმოცი ტროპარი შეჰმატებია და მოცულობითაც უნიკალურ საგალობლად ქცეულა ლიტურგიული პოეზიის ისტორიაში.

ყურადღებას იქცევს "დიდი კანონის" რამდენიმე ასპექტი: ა) გალობათა უჩვეულო სიდიდე, ბ) გალობათა ერთმანეთისაგან განსხვავებული მოცულობა, გ) მეორე და მესამე გალობის ორ-ორი ძლისპირი (ირმოსი). კანონის ჩამოყალიბებული, დასრულებული სახისთვის სრულიად უცხოა მსგავსი ნიშნები. რითაა განპირობებული "დიდი კანონის" აღნიშნული თავისებურებანი? რა განსაზღვრავს მის ამ სპეციფიკას?

"დიდი კანონის" ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახეს კანონის არქაული სახე. კერძოდ, ყველა გალობას, ყველა ტროპარს გასდევს ბიბლიურ გალობათა მუხლები. დადასტურებულია, რომ საგალობლების თითოეულ ტროპარს დართული ბიბლიური გალობების მუხლებსა თუ ნახევარმუხლებზე მითითებანი ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში დიდი იშვიათობაა. სპეციალისტებისთვის კი ცნობილია, რომ კანონის ცხრავე გალობის იდეურ-თემატური შინაარსი განსაზღვრულია ბიბლიური გალობებით. ეს კავშირი ნათელყოფს, როგორ იბადება, როგორ ამოიზრდება ბიბლიურ ტრადიციაში ახალი უნივერსალური ჟანრი – კანონი, იგივე გალობანი.^{*}

* ს. ავერინცევი შენიშნავს, რომ V ს. ხელნაწერ სეპტუაგინტაში (ე. წ. Codex Alexandrinus), ფსალმუნებს დართული აქვს როგორც ძვ. აღთქმის, ასევე ახალი აღთქმის გალობათა (ἀνά) ნუსხა. მაგრამ რამდენადაც სეპტუაგინტა მხოლოდ ქრისტიანული წერილობითი ტრადიციითაა ჩვენამდე მოღწეული, არ არის საშუალება გარკვეულ იქნას ბიბლიურ გალობათა ეს ანთოლოგია შედგენილია იუდეველთა გარემოში და ქრისტიან რედაქტორთა მეშვეობით შემდეგაა შევსებული, თუ საერთოდ თავისი არსებობით ახალგაზრდა ეკლესიის ლიტურგიული მოთხოვნებითაა განპირობებული, როგორც ამას ვარაუდობდა ვ. კრისტი [1, გვ. 213].

არსებითია, რომ "ფსალმუნთა" ძველ ქართული თარგმანების X საუკუნის ხელნაწერებს სხვა დანართებთან ერთად ახლავს 9 ბიბლიური გალობის ეს ანთოლოგიაც [10, გვ. 411-445].

ბიბლიურ საგლობელთა მოცულობა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ჩანს, ანდრია კრიტელი "დიდი კანონის" გალობებს მოცულობითაც უფარდებდა ბიბლიურ გალობებს. არქიმანდიტრი კიპრიანე (კერნი) განმარტავს: "იოანე დამასკელის კანონები წმინდა ანდრიას კანონებთან შედარებით მოკლეა. თუ ეს უკანასკნელი ცდილობდა ბიბლიური საგლობლების ყველა გალობისთვის მიესადაგებინა საგანგებო ტროპარები, დამასკელი შემოიფარგლებოდა ორი-სამი ტროპარით" [2, გვ. 38]. ბიბლიური გალობებისა და კანონის ტროპარების ერთმანეთთან შეწყობა განსაზღვრავდა კანონის გალობათა მოცულობასაც და მათი ერთმანეთისაგან სიდიდით განსხვავებასაც. ე. ი. რაკი ყოველ გალობას "დიდ კანონში" გასდევს ბიბლიურ საგლობელთა მუხლები, გალობა დაახლოებით იმ მოცულობისაა, სადამდეც გასწვდება მას ბიბლიური ფრაზეოლოგია. ამიტომაც, რომ "დიდი კანონის" I გალობა შეიცავს 22 ტროპარს, IV გალობა – 27 ტროპარს, V გალობა – 20 ტროპარს, VI გალობა – 16 ტროპარს, IX გალობა – 25 ტროპარს...

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ანდრია კრიტელის "დიდ კანონს" სხვა კანონებისგან კიდევ ერთი თავისებურება გამოარჩევს: გალობებს ორ-ორი ირმოსი (ძლისპირი) აქვთ. ახსნა ამ თავისებურებისა სამეცნიერო ლიტერატურაში არ შემხვედრია.

ბიბლიური საგლობლებისა და "დიდი კანონის" ტექსტის ორგანული კავშირი, რომელიც თვალსაჩინოა "დიდნი გალობანის" ქართულ თარგმანთა უძველეს ხელნაწერებში, ანგარიშგასაწევი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს.

კანონის II გალობა ("მოიხილესა") დაკავშირებულია მოსეს მეორე გალობასთან (მეორე შჯ. 32,1-43). ესაა მოზრდილი საგლობელი, რომელიც აგვირგვინებს ხუთწიგნულს. ბრძენი წინამძღვარი თავის ხალხს მაღალ ზნეობრივ პრინციპებს შეახსენებს და მათ მკაცრად დაცვას მოითხოვს. ამ ტექსტს მოსე წინასწარმეტყველის ანდერძად მიიჩნევენ. გალობა, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე ვრცელია და შინაარსობრივად ორ არათანაბარ ნაწილად შეიძლება გაიყოს: პირველი ნაწილი შეიცავს 38 მუხლს (1-38) და იწყება სიტყვებით: 1. "მოიხილე, ცაო, და ვიტყოდი და ისმენდინ ქუეყანაჲ სიტყუათა პირისა

ჩემისათა. 2. მოელოდენ ვითარცა წვმასა თქუმასა ჩემსა, და გარდამოვედინ ვითარცა ცუარნი სიტყუანი ჩემნი, ვითარცა წვმად მწუანვილსა ზედა და თოვლი თივასა ზედა. 3. რამეთუ სახელსა უფლისასა ვხადე, მიეცით დიდებად ღმერთსა ჩუენსა” და ა. შ.

გალობის მეორე ნაწილი [32, გვ. 39-43] სრულიად ახალ ინტონაციაზეა აგებული. მასში წამყვანია მამხილებელი ტონი, თუმცა მის დამაგვირგვინებელ სიტყვებშიც წამოიწევს იმედისა და რწმენის ნათელი განწყობილება და შესაბამისი ინტონაცია. გალობის ეს მეორე მონაკვეთი იწყება სრულიად განსხვავებული შემართებით: “იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ და არა არს სხუა ღმერთი ჩემსა გარეშე: მე მოვაკუდინო და ვაცხოვნო და ვსცე და მე განვკურნო, და არა არს, რომელმან განარინოს კელთაგან ჩემთა” (მეორე რჯ. 32, 39).

“დიდი კანონის” არსენ იყალთოელისეული თარგმანის II გალობის პირველი ძლისპირია: “მოიხილე ცაო და ვიტყოდე და ვაქებდე ქრისტესა ქალწულისაგან მოსრულსა ჩუენდა”; ხოლო II ძლისპირი (სხუად ძლისპირი) არის: “იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ მეუფე, რომელმან მივეც მანანად და წყარონი კლდისაგან, წყარო ვყვენ უდაბნოს ერისათვს ჩემისა, მხოლოდთა ძალითა და მარჯუენითა ჩემითა”. და რაც ძალზე არსებითია, I ძლისპირთან შეწყობილ ტროპარებს II გალობისა მიჰყვება მოსეს ბიბლიური გალობის მუხლები I ნაწილიდან, ხოლო მეორე ძლისპირით გამართულ დასდებლებზე გადანაწილებულია II ნაწილის სათანადო მუხლები.*

ანალოგიური ვითარება იკვეთება ბიბლიური ანას საგალობელშიც (I მეფ. 2,1-10), რომელიც წარმოთქმულია უფლის წინაშე უსაზღვრო მადლიერების გამოსახატავად. ღვთის დიდებასთან ერთად მასში გაისმის წინასწარმეტყველური პათოსით განმსჭვალული სიტყვებიც. ამდენად ამ გალობის ორ ნაწილად დაყოფაც ხერხდება: პირველი ნაწილი 5 მუხლს შეიცავს და იწყება სიტყვებით: “განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ, და ამალდა რქად ჩემი ღმრთისა მიერ”. მეორე ნაწილიც 5 მუხლისაგან შედგება,

* ცნობილია, რომ კანონის კომპოზიციიდან ჰიმნოგრაფებმა დროთა განმავლობაში II გალობა ამოიღეს. მეცნიერები ამ ფაქტს სხვადასხვაგვარ ახსნას აძლევენ. იქნებ II გალობის სტრუქტურული თავისებურებაც იყოს ერთ-ერთი მიზეზი მისი ამოღების კანონის კომპოზიციიდან?

მაგრამ ის სრულიად ახალი რიტმითა და ინტონაციით წარმოითქმის: "უფალი მოაკუდინებს და აცხოვნებს, მთაიყვანებს ჯოჯოხეთად და აღმოიყვანებს; უფალი დააგლახებს და განამდიდრებს, დაამდაბლებს და აღამაღლებს"; შესაბამისად, "დიდი კანონის" III გალობის პირველი ძლისპირთან შეწყობილ ტროპარებს გასდევს ანას საგალობლის პირველი ნაწილის მუხლები, II ძლისპირზე აგებული ტროპარები კი გაწყობილია ანას გალობის II ნაწილის მუხლებით.

საინტერესოა, რომ სინ.5-ში III გალობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ აქვს II ძლისპირი და ამ მეორე ძლისპირის დასდებლები შეერთებულია I ძლისპირის დასდებლებთან. შესაბამისად, ანას ბიბლიური საგალობელი მთლიანად ნაწილდება 19 ტროპარისაგან შედგენილ III გალობაზე "დიდი კანონისა". სხვაგვარი სურათია არსენ იყალთოელის თარგმნილ ტექსტში. აქ მთარგმნელი ერთგულია ბერძნული ტრადიციისა, კანონის III გალობას აქვს ორი ძლისპირი და ბიბლიური გალობის ტექსტიც შესაბამისადაა განაწილებული.

ბიბლიურ გალობათა ამგვარმა ფუნქციურმა დატვირთვამ დაბადა კითხვა: თუ ბიბლიურ საგალობელთა და "დიდი კანონის" დასდებელთა შორის ასეთი ორგანული, ასეთი ცხადი კავშირია დამყარებული (ბიბლიური საგალობელი განსაზღვრავს გალობის მოცულობას, ორ-ორი ძლისპირის საჭიროებას, საგალობლის მთლიანი ტექსტის ბიბლიური საგალობლებით გამართვას), მაშინ რაღა იყო ძლისპირთა უმთავრესი დანიშნულება "დიდი კანონის" სტურქურაში? მას თავიდანვე რიტმულ-მელოდიური ფუნქცია ჰქონდა? ძეგლის სამივე ქართულ თარგმანში ძლისპირები თითქოს ატარებენ ამ დატვირთვას. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, "დიდი კანონის" შექმნისას რაგვარი იყო ძლისპირთა ხასიათი და უმთავრესი დანიშნულება. ჩვენამდე არ მოუღწევია არც "დიდი კანონის", არც იმ ეპოქის სხვა საგალობელთა შემცველ უძველეს ხელნაწერებს.

"უძველესი იადგარის" შესწავლის შედეგად მივიდნენ უაღრესად მნიშვნელოვან დასკვნამდე: "ბიბლიურ გალობებთან მაკავშირებელი პირველი სტროფის – ძლისპირის საჭიროება შეიქმნა იმის შემდეგ, რაც ბიბლიური გალობის დანართი სტროფები ჩამოსცილდნენ ბიბლიურ გალობებს და შეიქმნა

ახალი ტიპის პოეტური კანონი, სადაც ყოველი გალობის პირველ სტროფს დაეკისრა პოეტური გალობის ბიბლიურ გალობასთან კავშირის გამოხატულება, რაც იმაში გამოიხატა, რომ ყოველი ძლისპირი გარკვეულ ფარგლებში გალობათა პარაფრაზირებულ ტექსტზე ააგო. ასეთი ძლისპირები უძველესია იადგარისათვის” [14, გვ. 834]. არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი) იმასაც კი ვარაუდობს, რომ ირმოსი, თვით წმ. ანდრიას გამოგონილია [2, გვ. 35]. არ არის გამორიცხული ბიბლიურ გალობათა საგალობლებზე დართვის ტრადიციაც წმ. ანდრია კრიტელთან იყოს დაკავშირებული. სხვათა შორის, ”დიდი კანონისთვის” დამახასიათებელია ბიბლიურ გალობასთან დამაკავშირებელი რეფრენიც. ჩანს, ანდრია კრიტელმა, როგორც კანონის მესამირკველემ, სასულიერო პოეზიის ბიბლიასთან კავშირს მყარი საფუძველი ჩაუყარა და ერთხელ და სამუდამოდ დაამკვიდრა პატრიარქთა მრწამსი: ”ჩვენს საგალობლებში მხოლოდ სიტყვებია სხვა, წმიდა წერილისგან განსხვავებული, თორემ არსებითად ჩვენ იმასვე ვგალობთ” [9, გვ.1].

ჩვენს მასალაზე დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ანდრია კრიტელისათვის ძლისპირების უმთავრესი ფუნქცია მაინც ბიბლიურ საგალობლებთან კავშირის დამყარებაა. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ბიბლიურ საგალობლებთან კავშირზე მიუთითებდა ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ) ტრადიციაში შემორჩენილი სახელწოდებანიც კანონის გალობებისა: უგალობდითსაჲ, მოიხილესაჲ, განძლიერდასაჲ, მესმადსაჲ, ღამითგანისაჲ, ღაღადყავისაჲ, აკურთხევდითსაჲ, ადიდებსაჲ.*

მსჯელობის ამგვარად წარმართვა ანდრია კრიტელის ”დიდი კანონის” ხმისა და ძლისპირების მიმართ დიდი ქართველი მთარგმნელების, ექვთიმე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელის, თავისუფალმა დამოკიდებულებამ განაპირობა. ექვთიმე მთაწმიდელმა შეცვალა ”დიდი კანონის” როგორც ხმა, ისე ძლისპირები, გიორგი მთაწმიდელმა ხმა კი

* ცნობილია, რომ ამ სიტყვებით იწყება ბიბლიური საგალობლები და სახელწოდებადაც მათ ეს სიტყვები დაუმკვიდრდათ, როგორც მიღებული იყო შუასაუკუნეების სამწიგნობრო ტრადიციაში. შდრ: Поим, Вонми, Утвердися, Услышах, От ноши, Возопих, Благословен еси, Благословите, Величит – ასეთია კანონის გალობათა სლავური სახელწოდებანი [5, გვ. 202].

დედნისეული დატოვა, მაგრამ წმ. ანდრიას ტექსტი სხვა ძლისპირებზე გამართა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ხმის, როგორც დოგმატური საწყისის მნიშვნელობა ექვთიმე მთაწმიდელის შემდგომ პერიოდში გამოიკვეთა [8, გვ. 15]. რაც შეეხება ძლისპირებს, ცნობილია, რომ X საუკუნიდან ჰიმნოგრაფები ძლისპირებს თვითონ კი არ თხზავდნენ, არამედ მიმართავდნენ ძლისპირთა კრებულებს – ირმოლოგიონებს, ასე იქცევიან ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებიც. ისინი იყენებენ ქართულ ტრადიციაში უკვე ადაპტირებულ ძლისპირებს, რომლებიც შესულია X საუკუნის ალავერდის ანუ იორდანეს კრებულში (A 603). "დიდი კანონის" მესამე მთარგმნელი კი სხვა რეალობის წინაშეა. მან თვითონ გადმოთარგმნა ანდრია კრიტელის "დიდი კანონის" ძლისპირები. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ერთი და იგივე ძლისპირი ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა კანონში. "დიდი კანონის" ძლისპირები, თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ, ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წამროადგენს, როგორც ერთიანი ციკლი და მხოლოდ ამ კანონის კუთვნილება [8, გვ. 18]. "დიდი კანონის" ეს ძლისპირები შეტანილია A85 ხელნაწერში.

ამ კონტექსტში საგულისხმოა "დიდი კანონის" ტექსტს დართული ვრცელი ანდერძი გიორგი მთაწმიდელისა. მასში ძალიან მნიშვნელოვანი არაერთი ინფორმაციაა მოწოდებული: მაგალითად, რომ ექვთიმე მთაწმიდელს გამოუტოვებია "დიდი კანონის" ბიბლიური სახისმეტყველებანი, შეუმატებია სინანულის საგალობლები, განუვრცია ტექსტი და ა. შ., მაგრამ არაფერია ნათქვამი უმთავრესზე: ხმისა და ძლისპირების შეცვლაზე. სამაგიეროდ ამ ცვლილებებზე ვრცლად მსჯელობს არსენ იყალთოელი ამავე კანონის თავისსავე თარგმანის ანდერძში: ექვთიმე მთაწმიდელს "ჴმისგანცა თჴსისა და ძლისპირთაგან შეეცვალეს", ხოლო გიორგი მთაწმიდელს "დაღათუ ჴმაჲ არა შეეცვალა, გარნა თჴსთა ძლისპირთა ჴედა თარგმანჲ არცა მას გულს ედგინა" და სხვ.

დასასრულს, იქნებ არ იყოს ჴედმეტი გავიხსენოთ ქართული ტერმინის – "ძლისპირის" ეტიმოლოგია, რომელზეც ყურადღებას ამახვილებს აკად. კ. კეკელიძე და რომელიც დღეს რატომღაც მივიწყებულია. ძლისპირი შედგება ორი

სიტყვისაგან: ძლის და პირი – შენიშნავს კ. კეკელიძე. პირი აღნიშნავს დასაწყისს, ძლის←ძალის კი სიმს (ხუთძალი, ათძალი, ძნობა=ძლობა). მეცნიერი მოიხმობს ბიბლიის ქართულ თარგმანს: ”და მოილო მარიამ წინასწარმეტყუელმან, დამან არონისამან, ზობლანი ჳელითა თჳსითა, და განვიდოდეს ყოველნი დედანი მისთანა ზობლნებითა და (მ)(ძნობ(რ)ითა; უ-პირ-ობდა (Преднача) მათ მარიამ და ეტყოდა: ”უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს (გამოსლ. XV, 20-22). ამრიგად, ძლის-პირი სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით აღნიშნავს ჳიმნის პირველ, საწყის სიტყვას, შესრულებულს მუსიკალურ საკრავზე, ე. ი. პირველ სიმღერას” [5, გვ. 214]. ანდრია კრიტელის ეპოქაშიც ძლისპირის მთქმელი გალობის წამომწყები ხომ არ იყო? ძლისპირის გალობის ტონის განსაზღვრის ფუნქციაც ხომ არ ჳქონდა? ძლისპირის ამგვარ დანიშნულებაზე მიგვანიშნებს ”დიდი კანონის” ორ-ორი ირმოსი, განსაზღვრული სწორედ ინტონაციურ შეფერილობათა სხვადასხვაგვარობით.

მთავარი ის არის, რომ ქართული კულტურის მესვეურებს – მეფე დავით აღმაშენებელს, ექვთიმე მთაწმიდელს, გიორგი მთაწმიდელს, არსენ იყალთოელს, იოანე ქართლის კათალიკოსს, გადამწერთა მთელ პლეადას უდიდესი მნიშვნელობა მიუნიჭებიათ წმ. ანდრია კრიტელის ”კანონთა მეფედ” მიჩნეული საგალობლისთვის და ქართული ეკლესიის ლიტურგიულ პრაქტიკაში მისი ადაპტირებით ქართული სულიერი კულტურის სამირკველი განუმტკიცებიათ. ”დიდი კანონის” უძველესმა ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახეს მისი არქაული სახე, რაც საშუალებას გვაძლევს ლიტურგიული პოეზიის ადრეული ეტაპების კვლევაში გარკვეული წვლილი შევიტანოთ.

დამოწმებანი:

1. Аверинцев С. *У истоков поэтической образности искусства, Другой Рим*, Санкт-Петербург 2005.
2. არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი), *ლიტურგიკა*. (წიგნი რუსულიდან თარგმნა და ქართული მასალების

- გათვალისწინებით კომენტარები დაურთო ელისო კალანდარიშვილმა), თბ. 2009.
3. თაყაიშვილი, ექ. *პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი*, პარიზი, 1933.
 4. კეკელიძე, კ. *კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში*, თბილისი 1949.
 5. კეკელიძე, კ. „Грузинский литургический словарь“, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი XIV*. (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანიშვილმა), თბ. 1986.
 6. კეკელიძე, კ. *ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I*, თბ. 1960.
 7. კოპლატაძე, გ. ანდრია კრეტელი, *დიდი კანონი*. (ძველი ბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გვანცა კოპლატაძემ), თბ. 2007.
 8. მანაგაძე, ხ. წმ. ანდრია კრეტელის „სინანულის კანონი“ და მისი ქართული ძლისპირები, (ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი), თბ. 2006.
 9. Флоренский Н. Н., *История Богослужбных песнопений православной католической церкви*, Киев 1881.
 10. შანიძე, მ. *ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით*. (გამოსცა მზექალა შანიძემ), თბ. 1960.
 11. ხაჩიძე, ლ. „გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის პარიზული ნუსხა“. *კრებული ივირონი – 1000*, თბ. 1983.
 12. ხაჩიძე, ლ. *იოანე მინჩხის პოეზია*. (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ) თბ. 1987.
 13. ხაჩიძე, ლ. *ეფრემ მცირის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ*, თბ. 2009.
 14. ხევსურიანი, ლ. *უძველესი იადგარი*, (გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა) თბ. 1980.

15. ხევსურიანი, ლ. „გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის ავტოგრაფული ნუსხის საკითხისათვის“, *ლიტერატურული ძიებანი*, თბ. 2005.
16. Хоружий С. К *Феноменологии аскезы*, М. 1998.
17. ჯღამაია, ლ. *გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი)*. (გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ), თბ. 2007.

The Georgian Translations of Andrew of Crete's *Great Canon* and Some Aspects of the Canon's Establishment as a Genre

Laura Grigolashvili

Ph.D., Professor at Ivane Javakishvili Tbilisi State University

Resume: Three Georgian translations of Andreas of Crete's *Great Canon* preserved for centuries in different manuscript depositories, have survived: Ekvtime Mtatsmideli's translation (955-1028), Giorgi Mtatsmideli's translation (1009-1065), and Arsen Iqaltoeli's translation (11-12 century). In Ekvtime Mtatsmideli's version, the translator's free approach to the original text is revealed, as he does not strive for maximum accuracy in his translation, for the creation of an exact copy of the original text, but rather tries to grasp and convey the religious and poetic content of the work. In so doing, he endeavors to create the text's variations without stepping out from its semantic field. His translational method can be characterized as dynamic equivalent. Giorgi Mtatsmideli holds Ekvtime's translation in high regard and takes it into consideration; yet, he still attempts to bring the Georgian text closer to the original. As for Arsen Iqaltoeli, he offers us almost an exact, identical double of Andreas of Crete's *Great Canon*. Thus, his translation belongs to the type of a translation known as formal equivalent.

Many manuscripts containing the *Great Canon's* Georgian translation have reached us. In this research, I rely on the Par. Georg.5 - the unique manuscript-anthology containing all three translations of the *Great Canon*. The first part of this manuscript is dated to the 60s of the 12th century A.D., and it contains Ekvtime's and Giorgi's translation of the *Great Canon*. The second part of the manuscript (comprised in the 80s of the 12th century A.D.) contains Arsen Iqaltoeli's translation of the *Great Canon*. Even though the first part of the anthology does not seem to belong to Giorgi Mtatsmideli's autography (this argument is particularly strengthened by one of the notes found in the Georg. 5 manuscript), its importance is still enormous, as it is indeed done under Giorgi Mtatsmideli's editorship.

The archaic image of the *Great Canon*, preserved in the Georgian manuscripts, allows us to express our opinions about some aspects of the establishment of the canon as a genre. Specifically, we can attempt to explain reasons for the unusual length of the *Canon's* Odes, the discrepancies between the length of the Canon's Odes, double troparia, and so on.

Key words: *Andreas of Crete, Great Canon*

Andrew of Crete's *Great Canon* is one of the oldest and most important monuments of Christian spiritual heritage. There are several factors that make this masterpiece of hymnology particularly important for Georgian liturgical and hagiographical scholarship. *The Hymns of Repentance* by the great David Aghmashenebeli (David IV the Builder, 1073 – 24 January 1125), King of Georgia, are inspired by this *Canon*. In addition, the names of three of the most notable representatives of Georgian literature, Ekvtime Mtatsmideli (St. Euthymius the Hagiorite), Giorgi Mtatsmideli (George the Hagiorite, George the Athonite), and Arsen Iqaltoeli (Arsen of Iqalto), are associated with this work; they have all translated St. Andreas' *Canon of Repentance* and have established it as one of the most important and monumental works of the Christian liturgical poetry in Georgia. Beyond these historical indications, as the current reevaluation of asceticism as both a religious-mystical experience and a unique phenomenon in itself is taking place, the *Canon* is particularly relevant in today's world. Even the representatives of Poststructuralism and Postmodernism have taken interest in the essence of Askesis, recognizing it as a positive occurrence. Furthermore, asceticism is regarded as the universal prerequisite of a culture as it is, as a basis that largely determines relationships between cultures and creates possibilities of initiating communications between them. It is widely recognized that the foundations of universal ethics are highlighted precisely in ascetic literature and that today's intellectual elite cannot add anything new to these principles. Some scholars even think that the alternations of strong, complex, dramatic feelings that are associated with repentance, which is the leading motif of Askesis, are expressed in liturgical poetry better than in treatises. As such, they strongly advise deep contemplation of Andrew of Crete's hymns of atonement, his famous *Great Canon* [16, p. 65].

In the first half of the 11th century, the *Great Canon* of St. Andreas of Crete was introduced and established in Georgian liturgical practice alongside the Constantinople Typikon. Interestingly, the old Georgian translations preserved the *Canon's* archaic form, while the Greek Triodion (Постная триодъ, Lenten Triodion, fasting hymns, *Markhvanebi*) containing the text of the *Canon* that have been passed down to us are based on a later

manuscript tradition. This fact also adds to the importance of the Georgian translations of the *Great Canon* for Medieval Studies.

The first attempt to translate the *Great Canon* into the Georgian Language is associated with the name of Ekvtime Mtatsmideli. Georgian literary scholarship has widely discussed Ekvtime's principles of translation and degree to which his work is essential to Georgian cultural and intellectual heritage. The evaluations of Ekvtime's work made by the *Canon's* other Georgian translators, Giorgi Mtatsmideli and Arsen Iqaltoeli, are particularly important as they are articulated by scholars who are among the highest authorities in both Christian liturgical tradition and Georgian hymnography in particular. Giorgi Mtatsmideli's and Arsen Iqaltoeli's assessments of Ekvtime's translation significantly overlap. In essence, they agree that Ekvtime Mtatsmideli overlooked the Biblical symbols and images that saturate the *Canon* because he found them "hardly decipherable and distractive for the mind" (Georg. 5, 154v). In place of these, Ekvtime added Troparia for the sustenance of the soul. Ultimately, Giorgi Mtatsmideli and Arsen Iqaltoeli conclude that Ekvtime endeavored to enrich the spiritual nourishment of the text more than he wished to retain its precise content (Georg.5, 159r). A further indication of this is that he also modified the mode and hirmi of the original (ibid.).

In volume, Ekvtime Mtatsmideli's translation of the *Great Canon* is almost identical to the original text. However, his translation still leaves a sense of dissatisfaction due to both his treatment of paradigmatic biblical images and the liberty he has taken in his handling of the mode and hirmi of the *Great Canon*. However, in order to understand Ekvtime's aims, it is necessary to recall Giorgi Mtatsmideli's assessment of both his creative aims and his working principles: "Saint Father Ekvtime had translated the 'Great Hymns' as a book of repentance" (154v.). As this suggests, Ekvtime was interested in the troparia as expressions of atonements; therefore, he omitted what he saw as excessive image-symbols and Biblical names from his translation. Another of the text's translators, Arsen Iqaltoeli, arrives at a similar position in his assessment of Ekvtime's translation: "He had omitted the imagery of the Holy

Scripture and, instead, he had added the hymns of repentance for the sustenance of the soul” (Georg.5 147v).¹

By modern classification, Ekvtime’s method of translation is an example of “dynamic equivalent”. As Korneli Kekelidze has remarked, Ekvtime “did not regard it necessary to be enslaved by the Greek text; he thought it was within his authority to interpret these [the original] texts in his own way” [4, p. 18]. Giorgi Mtatsmindeli’s edition of the *Great Canon* is based on a separate principle of translation, which he describes in the postscript appended to the text. Giorgi Mtatsmindeli aimed to create a complete anthology of both the Triodion (*Markhvani*) and the Easter Hymns Triodion (the Pentecostarion, *Zatiki*). Ideally, he wished his edition would expunge all errors from previous translations and become the crowning text of the Georgian Catholicosate. To this end, Mtatsmindeli’s translation reinstates the biblical names and images that Ekvtime had excised. This fact confirms the view expressed in scholarly literature that Mtatsmindeli envisioned a form of translation that remained as close as possible to the original text [17, p. 27].

Giorgi Mtatsmindeli had one more task to fulfill: because of his special reverence towards Ekvtime, he considered it necessary to include Ekvtime’s troparia of repentance. This resulted in the multitude of images and troparia that swell his edition. Addressing this abundance, Giorgi Atoneli hoped that, “even though the amount of the troparia had multiplied, they were not tiresome.” Giorgi Atoneli further wished that these elements would be seen as “beautiful and [their presence] much desirable” (Georg. 5, 154r). The fact that Giorgi Atoneli’s own translation of the *Canon of Repentance* exceeds both Ekvtime’s and Arsen’s in volume exemplifies his own reverence for this material.

Arsen Iqaltoeli’s task was even more difficult. He held the previous translators, (the Athonites) Ekvtime and Giorgi Mtatsmindeli, in the highest regard. Yet, he was aware that their

¹ Here, we can make a reference to several opinions that are expressed in scholarly literature and that are relevant to our context: “The Old and the New Testaments images with reduced and simplified semantic schemes endlessly alternate in the *Great Canon*... as if the whole *Great Canon* is a collection of ‘morals,’ directed towards thousands of non-existent fables”. [1, pp. 254-255].

translations diverged from Andrew of Crete's text, as a result of which both translations had become burdensome to the Georgian church. It should also be taken into consideration that the Monk Arsen is one of the initiators of the ongoing Typikon changes taking place in the Georgian church. Under his very initiative, the new addition of Typikon was introduced [6, p. 576]. The Georgian King of Kings—David IV, the Builder (Aghmashenebeli)—was involved in this process as well: he ordered Monk Arsen to translate the *Great Canon* again. Furthermore, the king ordered Ioane Catholicos of Kartli “to set a new voice to the text of the *Canon*, so that the renewed church would be offered the perfect and the purist truth with every word of adoration” (Georg. 147.v.).

Arsen Iqaltoeli solved the task brilliantly. Once more drawing on contemporary classification, we can describe his method of translation as “formal equivalent.” In the end, Arsen Iqaltoeli produced a nearly exact translation of the *Great Canon*. He retained both the mode, the hirmi and the biblical symbols; at the same time, the semantic and artistic content of the original work remains unchanged. The fact that Arsen Iqaltoeli is loyal to the original text and follows it precisely is confirmed by both the old Slavonic and the New Georgian translation of Andrew of Crete's *Great Canon* [7, p. 22-28].

